გამოცემა ეძღვნება ეროვნული გმირის დაბადებიდან
სამოცდამეათე წლისთავს

მეხაბ ჯოსტავა

პუბლიცისტიკა
პროზა
პოეზია
პირადი წერილები

გულისსადებად.

„მე შენ ლოცებზე დაგასვენებდი“

თბილისი
2009

წინასიტყვაობა

ამ წიგნის დანიშნულება მისი გამომცემლების თავდაპირველი ვარაუდით, მათ მიერვე სრულიად შემთხვევით მიკვლეული და გადარჩენილი, გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მერაბ კოსტავას მიერ შექმნილი, სადღეისოდ განსაკუთრებით საჭირბოროტო მნიშვნელობის მქონე ნაშრომის – „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა“ – ფართო სამზეოზე გამოტანა იყო მხოლოდ და არა საიუბილეო თარიღთან მისი მისადაგება იმ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომ ეროვნული გმირის, ერის მიერ საკუთარ სინდისად შერაცხული თავისი ეპოქის სწორუპოვარი რაინდის დაბადებიდან სამოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილი ნებისმიერი შემოქმედება, ვიმედოვნებდით, რომ, შესაძლოა, დღეს ქვეყანაში გამეფებული უმძიმესი ვითარების შესაბამის, მაგრამ აუცილებლად ზოგადქართულ, ზოგადეროვნულ საზრუნავად უნდა ქცეულიყო და არა ხსენებული ზოგადის ერთი, თუგინდ, თავად მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრთაგან შემდგარი ნაწილის კერძო ინიციატივად. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ერის მეყსეულ უმოქმედობას – ერისა, რომელიც სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ თავისი წამებული შვილის დამაშვრალ ცხედარს სიონის წმინდა ტაძრიდან მთაწმინიდს სავანემდე ხელში ატატებულს უნანავებდა რათა ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობის, დიმიტრი ყიფიანისა და ერის სხვა მამათა გვერდით მიეჩინა სამუდამო მოსასვენებელი – თუ უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სიდუხჭირით, რუსთა აგრესიის შედეგად ქვეყნის მეხუთედის ოკუპირებით, სამი მეხუთედი მილიონი ადამიანის საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცევით მაინცაა შესაძლებელი ასე თუ ისე მოეძებნოს ახსნა, ხელისუფლების სრული ეროვნული სიყრუე რიღათი გავამართლოთ? იმით ხომ არა, რომ მათგან უმეტესნი – იმხანად უწლოვანნი, არ უწყოდნენ, სულიერი, ზნეობრივი, დემოგრაფიული, საყოველთაო ნიჰილიზმისა თუ სხვა უამრავი წყლულით დასნებოვნებულ, დაძაბუნებულ სხეულს ერისა, საკუთარი სიცოცხლის ნიადაგ არად ჩაგდების ფასად ვინ ესალბუნებოდა, გამოაჯანმრთელა, გამოაფხიზლა, მძლავრ ერთიან მუშტად შეკრა, ზღვასავით ააბობოქრა, გული მამულისა და მოყვასისადმი ილიას შემდგომ ჯერ არნახული სიყვარულით აღუნთო, წინ წარუძღვა და 68 წლოვანი საღათას ძილქუშის შემდეგ 1989 წლის 9 აპრილის საყოველთაო გმირობის მწვერვალზე აიყვანა, რითაც სულ მალე ასე ნანატრი დამოუკიდებ-

ლობა დაგვიმკვიდრა! მერაბ კოსტავას წინამძღოლობით ქართველი ერის თავგანწირულმა, დიდებულმა ეპოპეამ ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან, ძლევამოსილ მატიანეს წინაპართა ხსოვნის ღირსი მორიგი ფურცელი შემატა, ხოლო განუზომლად ამაღლებულ ფონზე გამართულმა პირველმა მრავალპარტიულმა დემოკრატიულმა არჩევნებმა ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა მოვლენათა ლოგიკურ დაგვირგვინებად აქცია!

ამ ქრესტომათიული წარმატებებიდან ორიოდ თვეში გახდა სავსებით ცხადი, თუ რატომ მოკლეს მერაბ კოსტავა: მისეული პოლიტიკური ხედვის, მიმდინარე ურთულესი პროცესების შეუმცდარი ანალიზის, უზადო მართვის უნარისა და უდიდესი ავტორიტეტის გარეშე სრულიად შეუძლებელი შეიქნა ხელისუფლებასა და მის ირგვლივ მყოფ კრემლის ქართულ გვარ-სახელიანი მარიონეტებისა და მათი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ანტიქართული საქმიანობის მხილება და მით უმეტეს, ძლევა. სწორედ ეროვნულ ღირებულებათა გამიზნულმა დისკრედიტირებამ გახადა შესაძლებელი უკანასკნელი არასრული ორი ათეული წლის მანძილზე მესამედ დადგმულიყო ერთი და იგივე სპექტაკლი, რომელშიც დესტრუქციული ოპოზიცია პრეზიდენტის დაუყოვნებელ, უპირობო გადადგომას მოითხოვს ყოველთვის, რათა ხელთ ძალაუფლება იმისათვის იგდოს, რომ წინამორბედის მსგავსად ქვეყანა კიდევ ერთი ნაბიჯით მიაახლოვოს სახელმწიფოებრიობის დასამარების უფსკრულს.

თუმცა ნუ გგონია, რომ ეს იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა, არა! ეს არის მხოლოდ ნაყოფი მრავალი წლის მორჩილებისა. გვაიმედებს გარდასულ საუკუნეთა წიაღიდან გენერალი ივანე აფხაზი. ჩვენ მხოლოდ დავძენთ, რომ სწორედ ქართველთა „ბუნებითი თვისებების“ უქონელნი დაჰპატრონებიან ქვეყნის მატერიულ და სამაუწყებლო საშუალებებს, ამ მძლავრი ბერკეტების მეშვეობით უტიფარი დაყინებით ზემოქმედებენ ქართველთა „ბუნებითი თვისებების“ მქონე უმრავლესობაზე ძველი, ნაცადი იარაღის – საყოველთაო ნიჰილიზმის დამკვიდრების მიზნით, რათა რუსეთის მიერ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირებისა და მუდმივი პოლიტიკური და ძალისმიერი ზეწოლის პირობებში სასო წარუკვეთონ და ადვილად დაარწმუნონ, რომ „ცუდია ყველა, გარდა რუსეთისა. უნდა ვეფეროთ რუსეთს, რათა თურქეთმა არ დაგვიპყროს. აუცილებელია ქვეყანას ნეიტრალიტეტის გალავანი შემოვარტყათ და ყველას გავემიჯნოთ“. ასეთი მახინჯი ფორმით სურთ ლელთ ღუნიას „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“ ინტერპრეტირება.

დღე ისე არ გავა, ქვეყნის პრეზიდენტმა და მისმა დესტრუქციულმა ოპოზიციამ ქართველთა „ბუნებითი თვისებების“ მქონეთა გულის მოსაკლავად რამოდენიმეჯერ ფარისევლურად არ განაცხადონ: „ჩვენ მცირერიცხოვანი, პატარა ერი ვართ“. მაშინ, როდესაც თურქეთს არასოდეს დაუმალავს, რომ მისი 65 მილიონიანი მოსახლეობის ათი პროცენტი გურჯისტანის ვილაიეთში მცხოვრები 6,5 მილიონი ქართველია, ხოლო ლაზისტანის ვილაიეთში მცხოვრებ 10 მილიონს ლაზად და მეგრელად მიიჩნევს. საკუთარ მიწა-წყალზე თურქეთის საქართველოში მცხოვრებ 6,5 მილიონ ქართველსა და 10 მილიონ „ლაზ-მეგრელს“ თუ ფერეიდანში მცხოვრებ 650 ათას ქართველსაც მივუმატებთ, ნათელი გახდება, რომ დღევანდელი საქართველოს მიღმა 17 მილიონზე მეტი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობს. სწორედ მათ დასაფრთხობად იქნა ხუთჯვრიანი დროშა შემოღებული, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, რადგანაც მათში ეროვნული – ქართული ცნობიერება დომინირებს. უცნაური, ჩიტირეკია ხელისუფლებებიც და მუდმივი არასტაბილურობა იმისთვისაც ესაჭიროებათ, რომ ზედმიწევნით მტკიცე ქართველთა „ბუნებითი თვისებების“ მქონე ჩვიდმეტ მილიონზე მეტ მაჰმადიან ქართველს არასოდეს აღეძრას სურვილი გარეგნულად ქართველთა „ბუნებითი თვისებების“ უქონელ, არაპროგნოზირებად, არასტაბილურ 4 მილიონ ქრისტიან თანამოძმესთან გაერთიანებისა. მხოლოდ მერაბ კოსტავას შეეძლო ქართველთა ორ ძირითად – მაჰმადიანურ და ქრისტიანულ – ჯგუფს შორის გაუცხოების გამოწვევის მიზნით საგანგებოდ შექმნილ გაუგებრობათა, აგრეთვე არსებულ რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ წინაღობათა უმტკივნეულოდ განქარვება უდიდესი პირადი ავტორიტეტის, მისთვის დამახასიათებელი მიუკერძოებლობისა და რასაკვირველია, ფილოსოფიური და თეოლოგიური განსწავლულობის მეოხებით ისლამურ რელიგიაში სუფისტურ, ხოლო ქრისტიანულში – პეტრე იბერის მიერ შექმნილ – არეოპაგიტულ მოძღვრებათა შორის არსებულ ისეთ საერთო ღირებულებებზე დაყრდნობით, როგორიცაა საყოველთაო სიკეთე და მოყვასისადმი სიყვარული.

მერაბ კოსტავას დროინდელ საქართველოში გაბატონებული ერის ერთიანობისა და მოყვასის სიყვარულის ხორცშესხმული იდეა მისი სიკვდილის შემდგომ დროინდელ საქართველოში საგანგებოდ მიაჩუმათეს, დააკნინეს, უგულვებელჰყვეს ცრუ ლოზუნგების, ცრუ დაპირებების, ცრუ ლიდერების, ცრუ მესიების მეშვეობით, სოკოებივით რომ მომრავლდნენ მათ მიერვე ხელოვნურად შექმნილ ნიადაგზე. შედეგიც შესაბამისია. რასაკვირველია, აქ საუბარი არა

მხოლოდ უკვე ყველასათვის ხილულსა და საცნაურ შედეგებზეა, არამედ უხილავსა და შესაბამისად, ხილულთან შედარებით მეტი საფრთხის შემცველზე. იმგვარზე, იძულებული რომ გახადა მერაბ კოსტავას პირმშო – 12 წლის თამთა მამის სიკვდილის შემდგომ დედასთან ერთად ემიგრირებულიყო უცხოეთში. თამთა კოსტავას სამშობლოში დაბრუნებისა და უსაფრთხოდ ცხოვრების გარანტიები დღემდე არ არსებობენ. ვფიქრობ, რომ ეს შემზარავი ფაქტი სრულად ახასიათებს ქვეყანაში არსებულ ვითარებას. ამიტომაც გვმართებს ხელის გამოღება, „სასიკეთო ძვრები ღვთისა და ისტორიის წინაშე მარტოოდენ შეუძლებელთან ჭიდილში აღინუსხება“, ამბობდა მერაბი და თუ ყველანი ერთად შევეჭიდებით, ნებისმიერ „შეუძლებელს“ შესაძლებლად ისევე იოლად ვაქცევთ, როგორც ამ ოციოდე წლის წინ, – მერაბისობას!

ვაჟა ადამია

პუბლიცისტური

ნეიილები

მეცხრე სიმფონია

ამას წინათ, საქართველოს სიმფონიური ორკესტრისა და სომხეთის სახელმწიფო კაპელის ერთობლივი ძალებით თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის ხალხით გაჭედილ დიდ დარბაზში აუღერდა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია.

ადვილი როდია ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიასთან, სიმფონიური მუსიკის ამ მართლაც გვირგვინთან ხელდახელ შებმა. მსოფლიოს უდიდესი დირიჟორები ერთ-ერთ უკანასკნელ ეტაპად მიიჩნევდნენ ამ ზღუდემაგარი გოდოლის აღებას, თვითგამობრძმედისა და გამოცდილების მაქსიმუმს რომ მოითხოვს. ჯანსუღ კახიძე თუმცა ჯერაც საკმაოდ ახალგაზრდა დირიჟორია, მაგრამ შიშველი ხელებით არ შეჭიდებია ამ სიძნელეს. იგი კარგა ხანია შეეთამამა კიდეც და წარმატებითაც ბერლიოზის, ბრამსის, რიჰარდ შტრაუსის და სხვათა ურთულეს პარტიტურებს, რაც მცირე განაცხადი როდია. ისიც ცნობილია, რომ ევოლუციურობა, როგორც ნიჭისა და შრომისმოყვარეობის ბედნიერი თავშესაყარი, მისი შემოქმედებითი ცხოვრების უმთავრესი ნიშანთვისებაა. ასე რომ, კეთილი სურვილებით და ცხოველი ინტერესით ელოდა ჩვენი მუსიკალური საზოგადოება ამ ორთაბრძოლას.

ამჟამად, გარდასულ შთაბეჭდილებათა განჭვრეტისა და ესთეტიკური ანალიზის შედეგად შემიძლია დავსძინო, რომ ჯანსუღ კახიძის ხელოვნების დემონსტრირებას ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაში უდავოდ წარმატება ახლდა. არსად დილეტანტიზმი, არც კონტაქტის შენელება მსმენელთან, ან ჩავარდნები ამ სიტყვის ულმობელი გაგებით, თუმცა ბეთჰოვენის გენიასთან მისმა ჭიდილმა ყველგან როდი მიიღო ტიტანური სიმძაფრე და გაქანება, არამედ უკუდარტყმებსაც ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით ეს სიმფონიის პირველი ნაწილის შესრულებაზე ითქმის. ტრაგიკულობა მეცხრე სიმფონიის სონატური ალეგროსი თითქმის პრომეთეს ტრაგედიის მასშტაბებს უტოლდება. მაგრამ პრომეთეს მარტვილობის მისტერია ხომ ჭეშმარიტი ვაჟკაცობის დემონსტრირებაცაა, რომლის უკიდეგანო ოკეანესაც მეცხრე სიმფონიის სონატური ალეგრო წარმოადგენს. მთავარი თემის აღმოცენება ქაოსიდან და ძლევამოსილებით გაჟღერება, მთელი ორკესტრის უნისონში პუნქტირული პულსით და კამარებით ერთ ფოკუსში მოქცეული, ერთი მიზნისაკენ წარმართული ნებელობის ლავა არ არის განა? ძალა არისო ყველაფრისაგან განსხვავებული ადამიანური ზნეობა, დასძენდა ბეთჰოვენი და ამგ-

ვარ ძლიერებაშიაო ჩემი ზნეობაც. სწორედ ეს ძალა აკლდა კახიძის შესრულებით სიმფონიის პირველ ნაწილს.

დირიჟორი თავდაპირველად ინტერპრეტაციის ფურტვენგლერისეულ გზას დაადგა და რამდენადმე ნელი ტემპით წაიყვანა სონატური ალეგრო, მაგრამ ამ ჩანაფიქრის ბოლომდე გამართლება მხოლოდ უნისონური ეპიზოდების მასირებული ხმოვანების და მკვეთრი პულსაციის ხარჯზე თუ შეიძლებოდა. თითქო ინსტრუმენტების სინაკლებეაო ორკესტრში, თითქო კლანჭები დააცვდა, რისხვის ძალა გამოუნელდაო ლომს, – ყღერადობამ ვერ შესძრა, ბოლომდე ვერ აღავსო დარბაზი... მთლიანობა რამდენადმე დაარღვია ლირიკული ეპიზოდების ზედმეტად შენელებულმა ტემპმა. არც კოდაში იგრძნობოდა მთელი სისრულით საწუთროს ბედუკუღმართობით აღძრული მწუხარება და სასოწარკვეთა სულით ვნებული გმირისა.

უკეთ წაიყვანა დირიჟორმა მეორე ნაწილი, გრანდიოზული სკერცო: სათანადო ტემპით, მკვეთრი რიტმით, წრეგადასული ექსტატიკით, ელინური დიონისურობის ჯანსაღი სუნთქვით. ეს იყო ვაკხანალია კუდიანების გარეშე, უდეკადანსო დიონისურობა, რომელსაც ჯერ არ მოვლენია მეფისტოფელი თავისი როკაპებით, შემდგომში ბერლიოზისა და ლისტის შემოქმედებას რომ შემოეხიზნენ. ტრიოში რამდენადმე უღიმღამოდ ყღერდა ვალტორნის სოლო.

სიმფონიის მესამე ნაწილი (ადაჟიო) ჯანსუღ კახიძემ ლირიკოსის მაღალი ნიჭითა და დირიჟორობის რომანტიული ხელწერით წარმოგვიჩინა. ფაქიზი და ამასთან სავსე ხმოვანებით ააყღერა მან თემები ვარიაციებით, ისე რომ ამ ერთობ ვრცელ, უკონფლიქტო, ნელ ნაწილში არსად გამოუყონავს დუნე, მოსაწყენ ერთფეროვნებას. რთული პოლიმელოდიური ფაქტურის ყოველი ხმა თავისუფლად სუნთქავდა ამაღლებული ლირიკისა და მშვიდი ჭვრეტის ღვთაებრივ ატმოსფეროში. ალბათ ამგვარი განწყობილებისათვის უთქვამს გოგოლს ოდესღაც, რომ მხოლოდ დამშვიდებულ ზღვას თუ ძალუძსო აირეკლოს ვარსკვლავებით მოჭედილი ზღვა.

და მაინც, შესრულების პროფესიული დონით მეტადრე სიმფონიის ფინალი გამოირჩეოდა. სიხარულისადმი, ელიზიუმის ამ უბიწო ქალწულისადმი (შილერი) აღვლენილი ეს მონუმენტური დითირამბა, მუსიკისა და პოეზიის სინთეზით, მანამდე უცნობი საშუალებების გამოყენებით (ორკესტრი, გუნდი, ვოკალური კვარტეტი), ურთულესი ფორმით (ვარიაციის, რონდოს, ფუგისა და სონატური ალეგროს ნაზავი), უანრული მრავალფეროვნებით (სასიმღერო, საცეკვაო, მარში და ა.შ.) დირიჟორისაგან საფუძვლიან საინპრეტა-

ტორო წრთობას მოითხოვს. წინამდებარე ნაწილთა თემების თანმიმდევრული გატარებით მუსიკის ისტორიაში აქ პირველად გვხვდება განჭვრეტა წარსულისა. მაინც საიდან იშვა გამკივანი, გულისგამწონავი ფანფარის შემდეგ რეტროსპექციის ამგვარი იდეა? გავიხსენოთ ცხოვრების მეორე ნახევარში ბეთჰოვენის ჩაღრმავება ბერძნულ და ინდურ ფილოსოფიაში, ან როგორ ეწაფებოდა იგი ბერძნულ ენას, რათა პლატონი ორიგინალში წაეკითხა. ასე ცდილობდა ჰეშმარიტებას მოწყურებული ხელოვანი გასაღების მორგებას იმ ეგვიპტური გამოცანა-წარწერისათვის, მთელი სიცოცხლე საწერ მაგიდასთან რომ ჰქონდა გაკრული: „მე ვარ არსებული. მე ვარ აწმყო, წარსული და მყოფადი. არც ერთი მოკვდავის ხელს არ გადაუხდია ჩემთვის საბურველი. იგი მარადია და მას უნდა უმადლოდეს ყოველი თავის არსებობას“. პლატონის ფილოსოფიის ძირეული დებულებით კი „ძიება და შემეცნება სხვა არაფერია, თუ არა მოგონება უკვდავი სულისა, რომელიც მრავალგზის იბადება, რომელსაც ყველაფერი უნახავს როგორც აქ, ისე საიქიოშიც და რომელმაც იცის ყველაფერი“ (პლატონის „მენონი“). სწორედ მოგონების ამ იდეას უნდა დაემჩნია კვალი მეცხრე სიმფონიის ფინალისათვის. მაგრამ ყოვლისმომცველი ცნობიერება ხომ წარმოუდგენელია იდეალური ჰარმონიის გარეშე, რადგან წარსულის განჭვრეტა ადამიანთა შორის ურთიერთობის გარკვევის, სინდისის გაღვიძების, სინანულისა და ურთიერთშენდობის საწინდარიცაა. მხოლოდ ამგვარად თუ შეიძლება აღმოცენდეს ძმობისა და ერთობის არა აბსტრაქტული იდეა, არამედ პრაქტიკული განხორციელების რეალური შესაძლებლობა. ასე თავისუფლდება ადამიანი თავისი პატარა მეობის, ეგოიზმის ტყვეობიდან და ხდება სამყაროს სრულუფლებიანი მოქალაქე, უზენაესი სიხარულის თანაზიარი, აუცილებლობისა და თავისუფლების შემარიგებელი და გამაიგივებელი. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო სიხარულის თემის გატარება წარსულის განჭვრეტის შემდეგ: ამ მარტივმა, მაგრამ ზეაღმტაცმა მელოდიამ რბილად გაიუღერა ჭერ სიმებიან საკრავთა ბანებში, შემდეგ უფრო მაღალი დაწმენდილი რეგისტრებიც მოიცვა. ჭანსუღ კახიძემ ბრწყინვალედ ჩაატარა ეს საორკესტრო ეპიზოდი, რაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, არამედ საერთოდ ქართული სიმფონიური შესრულების ისტორიაშიც.

საღამო დაამშვენა სომხეთის სახელმწიფო კაპელამ ჩეკიჭიანის ხელმძღვანელობით. გასაოცარი ერთსულოვნება, რბილი საერთო ტემბრი, ფრაზების ფაქიზი დაბოლოება, კონტრასტების მკაფიო

შეგრძნება, აი რით წარმოგვიჩნდა იგი როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საგუნდო კოლექტივი, რომელიც კი ოდესმე მოგვისმენია.

მეცხრე სიმფონიის დადგმა თბილისში არა მარტო ურთიერთის ფარდი ორი ხელოვანის წარმატება, არამედ შემსრულებელთა და მრავალრიცხოვან მსმენელთა ზეიმიც იყო. მუსიკა, როგორც ყველაზე ინტერნაციონალური იმპულსების შემცველი, ერთობლივი შემოქმედებისათვის გაცილებით ფართო შესაძლებლობებს იძლევა. სასურველია სომხეთისა და საქართველოს მუსიკოსთა მეგობრობისა და ურთიერთობის საკითხები მუდამ ასეთ მაღალ სფეროებში წყდებოდეს.

მერაბ კოსტავა

ფიქრები ქართულ კულტურაზე

საქართველოს სულიერი ძლიერებისათვის უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო კულტურისადმი ქართველი ხალხის მართებულ პოზიციას. ვერც ერთი ერი დღეს ახალსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს შეჰქმნის, თუ მის შემოქმედებით პოტენციას საფუძველს არ უმაგრებს ფართო ამთვისებლობითი საქმიანობა. მაღალი კულტურა წამყვან კულტურათა სინთეზს ჰგულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო კულტურის განვითარებას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია, ამჟამად ეს საქმე ჩვენში მეტ სრულყოფას მოითხოვს. როგორც ყოველთვის, ამ სფეროში ერთ-ერთი წამყვანი როლი ამჟამადაც მთარგმნელობით ხელოვნებას განეკუთვნება, რადგან ბევრი როდია მცოდნე უცხო ენებისა, დედანში რომ ძალედვას ეროვნულ კულტურათა შედევრების გაცნობა. ყველა განვითარებულ ერს უმაღლეს დონეზე აქვს დაყენებული მთარგმნელობითი და, აქედან გამომდინარე, გლობალურ კულტურასთან წილნაყარობის საქმე, რითაც მარტოოდენ ახალი იდეებითა და მხატვრული სახეებით როდი ამდიდრებს საკუთარი კულტურის წიაღს, არამედ ენასაც განუზომლად სრულჰყოფს. ამის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ ბიბლიის, „ვისრამიანის“, „ქილილა და დამანას“, ირლანდიური საგებისა და სხვა ქმნილებათა ქართული თარგმანები, რომელთა მხატვრული ღირებულება ქართული ორიგინალური ლიტერატურის შედევრებს არ ჩამოუვარდება. მიუხედავად დიდი

ძვრებისა ბოლო ხანებში, მთარგმნელობითი კულტურა ჩვენში ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღისათვის აუცილებელ მოთხოვნილებას, რის გამოც ამ თვალსაზრისით საქართველოს ვერ დავაყენებთ ყველაზე განვითარებული ერების გვერდით. რა დასამალია და მსოფლიო კულტურასთან ფართო ურთიერთობას დღეს ვერ ვიქონიებდით რუსული ენის, რუსული მთარგმნელობითი კულტურის გარეშე. დიდათა ვართ დავალებულნი და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, მაგრამ ისიც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამის იმედზე დარჩენა სამარცხვინოა. არავის ვეჯიბრებით და არც ვისიმე წარმატებისა გვშურს, მაგრამ ჩვენი გასაკეთებელი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ და სრულვყოთ. მხოლოდ ფიქრად გაელვებულ სიმართლეს სიმართლედ ვერ შევრაცხავთ და ამიტომ დაუფარავად აღვავლენთ რასაც ვფიქრობთ: თარგმანთა რაოდენობით თუკი ჩამოვუვარდებით დღეს რუსულ მთარგმნელობით კულტურას, ერთი წუთითაც არ ნიშნავს, რომ ნიჭით, ან შემოქმედებითი პოტენციით ჩამოვუვარდებით რუსებს. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ, ისტორიული ვითარებისა და უშუალო მეზობლობის გამო, რუსები ჩვენზე ადრე ეზიარნენ ახალ ევროპულ კულტურას და მთარგმნელობითი საქმიანობის ევროპულ სტანდარტებზე ჩვენზე ადრე გავიდნენ. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგაც, ათეული წლების მანძილზე ქართული ენისათვის წართმეული უფლებების დასაბრუნებლად იბრძოდა ქართველი ხალხი და მთარგმნელობითი საქმის იმგვარ პროფესიულ დონეზე ორგანიზებისათვის, ოდესღაც რომ გაგვაჩნდა, იმუამად არავის ცხელოდა. ევროპის ხალხთა მანამდე ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი ენების ფენომენში წიაღსვლა დროს მოითხოვდა, მაშინ, როდესაც მათი დაუფლების საქმე ადრევე დაიწყო და სწრაფადაც ვითარდებოდა რუსეთში დასავლეთთან. გაჩაღებული ინტენსიური მიმოსვლისა და რუსეთში მცხოვრებ უცხოელთა მეოხებით. ისიც არ გვავიწყდება, რომ მარტო მოსკოვში უფრო მეტი მოსახლე ცხოვრობს, ვიდრე მთელ საქართველოში. რუსები დაახლოებით ოცგზის აღგვემატებიან რაოდენობრივად და მთარგმნელებიც შესაბმისად მეტი უნდა ჰყავდეთ. მთარგმნელთა და თარგმანთა რაოდენობის პროცენტული შეპირისპირება უთუოდ გამორიცხავს ამ საქმეში მათი უნარიანობის მეტ-ნაკლებობას. ისიც კარგად გვახსოვს, რომ რუსეთის სამთავროთა დაარსებამდე დიდი ხნით ადრე ვთარგმნეთ სახარება. გვახსოვს ისიც, რომ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში, რუსეთის მთარგმნელობითი კულტურა ჩანასახშიც რომ არ იმყოფებოდა, ჩვენში არსებობდა მთარგმნელობითი ხელოვნების უმაღლესი სკოლა, რომლის საქმიანობის ხარისხი და მხატვრული

ღირებულება ორიგინალური ლიტერატურის დონემდე იყო აყვანილი. ეს გახლდათ სკოლა იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, სკოლა ორმხრივი მთარგმნელობითი საქმიანობისა, რამეთუ თარგმნიდნენ ისინი ქართულიდან ბერძნულად და ბერძნულიდან ქართულად. სწორედ მათმა ზეშთაგონებულმა ქართულმა მოამზადა რუსთაველის ბრწყინვალე ლიტერატურული ეპოქა. თვით პეტრე დიდის ეპოქაში და საკმაო დროის მანძილზე შემდგომაც რუსეთში ძველი ქართული თარგმანების დონეზე არაფერი თარგმნილა. მხოლოდ XIX საუკუნეში შესრულებული გნედიჩისეული თარგმანი ჰომეროსის პოემებისა, აგრეთვე ევროპელი პოეტების პუშკინისეული და ლერმონტოვისეული თავისუფალი თარგმანები თუ შეიძლება შევუფარდოთ ქართულ „ვისრამიანს“ და „ქილილასა და დამანას“ საბასეულ თარგმანს. ამიტომ ეს თავისუფალი ქართული თარგმანებიც იმსახურებენ ორიგინალური ლიტერატურის უფლებას, ისიც ვუწყით, რომ ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებში ბერძნული თეოლოგიური თუ ფილოსოფიური ნაწარმოებების თარგმანისას, კომენტარების დართვისას, თუ ორიგინალური თხზულებების შეთხზვისას, შესაშური ხელოვნებით ქმნიდნენ ჩვენში ქართულ ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ტერმინოლოგიას. ყოველივე ზემოთქმული არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას, რადგან არა თუ რუსებზე ადრე ვეზიარეთ, არამედ იმთავითვე კბილა ვართ როგორც პირველქრისტიანობისა, ასევე ქრისტიანულ-მართლმადიდებლური კულტურისა. მაგრამ ამის გამო თავს რუსებზე მაღლა როდი ვაყენებთ; და არც რუსებს ვაყენებთ ჩვენზე მაღლა იმის გამო, ჩვენზე ადრე რომ ეზიარნენ ახალ ევროპულ კულტურას და ზოგ რამეში დაწინაურდნენ კიდეც. საქმეს ერთობ რეალურად ვუდგებით და ძველი მიღწევებით თავის გაბრუებას არ ვაპირებთ, რადგან დღეს არც ჩვენთა დიდთა წინაპართა მთარგმნელობითი მოღვაწეობით თავის გაბრუება გვარგებს რაიმეს, არც თანამედროვე მთარგმნელობითი მიღწევებით გამოწვეული თვითკმაყოფილება, არც იმ მაჩვენებლებით თავის მოტყუება, რისთვისაც რუს და ქართველ მთარგმნელთა და თარგმანთა რაოდენობის პროცენტული შეპირისპირება ღაღადებს, არც ისტორიული ვითარებით გამოწვეული ძნელბედობისა გამო თავის მართლება[1]. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად გვყავს შესანიშნავი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი პლეადა სხვადასხვა ენებს დაუფლებული მთარგმნე-

---

[1] რისთვისაც ზოგჯერ ინერციას ვანებებდით დინებას ჩვენი კულტურისას, რადგან გამუდმებულ თავდაცვით ომებს მოჰქონდა ზოგჯერ მისი განმკვეთი განვითარებისათვის საშური ენერგია.

ლებისა, რომელთაც არა ერთი უნიკალური თარგმანით გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურის არა ერთი შედევრი შესთავაზეს ქართველ მკითხველს, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსული მთარგმნელობითი ლიტერატურის გარეშე დღესაც ვერ გამოგვდის ყოვლისმომცველი კონტაქტი მსოფლიო კულტურასთან. თავის მართლება და თვითდამშვიდება იმით, რომ მცირერიცხოვან ერს წარმოვადგენთ და მთარგმნელებიც შესაბამისად ნაკლები გვყავს, რომ არც ვინმეზე მცირედი უნარი გაგვაჩნია, რომ სხვებზე ნაკლებად არ გავრჯილვართ და ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გავაკეთეთ, საქმეს ვერ უშველის. ქართულად ჯერ კიდევ თარგმნილი არ გახლავთ მრავალი ლიტერატურული, ფილოსოფიური, ისტორიული და სხვა მეცნიერებათა ქმნილება, მათ შორის მაღალი სულიერებით განმსჭვალული იმგვარი შედევრებიც, რომელთა სრული გათავსების გარეშე ვერც ერთი ერი ვერ ჩაითვლება დღეს მაღალი კულტურის მეტრად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ბევრი გვაქვს ქართულად მსოფლიოს რჩეულ ავტორთა სრული კრებულები? სამაგალითოდ, მისაბაძ ერად ქცევისავისათვის დღევანდელ ვითარებაში აუცილებელია შემოქმედებითი ათვისება და გათავისება მსოფლიო კულტურის ყველა იმ ქმნილებისა, მარადიულობის ცეცხლით რომაა აღბეჭდილი, ვინაიდან სწორედ მათ ხელეწიფებათ უკვდავყოფა ყველაფრისა, რასაც კი შეეხებიან, ადამიანი იქნება ის, კულტურა თუ ენა, ქართული კულტურისა და ენის მაღალი პრესტიჟისათვის აუცილებელია მშობლიურ ენაზე ვიქონიოთ ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც სადმე, თუ ოდესმე შექმნილა. ამით და მხოლოდ ამგვარი შეგვიძლია კულტურის სფეროში დავეფუძნოთ საყრდენთა შორის ყველაზე საიმედოს, საკუთარ თავს. დღევანდელი მიღწევებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და თუკი რომელიმე ერს, რაოდენობრივი უპირატესობისა გამო ათგზის მეტი მაღალკვალიფიციური მთარგმნელი მოეპოვება, რითაც მსოფლიო კულტურის ათვისების საქმეში შესაშურ დონეს ინარჩუნებს, ჩვენ ათმაგი და ოცმაგი გარჯა გვემართება, რათა არა მარტოოდენ რჩეულ ეროვნებათა დასში დავმკვიდრდეთ, არამედ მათთვის სამაგალითონიც გავხდეთ. ენთუზიაზმის ცეცხლი უნდა დავანთოთ იმგვარადვე, ჩვენმა დიდმა წინაპრებმა, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა რომ დაანთეს ათი საუკუნის წინათ, ოღონდ ეს ცეცხლი დღევანდელობას, დღევანდელი კულტურის გლობალურ მასშტაბებს უნდა შეესატყვისებოდეს. ამჟამად საქართველოში არის საშუალება იმისა, რომ ჯერაც არნახული მასშტაბები მივანიჭოთ მთარგმნელობითი ხელოვნების

განვითარებას, მაღალკვალიფიციური მთარგმნელების აღზრდას. ხელი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიგვიწვდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავადგამთ თავს ამ საქმეს, თუკი სასკოლო ასაკიდანვე ჩავუყრით მას საფუძველს, რაიც ჩვენმა ლიტერატორებმა, უცხო ენათა სპეციალისტებმა და თარგმნის ოსტატებმა უნდა ითავონ. მოზარდთა ამთვისებლობა ენებისადმი საყოველთაოდ ცნობილია. ისიც ვიცით, თუ რაოდენი ყურადღება ეთმობა ჩვენში სპეციალიზებული სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დაარსებას. სასურველია და ერთობ მიზანშეწონილიც საქართველოში დაარსდეს სპეციალური სკოლა-ინტერნატი მომავალი მთარგმნელების აღსაზრდელად. ამგვარი სკოლა სამუსიკო, ფიზიკა-მათემატიკის და სხვა სკოლა-ინტერნატებზე მეტადრე საჭიროა. სიმღერა-გალობისა და მთარგმნელობითი ხელოვნების დიდოსტატის, გიორგი მთაწმინდელის მზესა ვფიცავ, რომ ეს ასეა. და თუ მას უშუალოდ ვერ დავიმოწმებ, უფლება მმოსავს ამ ორთავ საქმეში მისი უბადლო ოსტატობა, მისი რუდუნება და აღმზრდელობითი მოღვაწეობა დავიმოწმო, ამგვარ სკოლაში უნდა ჩამოყალიბდეს ყველა ძველი, თუ ახალი კულტუროსანი ხალხების ენათა შემსწავლელი კლასები, სადაც ყოველმა მოსწავლემ, სწავლების პერიოდში, ძველ თუ ახალ უცხო ენასთან ერთად მაღალ დონეზე უნდა აითვისოს ქართული ენაც, რათა აქედანვე ჩაუყაროს საფუძველი თავის მომავალ მთარგმნელობით მოღვაწეობას. ევროპულ ენათა გარდა აქ უნდა ისწავლებოდეს ძველბერძნული, ლათინური, სანსკრიტი, ძველსპარსული, ებრაული, შუმერული, არაბული და ყველა ის ძველი თუ ახალი ენა, რომელზედაც ოდესმე რაიმე მნიშვნელოვანი შექმნილა. და ეს სკოლაც ყოველივე ამის მომავალში გადმოქართულების მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ნურავინ ფიქრობს, რომ მოზარდებს გაუჭირდებათ ძველი ენების ათვისება. განა ბალღები არ მეტყველებენ იმ ენებზე, ოდეს ჰყვაოდნენ კულტურები აწ გარდასული ხალხებისა? არც ერთი ხალხის ენა მათემატიკის აბსტრაგირებულ ენაზე ძნელი არ არის, მთავარია სახელმძღვანელოები იყოს საინტერესოდ შედგენილი. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მთარგმნელობა საუკეთესო წვრთნაა ორიგინალური ლიტერატურული შემოქმედებისათვის, ნაცადი საშუალებაა ლიტერატურული ენის სრულყოფისა და გამდიდრებისათვის. ამგვარი სკოლა-ინტერნატის დაარსებას, სადაც ისწავლიან უნარის მიხედვით შერჩეული ბავშვები, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. იგი საფუძველს მოამზადებს უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების შესწავლისა და თარგმანის ხელოვნების დაუფლების მეტი სრულყოფისათვის, ხელს შეუწყობს მთარგმნელობითი საქმია-

ნობის გაფართოებასა და გამრავალფეროვნებას საქართველოში, უფრო თვალნათლივ გაგვიცხადებს, თუ რა ძალით უმოქმედია სამყაროს დაუსაბამო ნათელს სხვადასხვა ხალხის კულტურაში. ეს ამბავი ღრმად უნდა შეიგნონ ჩვენი ქართული კულტურის მესვეურებმა. სწორედ მათ უნდა განიზრახონ ეროვნული ხელმძღვანელობა და განათლების უწყების წრეები ამ საქმის განსახორციელებლად. მხოლოდ ამგვარად თუ შეიძლება უმოკლეს დროში შევავსოთ ზემოაღნიშნული ხარვეზები და გავუტოლდეთ მოწინავე ევროპული ქვეყნების მთარგმნელობით მიღწევებს, მივუახლოვდეთ ინგლისური, გერმანული, რუსული და ფრანგული თარგმანების რაოდენობას, საბოლოოდ დავაღწიოთ თავი ვისიმე მთარგმნელობითი ლიტერატურის სულიერ ვასალობას. და ეს იქნება ერთი პირობათაგანი საქართველოს მისაბაძ ერად ქცევისა. მაგრამ ამისათვის საკუთარ თავთანაც სწორი მიმართება უნდა ვიქონიოთ, რაც ამ შემთხვევაში ქართულ ენასთან მართებული დამოკიდებულების დამყარება გახლავთ, აღზრდისა და სწავლების საკითხს უკავშირდება და კვლავ განათლების უწყების, ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის მესვეურთა კომპეტენციაში შედის.

ქართული ენისადმი სწორი მიდგომისა და მართებული პოზიციისთვის საჭიროა არა მარტოოდენ შეგნება იმისა, რომ იგი ჩვენი სულიერი ცხოვრების ბალავარია, ჩვენია, ჩვენს მიერ შექმნილი, ოდითგანვე ქართველი ხალხის ფიქრისა და სულისკვეთების ამრეკლავი, ჩვენი ღირსების, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის მათვალსაჩინოებელი, არამედ აგრეთვე ქართული ენის ფესვებისაკენ იმგვარი წიაღსვლა, მისი იმგვარად განცდა და შესისხლხორცება, რაიც თეორიულ მსჯელობათა გარეშეც ადვილად დაგვარწმუნებს ამ ენის უზადობაში, მის არაჩვეულებრივ ღირსებებში, მის ერთადერთობასა და შეუცვლელობაში ჩვენთვის. ისევ და ისევ ქართულმა სკოლამ უნდა დაამკვიდროს სწორი დამოკიდებულება ქართულ ენასთან, უზრუნველჰყოს სკოლადამთავრებულთა მიერ ერთიანი ქართულის ფლობა. მხოლოდ ამის შემდეგ შემოვა და დამკვიდრდება ქართული ენა თავისი ჭეშმარიტი ღირსებებით ჩვენს წარმოდგენაში, ჩვენი ემოციური და გონებრივი ცხოვრების საუფლოში.

ყოვლად გაუმართლებელია ის ფაქტი, რომ ჯერაც ერთმანეთისაგან იზოლირებულად, სხვადასხვა ასაკში აწვდიან მოსწავლეებს მეცხრამეტე საუკუნემდელი და მეცხრამეტე საუკუნის შემდგომი ლიტერატურის ნიმუშებს, რითაც იმთავითვე ერთმანეთისაგან განთვისებული ორი ქართული ენის ილუზიას უქმნიან მათ. სადღაც VIII კლასში იწყებენ მოზარდები ბიოგრაფიული ლიტერატურის შეს-

წავლას, მაგრამ შესწავლაცაა და შესწავლაც. მოსწავლეები ენის საკრალურ შრეებში ვერ ღრმავდებიან და მხოლოდ შინაარსი თუ გამოაქვთ შეთავაზებული მასალიდან. უცნობი სიტყვების ათვისებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. მათ იმგვარივე გულმოდგინებით უნდა სწავლობდნენ, როგორც უცხო ენის სიტყვებს. ტექსტის არც ერთი სიტყვა არ უნდა რჩებოდეს გაუგებარი. გაუგებარი კი არა და, მანამდე უცნობი ყოველი სიტყვა თუ სიტყვათა წყობის ჭედურობა სამუდამოდ უნდა აღიბეჭდოს მოსწავლეთა მეხსიერებაში. ამისათვის სათანადოდ უნდა გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდიკა და შესაბამისად ამაღლდეს მასწავლებელთა კვალიფიციური დონე. სკოლადამთავრებული მოსწავლე სრულყოფილად უნდა ფლობდეს სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონას[2], რომელიც მას მხოლოდ თავისი დროისა და სპეციალისტთა ვიწრო წრეებისათვის არ შეუდგენია, თავისუფლად უნდა ჰყვინთავდეს მეცხრამეტე საუკუნემდელი ქართული ლიტერატურის ნებისმიერ ტექსტში. სხვაგვარად თავს ვერ დავაღწევთ მეცხრამეტე საუკუნემდელი სიტყვიერებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას, ორგანულად ვერ გავიშინაგანებთ ქართული ლიტერატურის უზარმაზარ მასალას. რა ბედენაა ამ უძველებელი პერიოდის ენას ძველი ვუწოდოთ და მხოლოდ ბოლო ორი საუკუნის ფარგლებში მოვაქციოთ ახალი ენა? ქართულ ენასთან დაკავშირებით სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს ძველისა და ახლის გაგება. ერთიანია ქართული ლიტერატურა და ამიტომაც ერთიანი და განუყოფელია ქართული ენა. ერთიანი ქართული ლიტერატურის სიღრმისეული ათვისების გარეშე ვერასოდეს შევიგრძნობთ იმ ღვთაებრივ სურნელს, მთაწმინდელმა ღმერთკაცებმა და სხვა დიდმა მოღვაწეებმა რომ შთაჰბერეს ქართულ ენას, ვერ შეეხება იგი ჩვენი სულის, ჩვენი არსების უშინაგანეს, ყველაზე საკრალურ ნაწილს, ვერ იქცევა ქართული კულტურის ქვაკუთხედად, ამ კულტურისა და თავად საქართველოს უკვდავმყოფელად. მტერი ისე ვერას გვავნებს, როგორც საკუთარ თავს ვავნებთ, თუკი მეცხრამეტე საუკუნემდელ ქართულს მოვიკვეთთ და მკვდარ ენად ვაქცევთ, თუკი ვერ გავარღვევთ იმ ხელოვნურ ზღუდეს, ჩვენი სურვილის წინააღმდეგ რომ წარმოშვა XIX საუკუნის ისტორიულმა ვითარებამ მანამდელ და შემდგომში აღმოცენებულ ლიტერატურულ ქართულს შორის, თუ არ აღმოვფხვრით შედეგებს, იმუამად რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკთა მიერ სკოლებში ქართული ენის სწავლებისა და სახელმწიფო საქ-

---

[2] ეს იმას არ ნიშნავს, აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონის მიმართ გვქონდეს რაიმე საწინააღმდეგო.

მეების ქართულად წარმოების აკრძალვამ რომ გამოიწვია. მოწინავე ქართველ მწერალთა და მეცნიერთათვის ეს ზღუდე ამჟამად გარღვეულია, რაიც იმედს გვაძლევს, რომ ქართული ლიტერატურული ენის გამთლიანება საყოველთაო მოვლენად იქცევა. არა, შემთხვევით როდი გავუსვით ხაზი ღვთაებრიობას იმ ენისას, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების რუდუნებით რომ შექმნილა. ქართული ლიტერატურა სომხურ (ასურულ), რუსულ, ბულგარულ, შუა და ჩრდილო ევროპის ხალხთა ლიტერატურის მსგავსად, ძირითადად ქრისტიანობის საფუძველზე აღმოცენდა. თუკი წარმართობის ხანაში მხოლოდ ზოგიერთ ხალხს გააჩნდა დამწერლობა და ლიტერატურა, ქრისტიანობა და ქრისტიანული ღმერთმსახურება უკვე ნებისმიერ ხალხს ავალებდა დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას, მასში თავისი სულიერი ცხოვრების აღბეჭდვას და არც შემთხვევით აღმოცენებულა ქართული მწერლობა ქრისტიანობის საფუძველზე, მიუხედევად იმისა, რომ ენა ქართული ძველბერძნულზე ძველია. ქართული ენა უძველესი მკვდარი ენების, სანსკრიტისა და შუმერულის კბილაა. თუმცა მკვდარი და ცოცხალი ენების შედარება პირობითია, ვინაიდან მკვდარი ენა ქარვაში ჩამუმიავებული ორგანიზმივით უცვლელია და გაყინული; ცოცხალი ენის წიაღში კი ჰერაკლიტე ეფესელის გამოთქმისა არ იყოს, ისევე ვერ შეხვალ ორგზის, როგორც ერთიდაიმავე მდინარეში, რადგან წყალი, წუთისწინ რომ ჩაიარა, სხვა წყალმა შესცვალა. ასევე ცოცხალი ენა, გუშინ რომ იყო, დღეს იგი აღარაა, მარადიული ქმნადობის განუწყვეტელ პროცესში იმყოფება იგი. და არც შემთხვევით მოვიხსენიეთ შუმერული ენა ქართულთან დაკავშირებით. მეცნიერებაში არსებობს ჰიპოთეზა ქართველებისა და აწ გადაშენებული შუმერების ნათესაობაზე. გამოთქმულია აზრი, რომ იმ ხალხის ერთ-ერთმა შტომ, სხვა ადგილიდან რომ მოვიდა და დასახლდა კავკასიაში, შუამდინარეთამდეც მიაღწია და ტიგროსისა და ევფრატის ნაყოფიერ ნაპირებზე შუმერთა კულტურას ჩაუყარა საფუძველი. ამ საკითხთან დაკავშირებით არა ერთი ისტორიული და ენათმეცნიერული გამოკვლევა დაწერილა, მაგრამ ამჟამად ჩვენ მხოლოდ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას. მთვარიდან ხომ არ ჩამოფრინდებოდა პირველი ქართველი მემატიანის, ლეონტი მროველის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ შემოთავაზებული ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ შეებრძოლნენ კავკასიის კონკრეტულ ხალხებთან გაიგივებული ჰაოსი, ქართლოსი და ძმანი მათნი შუმერთა მეფეს, გმირ ნებროთს და როგორ დაამარცხეს იგი. ვფიქრობთ, აქ მარტოოდენ იმგვარ ომს როდი შეეხება საქმე, არაერთგზის რომ გაუმართავთ ქართველებს სპარს, არაბ, მონღოლ და თურქ დამპყრობ-

ლებთან, არამედ იმასაც, თუ როგორ გამოთავისუფლდნენ კავკასიის ხალხები შუამდინარეთის სულიერ-იდეოლოგიური გავლენისაგან, მსგავსად იმისა, როგორც ბიბლიურმა აბრაამმა დააღწია თავი იმავე ნებროთის სულიერ მეურვეობას, განვიდა შუმერთა ქალაქ ურიდან და სემიტურ ხალხებს და მათ კულტურებს მისცა დასაბამი. ეს ყოველივე ნიშნავს შუმერთა კულტურის იმ სულიერი იმპულსისაგან თავის დაღწევას, რომლის სიმბოლოსაც „ბაბილონის გოდოლი" წარმოადგენდა (შუმერთა კულტურას შემდგომში ბაბილონის კულტურასაც უწოდებდნენ), და რომელმაც თავისი დრო მოჭამა, რადგან დროისა და სივრცის კომპონენტთა უარყოფით დღის, ანუ „მე" ცნობიერების მომავალში გამკვიდრებას უშლიდა ხელს. ძველ, ატავისტურ უნარებს აღვიძებდა იგი, რომელთა მეოხებითაც ადამიანები პირველსაწყისთან, ზეციურ სამყაროსთან კვლავ შეერთებას ცდილობდნენ. მაგრამ „მე" ცნობიერების გარეშე ნებისმიერი მისწრაფება განწირულია. ამგვარი მისწრაფების იმუამინდელ ბაბილონურ ვარიანტს კი მით უფრო ვერ ვუწოდებთ მაღალს, რადგანაც იმხანად არ არსებობდა „მე" ცნობიერების განვითარებაზე უფრო მაღალი მიზანი. ძველსა და ახალს შორის ანტაგონიზმის ეს სიმწვავე შუმერთა კულტურაში ყველაზე მკაფიოდ გილგამეშისა და ენქიდუს სულიერ წიაღსვლებში აირეკლა. მათი სულიერი ხაზი ყველაზე დრამატული გახლდათ შუმერთა კულტურაში, ისე, ვით რამას, ხოლო შემდგომში არჯუნასა და მისი ძმების სულიერი მიმართულება ინდოეთში, დღის ცნობიერებას რომ ანვითარებდნენ და უპირისპირდებოდნენ ღამის ატავისტურ ცნობიერებაზე დაფუძნებულ ეგრეთწოდებულ ბრმადშობილებს[3]. სიმბოლო ბაბილონის გოდოლისა ნიშნავდა უკუსვლას, ინვოლუციას, რასსობრივ შეგნებასთან კვლავ დაბრუნებას, კულტურაზე უარის თქმას, რადგან ხალხთა კულტურები არა ძველი, რასსობრივი, არამედ იმ დროისათვის ახალი, ეროვნული შეგნების

---

[3] ის ხალხი, დღის ცნობიერებისა და ადამიანებში ინდივიდუალობის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა რომ არ გააჩნდათ, სხვისი ნების თავზე მოხვევისა და მაგიური ატავისტური უნარებით სარგებლობის პარაზიტულ ამორალიზმს ირჩევდნენ. ჭაღარა წარსულის თვით იმგვარ პოლიტიკურ მოვლენას, ერანისა და თურანის მრავალსაუკუნოვანი ომი რომ წარმოადგენდა, ახალი პროგრესული დღისა და ატავისტური ცნობიერების ანტაგონიზმი ედო საარჩულად. ხელოვნებაში ამგვარი ანტაგონიზმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა", სადაც კაცობრიობის კულტურისაკენ წამყვანი „მე" ცნობიერების მატარებელ ბრძენ ზარასტროს უპირისპირდება ჯამის ცნობიერებაზე გამყინვით კულტურის დამაბრკოლებელი ძალა ღამის დედოფლისა.

საფუძველზე აღმოცენდნენ. ნებისმიერი ეროვნული კულტურის ბალავერს მშობლიური ენა წარმოადგენდა, კაცობრიობის სიყმაწვილესა და ჭაბუკობაში, შეგრძნებისმიერ და თვით განსჯისმიერ საფეხურზე, ადამიანებში ჭარბობდა მდაბალი ეგოიზმი, ხელს რომ უშლიდა ზოგადადამიანური ცნებებისა და ინტერესების გამომუშავებას, მცირე და დიდ ჯგუფებად: ოჯახებად, გვარებად, თემებად, ტომებად, ეროვნებებად რომ ანაწევრებდა ადამიანთა საზოგადოებას. შეგრძნებისა და განსჯითი აზროვნების საფეხურზე ადამიანის წარმოდგენები და ინტერესები ტომობრივ და ეროვნულ ფარგლებს ვერ სცილდებოდნენ და მაშინ ასეც იყო საჭირო, რადგან სოციალური ჰარმონიის განმაპირობებელ ძალას, სიყვარულს, ჯერ მცირე ჯგუფებში, ოჯახის, გვარისა თუ სამშობლოს ფარგლებში უნდა მოეხდინა ურთიერთობათა სტაბილიზება (მხოლოდ გვიან, ცნობიერების უფრო მაღალ დონეზე, როცა გონი თავის უფლებებში შევიდა, ხოლო სიყვარულმა სისხლისმიერ ნათესაობის ფარგლები გაარღვია, ურთიერთობათა სტაბილიზებისა და ინტერესების სფერო საკაცობრიო მასშტაბებამდე გაიზარდა). ამგვარ გაერთიანებებში თავმოყრილ ადამიანთა გრძნობები, მისწრაფებანი და აზრები, გარკვეულ მსოფლმხედველობრივ, ეთიკურ და ესთეტიურ წარმონაქმნებად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ და კონკრეტული ფორმების, ნაციონალური ენების მეოხებით წარმოჩენილიყვნენ როგორც საფუძველი ეროვნული კულტურებისა. ასე რომ, ბაბილონის გოდოლი დანგრევას, ანუ რასსობრივ შეგნებასთან და ბუნებისმიერ ინსტინქტებთან დაკავშირებული ენა ძველი კაცობრიობისა, იმყამად დავიწყებას ვერ ასცდებოდა. ამ ხანგრძლივი პროცესის გამოხატულება უნდა იყოს, ერთი მხრივ, კავკასიის ხალხთა, მეორე მხრივ კი სემიტი ხალხების ეროვნებებად ჩამოყალიბება[4],შუამდინარელი ნებროთისაგან ცალკერძ ჰაოსის, ქართლოსის, ლეკოსის და ა.შ. მეორეს მხრივ კი ბიბლიური აბრაამის გამოთავისუფლებით რომაა სიმბოლიზირებული.

ქართველთა და შუმერთა შორეული ნათესაობისათვის მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: ჩვენს მატიანეში ქართველ მეფეთა ერთ-ერთი დინასტიის წარმომადგენელნი ნებროთიანებად, ნებროთის შთამომავლებად იწოდებიან. მატიანეს ქართლისას სწავლული ბე-

---

[4] ამ აზრის სისწორეს ქართლოსის შთამომავალთა სახელები: მცხეთოსი, უფლოსი, გარდაბოსი და ა.შ. ადასტურებენ, რომ ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ავტონომიის განსაზღვრული ქალაქები სწორედ ქართლოსისა და ძმათა მისთა ნებროთზე გამარჯვების შემდეგ აღმოცენდნენ.

რები ჰქმნიდნენ და ყოვლად დაუშვებელია ქართველთა უსაყვარ-ლესი მეფე, ვახტანგ გორგასალი ღრმა საფუძვლის გარეშე მათ იმ პიროვნების შთამომავლად ჩაეთვალათ, კავკასიის ხალხებისა და ბიბლიურ-ქრისტიანული მიმდინარეობისათვის მიუღებელ სულიერ მიმართულებას რომ ეკუთვნობდა.

ასოციაციათა უნარის მქონე ადამიანი ერთ ამბავსაც შენიშ-ნავდა: მსოფლიოს არც ერთ ენაში არ ენიშება გულს ეგოდენ ფართო და სიღრმისეული მნიშვნელობა, როგორც ქართულში, რისთვისაც გულთან დაკავშირებული რთული შედგენილი სიტყვების არაჩვეუ-ლებრივი სიმრავლე ღაღადებს. ამასთან, გაოცებას იწვევს თითოეუ-ლი მათგანის აზრობრივ-ემოციური დატვირთვა. ამავე დროს სხვა ღმერთებთან შედარებით არც ერთი ხალხის ღმერთთა პანთეონში არ ჰქონია სიყვარულის ღმერთს იმგვარი უპირატესობა, როგორც შუამდინარეთის ვენუსს, შუმერთა იშთარს. ასე რომ, ბევრი რამ აღ-ძრავს ფიქრებს ქართველთა და აწ გადაშენებულ შუმერთა ნათესაო-ბისათვის და აქედან გამომდინარე, ქართული ენის სიძველისთვისაც.

მიუხედავად ქართული ენის ამგვარი სიძველისა, უშორეს ცნობებს საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე სხვა ხალხთა მითოლოგიები და ისტორიული თხზულებანი გვაწვდიან. ინდოე-ლებსა და შუმერებზე რომ არაფერი ვთქვათ, ქართველებზე გაცი-ლებით ახალგაზრდა ბერძნებმა და რომაელებმა ჩვენზე უწინ შეჰქმნეს დამწერლობა, რის გამოც ბევრით მათგან ვართ დავალე-ბული, რომ გავიგეთ თუ ვინ, ან რანი ვიყავით შორეულ წარსულში. ქართული დამწერლობა მხოლოდ პირველ საუკუნეში შეიქმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეფე მირიანის მიერ. ჩვენი მხატვრული და ის-ტორიული ლიტერატურის პირველი ნიმუშები კი გაჩნდნენ მაშინ, საქართველოში უკვე ღრმად რომ ჰქონდა გადგმული ფესვი ქრის-ტიანობას. ქართველებს დამწერლობის გარეშეც მაღალი კულტურა ჰქონდათ ბერძნებზე ადრე და ისიც ვიცით, თუ რანაირად უსწრებდ-ნენ დიდი კულტურები დამწერლობის შექმნას; ვიცით, რომ არც მა-ნუს თავისი კანონები, არც მოსეს თავისი საკრალური წიგნები, არც ზარატუსტრას თავისი „აენდ-ავესტა“, არც ჰომეროსს თავისი პოემე-ბი და ა.შ. თავად არ ჩაუწერიათ. ისინი ჩაიწერეს გაცილებით გვიან, როდესაც კაცობრიობას განსჯით აზროვნების განვითარების ხარჯზე მეხსიერების შესუსტება დაეწყო. მანამდე კი ღვთაებრივი სიბრძნე, საკრალური კანონები, თუ უზარმაზარი პოემები ზეპირად გადადი-

ოდა შთამომავლობიდან შთამომავლობაზე[5]. ცნობილია, რომ ქრისტეს ერთი სიტყვაც კი არ დაუწერია. როდესაც რაიმე იწერება, რამდენადმე დაკანონებულ სახეს ღებულობს, სამუდამოდ გამოეყოფა მარადიული ქმედებისა და მუდმივ ცვალებადობაში მყოფი პროცესის მდინარებას, რომელსაც შეიძლება მარადიული შემოქმედებითი დუღილი, ან დაუსაბამო სიტყვა ვუწოდოთ. მხოლოდ დაუსაბამო სიტყვის მარად მოქმედ და ყოვლის აღმვსებ ველში ჩართულ ადამიანებს ძალუძთ ოდესღაც პაპირუსსა თუ ქაღალდზე დაწერილის კვლავ გაცოცხლება და ოდესღაც გამოყოფილის კვლავ შეერთება მარადიული ქმედების წყაროსთან, რადგან ამგვარი სინთეზის უნარს დიახაც რომ დაუსაბამო სიტყვის მადლი იძლევა. რუტინისათვის კი ნაწერი ქაღალდი იგივე ძვალთშესალაგია, სადაც სურათხატოვან სიმბოლოებს ნატურალიზმად, ცოცხალ აზრებს კი დოგმებად აქცევს მისი და ამ მიცვალებულის მეოხებით, ვითომდაც მათი დიდი პატივისმცემელი, ებრძვის ყოველივე ახალსა და ცოცხალს, იმავე დაუსაბამო სიტყვიდან რომ იღებს დასაბამს. აი, ეს გახლავთ მიზეზი კულტურათა კონსერვაციისა. ანბანი და დამწერლობა გაცილებით ადრე რომ შეგვექმნა და ჩვენი წარმართული ხანის ისტორია და კულტურა მის სარკეში აგვერეკლა, შესაძლოა სულიერი ძალები ბოლომდე არ ამოგვეწურა, არ გადავშენებულიყავით და ქრისტიანობაც მიგვეღო, მაგრამ კულტურის კონსერვაციას მაინც ვერ დავაღწევდით თავს. დაგვემართებოდა იგივე, რაც ბიზანტიას დაემართა. დავკარგავდით დაუსაბამო სიტყვის მადლიდან მომდინარე კულტურათა სინთეზის უნარს.

საბერძნეთმა ოდესღაც ყველაზე ელვარე წარმართული კულტურა შექმნა, შემდეგ კი ქრისტიანობა მიიღო მისმა ხალხმა, მაგრამ ბერძნებმა ვეღარ შესძლეს ქრისტიანობის შერწყმა საკუთარ წარმართულ კულტურასთან, რადგან ისე საფუძვლიანად არეკლეს ეს კულტურა დამწერლობაში, იმდენად სრულქმნილი ფორმა მიანიჭეს მას, რომ დაამუხრუჭეს კიდეც ზემოთქმული შეწყვილების საქმე, აღარ ეყოთ სულიერი ძალები იმის ბოლომდე მისაყვანად, პავლე

---

[5] თითოეულ ადამიანში არეკლილია კაცობრიობის განვითარების მთელი გზა. მოზარდთა სუფთა, ინფორმაციით დაუტვირთავი გონება მძაფრი მეხსიერებით ხასიათდება. ამიტომაცაა ახალგაზრდობის პერიოდი მეხსიერების, ინფორმაციის დაგროვების ხანა, ასაკში შესვლისას, ოდეს დაგროვებული ინფორმაციით იღებს ოპერიდებას ადამიანის გონება, მეხსიერება ქვეითდება და ამის ხარჯზე აზროვნება გამოდის წინა პლანზე. კაცობრიობამაც იგივე განიცადა მთლიანობაში საკუთარი ევოლუციის გზაზე.

მოციქულმა და დიონისე არეოპაგელმა რომ ჩაუყარეს საფუძველი ათენის ეზოტერული სკოლის შექმნით. ხოლო რომმა, რომელსაც არ შეუქმნია იმდენად ორიგინალური (გარდა რომის კანონებისა), რამდენადაც არეკლა მხოლოდ საბერძნეთის წარმართული კულტურა, რენესანსის ხანაში შესძლო ამგვარი სინთეზის განხორციელება, შეწყვილება ბიბლიურ-ქრისტიანული და ანტიური კულტურის სულიერი იმპულსებისა, ბიბილიური სულისა და ბერძნული ფორმის შერწყმა, გაერთარსება უმაღლესი ეთოსისა და ესთეტიკისა. კულტურის არეკვლას არ დასჭირვებია იმდენად გრანდიოზული სულიერი ძალები, საბერძნეთმა რომ დახარჯა ადრე ორიგინალური კულტურის შექმნისას და ამიტომაც შემორჩა ენერგია რომს ზემოხსენებული სინთეზის განსახორციელებლად. ქრისტიანობის შეწყვილება პლატონიზმთან და არისტოტელიზმთან, ხელოვნებაში ბიბლიური პერსონაჟებისა და სიუჟეტების უმშვენიერესი ადამიანური ფორმით გამოხატვა, თვალნათლივ ღაღადებდა კულტურის ამ ორი ნაკადის საერთო პირველწყაროზე. სადღა იყო ის ანტაგონიზმი, ოდეს რომის ოფიციალობა დევნიდა და სიკვდილით სჯიდა პირველ ქრისტიანებს, კატაკომბებს რომ აფარებდნენ თავს, და პირიქით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ბრბო მუსრს ავლებდა ანტიური ხელოვნების უმშვენიერეს ნიმუშებს, ხოლო ოფიციალობა დევნიდა წარმართული სიბრძნის მესვეურებს. თომა აქვინელმა, ალბერტ დიდმა, ალანუს კუნძულელმა, დანტე ალიგჰიერომ, ლეონარდო და ვინჩიმ, მიქელანჯელომ და რაფაელმა, საქმე მოციქულთა ახალ ხარისხში აიყვანეს.

ქართული ლიტერატურა, როგორც აღვნიშნეთ, არა წარმართულ, არამედ ქრისტიანულ ხანაში აღმოცენდა და ამდენად სულიერ ძალთა ამოწურვას ჩვენს კულტურაში ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ თავის დროზე ბიზანტიური მართლმადიდებლური კულტურის ცხოველმყოფელი გავლენა განიცადა, მან ქრისტიანულ-ბიბლიური კულტურის ღრმა სინთეზი განახორციელა არა მარტოოდენ საკუთარ, არამედ ანტიურ და სხვა წარმართულ კულტურებთანაც. ამგვარ სინთეზს ვხედავთ ამირანის ლეგენდაში, „სიბრძნე ბალავარისაში“ (ქრისტიანობის შეწყვილება ბუდიზმთან), ფსევდოდიონისეს (იმავე პეტრე იბერის) ტრაქტატებში, „ქილილასა და დამანას“ სულხან-საბასეულ თარგმანში (ქრისტიანობისა და აღმოსავლური სიბრძნის სინთეზი) და ა.შ. მაშინ, როდესაც ბიზანტიის კეისარმა, ალექსი კომნენმა მხარი დაუჭირა ორთოდოქსალურად განწყობილი სამღვდელოებას და კატეგორიულად აუკრძალა ორ ბერძენ სწავლულს, მიქაელ პსელოსსა და იოანე იტალოსს აღემაღლებინათ ბიზანტიელთა კულტურა და აზროვნების დონე ქრისტიანობის შეწყვილებით პლატონიზმთან და არისტოტე-

ლიზმთან, რასაც ისინი გულდასმით ახორციელებდნენ თავიანთ თხზულებებში, დაახლოებით იმავე დროს, რუსთაველმა მთელი ქართველი ხალხისათვის განახორციელა უფრო ფართო, იმ დროისათვის თითქმის ყოვლისმომცველი კულტურათა სინთეზი, თანაც ყველასათვის მისაწვდომი პოეტური ფორმით. მისი „ვეფხისტყაოსანი", ესაა ქართული პოეტური გენიის პრიზმაში გარდატეხილი გასაოცარი სინთეზი ღრმადნაციონალური, წარმართულ-ანტიური, პირველქრისტიანული (არეოპაგეტიკა), ქრისტიანულ-მართლმადიდებლური, რაინდულ-ქრისტიანული, ძველჰინდური (პარალელი „რამაიანას" სიუჟეტთან), ძველსპარსული (შუაღამის მზე „ზენდ-ავესტაში"), მანიქეველური და სუფისტური კულტურებისა. ასე რომ, რუსთაველის შემოქმედება ესადაგება იმათ თვალსაზრისსაც, რენესანსის კულტურა ბიბლიურ-ქრისტიანული და მხოლოდ ბერძნულ-ლათინური წარმართული კულტურების სინთეზად რომ მიაჩნდათ და მათ აზრსაც, რენესანსში ქრისტიანობისა და ნებისმიერი წარმართული კულტურის სინთეზს რომ ხედავენ. ასეთი ყოვლისმომცველი სინთეზისათვის ჩვენი კულტურა არც ისე სწრაფად მომწიფდებოდა და არც იმისათვის მოსულან მეექვსე საუკუნეში დიდი ასურელი მამები საქართველოში ანტიოქიის უდაბნოდან ღვთისმშობლის მითითებით, როგორც ამას ღირსი მამის, შიო მღვიმელის ბიოგრაფი გვამცნობს, რომ სადმე საქართველოს კლდე-ღრეებში დაყუდებულიყვნენ მხოლოდ. ამ უჩვეულო შინაგანი ძალისა და უნარების მქონე ადამიანებმა, გარდა იმისა, რომ მორალური კონტროლის ქვეშ აიყვანეს საქართველოს სამეფო კარი, ერისკაცთა წრეები და უკუაქციეს უცხო, სპარსული წარმართული იდეოლოგიის შემოტევა, სამონასტრო ცხოვრების მძლავრ აღმავლობასაც მისცეს ბიძგი საქართველოში, რაიც იმხანად კულტურის განვითარების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა. ზედაზნიდან, შიომღვიმედან და დავითგარეჯიდან დაიწყო ჩვენში ის მოძრაობა, სერაპიონ ზარზმელის, გრიგოლ ხანძთელის, საბა იშხნელის და სხვათა მოღვაწეობის ჟამს უდაბნოებით რომ დაქსელა სამხრეთ საქართველო, შემდეგ კი საქართველოს საზღვრებს გარეთ, საბერძნეთსა, იერუსალიმსა და ბულგარეთშიც გაშალა ფრთები და მწვერვალს თავისას საქართველოშივე, გელათისა და იყალთოს აკადემიების დაარსებას ეწია. როგორც რუდოლფ შტაინერი თავისი ლექციების ერთ-ერთ ციკლში აღნიშნავს, აღმოსავლეთის ქრისტიანულ მონასტერთა მკვიდრნი გაცილებით ღრმა ეზოტერულ სიბრძნეს ფლობდნენ, ვიდრე მათი ევროპელი თანამოძმენი. ეს სიბრძნე რამდენადმე შეფარული, ალეგორიული ფორმებითაა მოცემული ქართულ ლიტერატურასა და საეკლესიო ფერწერაში, რომლის ამოკითხვაც დაწყებულია და ცხადია, მისი სრული გაშიფვრის ჟამიც დადგება. აღმოსავლეთის მონასტრებში დაფარული ეზოტერული სიბრძნე შორს სცილდება ქრისტიანობის ვიწრო, ორთოდოქსალურ გაგებას, ხოლო ამ მონასტრების ღირსთა მოძღვართა ქმედებანი ერთი ეპოქის ფარგლებს. ეს ყოველივე, უპირველეს ყოვლისა, ცამეტ ასურელ მამაზე უნდა ითქვას.

როდესაც დღეს იოანე ზედაზნელის, დავით გარეჯელის, შიო მღვიმელისა და სხვათა მათთა თანამოსაყდრეთა საფლავებთან ვდგავართ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ მიერ დაწყებულმა საქმემ მოუმზადა საფუძველი დავით აღმაშენებლისა და თამარის საქართველოს მორალურ დონეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს იმჟამინდელი ძლიერება არა მარტო ისტორიული ვითარების, არამედ დავითისა და თამარის მორალური დონის შედეგიცაა. შემთხვევით როდია უმაღლესი მხნეობით აღჭურვილი მეფეების ხელში რომ მიაღწია საქართველომ ძლიერების მწვერვალს. ამგვარი ზნეობა გახლდათ სიფხიზლის, კონცენტრირებისა და ძალუმი ნებელობის ის საფუძველი, უმძიმეს პირობებში შეუძლებელი შესაძლებლად რომ აქცია. და ეს არ მოხდებოდა ზედაზენზე, შიომღვიმესა და დავითგარეჯში დანთებული მორალური ცეცხლის გარეშე. ამ სულიერი ცეცხლის გარეშე არც მთაწმინდელებისა და არც რუსთაველის ქართული იქნებოდა, არც გარე სჯანი ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწისა, არც ჩვენი საისტორიო მწერლობა, არც შესანიშნავი ქართული არქიტექტურა, ფერწერა და საგალობლები. რუსთაველის ბრწყინვალე ლიტერატურული ეპოქა წარმოუდგენელია გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების, აგრეთვე სხვა დიდი მამების მოღვაწეობის გარეშე, რომელთა ხელშიც ქართულმა ენამ დასრულებული, კლასიკური სახე მიიღო (გავიხსენოთ სახარებისა და ლოცვანთა თარგმანები, შესანიშნავი ორიგინალური ქმნილებები). მათ, უზენაესი ზნეობისა და კაცთმოყვარეობის გვირგვინი დაადგეს ქართულ ენას, შეუმუსრავი რწმენის პოეზიით განმსჭვალეს იგი და ვინც ამ ენის სიმტკიცესა და სიმხურვალეს იგრძნობს, არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ არ განიმსჭვალოს მისით, გულისა და გონების, ღირსებისა და მეობის განუყოფელ ნაწილად არ აქციოს იგი, არ აღიმართოს მისი სიწმინდისა და უფლებების დასაცავად, თუკი ხელყოფას მისას ვინმე დააპირებს. ამიტომ უნდა იცოდეს ყველა ქართველმა იმ განძეულის ფასი, მისთვის რომ მოუხვეჭიათ დიდ წინაპრებს. და რომ იცოდეს, უნდა დაეუფლოს ამ მოსახვეჭელს. და რომ დაეუფლოს, ამისათვის უნდა იღვაწონ მათ, ვისაც უკვე მოუხვეჭია იგი, ვინც კურთხეულა ამ ენის მადლით. მათ უნდა მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი სკოლებში ქართული ენის უფრო სრულყოფილი მიწოდებისათვის. მეცხრამეტესაუკუნემდელი ლიტერატურა სახადივით კი არ უნდა მოიხადოს მოსწავლეებმა ერთი-ორი წლის მანძილზე სადღაც მაღალ კლასებში, არამედ უკვე მეორე, ან მესამე კლასიდან უნდა გადიოდნენ ახალი ლიტერატურის პარალელურად. დაბალ კლასებში ჯერ მცირე რაოდენობით უნდა დავიწყოთ მისი მოსწავლეებისათვის მიწოდება და ყოველწლიურად გავზარდოთ დოზები. მასალაც უკეთ უნდა შევარჩიოთ. ცხადია, მოწამეთა ცხოვრების ამსახველი ჰაგიოგრაფიული ქმნილებები დაბალ კლასებში ნაადრევია, მაგრამ რიგი ნაწყვეტებისა „ქართლის ცხოვრებიდან“ უდავოდ გამოდგება სასწავლო მასალად, განსაკუთრებით სიქველეთა ამსახველი ეპიზოდები, როგორიცაა: ამბავი იოთამ ზედგინიძისა, ცოტნე დადიანისა, შანშე ქსნის

ერისთავისა, საჩინო ბარათაშვილისა, თევდორე მღვდლისა, ცალკეული ადგილები ვახტანგ გორგასლისა და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებიდან, ლეგენდა ქართლოსისა და შვილთა მისთა შესახებ და ა.შ. საერთოდ არა თუ სასურველი, ვფიქრობ, აუცილებელიცაა, უკვე მაღალ კლასებში მოსწავლეებმა თითქმის მთლიანად გაიარონ „ქართლის ცხოვრება“. „ქართლის ცხოვრება“ არა მარტოოდენ ისტორიული, არამედ უზადო ისტორიული ქმნილებაცაა და ატარებს მეცხრამეტე საუკუნემდელი ქართულის ყველაზე მაღალ თვისებებს. ნურავინ შეგვეკამათება, რომ ეს მასალა კარგად ვიცით, რომ დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია თორმეტი წლის ასაკში კითხულობდა თამარის ისტორიკოსს და ყოვლად დაუშვებელია ამ ამბავს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი არ შეესრულებინა ქართული ენისა და ისტორიისადმი მისი პოზიციის ჩამოყალიბებაში. ბიოგრაფიული ქმნილებებიც ხომ ისტორიაა, ან ცალკე ეპიზოდი გარკვეულ პიროვნებათა ცხოვრებისა და რა უნდა იყოს მოზარდებისათვის მხატვრულად მიწოდებულ ისტორიაზე უფრო მიმზიდველი, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან და საყვარელ ინდივიდუალობათა ცხოვრება და მოღვაწეობა ბიოგრაფიულ ქმნილებათა გმირზე უფრო ვრცლად და დაწვრილებითაა აღწერილი? ნურც სასწავლო მასალის გადატვირთულობას მოიყვანს ვინმე საბუთად. სადმე შესაჩხერი მასალა როდია „ქართლის ცხოვრება“. მისი დამკვიდრება სასკოლო პროგრამაში მხოლოდ ამ პროგრამის გადახალისების შემთხვევაში შეიძლება. რამდენი, შედარებით მდარე, მხატვრული ნაწარმოები გაგვივლია სკოლაში? განა რამე შეგვმატა მიკირტუმ გასპარიჩებისა და სოლომონ ისაკიჩების მანჭვა-გრეხვამ? ეგნატე ნინოშვილის ერთი ნაწარმოები არ იკმარებდა განა გურული გლეხების მდგომარეობის გასაცნობად მეფის რუსეთის დროში? განა თანამედროვე მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს მისი მხატვრული დონე? შესაძლოა ვთქვათ მაშინ: აუცილებლად უნდა აღინიშნოსო საზოგადოების მესამე ფენის გამოსვლა ცხოვრების სარბიელზე, ისე როგორც ნებისმიერი ნიუანსი სოციალური ანტაგონიზმისა და ამადაც აუცილებელიაო ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა სწავლება. მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, იმგვარი მასშტაბები რომ არ ჰქონია საქართველოში ბურჟუაზიული ფენის მოძრაობას, როგორც ვთქვათ საფრანგეთსა და ინგლისში, არც დიდი პიროვნებები მოუცია მას და არც იმ დონის მხატვრული ქმნილებებით აღნიშნულა, ამ თემაზე რომ შეუქმნიათ ბალზაკს, დიკენსს, ზოლას, მოლიერს, ბომარშეს და ა.შ.? ილია ჭავჭავაძემ და დავით კლდიაშვილმა დაკნინებული თავადაზნაურებისა და არა ბურჟუაზიის წარმომადგენელთა ზოგადეროვნული ტიპები დაგვიხატეს თავიანთ შემოქმედებაში. ქართული მწერლობის უდიდესმა წარმომადგენლებმა სხვაგვარად გამოხატეს თავიანთი მიმართება ბურჟუაზიის საქმიანობისადმი. ილია ჭავჭავაძემ სათავადაზნაურო ბანკის გახსნა მიიჩნია მიზანშეწონილად, რათა ფუქსავატ თავად-აზნაურთა მამულები არაქართველ გაჭართა ხელში არ გადასულიყო. ეროვნული ხასიათების ჩვენებით იგივე სულისკ-

ვეთება გამოხატა ვაჟა-ფშაველამ პოემაში „ჰაოსი და ქართლოსი“. ბალზაკისეული გობსეკის სრული ანტიპოდი გახლდათ ინჟამინდელი მცირერიცხოვანი ქართული ბურჟუაზიის უდიდესი წარმომადგენელი დავით სარაჯიშვილი, ნამდვილი განსახიერება გოგოლის მკვდარი სულის მურაზოვისა ქართულ ნიადაგზე, რომელმაც ქართული კულტურის განვითარებისათვის, გენიალურად წარმართული მთელი თავისი ქონება ქართველ ხალხს უანდერძა და ილია ჭავჭავაძეზე ნაკლებად არ უნდა ვუმადლოდეთ მის აღორძინებას. ერთი სიტყვით, ამ კლასის საქმიანობაზე საქართველოში იმგვარი არაფერი დაწერილა, ოდნავადაც რომ გასწიოს „ქართლის ცხოვრების“ ღირებულება როგორც მხატვრული, ასევე იდეური თვალსაზრისით. ამას ბავშვიც მიხვდება. დაე, დამძრახოს ქართული კულტურის სიღრმეთა ნებისმიერმა გამომწვლილველმა, დაე, შემრისხოს მფარველმა სულმან ქართველი ერისამან, ეს თუ ასე არ არის. სისხლში ნაწობის კალმით ნაწერი, მთელ რიგ ეპიზოდებში მემატიანეთა მიერ ჰომეროსისებული პოეტური გზნებითა და ეპიური პლასტებით მღაღადები მატიანე ქართლისა, აღსარება, სინანული და გამართლებაა ქართველი ერისა ღვთისა და მსოფლიო ხალხების წინაშე. განუზომელია ამ მხატვრული დოკუმენტის ზემომქმედი ძალა. თავისი მნიშვნელობითა და დანიშნულებით „ვეფხისტყაოსანის“ შემდეგ მას ვერც ერთი ქართული წიგნი ვერ შეედრება. რუსთაველსა და სულხან-საბა ორბელიანს შორის მოქცეული მასალა სამგზისაც რომ შეიკვეცოს, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის რიგი ქმნილებებისა რომ შეეწიროს ამ ამბავს, „ქართლის ცხოვრება“, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, მაინც უნდა შევიდეს ქართული სკოლების სასწავლო პროგრამაში. უფრო ნაწარმოებთა მხატვრული ღირებულებითა და ზნეობრივი ფასეულობით უნდა იხელმძღვანელონ სასკოლო პროგრამების შემდგენლებმა და არა საზოგადოების სოციალური განვითარების წინასწარ მოცემული სქემით (საზოგადოების სოციალური განვითარებისათვის სულ სხვა საგანია სკოლაში განკუთვნილი). ამ სქემის როგორმე მექანიკურად შევსებას კი არ უნდა ცდილობდნენ ისინი, მას კი არ უნდა უსადაგებდნენ ლიტერატურას, არამედ მოზარდებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აწვდიდნენ იმ საუკეთესო, წარუდინებელი ღირებულების ქმნილებებს, კალმის პირველი მოსმიდან დღემდე რომ შეუქმნია ქართველ ერს. მხატვრული ლიტერატურისა და არა საზოგადოების ისტორიის სპეციფიკიდან უნდა გამოდიოდნენ ისინი, რადგან მხოლოდ მაღალმხატვრული ღირებულებების ქმნილებებს ძალუძთ მაღალი გემოვნების გამომუშავება მოზარდებში. ცურტაველის დროინდელ და დღევანდელ ქართულს შორის იმხელა განსხვავება როდია, ძველისა და ახლის კატეგორიებით რომ მივუდგეთ ენას. მრავალ ენასთან შედარებით ამ თვალსაზრისით უპირატესობა გაგვაჩნია. დულაბი ქართული ენისა მის განუყოფლობასა და ერთიანობაშია. ამიტომაც მართებულად შერჩეულმა სასკოლო პროგრამამ და სწავლების გაუმჯობესებულმა მეთოდიკამ უნდა შეასრულოს გადაუდებელი საქმე, რაიც პრაქტიკულად ერთიან ქართულს მთელი

ქართველი ერის საკუთრებად აქცევს და სიკვდილს არ დაუთმობს ქართული ენის არც ერთ ნაწილს, არც ერთ ნაწევარს. ერთიანი ქართულის ათვისება დღეს ცურტაველის, საბანისძის და მერჩულეს ენით საუბარს როდი ნიშნავს. სახლში ან მეგობართა წრეში თუგინდ ტკბილი იმერული, მეგრული, იუმორით გაჯერებული სხარტი გურული, ძარღვიანი ქართლ-კახური, დინჯი რაჭვული, ან რვალისებრ ნაჭედი ფშავ-ხევსურული კილოთი ისაუბრე, მაგრამ ფლობა სიტყვიერი არსენალისა, ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის ფლობას რომ განაპირობებს, ნებისმიერი ქართველის უპირველეს მოვალეობად უნდა იქცეს. მხოლოდ ამგვარმა რვალმან და ქვითკირმან ქართული ენისამან შეიძლება უზრუნველყოს სიმტკიცე ჩვენი ეროვნული მეობისა. მხოლოდ ქართული ენისადმი სწორ მიმართებას შეუძლია საშურო წინამძღვრების მომზადება საქართველოს მისაბაძ ერად გადაქცევისათვის.

მერაბ კოსტავა

რუსეთ - საქართველოს ურთიერთობა

გეორგიევსკის ტრაქტატი, საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელი 1783 წელს რომ მოაწერეს, იყო არა მარტოოდენ საბაბი ამ ერების ერთობლივი ისტორიისა, არამედ მთელი შემდგომი დროის მანძილზე დღემდე მათი ურთიერთობის უცდომელი მორალური საზომი, სიტყვაზე მტკიცედ მდგომთა მხარის გამმაგრებელი, სიტყვის გამტეხთა მქენჯნელი და მამხილებელი.

მეტი ობიექტურობისათვის საშუროდ მივიჩნიე სამი თვალსაზრისის შეწონასწორება და ამ საკითხთან მიახლება არა მარტოოდენ ქართველი კაცის, არამედ ეროვნებით რუსი და აგრეთვე მსოფლიო მოქალაქის პოზიციიდან. ამისათვის შესაძლებლობისდაგვარად რუსეთის ერის სულსაც უნდა ჩავწვდომოდი, რათა შემეგრძნო და მეაზროვნა როგორც რუს მოქალაქეს და იმ მკვიდრ დასაყრდენზეც დამედო ბინა, მსოფლიოს დიდმა მოაზროვნეებმა რომ მოშმადლეს კაცობრიობას, ან თავად ჩემში რომ ჩამოაყალიბა შეურყევ მრწამსად ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, გარდა ამისა ჩემთვის იმთავითვე გახდა ცხადზე უცხადესი, რომ რუსეთ – საქართველოს ურთიერთო-

ბის ისტორიასთან დაკავშირებით აზრთა ორ კატეგორიას შორის უნდა გამეკვალა გზა ჭეშმარიტებისაკენ. ერთი კატეგორია აზრებისა რამდენადმე დაფარულად არსებობდა, შექმნილ ვითარებათა გამო დიდხანს არ ჩნდებოდა ზედაპირზე, დუღდა და იცდიდა ადამიანთა გულებში; და თუ ვინმე სიტყვაში გაცხადებას მათსას გაბედავდა, სათქმელს ხშირად ბოღმასაც ამოაყოლებდა, იმ უთქმელობით დაგროვებულ ბოღმას, იძულებითი, დუმილისგან გამოწვეული შეურაცხყოფის გრძნობა ერთის ხელის მოსმით რომ უნდა ჩამოირეცხოს, ეს გაბედული ადამიანები, სინამდვილის მართლაც აღმაშფოთებელი ფაქტებით სამართლიანად აღშფოთებულნი და უკომპრომისობის მორალური განცდით ატაცებულნი, ზოგჯერ ვერ ხედავენ, ან აღნიშვნის ღირსადაც არ თვლიდნენ მთელ რიგ დადებით მოვლენებსაც. მეორე სახეობა აზრებისა ოფიციოზის წრეებში, ან მათ გარშემო ყალიბდებოდა და რამდენადმე დოგმების ელფერს იძენდა. საყოველთაო კეთილდღეობის სურათის შექმნით იგი მხოლოდ დადებითად წარმოაჩენდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას და სინამდვილის უარყოფით მხარეებს ან დუმილით უვლიდა გვერდს, ან ისტორიული გარდუვალობის მარწუხებში აქცევდა მას.

რადგან ხანგრძლივი აღშფოთების სიმწარემ შხამი იცის, ხოლო გამუდმებულად ხოტბის აღვლენამ გულის ამსუყება, ამიტომ ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხების გაშუქებისას სასურველია დაივიწყო, თუკი როდესმე შავი, ან ფერადი სათვალიდან გიმზერია ქვეყნიერებისათვის. საქართველოში ისე ვით მრავალს, მეც მისვმას ნაღველი ჩემი ერის ბედ-იღბალზე, მის წარსულსა თუ აწმყოზე ფიქრისას. ჩემთვისაც უცდიათ ფერადი სათვალის მორგება არსებულის ვარდის ფერებში დასანახვებლად. ამადაც არ მივიჩნევ იოლ საქმედ ისტორიკოსის ცივი გონებითა და მოუსყიდველი მსაჯულის პირუთვნელობით მიახლებას იმგვარ საკითხთან, როგორიცაა გეორგიევსკის ტრაქტატი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების მდინარება. მაგრამ სიტყვა ითქვა, და ბარემ საცდელიც იცადოს!

თავიდანვე უნდა აღვნიშნო გეორგიევსკის ტრაქტატის ერთობ მყარი და მაღალი მორალური საფუძველი, რაჲც ამ ერთა ურთიერთშეძმობისა და შეხმატკბილების საქმეს კარგ დასაწყისს და ჩინებულ გაგრძელებას უქადდა. ტრაქტატი სამოკავშირეოდ, ხოლო ფიზიკურ ძალთა არათანაფარდობის მიუხედავად საქართველო რუსეთის მოკავშირედ იწოდებოდა და არა ქვეშევრდომად. ოდნავადაც არ ირღვეოდა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ძალაში რჩებოდა ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა, გვირგვინის მი-

რონით კურთხევა, ავტოკეფალიურობა ეკლესიისა, საკუთარი მონეტების მოჭრა. ქართული ენა სახელმწიფო ენად რჩებოდა და ქართული მხედრობა ერის საზღვრისა და ღირსებათა დამცველად; სავალდებულოდ ითვლებოდა ორივე მხარისათვის პარტნიორის მოყვასისა მოყვრად, ხოლო მტრისა მტრად შერაცხვა, სამხედრო და მორალური ურთიერთდახმარება.

სახელმწიფოთა შორის ამგვარი ხელშეკრულების დადების თარიღი დიახაც რომ ზარ - ზეიმით აღნიშვნის ღირსია; მაგრამ რისი ღირსია ის, რაც ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ მოხდა? რაც შემდეგ მოხდა, ამისათვის მრავალი საარქივო და სამწერლო მასალა ღაღადებს და რაც მთავარია, ამ ამბავს დაწვრილებით აღწერს ივანე ჯავახიშვილი თავის საქართველოს ისტორიის მე-5 ტომში. მე მგონი მისი, როგორც მეცნიერის კომპეტენტურობასა და როგორც ადამიანის სინდისიერებაში ზედმეტია ეჭვის შეტანა. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ კრწანისის ომში გაურკვეველი მიზეზების გამო, არც თუ შორს დაბანაკებულმა რუსეთის ჯარმა არ გაუწია ერეკლე მეორეს ტრაქტატით გათვალისწინებული სამხედრო დახმარება, თუმცა არა ერთი მალემსრბოლი აფრინეს მათთან. ხოლო ერეკლეს ვაჟის, გიორგი მეცამეტის სიკვდილისთანავე, რუსეთის იმპერატორის, პავლე პირველის საიდუმლო ბრძანებით, უკვე საქართველოში დაბანაკებულმა რუსეთის ჯარის სარდლობამ აღარ დაუშვა მისი ჩვილი ძის მეფედ კურთხევა, დედოფალი მარიამი ძალმომრეულად გადააყენა ტახტიდან, დაატყვევა ყველა ბატონიშვილი, როგორც მოსალოდნელი პრეტენდენტი ქართლ – კახეთის ტახტისა და დედოფალთან ერთად გადაასახლა საცხოვრებლად პეტერბურგში, რის შემდეგაც გააუქმა საქართველოს სამეფო და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ პერიფერიულ პროვინციად აქცია. ამას მოჰყვა რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფა, აკრძალვა ქართულად მღვდელთმსახურებისა, ქართული სკოლების დახურვა და დევნა ქართული ენისა ახლათგახსნილ რუსული ტიპის სკოლებში, ძველთუძველესი ქართული ფრესკების გადაღებვა ტაძრებსა და ეკლესიებში რუს მღვდელთმსახურთა მიერ, რუს ჩინოვნიკთა და სამხერდო პირთა მზვაობრული თვითნებობა და აღვირახსნილობა, რაიც ცოცხლად აქვს აღწერილი თავის ქმნილებაში ალექსანდრე ყაზბეგს. მოკლედ, რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა ზემოხსენებული ხელშეკრულების სრულ დარღვევას. ამგვარ შემთხვევაში ისტორიის ბრალდება მხოლოდ ფაქტების აღნიშვნით ამოიწურება, ისეთი მეთოდით რომელიც ხელს შეუშლის წარსულში მომხდარის ამბების მიჩქმალვას. მხოლოდ ჭკვათამყოფელს შეუძლია

მოსთხოვოს ამჟამად მცხოვრებ რუსებს პასუხი იმისათვის, რაც უწინ მათი ერის მმართველმა წრეებმა ჩაიდინეს საქართველოს მიმართ. მაგრამ გარდასულ დროთა ფაქტების მთელის სიზუსტით წარმოჩენა თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ ამ ერთა ურთიერთობისას აღარ დაიშვას იმგვარი მავნებლობანი, რასაც ადრე ჰქონდა ადგილი.

მაშ ზეიმი ზეიმად, სიმართლე კი სიმართლედ!

ერთი შეხედვით მოხდა საკვირველება. ქრისტიანულმა რუსეთმა სამეფოს გაუქმებით, ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფით და ქართული ენის დევნით ერთმორწმუნე საქართველოს გაუკეთა ისეთი რამ, რაც არ ჩაუდენია თვით სისხლის წვიმების არაერთგზის დამყენებელ თურქეთსა და საპარსეთს საქართველოში. და ეს ყოველივე ურთიერთობის დამყარებისთანავე მოხდა. რას მივაწეროთ ეს ამბავი? მრავალ და მცირერიცხვოვან სახელმწოფოებს შორის სხვაგვარი დამოკიდებულების შეუძლებლობას, თუ იმჟამად აღორძინებული ზოგადევროპული კოლონიალიზმის უფრო დახვეწილი მეთოდებით მოქმედებას? უშვებდნენ კი საქართველოს მეფენი და მათ შორის უპირველეს ყოვლისა ერეკლე მეორე საქმის ამგვარად წარმართვის შესაძლებლობას, როდესაც მთელის გულმოდგინებით ცდილობდნენ გამუდმებული შემოსევებისაგან დასუსტებული ქვეყანა გადაერჩინათ ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობლის შემწეობით? ჩემის აზრით, არა, რადგან მათ არ იცოდნენ მათი თანამედროვე მსოფლიო კოლონიალიზმის, პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორია; არა უწყოდნენ იმჟამინდელ ევროპელთა მეთოდურობაზე, ორგანიზებულობასა და თანმიმდევრულობაზე სხვათა, თუ ახალ მიწებზე ფეხმოკიდების საქმეში, რაც სავსებით განსხვავდებოდა დროებითი შემოსევებისა და ხარკის დადების მოძველებული აზიური მეთოდებისაგან; არ იცოდნენ ასიმილირების იმ უნარისა და მისწრაფების შესახებ მზარდ ახალგაზრდა ერებს რომ გააჩნდათ. რუსეთი და საქართველო თავიანთ ისტორიულ გზათშესაყარზე ერთმანეთს ერთობ ზერელედ, ან თითქმის არ იცნობდნენ. საქართველოს რომ უძველესი ისტორია და კულტურა გააჩნდა, რომელიც ჯერ კიდევ პრომეთე – ამირანის, ნოეს კიდობანის, არგონავტთა ლაშქრობის მითებიდან და ლეგენდებიდან იღებს სათავეს, მის წარსულს სიქველითა და ვაჟკაცობით კოდრისზე, ლეონიდეზე, ალექსანდრე მაკედონელზე, კიროსზე, კარლოს დიდზე, გუსტავ ადოლფზე, პეტრე პირველზე, მილტი ადეზე, თემისტოკლეზე, ვილჰელმ ორანელსა და ალექსანდრე ნეველზე არანაკლები მეფეები და გმირები რომ განადიდებდნენ. საქართველოს და რუსეთს რომ ჰყავდათ ერთიდაიგივე ქრისტიანი ნათლია, ანდრია პირველმოციქული, საქართველო საბერძნეთთან

და სომხეთთან რომ ინაწილებს პიონერობას ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საქმეში, საქართველოს რომ გააჩნდა ძალზე მდიდარი ჰაგიოგრაფიული, ბრწყინვალე საისტორიო და დიდებული საერო მწერლობა და პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლი მეხუთე საუკუნით რომ არის დათარიღებული, ქართული კულტურა რომ იკვეთებოდა უფლისციხის, დავით გარეჯისა და ვარძიის კლდოვანებში, საქართველოს, იერუსალიმის, ბულგარეთის, სინასა და ათონის მთის მყუდრო სამონასტრო ცხოვრებაში, საქართველოს ხელოვნებას რომ ამშვენებდა დიდებული საეკლესიო არქიტექტურა, ფრესკული და მინიატურული ფერწერა, წარმართულ და ქრისტიანულ ეპოქათა უნიკალური ოქრომჭედლობა, საკუთარ სანოტო სისტემაზე შექმნილი უძველესი მრავალხმიანი საგალობლები, ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში რომ დაარსებულა აკადემია ფოთის მიდამოებში, ხოლო XI საუკუნეში გელათსა და იყალთოში, სადაც ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიის გარდა მთელ რიგ მეცნიერებებსაც ეწაფვოდნენ, კანტიკუნტად, ან სულაც არ იცოდნენ არათუ მაშინდელი რუსეთის მმართველმა წრეებმა, არამედ თვით პუშკინმა, ლერმონტოვმა, გრიბოედოვმა, ტოლსტოიმ, კავკასიაში გადმოსახლებულმა ცნობილმა დეკაბრისტებმა და ა. შ. მათ შემოქმედებაზე უჩვეულო გავლენას ახდენდა საქართველოს ბუნება, კავკასიონის ზვიადი მწვერვალები. ისინი აქ პოულობდნენ ახალ თემებს, იმუხტებოდნენ მძლავრი შემოქმედებითი იმპულსებით, ექცეოდნენ უჩვეულო პოეტური ინსპირაციის არეში. ასე რომ ერეკლეს მარტოოდენ რუსეთის ჯარისთვის როდი გაუხსნია გვახტანგ გორგასლანის მიერ ოდესღაც მტკიცედ ჩარაზული დარიალის კარიბჭე, არამედ რამდენადმე რუსული ლიტერატურის სტიმულირებისთვისაც. მაგრამ იმჟამად რუს მოღვაწეთათვის საქართველოს ისტორიისა და კულტურის კარიბჭე დახშული აღმოჩნდა. მათ საქართველო იზიდავდა უფრო როგორც აღმოსავლური ეგზოტიკის მხარე, ხიბლავდა ქართველთა სტუმართმოყვარეობა და სუფრის ლაზათი, მამაკაცთა რაინდული სიდარბაისლე და ქალთა კდემამოსილება, გულთბილი დამოკიდებულება და ის გაგება და თავისუფალი ატმოსფერო, რასაც ესოდენ მოკლებულნი იყვნენ თავიანთ სამშობლოში. რა იცოდნენ საქართველოს დიდებულმა სტუმრებმა, რომ ამ ხალხს ჯერ კიდევ მე-12-ე საუკუნეში ჰყავდა ბუმბერაზი მსოფლიო პოეზიისა – შოთა რუსთაველი, რომელმაც ქართული პოეტური გენიის პრიზმაში აღმოაბრწყინა გასაოცარი სინთეზი ძველჰინდური, ძველსპარსული, ელინური, ქრისტიანულ – თეოლოგიური, შემდგომ – აღმოსავლური და ევროპის ქრისტიანულ – რაინდული კულტუ-

რებისა. ვინ იცოდა მოწინავე რუსთაგან ქართული ენა იმდენად, რომ გაცნობოდა რუსთაველს, გურამიშვილს, სულხან – საბა ორბელიანს, ქართლის ცხოვრებას, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს; ან საიდან მოეტანათ მათ რუსული თარგმანები? რუსები იმჟამად ეწაფებოდნენ და თარგმნიდნენ ანტიკურ და ახალ ევროპულ ლიტერატურას. გუვერნიორებთან, ლიცეუმებსა და უნივერსიტეტებში სწავლობდნენ მკვდარ და ახალ ევროპულ ენებს და ევროპული განათლებით დატვირთულები, ქედმაღლურადაც კი უყურებდნენ იმ ენასა და კულტურას, რომელიც მათთვის ამოუცნობ სფინქსს წარმოადგენდა. ქართველოლოგიის დარგი რუსეთში გვიან იშვა და ერთობ ზანტად ვითარდებოდა. მთელი XIX საუკუნე XX - ის დასაწყისის ჩათვლით ისევ ქართველებმა იპყრეს ხელთ რუსებისათვის ქართული კულტურის გაცნობის ინიციატივა. დაუღალავად იღვწოდნენ ამისათვის პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, კირიონ საძაგლიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვები. ისინი თარგმნიდნენ რუსულად ქართული ლიტერატურის ძეგლებს, აქვეყნებდნენ რუსულად შრომებს ქართული კულტურის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში რუსებს არ ჰყოლიათ დიდი მასშტაბის რუსი ქართველოლოგი. გასაკვირია, მაგრამ იმჟამად ევროპელები მეტი გულისყურით ეკიდებოდნენ ქართველოლოგიის სფეროს. გავიხსენოთ თუნდაც მარი ბროსე, ოლივერ და მარჯორი უორდროპები. მაშ რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ინგლისურად უფრო ადრე ითარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი", სულხან – საბას ,,სიბრძნე – სიცრუისა", ,,ვისრამიანი", ილია ჭავჭავაძის ,,განდეგილი" და სხვა. რატომ არ გამოჩნდნენ იმ დროინდელ რუსეთში ისეთი დიდი მეგობრები ქართული კულტურისა და - ძმა უორდროპები და არტურ ლაისტი რომ იყვნენ? მართალია ილია ჭავჭავაძემ, ივანე მაჩაბელმა და სხვებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი მათ დაინტერესებაში საქართველოთი და მისი კულტურით, მაგრამ განა ისინი უარს ეტყოდნენ რომელიმე ინტელიგენტს რუსეთისას ისეთივე სამსახურის გაწევაზე, თუკი იგი ანალოგიური საქმისათვის გულწრფელად მოისურვებდა მათ მეგობრობას. როგორც ჩანს ამგვარი მეგობრობისათვის იმხანად ვერ გადაილახა გარკვეული ზღურბლი. რუსეთის ინტელიგენციას ჯერ ვერ დაეძლია იმპერიის მოქალაქისათვის დამახასიათებელი ქედმაღლობა, ხოლო ქართველებს სამართლიანი წყენა გიორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევისა და მისი შედეგების გამო. აი რა ამუხრუჭებდა ქართველოლოგიის განვითარების საქმეს რუსეთში. თუმცა, რას უნდა დაეძრა ეს ყინული, როდესაც თვით ქართველებს არ ჰქონიათ იმჟამად ბოლომდე აღმო-

ჩენილი, აღწერილი, კლასიფიცირებული, ფილოლოგიურად დამუშავებული და გადმოცემული თავისი უზარმაზარი ლიტერატურული საგანძური, არ ჰქონდათ ღრმად შესწავლილი თავისივე კულტურა. დამუშავებას ვინ დაეძებს, როდესაც გამუდმებული შემოსევებისას იკარგებოდა და ნადგურდებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. გაგაჩნდეს ისეთი უძველესი საგალობლები იგორ სტრავინსკიმ რომ მუსიკის სასწაული უწოდა და სხვადასხვა მიზეზთა გამო მხოლოდ ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში შესძლო მათი არა მარტო ჩაწერა და ნოტებზე გადაღება ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი მცოდნისაგან, არამედ გაცნობა მსოფლიოსათვის და თვით ქართველებისთვისაც, ან კიდევ უწყოდე რუსთაველის დანარჩენ პოემათა სახელწოდებანი და ხელთ არ გაგაჩნდეს, რადგან ნგრევისა და განადგურებას შავბნელმა დრო – ჟამმა შთანთქა ისინი, ერთობ სავალალო ხვედრია ერისათვის.

ერთი სიტყვით, რუსეთის ინტელიგენცია არ, ან ცუდად იცნობდა საქართველოს და მისი დიდი ნაწილი ვერც გაიგებდა იმას, თუ რა ხდებოდა ქართველთა გულებში გეორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით. სამეფოს გაუქმება, ენის ხელყოფა ცხადია მძიმე ასატანი იყო, მაგრამ ყველაზე აუტანელი და შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო ის მოულოდნელი ვერაგობა და ცხოვრება, იმთავითვე რომ ჩამოჰგლიჯა ნიღაბი მოყვრადმოსულის სახეს. ოდითგან ქართველების გაგებით საქართველოდ იწოდებოდა ქვეყანა, სადაც ღმერთმსახურება ქართულად სრულდებოდა. შესაძლოა ქვეყანა დროებით დაეპყრო დუშმანს და სახელმწიფო აპარატიც მოერღვია, მაგრამ სანამ ქართველი ქრისტიანად ირაცხებოდა და ეკლესიებში ქართული წირვა იდგა, ქვეყანას კვლავ საქართველო ერქვა. ახლა კი ქართველთა წარმოდგენაში აღარც საქართველო უნდა არსებულიყო. მაგრამ საქართველო არსებობდა და ერთი რამაც გულწრფელად უნდა ვაღიაროთ: არ ვიცით სურდა თუ არ სურდა იმპერიის მთავრობას, მაგრამ ქართველობამ, მიუხედავად ენობრივ – სახელმწიფოებრივი უფლებების დაკარგვისა თუმცა ფარულად, მაგრამ მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ იგრძნო თავი ისეთ ერთიან ორგანიზმად დავით აღმაშენებელისა და თამარის ეპოქაში რომ ჰქონდა ადგილი. ერთიან ორგანიზმად მეთქი, რომ ვამბობ, როდი გულისხმობს იმდროინდელ დამოუკიდებლობასა და ძალმოსილებას. ვინმე რუსთაგანს ღრმად რომ სცოდნოდა, მაშინ საქართველოს წარსული და იმჟამინდელ დონემდე ჩამოქვეითების მიზეზი, შესაძლოა ქართველთა პრეტენზიებზე ასე ეპასუხა: ,,განა ერთმა საქართველომ მოაწერა ხელი გიორგიევსკის ხელშეკრულებას? არ-

სებობდა იმუამად ერთიანი საქართველო? რად იდგნენ ცალ – ცალკე ქართლ – კახეთისა და იმერეთის სამეფონი, აფხაზეთის, სამეგრელოს და გურიის სამთავროები? ჩვენ გვისაყვედურებთ, სიტყვა რომ გავტეხეთ და ერეკლე მეორეს არ მივეშველეთ კრწანისის ომში, განა იმერთა სამეფო და სამთავროები მოეშველნენ? სად იყო კრწანისზე ის ორმოცდაათათასიანი მხდერობა, თელავიდან მცხეთისკენ რომ მოაცილებდა უკანასკნელ გზაზე ერეკლეს ცხედარს? სად იყო დანარჩენი საქართველო, სამცხე – საათაბაგო და აჭარა რომ შთანთქა თურქეთმა? ჩვენ გვიკიუინებთ, საქართველოსათვის იმუამად საავსებით უცხოსა და უცნობ ერს: სიტყვა რად გატეხეთ, ტრაქტატით დადებული ხელშეკრკრულება რად დაართვიეთო! განა მათი ივანე მრისხანის, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის წინაშე დადებული ფიცი დავარღვიეთ: ვიბრძოლოთ და ვიღვაწოთ რუსეთის იმპერიის გასაფართოებლად და საკეთილდღეოდ! ასევე არ შევიერთეთ ვოლგისპირეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხები? ჩვენ რომ გვიკიუინებთ, მაშინ რაღა ვთქვათ თქვენივე თავისთვის მიცემული სიტყვის არაერთგზის გატეხვაზე? განა ურთიერთის წინაშე დადებული ფიცის დარღვევა საკუთარი თავისათვის მიცემული სიტყვის გატეხვას არ ნიშნავს? თუ ასე არ არის, მაშ გიორგი ბრწყინვალის დროიდან დღევანდლამდე კვლავ ერთიან სამეფოდ გაერთიანება რად ვერ შესძელით? რად ვერ შესწირეს თქვენმა მეფეებმა და მთავრებმა საკუთარი სიამაყისა და პრიორიტეტის გრძნობა ერთიანი საქართველოს იდეას? გაჭირვებამ რატომ გაგთიშათ უფრო და არ შეგკრათ? შეკავშირებასა და ურთიერთდახმარებას ვიღა დაეძებს: რატომ მტრობდით და ასუსტებდით ურთიერთს? ჩვენს მოსვლამდე განა დაკარგული არ იყო ქართლ – კახეთისათვის სამეგერელო, აფხაზეთისათვის გურია და იმერეთი და ა. შ.? განა ჩვენი მეოხებით არ ჰპოვეს კვლავაც ერთმანეთი საქართველოს კუთხეებმა? შესძლებდით უჩვენოდ კვლავ ერთიან ორგანიზმად შენივთებას? და ბოლოს, დაიბრუნებდით ოდესმე ჩვენს გარეშე თურქთაგან მიტაცებულ მესხეთ – ჯავახეთსა და აჭარას? ვინ მოგანიჭათ საუკუნეების მანძილზე ნანატრი მშვიდობა, ჭრილობათა მოშუშების, დასვენების, შრომისა და სწავლა – განათლების საშუალება? გეყოლებოდათ XIX საუკუნის პირველ ნახევარში იმგვარად განათლებული პიროვნებები, როგორიც იყვნენ პლატონ იოსელიანი, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი და ა. შ. ჩვენ რომ არ შეგვექმნა თქვენთვის პირობები ევროპულ კულტურასთან ზიარებისა? სად აღიზურვნენ ცოდნის იარაღით თერგდალეულები, თუ არა რუსეთში? მადლიერების გრძნობას თავი რომ დავანებოთ, სადაა თქვენი ობიექტურობა?!“ არა, –

ვუპასუხებდით ჩვენ, – ქართველებს არც ობიექტურობა და არც ცოდვა – მადლის გრძნობა დაგვიკარგავს. ჩვენ კარგად ვიცით იმ დადებითის ფასი, რუსეთთან ურთიერთობამ რომ მოგვიტანა, რაც თავის დროზე დაინახეს და აღნიშნეს კიდეც თავიანთ შემოქმედებაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა და გრიგოლ ორბელიანმა.

ვიცით, რომ მესხეთ – ჯავახეთსა და აჭარას რუსეთის გარეშე ვერ დავიბრუნებდით, მაგრამ მათი დაბრუნების მოტივი საქართველოში როდი იყო, არამედ რუსეთის იმპერიის გაფართოება. მაგრამ ამისთვისაც გმადლობთ! ვიცით, რომ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფო – სამთავროების გაუქმების შემდეგ საქართველოს ცალკეულმა კუთხეებმა შესწყვიტეს შუღლი და მტრობა და ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოქცეულნი, მჭიდროდ დაუახლოვდნენ ურთიერთს. გვახსოვს წარსულში ჩვენი მთავრებისა და ფეოდალების მზვაობრობა და გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი, არგონავტების მითისა არ იყოს, ვეშაპის კბილებიდან აღმოცენებული დევ – გმირებივით რომ ებრძოდნენ ურთიერთს და ხშირად პირადულს ერთიანი საქართველოს იდეაზე მაღლა აყენებდნენ, გვახსოვს, რომ ჩვენი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ისეთი ზებუნებრივი ძალის მეფეებმა შესძლეს ქართული ინდივიდუალიზმის დაძლევით ქვეყნის გაერთიანება, როგორიც იყვნენ: ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი და გიორგი ბრწყინვალე. პირველობისათვის ბრძოლა და შინათგამცემლობა აქუცმაცებდა ქვეყანას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ჩვენა გვაქვს უფლება თავს ვუსაყვედუროთ, რადგან ჩვენსავე თავს ვაზიანებდით და არა სხვას; და მისი ზემოხსენებული არგუმენტები ვერ გამოდგება რუსეთისათვის იურიდიულ გამართლებად გიორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით. ვიცით ისიც, რომ მიუხედავად გათიშულობისა, საქართველო ნიადაგ მთლიანი იყო სულიერად, რადგან ქართული ეკლესია არასოდეს გათიშულა. და ბოლოს, ისიც ვიცით, რომ სხვა ჩვენს ადგილას არათუ სამეფოს, ალბათ, არსებობასაც ვერ შეინარჩუნებდა. ბიზანტიის იმპერიის ზურგს უკან, თურქებმა რომ იარვარჭყვეს, განა მთელი ევროპა არ იდგა?

დიახ! უდავოდ გვჭირდებოდა მშვიდობა და დასვენება, რადგან სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა საქრთველოსათვის ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის უკანასკნელ მიღწევებთან ზიარება, რაც მხოლოდ ისლამური გარემოცვის გამო ვერ მოახერხა თავის დროზე ქვეყანამ.

საქართველო უხსოვარი დროიდან იდგა უძველეს სამხრეთელ და უახლეს ჩრდილოელ ხალხებს შორის და არ აძლევდა მათ აღრევის

საშუალებას. იგი არა მარტო სივრცულ, არამედ დროთა შორის წყალგამყოფსაც წარმოადგენდა, რადგან ამ ხალხების კულტურათა განვითარებას თავთავიანთი დრო უნდა ჰქონოდა და მათი აღრევა არც მათი საკუთარი მისიის და არც მსოფლიო კულტურის განვითარებისთვის იყო მიზანშეწონილი. ამით დაირღვეოდა ხალხების და აქედან გამომდინარე, კულტურათა დროში თანმიმდევრობის ურყევი მსოფლიო კანონი. ამაში გამოიხატებოდა იმჟამად საქართველოს ეზოტერული მისია. გარდა ამისა, საქართველო აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა შორის გარკვეული სინთეზისა და დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციასაც ასრულებდა. მომდევნო პერიოდშიც ჩვენ და სომხები ვიდექით სადარაჯოზე კავკასიონის კარიბჭესთან, როგორც სამხრეთ – აღმოსავლეთისაკენ წამოწეული ფორპოსტი ქრისტიანობისა და ვაკავებდით სამხრეთიდან დაძრულ ისლამურ ურდოებს. საუბედუროდ, X საუკუნეში სომხეთმა დაჰკარგა სახელმწიფო, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სარწმუნოება შეინარჩუნა, ასე რომ დავრჩით ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფოდ კავკასიაში. ჩვენზე ბლაგვდებოდა სიბასრე ისლამურ ურდოთა მახვილისა. ჩვენ ვაცლიდით მათ კავკასიონის იმიერ მოქმედების უნარს. რუსები სიამაყით აღნიშნავთ: რუსეთმა შეაკავაო მონღოლთა ურდოები და იხსნა ევროპა განადგურებისაგან. რად არ უკვირდებით იმ ამბავს, რომ რამდენადმე ჩვენს გამო ვერ მიაღწიეს თქვენამდე არაბთა, თემურ ლენგის, სპარსთა და ოტომანთა იმპერიის ურდოებმა. მონღოლი დამპყრობლები საქართველოსაც შესევია და ამადაც ვუწყით, რომ მათ არ ჰქონდათ რელიგიური სისტემა და ამიტომ რელიგიურ დევნასაც არ ეწეოდნენ, ასე რომ ქრისტიანულ რელიგიას რუსეთში თითქმის არ განუცდია დევნა. მაგრამ ზემოთაღნიშნული ქვეყნების ისლამური მხედრობა რომ შესეოდა რუსეთს, შესძლებდა იგი ქრისტიანული რელიგიის შენარჩუნებას, ურომლისოდაც სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა ევროპულ კულტურასთან ზიარებას? მით უმეტეს, რომ ქრისტიანობა რუსეთში არც თუ დიდი ხნის წინათ იყო ფეხმოკიდებული და გამკვიდრებული? ხომ შესძლეს სამხრეთელმა დამპყრობლებმა ჯერ კიდევ თემურ–ლენგის ხანაში ჩრდილოეთ კავკასიის გამუსლიმანება? რუსეთსაც რომ იგივე ხვედრი რგებოდა? ეს ურდოები, დამპყრობლურის გარდა, განა გააფრთებულ რელიგიურ ომებსაც არ ეწეოდნენ? მოგვიანებით ოტომანთა იმპერიას, ევროპას რომ აზანზარებდა, სამი დაბრკოლება არ უღობავდა რუსეთისაკენ გზას: შავი ზღვა, კავკასიონი და საქართველოს სამეფო? მათ რომ საქართველოს სამეფო მოეშალათ, როგორც ეს ბიზანტიის მიმართ ჩაიდინეს, მათ რომ ქართველები გაემუსლიმანებინათ,

რაღა შეუშლიდათ ხელს თავიანთი იმპერიისათვის შემოემტკიცებინათ ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანი ხალხები და უშუალოდ ხმელეთიდან დაკავშირებოდნენ ყირიმის სახანოს? მაშინ ხომ ფართე ფრონტითა და მთელის ძალებით უშუალოდ ხმელეთიდან მიადგებოდნენ რუსეთს, პეტრე პირველამდელი რუსეთის სამეფოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰყავდა ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი რეგულარული ჯარები და ფლოტი და ყირიმის სახანოსაც კი ძლივს უმკლავდებოდა? საქართველო თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ამაოდ როდი იქნევდა ხმალს ქრისტიანობის შესანარჩუნებლად. მას ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლურ, ხოლო შემდეგ მუსლიმანურ გარემოცვაში უნდა შეენარჩუნებინა ქრისტიანული სამეფო, თუნდაც წერტილის ოდენა არე ქრისტიანული სამყაროსი და არ მიეცა ამ გარემოცვისათვის რკალის შევიწროების საშუალება და ამ ამბავთან არა მარტო მისი არსებობა და პრესტიჟი, არამედ რუსეთის ბედიც იყო მჭიდროდ გადანასკვული. ამაში გამოიხატებოდა იმუამად ქართველი ერისა და საქართველოს, როგორც სამეფოსა და სახელმწიფოს მისია. მოგვიანებით ამ რეგიონში მსოფლიო ისტორია დილემის წინაშე დადგა: ან ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური გარემო უნდა შეერთებოდა თურქეთსა ან სპარსეთს, რისთვისაც მათ ერთობლივი ძალით უნდა გაერღვიათ შუა აღმართული ერთად-ერთი დაბრკოლება და საქართველოს სამეფოს შთანთქმით მოესპოთ ქრისტიანობა ამიერკავკასიაში; ან, პირიქით, რუსეთ–ამიერკავკასიის ქრისტიანულ სამყაროთა შესაყრელად ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური კედელი უნდა გარღვეულიყო. ამ დილემის დადებითად გადაწყვეტას მომავლისათვის არა იმდენად რელიგიური, რამდენადაც კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ისიც კარგად ვუწყით, რომ ქრისტიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ რელიგია, რომ უპირველეს ყოვლისა, იგია ადამიანთმსახურება, მოყვასისადმი სიყვარული, მორალური ფანტაზიის დაუშრეტელი წყარო და მხოლოდ შემდეგ ღვთისმსახურება, ამიტომაა იგი თანამედროვე გაგებით მაღალი ჰუმანური კულტურის ერთადერთი მასაზრდოვებელი და ნურავის გაუკვირდება, თუკი მეტ ქრისტიანად ჩაითვლება ნებისმიერი სხვა რელიგიის მიმდევარი, თუგინდ ათეისტი, რომელიც ადამიანთმსახურებაში ქრისტიანული ღვთისმსახურების მიმდევარზე მაღლა დგას. ღაღადისი იგი თავად სახარებისეულია და ვისაც სმენად ყურნი ასხია, მას არა მარტო წაუკითხავს, არამედ შეუგვრძნია კიდეც, თუ რაგვარ სწერენ სიყვარულზე მოციქულნი. ამაოა ღვთისმსახურება ადამიანთმსახურების გარეშე, ერთხმად აღიარებენ ისინი და მოყვასისათვის თავდადებუ-

ლი კაცი უკვე ქრისტიანია, ქრისტეს სახელიც რომ არ ჰქონდეს გაგონილი. ასე ესმოდათ ქრისტიანობა საქართველოში ვახტანგ გორგასლანს, დავით აღმაშენებელს, თამარს, რუსთაველს, ვაჟა–ფშაველას, აღმოსავლეთში ალიშერ ნავოის, რუსეთში ტოლსტოის, ვლადიმერ სოლოვიოვსა და ანდრეი ბელის, დასავლეთ ევროპაში ლესინგს, ჰეგელს, გოეთეს, რუდოლფ შტაინერს და ა. შ. ამგვარ გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტოოდენ კულტურის განვითარების თვალსაზრისით, არამედ სხვადასხვა რელიგიის, ეროვნების, იდეოლოგიის წარმომადგენელთა და თვით მორწმუნეებსა და ათეისტებს შორის სათნოებისა და ურთიერთმომთმენიანობის დასამყარებლად.

უსამართლოზე უსამართლო იყო XIX საუკუნეში კავკასიის უპირველესი გმირის, შამილის, წინააღმდეგ რუსების მიერ წარმოებული ომი, მაგრამ გლობალური, თუნდაც რეგიონული მასშტაბის კულტურულ–ისტორიული დილემების გადაწყვეტა უტრაგედიოდ და უმსხვერპლოდ არასოდეს მომხდარა... დიახ, გმირული და სამართლიანი იყო დაღესტანელთა ომი რუსეთის იმპერიის წინაღმდეგ, მაგრამ მანამდე, მეტადრე გმირული, ხანგრძლივი და სამართლიანი იყო ქართველთა ომი მუსლიმანურ გარემოცვასთან და რომ არ მისცა ზემოხსენებულ მტრულ გარემოცვას იბერიამ რკალის შევიწროების საშუალება, ამით და მხოლოდ ამით მოამზადა კავკასიაში ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის უკანასკნელ მიღწევათა დამკვიდრების საფუძველი, იმ კულტურისა და ცივილიზაციის, თავისი უტეხი ნებისყოფის მეოხეობით რომ შემოიტანა და თითქმის ძალით დანერგა რუსეთში გიორგიევსკის ტრაქტატამდე თითქმის საუკუნით ადრე პეტრე დიდმა. უდავოდ ამგვარი საფუძვლის მომზადებაშიც გამოიხატება საქართველოს კულტურულ–ისტორიული მისია კავკასიაში. ამაოდ როდი იქცა XIX საუკუნეში თბილისი ქართველ და სომეხ მოღვაწეთა საასპარეზო სარბიელად, ქართველ, რუს და ევროპელ ინტელიგენტთა შეხების წერტილად იმუამად მარტოოდენ ევროპის ლიტერატურასთან, ხელოვნებასთან და ფილოსოფიასთან ზიარება როდი კმაროდა. საქართველოსთვის სასიცოცხლო პრობლემას წარმოადგენდა ევროპის მეცნიერულ, არქიტექტურულ–სამშენებლო, ადმინისტრაციულ – საორგანიზაციო, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის და ა. შ. მიღწევათა ათვისებაც. და ნუ დაგვაყვედრით, რომ ყოველივე ეს რუსეთის გზით უნდა მიგვეღო, ნუ დაგვაყვედრით იმას, რაც საქართველომ უთუოდ დაიმსახურა თუნდაც იმით, საუკუნეების მანძილზე სხვის მოსაქნევ ხმალსაც თავად რომ იქნევდა. განა ევროპამ დააყვედრა, ან პეტრე დიდმა ქედის მო-

ხრით უპასუხა ევროპას იმ სულიერი ამაგისათვის, რუსეთისათვის რომ გაიღო? ხომ გაამართლა მან რეფორმაციის ეპოქის უპირველესი გმირის, გუსტავ ადოლფის, არც თუ უსაფუძვლო შიში რუსეთის მიმართ, რომელსაც ევროპა ჰეგემონიისათვის მებრძოლ საშიშ მეტოქედ აქცევდა, თუკი მისცემდა პატრიარქალური ძილიდან გამოსვლის საშუალებას. განა არ დასჭირდა პეტრე პირველს მის მიერვე წამოწყებული ილიადას მოგება, რათა შვედთა დამარცხებით ევროპისაკენ გაეჭრა კარი ბალტიის სანაპიროზე, განა არ გამოსტაცა მან ევროპას ახალი პალადიუმი, რომლის რუსეთში გადმოსატანად ტიტანური შრომის გაწევა მოუხდა? პეტრე დიდმა რუსეთის სულიერი ცხოვრება ბიზანტიური კულტურის გეზიდან ახალევროპული გეზისაკენ გადახარა და დაიწყო იქიდან, სადაც ბიზანტიის ერის სულმა დაასრულა თავისი მოქმედება. ბიზანტიურმა კულტურამ, რომელმაც თავის დროზე შეჰქმნა იოანე ოქროპირის და ბასილი დიდის წირვა და შესანიშნავი რელიგიური ხელოვნება, მიუხედავად ცალკეულ მოძღვართა ცდებისა, არ მიიღო თავის წიაღში ანტიური ფილოსოფიისა და ხელოვნების სამყარო, ვერ მოახდინა მისი სინთეზი ქრისტიანობასთან, როგორც ეს იმუამად კათოლიკურმა ევროპამ გააკეთა და ფაქტიურად დაადგა კონსერვაციის გზას. ამით მან თავისი მისია ამოსწურა, ხოლო კულტურული მისიის ამოწურვა ხშირად არსებობის შეწყვეტის ტოლფასია. პეტრე დიდს ძველი ახლისათვის რომ არ შეეწირა და არ შემოეტანა რუსეთში ქრისტიანულ–ანტიურ–არაბული კულტურების სინთეზზე აღმოცენებული ახალი ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის მონაპოვარი, მაშინ რუსეთის მისიაც ამოწურულად უნდა ჩაგვეთვალა, რადგან პეტრე დიდის გარეშე არც ლომონოსოვი იქნებოდა, ლომონოსოვის გარეშე კი შემდგომი რუსული ლიტერატურა და მეცნიერება. გააფრთებული წინააღმდეგობის მიუხედავად მან აიძულა რუსეთი მიეღო ის, რაც ადრე ბიზანტიამ უარყო და მხოლოდ ამგვარად უზრუნველყო მისი მომავალი. და ეს ყოველივე გეორგიევსკის ტრაქტატამდე თითქმის საუკუნით ადრე მოხდა, ურომლისოდაც, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას სულიერი საფუძველი აღარ ექნებოდა. მართლმადიდებლური კულტურის სფეროში საქართველოს უფრო ღრმა და ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნდა, ვიდრე რუსეთს, ხოლო რაც შეეხება რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანს", იგი თვით რენესანსის კულტურის ყველა უმაღლეს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ასე რომ მთელი საქმე იმ ერთ საუკუნეში გახლდათ, რომლის განმავლობაშიც რუსეთი ევროპული განვითარების გზას დაადგა. ამ კულტურისათვის, მასთან გათანაბრებისა და შემდგომი

პერსპექტივისათვის შეინარჩუნა თავი საქართველომ, რაც დაუყვედრებლად ეკუთვნოდა. ეკუთვნოდა თუნდაც იმიტომ, რომ საუკუნეების მანძილზე ხელს უშლიდა სამხრეთიდან ანტიკულტურული იმპულსების შეჭრას რუსეთში, და იმიტომაც, რომ არ დაეყვედრების გაზიარება კულტურისა, რადგან კულტურა განყოფადი მატერია როდია, მისი გაზიარებით რომ მოგაკლდეს რაიმე. ასე რომ არ იყვეს, მაშინ ევროპის ქვეყნები გამუდმებულ ურთიერთობაში უნდა იყვნენ, რადგან მათი მაღალი კულტურა საუკუნეთა მანძილზე გამუდმებულ ურთიერთგავლენათა შედეგია.

დიახ! საქართველომ რუსეთის მეოხებით მოიპოვა ხანგრძლივი მშვიდობა და ევროპულ კულტურასთან ზიარების საშუალება და ჩვენც ამისათვის ყვირილით ქვეყანას შევძრავდით ეს რომ კმაროდეს კომპენსაციად იმისა, რაც საქართველოს იმჟამად წაართვეს: გამოსტაცეს ენა და სახელმწიფოებრიობა, ურომლისოდაც გარდუვალია ნებისმიერი ერის დეგრადაცია და გადაშენება. როგორ უნდა დაეშვა საქართველოს იმგვარი დეგენარაცია, რომლის მსგავსი თვით სისხლის წვიმების დროშიც არ განუცდია? ევროპის პროგრესულ იდეებთან ზიარების შემდეგ იგი ამას მით უფრო არ დაუშვებდა. ქართველი ერი არასოდეს ყოფილა მორჩილი და ბრმად მომყოლი, არც თუ მარტოოდენ სხვათა კულტურების ამთვისებელი, არამედ საკუთარი კულტურის ფესვებიც ღრმად ჰქონდა დედამიწის გულისაკენ გამჯდარი და ახალი სამომავლო მორჩილების გამოღებაც არ გაუჭირდებოდა. ამაში უნდა დაერწმუნებინა რუსეთი საქართველოს და გეორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევისთანავე საქართველომ დაიწყო კიდეც შინაგანი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომლითაც რუსეთს კი არ ასუსტებდა, არამედ საკუთარ ძალთა მობილიზებას ახდენდა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. რაღა თქმა უნდა მოწინავე ქართველთა ერთადერთი მიზანი ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებების აღდგენა, ან რუსეთთან ურთიერთობამდე არსებული მდგომარეობის დაბრუნება უნდა ყოფილიყო. საქმემაც არ დააყოვნა: 1832 წელს შეთქმულება, საქართველოს ეროვნული ღირსებისადმი დიმიტრი ყიფიანის გამოქომაგება, თერგდალეულთა მამულიშვილური საქმეები, ეკლესიის მსახურთა, კირიონ საძაგლიშვილისა და ლეონიდე ოქროპირიძის მცდელობანი ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად, აი, გაუხუნარი ფურცლები საქართველოს ისტორიისა მე-19-ე საუკუნის მანძილზე. რით უპასუხა ძალმომრეობისადმი ქართველი ერის ამ ბუნებრივ რეაქციას იმპერიის ხელისუფლებამ? რეპრესიებით! გადასახლებაში გარდაიცვალა 1832 წლის შეთქმულე-

ბის ყველაზე პრინციპული მონაწილე, პირველი ქართველი კანტიანელი სოლომონ დოდაშვილი; გადაასახლეს და მოსყიდული მკვლელის ხელით სიცოცხლეს გამოასალმეს ეროვნული სინდისის ქომაგი დიმიტრი ყიფიანი; ხანგრძლივი ვადით რუსეთს გაასახლეს საეკლესიო მოღვაწენი, კირიონი და ლეონიდე. თითქმის გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნიდნენ საქართველოს რჩეულ შვილებს მამულიშვილურ მიზანთა განხორციელების გზაზე, მაგრამ რაც მთავარია, მიზანი გამოიკვეთა და მოხევის პასუხი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“ XIX საუკუნის სამოციანელთა და მთლიანად საქართველოს უმთავრეს სამოქმედო პროგრამად იქცა. საქართველოს სამეფო აღარ არსებობდა, მაგრამ სული ერისა კვლავ ფხიზლობდა და ძნელბედობის მარწუხებიდან თავის დახსნას ლამობდა. ინდივიდუალიზმის ის გამთიშველი ძალა, უწინ რომ სახელმწიფოს აქუცმაცებდა, ახლა სხვაგვარად მოქმედებდა. სხვადასხვა კუთხის რჩეული ახალგაზრდობა ადმინისტრაციულ ცენტრებში, თბილისსა და ქუთაისში იყრიდა თავს, სწავლა – განათლებით სულიერ კუნთებს იკაუებდა და ცოდნის გასაღრმავებლად სარუსეთოდ წასული, კვლავ უკან ბრუნდებოდა, რათა ეროვნული დროშის გარშემო ერთ ბირთვად შეკრულიყო. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში ეროვნული საქმეებისთვის ზრუნვა კულტურტრეგერთა ხელში გადადიოდა. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები გულმოდგინედ ცდილობდნენ თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაბრუნებას არა, რაც იმჟამად ნამდვილად არ ძალედვათ, სახელმწიფოებრიობისა და სუვერენულობის შეგნების გაღვიძებას მაინც თავინათ თანამემამულეებში; რუსეთის გუბერნიის ადმინისტრაციულ პირობებში იმგვარი ატმოსფეროს შექმნას სუვერენულ სახელმწიფოებს რომ გააჩნიათ. უპირატეს საზრუნავად თერგდალეულებმა მართებულად მიიჩნიეს ქართული ენისთავის ჩამორთმეული უფლებების დაბრუნება და არც შემცდარან, რადგან ენა იყო და მუდამ იქნება არა მკვდარი სიმბოლო, არამედ თავად ერის სიცოცხლის უმთავრესი ნიშან-სვეტი. ამ უტყუარი საშუალებით თვითრწმენით ამაღლება, მოწინააღმდეგის თვალში ავტორიტეტის ამაღლებასაც ნიშნავდა, რაც შეუძლებელი იყო ახალი, მძლავრი ეროვნული ლიტერატურის შექმნის გარეშე. ეს გახლდათ იმჟამად ერთად-ერთი გარანტია საკუთარი მყოობადის შობისა. ამგვარი ბაზისის გარეშე ქართული ენა ცხოვრებისა და კულტურის ვერც ერთ სფეროში ვერ შეაღწევდა. გარდა ამისა, ლიტერატურა ხომ ენის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის პულსაციისა და განვითარების გამომხატველია, ნიშანი ერის სიცოცხლის უწყვეტობისა, რადგან მხო-

ლოდ მკვდარ ენებზე არ იქმნება ახალი ლიტერატურა, იმ ენებზე, დიდი ხნის წინათ რომ მიატოვა ეროვნულმა ორგანიზმმა. საქართველოს წარსულის გმირული ფურცლების გაცოცხლებით, ახალი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემების დაყენებით ქართულმა მხატვრულმა და პუბლიცისტურმა ლიტერატურამ იმდენად დამუხტა მორალური ატმოსფერო, რომ საზოგადოებრივი აზრი ძირეული საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად მოამზადა, სწორედ ლიტერატურის ამ ახალი პოზიციებიდან დალაშქრეს თერგდალეულებმა თვითმპყრობელობის ერთის შეხედვით მიუდგომელი სიმაგრეები და გამოსძალეს იმპერიის მთავრობას ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის, ქართული თეატრისა და სკოლების და ეროვნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საზოგადოებების დაარსების უფლება. ყოველივე ეს არ მომხდარა იოლად, ცენზურასთან და შოვინისტ რუს მოხელეებთან შეხლა-შემოხლის გარეშე; მაგრამ თავგამოდებულმა მამულიშვილურმა შემართებამ შეუძლებელი შესაძლებლად აქცია და გიორგიევსკის ტრაქტატის 100 წლის თავზე თუ პოლიტიკური არა, ქართველ ერს გარკვეული კულტურული ავტონომია მაინც მოუტანა.

ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა – ეს სამი სახელი ელავდა ყველაზე მკაფიოდ საქართველოს სულიერი ცხოვრების კაბადონზე. მიუხედავად დიდი გამჭრიახობისა, საყოველთაო ავტორიტეტისა და განსაკუთრებით კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის ორგანიზატორული ნიჭისა, რაც უთუოდ მისი მკვლელობის უმთავრესი მიზეზი გახდა, ისინი არ ყოფილან პრაქტიკოსი პოლიტიკოსები და არც მიუმართავთ პოლიტიკური აქციებისათვის გეორგევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად, მაგრამ იმდენად დიდი იყო მათი დამსახურება ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების საქმეში, რომ ნაღვაწი მათი მარადიულ საგზლად გაჰყვება საქართველოს შორეული მომავლის გზებზე.

ქართველების სულიერი პოტენცია მარტოოდენ კულტურის სფეროში ან საზოგადოებრივი აზრის მომზადებაში როდი იხარჯებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობდა შესაფერისი სარბიელი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, რადგან ქართველებს არ გააჩნდათ საკუთარი სახელმწიფო, ხოლო რუსეთის იმპერიის სამსახურში ყოფნა კარიერიზმის გარდა მათ სხვა არაფერს უქადდა, პოლიტიკურ ასპარეზზე სამოღვაწეო პოტენცია უმთავრესად ფარულ პარტიებში პრაქტიკული საქმიანობით ჰპოვებდა გამოსაგალს. შემთხვევითი როდია, რომ რუსეთის რევოლუციების და მათ

წინარე პერიოდში ქართველებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავათ რუსეთის სხვადასხვა პარტიებში, ზოგი მათგანი სოციალური პრობლემებითა და რევოლუციური პრაქტიკით იყო გატაცებული, ზოგიც ყოველივე ამას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის იდეასთანაც ათავსებდა. ხშირად ისინი, სოციალ-დემოკრატები იმდენად ანტაგონისტურ პოზიციებს იკავებდნენ ქართველი სამოციანელების მიმართ, რომ თავიანთ წერილებში თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, ილია ჭავჭავაძესაც კი ესხმოდნენ თავს. ილიასაც, ხალხის სიყვარული, უდიდესი ავტორიტეტი და პოპულარობა რომ უმაგრებდა მხარს, არაერთგზის გადაუჭერია მათთვის პუბლიცისტის მათრახი. მძლავრი პუბლიცისტური შემართებისა და საყოველთაო ავტორიტეტის გამო ხედავდნენ ისინი ჭავჭავაძეში მთავარ მოწინააღმდეგეს. მათ ვერ უპატიებიათ ილიასათვის, პირველმა რომ შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში სოციალური უთანასწორობისა და ბრძოლის თემა, ის ამბავი, რომ იგი არ მივიდა მათთან და არ დადგა მათ პოზიციებზე და არც მივიდოდა, რადგან ვერ დადგებოდა იგი ვერც ერთი პოლიტიკური პარტიის პოზიციაზე. პარტიულობა წმინდა პოლიტიკური მოვლენაა. იგი იზღუდება მხოლოდ მისთვის მისაღები იდეების კომპლექსით და ძალაუფლებისათვის ბრძოლის გარდა ჰგულისხმობს ამ იდეების ცხოვრებაში გატარებას მიღწეული ძალაუფლების მეშვეობით. ვერც ილია, ვერც აკაკი და ვერც ვაჟა ვერ შეიზღუდებოდნენ რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიით, რადგან მსოფლიო მოქალაქეები იყვნენ და თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მსოფლიო მოქალაქეობრიობის და სამართლიანობის პოზიციებიდან ეწეოდნენ. მათი მიზნებისათვის უცხო იყო ძალაუფლებისათვის ბრძოლა და ამგვარი ბრძოლის მეთოდები. ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური ბრძოლისა და საკუთარი სურვილის გარეშეც აშკარად იყო აღიარებული ქართველი ერის მამად და სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემთხვევაში მის გარდა არავის ხვდებოდა წილად ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინამძღოლობა. მიუხედავად ამისა, იმპერიის ტახტისათვის იგი არ წარმოადგენდა დიდ საშიშროებას და ამ თვალსაზრისით მეფის ხელისუფლებას სოციალ-დემოკრატებისა უფრო ეშინოდა, თუმცა არც მათი ლიდერების მიმართ იყენებდა ფარულ ტერორს. ერთი რამ კი უთუოდ უნდა აღინიშნოს, ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობის შემდეგ მწერალი იროდიონ ევდოშვილი დემონსტრატიულად გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, რადგან ამ მკვლელობაში მის წევრებს სდებდა ბრალს. ასეა თუ ისე, ილია ჭავჭავაძის სიკვდილით მხოლოდ ის უნდა ყოფი-

ლიყო დაინტერესებული, ვისაც საქართველოში იმჟამად მისი ავტორიტეტი უშლიდა ხელს ლიდერობის მოპოვებაში.

მოვლენათა ფარული ურთიერთკავშირების გამო მსოფლიო ისტორია სავსეა მოულოდნელობებით. მოულოდნელად დაჭკარგა საქართველომ სახელმწიფოებრიობა და მოულოდნელად დაიბრუნა იგი 1918 წელს, დაჭკარგა გარეშე ძალის ჩარევით, ხოლო დაიბრუნა საკუთარი ძალის ჩაურევლად, სისხლისღვრის გარეშე. თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა მოშალეს რუსეთის იმპერია, რასაც მისი არმიის რღვევა მოჰყვა, მალე რუსეთის ჯარის ნაწილებმა დასტოვეს საქართველო და ქვეყანა სახელმწიფოებრიობის რეალური დაბრუნების წინაშე დადგა. სრულდებოდა დიდი ხნის ნატვრა, რუსეთის იმპერიის მიერ გეორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევის მერე რომ არ მოსცილებია ქართველების გონებას. მაგრამ იმ დროის თავკაცები, რატომღაც გაუბედაობას ავლენდნენ და აყოვნებდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას. ძნელია დადგენა, მორიდებულობას იჩენდნენ იმის გამო, რომ უბრძოლველად მიიღეს ამის საშუალება, თუ ეს იდეა ჯერაც არ გამკვიდრებულიყო ქართველი ხალხის შეგნებაში, როგორც პოლიტიკური აუცილებლობა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საზოგადოებრივი აზრი არ იყო ამისთვის მომწიფებული. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის მზაობა როდის ნიშნავს, როგორც პოლიტიკური აუცილებლობის სიმყარეს. ამგვარ სიმკვიდრეს პროგრამა, ორგანიზებულობა და რიგი პოლიტიკური აქციებისა უნდა უძღოდეს წინ. ამ მიმართულებით ზემოხსენებულ საქმიანობას საქართველოში ადგილი არ ჰქონია. ამგვარ მოქმედებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის მესვეურები ვერ შეედრებოდნენ სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა. ჯერ საქართველოს ეკლესიამ სცნო თავისი დამოუკიდებლობა, აღიდგინა ავტოკეფალია და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ყოველთვის იყო ერთიანი და სუვერენული საქართველოს იდეის გამომხატველი. მის მაგალითს მალე თავკაცობის პრეტენდენტებმაც მიჰბაძეს და 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. ეს მონაპოვარი არ წარმოადგენდა ძალთა მობილიზების უშუალო კულმინაციას, მაგრამ იგი უთუოდ ჩაითვლება იმ მიზნის განხორციელებად, რასაც XIX საუკუნის მანძილზე თავიანთი სულიერი ენერგია შეალიეს საქართველოს რჩეულმა შვილებმა. ეს გახლდათ ლოგიკური და სამართლიანი პასუხი გეორგიევსკის ხელშეკრულების დამრღვევთა მიმართ.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა. საქართველოს იმჟამინდელ მთავრობას ორი

ომის მოგერიება მოუხდა; იგი ხალხის მხარდაჭერითაც სარგებლობდა, მაგრამ მაინც ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. მას არ ესმოდა ერთი ჭეშმარიტება, რომ ძნელია თავისუფლების მოპოვება, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია შენარჩუნება, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საფრთხისა თუ უსაფრთხოების შემთხვევაში აუცილებელია გადამწყვეტი ზომების მიღება, ძალთა სრული მობილიზაციისათვის საშუროა დროებით მაინც მთელი საქართველოს ერთ სიმაგრე-ბანაკად გადაქცევა, სამხედრო და სამეწარმეო-სამეურნეო საწყისთა გამთლიანება, ცხოვრების სხვადასხვა სფეროთა ერთიანი მიზნისკენ წარმართვა, თითოეული მოქალაქის ერთდროულად ჯარისკაცადაც და მეურნედაც გადაქცევა, ყველგან და ყველაფერში უაღრესი მობილიზება და მკაცრი დისციპლინა, სამშობლოსადმი სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობის უმაღლეს შეგნებაში გადაზრდა, რადგან შეუძლებელია დამოუკიდებლობის შენარჩუნება იქ, სადაც თავისუფლება საკუთარი სიცოცხლისა და არსებობის ტოლფასოვნად არ მიაჩნიათ. იმჟამად საქართველოში საგანგებო-სამხედრო მდგომარეობაც კი არ გამოუცხადებიათ, რაც რთულ ვითარებაში აუცილებელი ეტაპია ნებისმიერი დამწყები სახელმწიფოსათვის. საქართველოს მთავრობა საკმაო უსუსურობას ავლენდა იდეოლოგიურ-დისციპლინური, დიპლომატიური და სახელმწიფო უშიშროებისათვის საშურ ღონისძიებათა გატარებისას; არ იგრძნობოდა გამოცდილება კადრების შერჩევაში, გაბედულება და დამაჯერებლობა აკლდა მის ყოველ მოქმედებას. არ იყო მჭიდრო და ორგანული საქართველოს პრეზიდენტი ნ. ჟორდანია ხალხთან. მის ავტორიტეტს უდაოდ აკლდა ელვარება. არ იგრძნობოდა მასში ერთდროულად გმირი და ბრძენი, ნებისმიერ გარემოებაში უყოყმანოდ რომ მიჰყვება ხალხი. და საერთოდ, ახლადშექმნილ სახელმწიფოში არ იგრძნობოდა გონების დაძაბული მუშაობა, ნებელობის მძლავრი პულსაცია, მიზანდასახული საქმიანობა მთელი ერისა, სახელმწიფოს განმტკიცებისა და შენარჩუნების საწინდარი. ვის უნდა შთაებერა ხალხისათვის იმჟამად დაუცხრომელი აქტიურობის სული, თუ არა საქართველოს მთავრობას?

შექმნილ ვითარებაში გარდაუვალი გახდა ბოლშევიკების გამარჯვება ამიერკავკასიაში, რაც შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა:

1. სამოციანელთა მიერ გაღვიძებულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ ვერ ჰპოვა სრული რეალიზაცია პოლიტიკური პრაქტიკის სფეროში.

2. ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საქმეს არ განმტკიცებდა ჟეშმარიტი ინიციატორისა და ეროვნული გმირის საყოველთაო ავტორიტეტი. საქართველოს იმჟამად არ აღმოაჩნდა თავად ისტორიის მიერ დაყენებული ამ საქმის ნამდვილი მისიონერი. მოწამეები კი მრავლად დაშთნენ, რაც იშვიათი არ არის დამარცხების შემთხვევაში.

3. პოლიტიკური პრაქტიკის სფეროში ბოლშევიკებს იმჟამად ჰყავდათ ყველაზე ძლიერი და გამოცდილი წარმომადგენლები, ვიდრე სხვა პოლიტიკურ პარტიებს.

4. მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები საქართველოს სახელმწიფოსათვის არსასურველად ვითარდებოდნენ.

5. ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატისტების უთანხმოებათა გამო ამიერკავკასიაში მოქმედებდნენ გამთიშველი ძალები. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბოლშევიკების მჭიდრო კონტაქტი, განსაკუთრებით რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო ზრდიდა მათი წამატების შესაძლებლობას ამიერკავკასიაში.

6. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ მყარი, ერთიანი მიზანი. მთავრობის შემადგენლობაში მყოფი მენშევიკები, ალბათ, არც მოისურვებდნენ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფას, იქ რომ მენშევიკებს გაემარჯვათ.

7. დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმე, სახელმწიფოებრიობა, როგორც სიკეთის ერთადერთი გაგება, ერისათვის რჩებოდა მძლავრი იდეოლოგიური პროპაგანდის გარეშე, სტიქიური პატრიოტული გრძნობების ამარა მაშინ, როდესაც ბოლშევიკებთან პოლიტიკური პროპაგანდის საქმე უმაღლეს დონეზე იდგა.

8. არ ჩატარებულა პირველი ეტაპისათვის აუცილებელი საყოველთაო სავალდებულო გასამხედროების ღონისძიება.

9. არ დასახულა პერსპექტივები ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული გარდაქმნისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციისათვის. არ გადადგმულა კონკრეტული ნაბიჯები ახალი განვითარებადი სახელმწიფოს შესაქმნელად, რაიც, როგორც დამოუკიდებლობის ღირებულების ასამაღლებელი გარანტია, აუცილებელი იყო თვით იმ რთულ და არეულ ვითარებაშიც კი.

საქართველოში ხშირად გამიგონია მოსაუბრეთაგან როყიოდ წამოსროლილი ფრაზა, ქართველებს რომ დამოუკიდებლობა მოგვცა, მარტო ჩვენი მარგანეცი, ბორჯომის წყალი და კურორტები შეგვინახავდაო. ეს პარაზიტული აზრი კარგს ვერაფერს ამბობს მთქმელის

სახელმწიფოებრივი შეგნების დონეზე და ძალაუნებურად გიპყრობს ფიქრი: ნუთუ ეს იმ დროიდან გამოყოლილი აზრია? როგორ! მარგანეცი და კურორტები შეგვინახვადა და არა ჩვენი სულიერი სიმტკიცე, თავდადება და ტიტანური შრომა? გამოდის დამოუკიდებლობა და თავისუფლების არსი გაყიდვა და გაქირავება ყოფილა, რათა შემდეგ დაჯდე და სტომაქი ამოიყორო. გამოდის ჩვენც იმ პრიმიტიული ხალხების დონეზე ვყოფილვართ ბუნების მიერ მორთმეული მზამზარეულით, ან სხვისი ნასუფრალით რომ იკვებებიან. მაგრამ ასე არ სწირავს ჩვენი მღვდელი! ჩვენ ოდითგან ხალიბებად და გიორგიანებად წოდებული პირველი მეტალურგები და სოფლის მეურნეები ვიყავით. უხსოვარი დროიდან გვქონია გარემოსთან შემოქმედებითი მიმართება. ჭეშმარიტი ქართული გაგებით თავისუფლება შემოქმედებასთან იყო გაიგივებული, შემოქმედება კი უმძიმესი ტვირთის ზიდვასთან.

მაგრამ საქართველოს იმჟამინდელმა მესაჭეებმა ახალი ქვეყნის შემოქმედად ვეღარ ივარგეს. მათ ვერ შეიშნეს და ხელიდან გაუშვეს ალალბედათ ნაშოვნი თავისუფლება და 1921 წელს ბოლშევიკებმა შეიარაღებულ ძალთა მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს საქართველოში, ფარხმალაყრილი მთავრობა კი ემიგრაციაში წავიდა. ასე დასრულდა საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობა. გამარჯვებულებმა ამ ბრძოლას განმათავისუფლებელი უწოდეს, ხოლო დამარცხებულებმა ინტერვენცია.

რა მიზანი ამოძრავებდათ ბოლშევიკებს? რა იყო მოტივი მათი მოქმედებისა? რამ მოიყვანა ისინი საქართველოში? ბოლშევიკებს ნამდვილად არ მოეპოვებოდათ იურიდიული საფუძველი საქართველოს მთავრობის კანონგარეშე გამოცხადებისა, მით უმეტეს, რომ მათაც სცნეს მანამდე საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. იმ მთავრობას უკანონობა არ ჩაუდენია არც ხელისუფლების მოპოვებისას და არც შემდგომ, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. მას არც რომელიმე კანონიერი მთავრობა დაუმხია და არც ვისმესთვის გამოუცხადებია სამართლიანი თუ უსამართლო ომი, არც რაიმე მავნე ანტიჰუმანური პროპაგანდა გაუწევია და არც რეპრესიებით შეუწუხებია თავისი ხალხი. ეს იყო არც თუ ძლიერი, ჩვეულებრივი მთავრობა, რომლის მსგავსი შეიძლება ჰყავდეს ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს. მან რომ ქართველი ხალხი ფართე მასშტაბის მოქმედებაში ვერ მოიყანა, ეს როდი ნიშნავს, რომ ხალხი ანტიპატიურად იყო მისადმი განწყობილი და სურვილი არ ჰქონდა საკუთარი მთავრობა ჰყოლოდა. ხალხმა მას მხარი დაუჭირა, იბრძოლა კიდეც მედგრად და მოსულებს წინააღმდეგობა გაუწია

იმდენად, რამდენადაც ამ მთავრობამ შესძლო მისი ძალების მობილიზება. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ ქართველ ხალხს ჩაგრულის პოზიცია ეკავა და განთავისუფლებას ესწრაფვოდა; არც საკუთარი სახელმწიფოს გაუქმებას ლამობდა იგი, რადგან არ არსებობს დედამიწის ზურგზე ერი, მსგავსი სურვილი რომ ამოძრავებდეს, და ან საიდან უნდა სცოდნოდა ქართველ ხალხს, თუ რას პირდებოდნენ ახლად მოსულნი ძველის მაგიერ?

ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე იყო საკუთარი იდეოლოგიისა და სახელმწიფოებრივი წყობილების გავრცელება ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, რუსული ენის გავრცელების არეში, ყველა იმ პუნქტში, სადაც კი როდესმე არალეგალური უჯრედი დაუარსებიათ იდეოლოგიური მუშაობისა და პოლიტიკური აქციების განსახორციელებლად. მათ რიგებში იყვნენ ყოფილი იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან მოსული პირები, რომელთა პრესტიჟისათვის როგორც ჩანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ იდეოლოგიისა და წყობილების გამარჯვებას მათი ყოფილი მოქმედების არეში. ის, ვინც მიესწრაფვის სოციალისტური წყობილების მთელს მსოფლიოში გავრცელებას, ცხადია დაიწყებდა იქედან, სადაც ხელი უფრო იოლად მიუწვდებოდა. ამგვარი მიზნების განხორციელებას რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ შემდეგი იურიდიული გამართლება მოუნახა. თუკი ნებისმიერ მიმდებარე ქვეყანაში მათი მომხრეებისაგან შემდგარი თვით უმცირესი ჯგუფიც კი სთხოვდა მას შეიარაღებულ დახმარებას ადგილობრივი წყობილების დასამხობად, საკუთარი იდეოლოგიისა და წყობილების ერთადერთ მართებულ წყობილებად მიჩნევის საფუძველზე და პროლეტარიულ – ინტერნაციონალური სოლიდარობის საბაბით იგი ამგვარი ჩარევის უფლებას აძლევდა საკუთარ თავს, რაც ხსენებულ სახელმწიფოში შეიარაღებული ძალებით შეჭრას ნიშნავდა. იდეოლოგიურს, ან რელიგიურ საფუძველზე სხვა ქვეყნის საქმეებში შეიარაღებული ჩარევის მსგავს პრეცენდენტებს ადრეც ჰქონია ადგილი მსოფლიოს ისტორიაში და ეს ამბავი ბოლშევიკების გამონაგონი არ გახლავთ. სწორედ ამგვარი იდეოლოგიური მოტივით და მოქმედების ექსპანსიური ფორმით შემოიჭრნენ და დამკვიდრდნენ ბოლშევიკები საქართველოში და იმის დასამტკიცებლად, რომ მათ მოქმედებას არაფერი აქვს საერთო ველიკორუსული დამპყრობლური პოლიტიკის გამოვლინებასთან, როგორსაც ადგილი ჰქონდა გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევისას, გაუქმებული ქართული სახელმწიფოს ნაცვლად მათ რაიმე ისეთი უნდა შემოეთავაზებინათ, რასაც მათის აზრით უნდა უვნებელეყო

ამგვარი სახის მოსალოდნელი ბრალდება. რუსეთში შემავალ ოლქად საქართველოს გამოცხადების საკითხი არც კი წამოჭრილა, რადგან გაბათილების ნაცვლად იგი აშკარად ცხადყოფდა ამგვარი ბრალდების სისწორეს. ხელაღებით იქნა უარყოფილი ქართველ ბოლშევიკთა ერთი ჯგუფის მიერ შემოთავაზებული პროექტი, რომელიც ახლად დამყარებული წყობილების შენარჩუნებით საქართველოს რუსეთისაგან სრულ გამოცალკევებას ითვალისწინებდა. და ვინაიდან უკლონისტებად სახელდებული ეს დაჯგუფება პრინციპულად მოითხოვდა ამ პროექტის განხორციელებას, ეს შინაპარტიული კონფლიქტი ამ ჯგუფის ლიკვიდაციით დამთავრდა. როგორც ჩანს, ზემოხსენებული პროექტის უარმყოფლებს არ ჰქონდათ იმედი რუსეთის გარეშე საქართველოში ახლად დამყარებული წყობილების შენარჩუნებისა და ბოლოს, ბოლშევიკებმა ახალი ტიპის ექსპერიმენტული სახელმწიფო შესთავაზეს ხალხებს, რითაც პირველად გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯი დაახლოებით იმგვარი მრავალფეროვანი სახელმწიფოს შესაქმნელად, ასე საოცრად რომ ჩამოჰგავს გერმანელი ფილოსოფოსის, ფრიდრიხ ემანუელ კანტის მიერ აპრიორული მეთოდით მიკვლეული სახელმწიფოს პროექტს (მსგავსებას მხოლოდ ეროვნული სტრუქტურის თვალსაზრისით აქვს ადგილი, რადგან სოციალურ სტრუქტურასა და იდეოლოგიურ საფუძველს კანტი არ შეეხებია). ეს იყო სხვადასხვა სახელმწიფოს გაერთიანებით შექმნილი ერთიანი სახელმწიფო, რომელშიც არ უნდა ჰქონოდა ადგილი თითოეული მათგანის სუვერენიტეტის ხელყოფას. უწინ რუსეთის იმპერიად სახელდებული ქვეყანა ახლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად იწოდებოდა და ეროვნული სხვაობის მიხედვით განიყოფოდა რესპუბლიკებად, ავტონომიურ რესპუბლიკებად და ავტონომიურ ოლქებად. თითოეულ ამ სახელმწიფო ერთეულს ჰყავდა თავისი მთავრობა, რომელიც ექვემდებარებოდა კავშირით შექმნილი ერთიანი სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამომხატველს. კანტის წარმოდგენით, სახელმწიფოები ნებაყოფლობით უნდა შეკრებილიყვნენ ერთი ძლიერი სახელმწიფოს გარშემო და ამგვარი კავშირი მათ შორის მუდმივი მშვიდობის გარანტიად უნდა ქცეულიყო. რესპუბლიკებად წოდებული სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, მართლაც, რსფსრ-ის გარშემო აღმოჩნდნენ შემოკრებილნი, თუმცა კანტის ფორმულა ნასესხებიც არ ყოფილა. აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ ხალხების ხელახალი შემოკრება რუსეთის გარშემო მოლაპარაკებებით არ მომხდარა და ამდენად არც ნებაყოფლობითი ყოფილა. როგორც საქართველოს მაგალითზე ჩანს, იგი საბჭოთა რუ-

სეთის შეიარაღებულ ძალთა ჩარევით იქნა მიღწეული. მხოლოდ ამგვარი შემკრების შემდეგ იქნა შეთავაზებული ერთიანი სახელმწიფოს ზემოხსენებული პროექტი, სახელმწიფოსი, რომელშიც დაცული უნდა ყოფილიყო მასში შემავალი რესპუბლიკების სუვერენიტეტი, სსრკ-ის კონსტიტუციით გარანტირებული უნდა ყოფილიყო მათი კავშირში შესვლისა თუ კავშირიდან გასვლის თავისუფლება. აგრეთვე თანასწორუფლებიანობა თითოეული ერისა, ნებისმიერ რესპუბლიკას უნდა ჰქონოდა სახელმწიფოებრიობის აღმნიშვნელი ყველა ატრიბუტი თუ საკუთარი სიმბოლო: კონსტიტუცია, დროშა, ჰიმნი, გერბი და ა. შ. ერთაშორის ურთიერთადმოკიდებულების თვალსაზრისით რაც დაიწერა, უმაღლესი სამართლიანობის თვალსაზრისით დაიწერა და ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ერთა შორის უძლიერესი როგორ გაატარებდა ცხოვრებაში ქაღალდზე აღნიშნულს. მასზე იყო დამოკიდებული ყველა ნებაყოფლობითობის ცხოვრებაში რეალიზება. რესპუბლიკათა თანმხლები სიტყვა მოკავშირე, სავსებით ეხმიანებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის სულისკვეთებას, ხოლო სიტყვა ძმობა, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გულისხმობდა. მაგრამ, მიუხედავად შემოთავაზებული პირობებისა, ქართველ ხალხს მაინც არ დაუკლია მცდელობა დამოუკიდებლობის დაბრუნებისა, რადგან ძალმომრეობა, მის კავშირში შეყვანის დროს რომ ჰქონდა ადგილი, ნდობას უკარგავდა მას იმათ მიმართ, ვისზეც უშუალოდ იყო დამოკიდებული კონსტიტუციით გათვალისწინებული ნებაყოფლობითობის ცხოვრებაში რეალიზება; რადგან ისიც ცნობილია, რომ სიტყვა სახელმწიფო, როგორც იძულების საშუალება, უკვე გამორიცხავს ნებაყოფილებას. ნებაყოფილება ადამიანის მხოლოდ ღვთისა და მოყვასისადმი მიმართებაში შეიძლება გამოიხატოს. მოქალაქის სახელმწიფოსადმი მიმართება კი ძირითადად ვალდებულებითია. ამით განსხვავდება ღვთისა და კეისრისადმი მისაგებელი. მაგრამ ვალდებულებითი შეიძლება იყოს ისეთი რამ, რასაც ნებაყოფლობითაც გააკეთებდი და ისეთი რამაც, რასაც იძულებით აკეთებ. იდეალურია სახელმწიფო, რომელშიც ვალდებულებითობა რაც შეიძლება მეტად უახლოვდება ნებაყოფლობითობას. მაგრამ ამგვარი იდეალურობისადმი რწმენა ქართველებში შეარყია მათ მიმართ დასაწყისშივე ჩადენილმა ძალმომრეობამ, რასაც მოჰყვა 1924 წლის გამოსვლები, პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიერ გენუის ეროვნებათა კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ღია წერილი ლენინისადმი და ა. შ. ყოველივე ეს თვალნათლივ მეტყველებდა ქართველი ხალხის მცდელობაზე, დაებრუნებინა საქართველოსათვის იმ-

გვარი დამოუკიდებლობა, თავად რომ მიაჩნდა იდეალად. გამოსვლებს მოჰყვა სისხლიანი რეპრესიები. ამბროსი ხელაია თანამოსაყდრეებთან ერთად დააპატიმრეს და გააციმბირეს. პატიმრობაში აიყვანეს კონსტანტინე გამსახურდიაც და სამი წლით სოლოვკებში გადაასახლეს, ხოლო რესპუბლიკათა კავშირში შესვლისა თუ კავშირიდან გასვლის ნებაყოფლობითობა მიუწვდომელ ქიმერად რჩებოდა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ერთხელაც კი არ მიუმართავთ ღია რეფერენდუმისათვის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ზუსტად განსაზღვრა და დადგენა ხალხის სურვილისა.

მას მერე საკმაოდ ბევრმა წყალმა ჩაიარა. თაობას თაობა მოჰყვა და ურთიერთობებშიც ბევრი რამ გაირკვა, ქართველმა ხალხმა რომ ვერ დაიბრუნა 1921 წელს დაკარგული სახელმწიფო, ამიტომ ხელებს ვერ დაიკრეფდა კულტურულ, მეცნიერულ და მატერიალურ საქმეებს ღვთის ანაბრად ვერ დასტოვებდა. მას ახალ, შემოთავაზებულ პირობებში უნდა ეცადა შემოქმედებითი ძალები, შეემოწმებინა თავისი სამოკავშირეო უფლებების იურიდიული სიმკვიდრე, და მთავარი მოკავშირის მიმართებანი მისადმი და კონსტიტუციური ვალდებულებებისადმი. მას მერე ბევრი ხოტბა და სადღეგრძელო აღვლენილა, მოთმინების თასმებიც გაწყვეტამდე დაჭიმულა და პრეტენზიებიც ცხადია დაგროვდა. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან არათუ სახელმწიფოებს, ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ორ ადამიანსაც კი უჩნდება ხშირად პრეტენზია ურთიერთის მიმართ. ზოგიერთი ეროვნებით რუსი საბჭოთა მოქალაქე სიტყვა პრეტენზიის ხსენებაზე ნამდვილად ვერ მოითმენდა და ასე მომიგებდა: ,,თუ მართლაც სუბიექტურად არ უდგებით ჩვენი ერების ურთიერთობის საკითხს, რა პრეტენზია შეიძლება გქონდეთ ქართველებს რუსების მიმართ? რუსეთის იმპერიის მიმართ უკმაყოფილება კიდევ გასაგებია და ჩვენც არაერთგზის დაგვიგმია ცარიზმის პოლიტიკა, მაგრამ დღეს განა თქვენც რესპუბლიკად წოდებულ ისეთსავე ერთეულს არ წარმოადგენთ, და იმგვარივე ეროვნული მთავრობა არ გყავთ, როგორც ჩვენ? საკავშირო მთავრობის შემადგენლობაში განა იმთავითვე მრავლად არ შედიოდნენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები და მათ შორის ქართველებიც, დიდი ხნის მანძილზე წამყვანი ადგილები რომ ეკავათ? რატომ უნდა შევრაცხოთ მაინცდამაინც რუსები ყოველივე კარგისა თუ ცუდის მიზეზად და არა ყველანი ერთად? განა რუსებისათვის იგივე კანონები არ იწერებოდა რაც ქართველებისთვის? ჭირისა თუ ლხინის მეტ-ნაკლებობას ჰქონდა ადგილი? განა გუმილევის, მანდელშტამის თუ სხვათა სიკვდილის მიზეზს ისევ დუმილით არ უვლიან ამჟამად გვერდს ბიოგრაფები, როგორც

მიხეილ ჯავახიშვილისას, ტიციან ტაბიძისას, ვახტანგ კოტეტიშვილისას, ევგენი მიქელაძისას და სანდრო ახმეტელისას? განა ისევე არ უჭირდათ როდესღაც ცვეტაევას და ბულგაკოვს, როგორც დავით კაკაბაძეს, გუდიაშვილსა და გამსახურდიას? განა არ უდრის პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა და გალაკტიონის უკანასკნელი ნახტომი მარადისობისაკენ, ესენინისა და მაიაკოვსკის მიერ საკუთარი ხელით თავში დახლილ ტყვიას? განა ისევე არ მოჰკითხეს იაგოდას, ეფოვს, აბაკუმოვსა და რიუმინს ცოდვები, როგორც ბერიას, გოგლიძეს, რაფავასა და რუხაძეს? და თუ რამ საქართველომ იწვნია, რუსეთსაც იგივე გადახდა: თუ ჩვენთვის ვაშენებდით, თქვენთანაც შენდებოდა, თუ რამეში დანაკლისს განიცდიდით, ჩვენც განვიცდიდით, გეგმებით გტვირთავდნენ? ჩვენც ვიტვირთებოდით, თუ რამე გეკრძალებოდათ, იგივე ჩვენც გვეკრძალებოდა. თუკი რამ იმუამად სახელმწიფოში ხდებოდა, ინიციატორები ხელისუფლების სათავეში მდგომი ქართვლებიც იყვნენ და თუ რამ არ მოგწონთ, მათაც უნდა მოკითხოთ. მაგრამ ზადს თუ ხედავთ, ბარემ კარგიც დაინახეთ. მოკავშირეობამ არ მოგვანიჭა ხანგრძლივი მშვიდობა მოცემულ რეგიონში? მშვიდობამ კი მეცნიერებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა, აღმავლობა სახელდობრ ეროვნული კულტურებისა? განა არნახული აღორძინება არ განიცადა თქვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჩვენს დროში? განა იმგვარივე დარჩა მისადმი ინტერესი XIX საუკუნეში რომ ჰქონდა ადგილი? თითქმის მთლიანად არ ითარგმნა რუსულად თქვენი ძველი და უახლესი კლასიკური ლიტერატურა? ყოველმხრივ არ ვუწყობთ ხელს ქართული ხელოვნების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას? იგივე არ ითქმის სხვა დარგებზე? განა ჩვენს დროში არ იქცა აგრარული საქართველო ინდუსტრიულად? რამდენი ინსტიტუტი და სპეცსასწავლებელი გაიხსნა: და რაც მთავარია, მოგეცათ საშუალება საკუთარი ქართული აკადემიის დაარსებისა, რაიც მე-12-ე საუკუნის შემდეგ არ გღირსებიათ. და ან გყოლიათ როდესმე ამდენი მეცნიერი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ნებისმიერი დარგისა? მაშ რა გინდათ, რაღას გვემართლებით? ეგებ შენ და შენნაირები საკუთარ ბოღმას ვერ მორევიხართ და ჩვენზე გადმოსანთხევად დაეძებთ მიზეზს? თუ ასე არ არის, მაშ გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლის თავზე, ჩვენ რომ ვზეიმობთ, ნაგავში რატომ იქექებით? რატომ ამჩნევ მხოლოდ აუგს და კარგის დანახვა არ გსურს“. ამგვარი საყვედურის მთქმელს მოსარგებ პასუხს დავუბარებ: ,,კარგად მესმის შენი მეგობარო, რადგან შენი თვალებითაც ძალმიძს ვუცქირო სამყაროს, მაგრამ პასუხს მხოლოდ ჩემი თვალთახედვის საწყაულით მოგიწყავ“... არც ჩემი ერი, არც მე ბედის

მგმობელები არასოდეს ვყოფილვართ, არამედ ვიყავით მხოლოდ შავს ბედთან მებრძოლები. ამადაც ბოლმის ნთხევა უცხოა ჩვენთვის. არც თუ ნაგავში ქექვა გვჩვევია, მაგრამ თუ ჩვენი ურთიერთობის ისტორიის გახსენებისას როდესმე ნაგვისთვის ფეხი წამომიკრავს, მერწმუნე იგი არც მე, არც ჩემს თვისტომებს არ დაგვიყრია. და თუ მის დანახვასა და აღნიშვნასაც ვერავინ დაგვასწრებს მადლიერების სინაკლებეს ვერავინ დაგვწამებს და არც გახსენება გვჭირდება პატივი მივაგოთ ბალმონტს, პასტერნაკს, ანდრეი ბელის, ზაბოლოცკის, ნეოჰაუზს, სიმონოვს, ახმადულინას თუ სხვა რუს მოღვაწეებს საქართველოს, მისი ლიტერატურისა და ხელოვნების დაფასებისათვის. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ქართველი კაცი მშვიდობიანობისას ისევე მარჯვედ ხმარობს კალამს, ფუნჯსა და გუთანს, როგორც ომიანობის დროს მახვილს. საქართველო სხვა კულტუროსანი ერების მსგავსად ჰქმნიდა და თუკი ხელი არაფერმა შეუშალა, მომავალშიც შეჰქმნის აზრისა და მშვენიერების საოცრებებს და მათ დამფასებელს თავად აეწევა ფასი ღირსეულის დაფასებისათვის. განა ბერძნებს მადლობის ძახილში უნდა ჩაუწყდეთ ხმა იმისათვის, მსოფლიოს ყველა კულტუროსანმა ერმა რომ თარგმნა ჰომეროსი მშობლიურ ენაზე, ასევე ინგლისელებს შექსპირისა და ბაირონის, გერმანელებს გოეთესა და შილერისათვის და ა. შ. განა ქართველებმა ქართული კულტურის ზემოთხსენებულ დამფასებლებს არ მიუზღეს თავის დროზე სამაგიერო რუსული კულტურის დაფასებით? კულტურის სფეროში თუკი ღირსეული რამ იქმნება, თავზე მოხვევას არ საჭიროებს, რადგან იგი ყველასათვის მისაწვდომ ადგილას ძევს და თვალზე ხელის ამფარებელი ბევრიც რომ აღმოჩნდეს, ზეაწვდილი ჩირაღდანი ბნელს მაინც გაანათებს. იგივე ითქმის მეცნიერებასა და ტექნიკაზე. მეცნიერული აზრი ერთი ერისა და და სახელმწიფოს ჩარჩოებით ვერ შემოისაზღვრება, რადგან მისი განვითარების საწინდარი მხოლოდ მსოფლიოს მეცნიერთა გამუდმებული კოორდინირებული მოქმედებაა, ამიტომ ქართული მეცნიერებაც ერთ-ერთი რგოლია მსოფლიო მეცნიერული აზროვნების ერთიანი ჯაჭვისა. დღეს ნებისმიერი დარგი სათანადო მეცნიერებით თუ არ შეიარაღდა, ვერ მიაღწევს იმ დონეს, რა მოთხოვნასაც ეპოქა უყენებს და რა გასაკვირია, თუკი იმ დარგებმა, რომელთა განვითარების საშუალებას საქართველო იძლევა მძლავრი მეცნიერული აღმავლობა განიცადეს. გარდა ამისა, მეცნიერების, განსაკუთრებით კი ტექნიკის განვითარება მსოფლიოში, უპირატესად ორი სისტემის დაპირისპირებამ გამოიწვია; ორი სისტემის დაპირისპირებამ, სადაც ერთი მეორის მესაფლავედ, ან მესაფლავის ქომაგად მიიჩნევს თავს, წარმოშვა უნ-

დობლობა, ფარული თუ აშკარა შეჯიბრი შეიარაღებაში, რამაც ბიძგი მისცა ტექნიკის არნახულ განვითარებას; რადგან ისიც ცნობილია, რომ წარმოების საშუალებათა, დაზგათმშენებლობის, აგრეთვე ენერგიის წყაროთა მოძიების პრინციპი ერთიდაიგივეა სამხედრო, თუ სამოქალაქო ტექნიკისათვის. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ერთი იდეოლოგიის პრიორიტეტი და ერთპარტიულობა რამდენადმე ამუხრუჭებს სიტყვის თავისუფლების საქმეს ჩვენში, სამაგიეროდ სწავლა-განათლების სისტემა ერთობ დემოკრატიულ პრინციპს ემყარება და ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა თავისი ნიჭის, სურვილისა და სიბეჯითის შესაბამისი განათლება მიიღოს, რაც უდავოდ საიმედო ბაზისია ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

რაც შეეხება შენიშვნას, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ყოველივე კარგისა თუ ცუდის მიზეზად რუსები, რომლებიც გასაბჭოების შემდეგ არ ყოფილან ერთპიროვნული მმართველები, ამგვარად ვუპასუხებთ: დიახ! ყველას და მათ შორის სათავეში მდგომ ქართველებსაც უნდა მოვკითხოთ, თუ რამ სააუგო მომხდარა! მაგრამ ეგეც იცოდეთ: სწორედ სათავეში მდგომმა ქართველებმა, განსაკუთრებით იმან, ვის სახელსაც ხშირად სამშობლოსთან აიგივებდით, შეაკავა მასსა ქართველებისა და ხელი ააღებინა უკიდურესი ზომების მიღებაზე 1921 წლის ამბების საპასუხოდ, თორემ ისტორიის სარბიელზე ქართველ გარიბალდისაც იხილავდით.

გარდასული დროის უსიამოვნო ფაქტები იმიტომ როდი გავიხსენე, რომ წინაპართა ცოდვები ამჟამად მცხოვრებ რუსებს დავაბრალო, რადგან ისიც კარგად ვიცი, რომ ისტორიისადმი ამგვარი მიდგომა სისხლის აღების წესზე უარესია. დამერწმუნე, აღშფოთება ჩემი, მტრობას როდი ნიშნავს, როდი ნიშნავს სურვილს რუსეთი ხელმოცარული ან დასუსტებული ვიხილო და ამით გული მოვიოხო, არამედ პირიქით, ვიხილო რუსეთი მართალი, თავმდაბალი, სიტყვისა და საქმის გამაიგივებელი, უაღრესად ზნეკეთილი და მორალურად ძლიერი, რადგან მის ფიზიკურ სიძლიერეში ეჭვი არავის ეპარება. ამიტომ ნუ გვიწყენს ჩვენი პარტნიორი, თუ ორიოდე პილპილმოყრილი სიტყვით მივმართავთ იმ სატკივარისათვის ბოლო ხანებში რომ დაგროვდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გასაბჭოების შემდეგ ჩვენში არსებობდა ქართული ჯარის ნაწილები. მეორე მსოფლიო ომში ქართული დივიზიები იბრძოდნენ ფრონტზე, და არც თუ სხვაზე ნაკლებად. მაგრამ 1956 წლის 9 მარტის ამბების შემდეგ რატომღაც სავსებით გააუქმეს ეროვნული ჯარის ნაწილები. რაშია საქმე! აღარ გვენდობიან, თუ ქართული ან სხვა ენები გამოუსადეგარია სამხედრო

საქმისათვის? რესპუბლიკა თუ სუვერენულია, ეროვნული ჯარის ნაწილებიც ხომ უნდა ჰყავდეს? თუ მოძველდა გეორგიევსკის ტრაქტატის შინაარსი, სახელმწიფოებრიობის ამ ატრიბუტსაც რომ ჰგულისხმობს? მავანმა სამხედრო სპეციალისტმა შესაძლოა აქ შეგვისწოროს, მიგვანიშნოს ამ საკითხში ჩვენს არაკომპეტენტურობაზე და დასძინოს, რომ ამგვარი ცვლილებები განაპირობა დღევანდელი სამხედრო სპეციფიკის თავისებურებებმა. რომ სამხედრო ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ და დღევანდელმა საერთაშორისო ვითარებამ განაპირობა ერთობ სწრაფი და ფართე მოქმედების არმიათა შექმნა, ჯარის სხვადასხვა სახეობათა ურთიერთშერწყმა, მართვის ცენტრალიზება და ერთი წარმმართველი მიზანისადმი მათი დაქვემდებარება, რომელთა მოქმედების წარმატება შესაძლოა თითოეულმა წუთმაც კი განაპირობოს, რისთვისაც საჭიროა ერთობ ზუსტი, სწრაფი, რთული ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი და კოორდინირებული მოქმედება. ამ სირთულეთა გასაიოლებლად კი სასურველია ერთენოვანება არმიაში და რუსულ, როგორც დამაკავშირებელ ენაზე უკეთ ამ ფუნქციას ვერც ერთი სხვა ენა ვერ შეასრულებს. ასე გამოდის, ამგვარი ვითარების გამო ოცნებასაც კი უნდა გამოვეთხოვოთ ქართული ჯარის ნაწილების არსებობაზე, სამხედრო შენაერთებში ქართული ენის ფუნქციონირებაზე. ნეტა საერთაშორისო ვითარება იმგვარად წარიმართოს, რომ ყველგან და სამუდამოდ გააუქმონ სამხედრო ნაწილები, მაგრამ რადგანაც ამგვარი ცვლილებებიდან ჯერ კიდევ შორსა ვართ, ამიტომ არ არსებობს არგუმენტი, რომელსაც ძალედვას უარყოფა რესპუბლიკის სუვერენიტეტის ერთ-ერთი ატრიბუტის, ქართული ეროვნული ჯარის ნაწილების საჭიროებისა. მაგრამ მარტოოდენ ეს ფაქტი როდია ჩვენი დაფიქრების საგანი.

ამა საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდში იყო მცდელობა ქართული სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქართულ განყოფილებაზე ზოგიერთი საგნის რუსულად სწავლის შემოღებისა. ქართული საზოგადოებრიობის აღშფოთებისა გამო ეს ღონისძიება ვერ განახორციელეს. აღშფოთება ერთობ ბუნებრივი და სამართლიანი იყო, რადგან ენა ქართული მარტოოდენ შაირებისთვის როდია ვარგისი, არამედ ნებისმიერი მეცნიერებისთვისაც. კარგად ვიცით, რომ მომავლის უნივერსალური ადამიანი თანაბრად უნდა სწვდებოდეს, როგორც მხატვრულ, ასევე მეცნიერულ სფეროებს. სამყაროს უნდა სჭვრეტდეს ერთდროულად ხელოვანისა და ანალიტიკოსის თვალით, რაც აუცილებელია უმაღლესი შემეცნებისათვის. ანდრეა ბელის გამოთქმით იგი თავად უნდა იყოს მრავალძალი, მრავალსიმიანი, რომ შეეძლოს მარადისობის საკრავზე დაკვრა. ამგვარი

უნივერსალიზმის ეტალონები იყვნენ წარსულში ლეონარდო და ვინჩი, გოეთე, ლომონოსოვი, შტაინერი და ა. შ. მაგრამ ისინი როგორც მხატვრულ, ასევე მეცნიერულ ქმნილებებს თავინთ მშობლიურ ენაზე ქმნიდნენ, რადგან ნებისმიერი ენა განუყოფელია და თავისავე თავში ამთლიანებს ცხოვრებისა და საქმიანობის პოლარულ მხარეებს. ჩვენი სამართლიანი და შეუმუსრავი სურვილია მსგავსად ლიტერატურული ქმნილებებისა, ქართული მეცნირებაც მუდამ ქართულად იქმნებოდეს და ქართულსავე ენას ამდიდრებდეს. ქართველი მოსწავლე თუ სტუდენტი საქართველოში ქართული სახელმძღვანელოებით უნდა ითვისებდეს ნებისმიერ საგანს და ამას მარტოოდენ ფორმალური მნიშვნელობა როდი გააჩნია, არამედ უაღრესად მორალურიც. უფრო დიდი და შორეული მიზნებისათვის არავისთვის დაუშლიათ ჩაღრმავება რუს, თუნდაც გერმანელ ან ინგლისელ მეცნიერთა ნაშრომებში. და თუ საქმისათვის საჩქაროა საკავშირო ასპარეზზე გატანა, რომელ ქართველ მეცნიერს გაუჭირდება რუსულადაც გამოსცეს თავისი ნაშრომი. ინტერნაციონალური სულისკვეთების გაძლიერებას ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ერთენოვანების შემოღება და მშობლიური ენის უგულველყოფა როდი იწვევს. ზეეროვნულობისა და ინტერნაციონალიზმის საფუძველი არა ენის, არამედ აზრის ფენომენში უნდა ვეძიოთ, რადგან აზრია ჭეშმარიტად ზეეროვნული ბუნებისა, მყარი და უცვლელი ნებისმიერ ენაზე გამოხატვისას. მაგრამ მარტოოდენ აზრი როდია ზეეროვნულობის დასაყრდენი.

ისე ვით ერთია ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლისათვის სიზმრების სამყარო, მითოსური ეპოქიდან დღემდე ასევე ზეეროვნულია სიმბოლიკის ენა, რისთვისაც ღაღადებს სიმბოლური ანბანის, ხატოვან-სიმბოლური ნიშნების იდენტურობა სხვადასხვა ხალხებთან, ზეეროვნულია მშვენიერება სახვითობისა თუ ფერწერისა ხელოვნებაში, აგრეთვე, ენა მუსიკისა, რომელსაც თარგმნა არ სჭირდება. განა არის ამქვეყნად რაიმე ამაღლებული სიყვარულზე უფრო ზეეროვნული, რომლის წინაშე ყოვლად უსუსურია გამთიშველი ძალა ნაციონალური, რასობრივი თუ წოდებრივი ანტაგონიზმისა. ზეეროვნულია თავად სიკვდილი, ელვარე ვარსკვლავეთი, ლაჟვარდირება ცისა და უკვდავება სულეთში! აი სად უნდა ვეძიოთ და ვპოვოთ საწყისები კოსმიური მოქალაქეობისა და ჭეშმარიტი ინტერნაციონალურობის, და არა ერთენოვანების დანერგვის ცდაში. ენა წმინდათა წმნიდაა ნებისმიერი ერისათვის, მისი ღირსებისა და განუმეორებლობის ბეჭედი და მასთან მიმართება მოკრძალებასა და მოწიწებას მოითხოვს. ამიტომაც დაჭრილი აფთარივით წამოვენთე-

ბით ხოლმე ჩვენი ერის უფლებამოსილებას თუკი ვინმე შეეხება. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა გავიხსენო. 1978 წლის აპრილში ქართველ ხალხს მრავალრიცხოვანი დემონსტრაციის მოწყობა დასჭირდა იმისათვის, რათა სსრკ-ს ახალი კონსტიტუციით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად მხოლოდ ქართული ენა ეღიარებინათ და არა ქართული, რუსული და სხვა რესპუბლიკათა ენები, თითქოს მშობლიური ენა სუვერენულობისა და სახელმწიფოებრიობის ისეთსავე, ან უფრო აღმატებულ ატრიბუტს არ წარმოადგენს, ვიდრე ეროვნული დროშა, გერბი, ჰიმნი და ა. შ. განა ქართული ეროვნული დროშისა თუ გერბის არსებობა აკნინებს ჩვენს პატივისცემას სხვათა დროშებისა და გერბებისადმი? ასევე არ აკნინებს, და უფრო ზრდის სხვა რესპუბლიკათა ენებისადმი პატივისცემას ჩვენი განმასხვავებელი სახელმწიფოებრივი ენის არსებობა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართველები რუსულს ქართულზე არანაკლებ ფლობენ, ღრმად იცნობენ რუსულ ლიტერატურასა და სათანადოდ აფასებენ ამ ენის დამსახურებასა და მხატვრულ ღირსებებს. ნეტა ამის მეათედი ქართული იცოდნენ საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა. ჩვენც დიახაც გვესმის რუსული ენის საპატიო როლი მრავალ ეროვნებათა შორის ურთიერთობის დამამყარებლისა, რაც სავსებით საკმარისია ამ ენის ღრმა პატივისცემისათვის. ამ ენის შესათვისებლად მშობლიური ენის შესწავლაზე არანაკლები ენერგია გაგვიღია და ამიტომაც ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია, როცა კვლავაც და კვლავაც გვიყიჟინებენ მისი შესწავლის აუცილებლობისათვის. ქართულ ენაზე უკეთესად ჩვენ მას ვერც და არც შევისწავლით. ქართული ენა ქართველისათვის მუდამ უმთავრეს ენად დარჩება, რადგან ჩვენ იგი მიგვაჩნია ჩვენი ადამიანური და მოქალაქეობრივ -სახელმწიფოებრივი შეგნებისა და სინდისის უმთავრეს ნიშან - სვეტად; ჩვენი წარსულისა და მომავლის გამამთლიანებელ სტიქიად. დღეს, რუს-ქართველთა ურთიერთობის ორასი წლის თავზე, ღრმა ურთიერთგაცნობისა და თანამშრომლობისაგან მიღებული დიდი გამოცდილების შემდეგ სასაცილოცაა ისეთ რამეზე საუბარი, რაც თავისთავად ცხადი უნდა იყოს. თუ მხოლოდ ქართული არ იქნება საქართველოს სახელმწიფო ენა, თუ მეცნიერებებს ქართულ ენაზე არ დავეწაფებით სკოლებსა თუ უმაღლესებში და ქართულ მეცნიერებას ქართულის ბაზისზე არ განვავითარებთ, თუ სასწავლო დაწესებულებებში ღრად არ შევისწავლით საქართველოს ისტორიას, როგორც ცალკე საგანს, თუ საქართველოში განლაგებულ ჯარის ნაწილებში ერთ ქართულსაც ვერ გავიგონებთ, მაშ სადაური

ქართველები ვყოფილვართ, ან სადღა უნდა ვპოვოთ თავად საქართველო? ჩვენ რაც ოდითგან შევქმენით და დედის ნანასავით ერთად შევისისხლხორცეთ, რაც საკუთარი სისხლით გავაპატიოსნეთ, დავხვეწეთ, ათას ქარ - ცეცხლში გამოვატარეთ და თვალის ჩინივით შემონახული დღემდე ღირსეულად მოვიტანეთ, რატომ არ უნდა გავამარადისოთ ჩვენი მოქალაქეობრივ - სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ქედმაღლობით ჩვენი თავი სხვა ერებზე მაღლა არასოდეს დაგვიყენებია და არც სხვაზე მეტ პრივილეგიებს მოვითხოვთ. საკუთარი მეობისა და თვითრწმენის განმტკიცება კი ზემოხსენებულ საკითხში, ჩვენს უმთავრეს სასიცოცხლო ინტერესად, თვითდამკვიდრებისა და ნებისმიერ პარტნიორთან გულწრფელი დამოკიდებულების ერთად-ერთ გარანტიად მიგვაჩნია. მხოლოდ ამგვარად თვითდამკვიდრებულ პარტნიორებს შორის შეიძლება ნაღდი, უმლიქვნელო მეგობრობა, სადაც ადგილი არ რჩება ფარული აზრებისა და განზრახვებისათვის. მეგობარმა შენს სახლში რომ არც პატრონად და არც მორიდებულ სტუმრად იგრძნოს თავი, ამიტომ შენვე უნდა იყო შენს ჭერქვეშ შენივე თავის ბატონ - პატრონი და ჭეშმარიტი მასპინძელი. უმადურნი არ ვართ, და სიკეთეს არავის დავუკარგავთ, მაგრამ მოყვარულადვე პირში ვუძრახებთ, თუკი რაიმე არ მოგვწონებია, ან მომავალში არ მოგვეწონება. ორი ადამიანის მეგობრობისას, იდეალურია იმგვარი ურთიერთობა, სადაც არც ერთის პიროვნული თავისუფლება არ კნინდება. მაგრამ აქ კიდევ დასაშვებია და ხშირად მოსაწონიც, როდესაც ერთის საკეთილდღეოდ მეორე თავისივე ნებით გაიღებს მსხვერპლად საკუთარ თავისუფლებას. მაგრამ სახელმწიფო პიროვნება როდია და ამიტომ ორი ხალხის მეგობრობისას, უფლებრივი წონასწორობა რომ არ დაირღვეს, ბრძნულად და გულწრფელად უნდა იქნას განბჭობილ - გააზრებული ურთიერთობის თითოეული დეტალი; ურთიერთის გამაბრუებელი ხოტბით კი არ უნდა მიიჩქმალოს, არამედ ერთობლივი ანალიზით გათვალსაჩინოვდეს და მორალურ სასწორად იდოს წარსულის ყოველი დარღვევა, შეცდომა თუ გატეხილი სიტყვა, რათა შემდგომში მსგავსი რამ არ განმეორდეს.

შესაძლოა კიდეც გვიძრახონ: ,,რადგან ზეიმია, კარგი აღვნიშნოთ მხოლოდ და აუგის გახსენებით გუნებას ნუ'ღარ გავიფუჭებთ". ღმერთმა დაგვიფაროს. თუ სინდისი სუფთა გაქვს, რისა უნდა გეშინოდეს! ამიტომ მოდით გუნებას ნუ გავიფუჭებთ იმის თქმითა და მოსმენით, რაც აუცილებლად სათქმელია და მოსასმენი, რადგან რა დასამალია და გეორგიევსკის ტრაქტატის აღმნიშვნელ თარიღზე მე-

ტად, მისეული შინაარსის ცხოვრებაში გამკვიდრება გვაინტერესებს. ეს თარიღი მხოლოდ ამ შინაარსის გამოა ჩვენთვის ძვირფასი. გეორგიევსკის ტრაქტატი იყო და ამჟამადაც რჩება რუსეთ – საქართველოს ურთიერთობის განსახორციელებელ იდეალად. თუმცა მონარქია და ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი ჩვენში რახანია გადაეგო, მაგრამ ამ ხელშეკრულების ძირეული შინაარსი ძალაში რჩება ნებისმიერი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის პირობებში. პარტნიორობა სუვერენულობის დაურღვევლად, აი, მისი უბერებლობისა და მარად ვარგისიანობის საწინდარი. რუსეთ-საქართველოს ურთიოერთობის მთელი ისტორია ამ ტრაქტატის ცხოვრებაში განხორციელებისათვის ბრძოლისა თუ მცდელობის ისტორიაა.

ერეკლე მეორე სხვაგვარ ხელშეკრულებას არ დადებდა რადგან მხოლოდ ამგვარი პირობები მიაჩნდა დარიალის კარიბჭის ერთადერთ საიმედო გასაღებად.

და იმ დღიდან დღევანდლამდე და დღეისიდან უკუნისამდე რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების მიზანშეწონილება მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებრივი საწყაულით განიზომება. მკვიდრათ ჩავიბეჭდოთ თავში ეს აქსიომა, თორემ საკითხი: ან ტრაქტატით გათვალისიწნებული სუვერენიტეტი, ან ხელშეკრულებამდელი მდგომარეობის დაბრუნება, არასოდეს მოძველდება.

მერაბ კოსტავა

20 მაისი 1976 წელი

გამოლვიძების ეტაპი

ჩვენი ორგანიზაცია, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი და მასში შემავალი წმინდა ილია მართლის საზოგადოება გახლავთ ერის გადარჩენის, ეროვნული აღორძინებისა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაცია, რაც სავსებით შეესატყვისება მის სამოქმედო პროგრამა-მინიმუმსა და პროგრამა-მაქსიმუმს. პროგრამა-მაქსიმუმი გულისხმობს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, მის გამოყოფას სსრკ-ს შემად-

გენლობიდან და თავისუფალ, დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას; პროგრამა-მინიმუმი კი იმ პრობლემების მოგვარებას, 70 წლის მანძილზე რომ წარმოშვა ბოლშევიკური რუსეთისადმი საქართველოს დაქვემდებარებულმა მდგომარეობამ. ორივე პროგრამა, მაქსიმუმიც და მინიმუმიც უმჭიდროეს კავშირშია ურთიერთთან, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა გვაიძულებს გავთავისუფლდეთ ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, საქმიანობის ნებისმიერ დარგში იმპერიის უწყებებიდან. მტკიცედ მივდიოთ ჩვენს მიერ პროგრამად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. პროგრამა-მინიმუმის წარმატებით შესრულება, როგორიცაა, დემოგრაფიული კრიზისის დაძლევა, წარმოების, პროდუქტთა ხარისხის ვალუტაზე გაანგარიშება და შესატყვისი ტექნიკის მოძიება, საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის მკაცრად და გონივრულად განსაზღვრა, წარმატებები ეროვნული არმიის შექმნაში, ძლიერი სახელმწიფოს შექმნას განაპირობებს. ამიტომაც ჩვენ უნიათოდ მიგვაჩნია იდეა, თითქოს ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამართლებრივი, საჯარისო თუ სხვა პრობლემები მარტოოდენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მოგვარდება. რა თქმა უნდა, ამ პრობლემების სრულყოფილად გადაწყვეტას დამოუკიდებლობა სჭირდება, მაგრამ დღესვე კონკრეტულად თუ არ იბრძოლე ადამიანთა უფლებებისათვის, არ ებრძოლე მათ დარღვევებს სასამართლოებში, საპატიმროებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებში, წარმოებებსა და სხვაგან, ისე საფუძველს ვერ ჩაუყრი მომავალი დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, რადგან მარტოოდენ ამგვარ საქმიანობაში, სულიერი მოძრაობის ამგვარ პროცესში იჭედება რაინდულ-მოქალაქეობრივი თვისებები, მომავალი თავისუფალი საქართველოს ზნეობრივ სიმტკიცედ, მის შეუვალ ციხე-ბურჯად რომ წარმოგვიჩნდება. ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში დღესვე თუ არ ჩაასახლე კომპაქტურად ქართველობა, განა მშვიდობა დამკვიდრდება საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ? მავნებლური კურსი წყალსაცავების მშენებლობისა რომ არ შეგვეჩერებინა, იარსებებდა საქართველო ახლო მომავალში გინდაც თავისუფალ, გინდა კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი? მაგრამ ამ პრობლემებისათვის დღესვე თავგამოდებული ბრძოლა როდი გვავიწყებს პოლიტიკური ბრძოლის პრიმატს, როდი გვავიწყებს ამ პრობლემების წარმოშობის მიზეზებს, ბოლშევიკურ იმპერიას, რომელთანაც ხშირად ძალზე მწვავე, მაგრამ მაინც მშვიდობიანი საშუალებებით წარვმართავთ პოლიტიკურ ბრძოლას. ამ

ბრძოლაში ჩვენ ვცდილობთ ჩვენი ეროვნულ-სამართლებრივი პლატფორმის, ბრძოლის მწვავე თუ ნაკლებად მწვავე ხერხების ქართული საზოგადოებრიობის ნებისმიერ სფეროში დანერგვას. ამ ბრძოლაში ჩვენ ვეძებთ და ვპოულობთ თანამზრახველებსა და თანამოზიარეებს იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სხვა ერების წარმომადგენელთა შორის ერთობლივი ღონისძიებების ჩასატარებლად, ამ ბრძოლაში ჩვენ ვცდილობთ მოვიზიდოთ მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციები, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მთავრობები და დიპლომატიური უწყებანი, რათა დავანახოთ და დავუმტკიცოთ მათ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს მიმართ ჩადენილი სამართალდარღვევები 1921 წლის 25 თებერვალს, რაც საერთაშორისო დანაშაულის ტოლფასია და მოვთხოვოთ საერთაშორისო სამართლის ნორმათა მთელი სიმკაცრით აგებინონ პასუხი ბოლშევიკურ იმპერიას 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევისა და საქართველოს ანექსიისათვის. საქართველო ევროპის ზონაში იმყოფება და მსოფლიო დემოკრატიული ძალები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მისი თავისუფლება და უფლებები ევროპის ყველაზე თავისუფალი ქვეყნების ნორმათა შესაბამისად. სახელმწიფოებრიობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყანა ღირსია ჩადგეს თავისუფალ ერთა საკრებულოში. ასე რომ, ჩვენი ეროვნული პლატფორმა, მთლიანად უპირისპირდება კომპარტიის ახლადგამოქვეყნებულ პლატფორმას იმავე საკითხთან დაკავშირებით. როგორც ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი, ჩვენი ორგანიზაცია იბრძვის არა მარტოოდენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, არამედ ძალაუფლების მოპოვებისთვისაც მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზით, ხოლო მასში შემავალი წმინდა ილია მართლის საზოგადოების ბრძოლა დამოუკიდებლობის მოპოვების ფარგლებს არ სცილდება. საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობაზე ძალუმი ზემოქმედებით იგი ცდილობს მისსავე გამოყვანას საბჭოური სუბორდინაციის მოჯადოებული წრიდან, რათა გადააჩვიოს იგი არსებული მმართველობითი სისტემის ყველაზე დიდ მანკიერებას, მარიონეტობას და როგორც დამოუკიდებელი ერთეული, დაუპირისპიროს ცენტრს. მხოლოდ ამგვარი გარდასახვის შემდეგ თუ შეძლებს ზემოაღნიშნული ხელისუფლება საკუთარი ძალაუფლების მიტანას პლურალიზმისა და დემოკრატიული არჩევნების წმინდა სამსხვერპლოზე (ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ შეჭიდება აუცილებელია).

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამჟამინდელ მდგომარეობას გამოლვიძების ეტაპი შეიძლება ეწოდოს. ეროვნული შეგნება ერთობ გაიზარდა, თუ მივიღებთ მხედველობაში დროის იმ მცირე მონაკვეთს, რომელსაც ორიოდე წლის წინათ გათავისუფლებული პოლიტპატიმრების მიერ წამოყენებული ეროვნული მოძრაობის ახალი ნაკადი მოიცავს. ამ ნაკადს გააჩნია როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. ძლიერი მხარეა ამ მოძრაობის მასშტაბურობა, რადიკალიზმი, გაფიცვათა მექანიზმების ფლობა, საბჭოურ იდეოლოგიასა და კანონებში, ხელისუფლების ყოველდღიურ პოლიტიკურ საქმიანობაში არასამართლებრივ მომენტთა განშვრეტა და რეგულარული ფიქსირება. მათი მართებული და უკომპრომისო კრიტიკა და, აქედან გამომდინარე, ახალი, მწვავე მოთხოვნების წამოყენება საპროტესტო აქციებთან ერთად. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პარალელურად, საზოგადოების ფართე ფენებში რელიგიური სულისკვეთების გაძლიერება და პოლიტიკური ცხოვრების თვალსაწიერზე ახალი, მნიშვნელოვანი ინდივიდუალობების გამოკვეთა, პრობლემების მრავალგვარობაში ძირეულის გამუდმებული დომინირება და ორგანიზაციულობით სტიქიურობის გადალახვისაკენ სწრაფვა. ეროვნული მოძრაობის აქილევსის ქუსლად უნდა ჩაითვალოს ვიწრო პარტიული და ორგანიზაციული პატრიოტიზმის გამოვლინებანი, წარსულში არსებული ვიწრო-კუთხური პარტიკულარიზმის ტოლფასი. ამგვარ გამოვლინებად მიმაჩნია ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელის, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის დაშლის მცდელობა რამდენიმე ხნის წინათ, რაც, საბედნიეროდ, ვერ მოხერხდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში იმდენად დაიკავებს მართებულ პოზიციას, რამდენადაც ერთიანობის იდეას ყველა სხვა იდეაზე მაღლა დააყენებს, როცა ყველა ჩვენთაგანს თავად ეს მოძრაობა ეყვარება და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში.

საქართველოში ეთნიკური კონფლიქტების გაღრმავების თავიდან ასაცილებლად საჭიროა იმ მშენებლობების შეჩერება, ხელოვნურად რომ იწვევს არაქართველი მუშახელის მოზიდვას საქართველოს საზღვრებს გარედან, მეორეს მხრივ, პირიქით, მშენებლობების დაწყება და გაფართოება (ძირითადად საცხოვრებელი სახლებისა) არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. რა დასამალია, და ჩვენი მიზანია, ქართველების დაბრუნებით ამ ადგილებში დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენა, რათა საბოლოოდ გავუნელოთ ქართულ მიწაზე ავტონომიების შექმნის სურ-

ვილი ზოგიერთი არაქართველი ეროვნების წარმომადგენლებს, გზა გადავუღობოთ ქართული მიწების საქართველოდან მოწყვეტისა და მეზობელი ქვეყნებისათვის მათი გადაცემის მცდელობებს. ამგვარი მოქმედება დემოგრაფიული კრიზისის მშვიდობიანად მოგვარების მშვიდობიან საშუალებად მიგვაჩნია შეგონება ან გაფრთხილება იმ არაქართველებისა, რომლებიც ხელს გვიშლიან საქართველოს ტერიტორიაზე დემოგრაფიული პოლიტიკის ეროვნული თვალსაზრისით გატარებაში. ახალი ავტონომიების შექმნისა, ან ქართული მიწების სხვისთვის მიერთების მსურველებს პირდაპირ ვეუბნებით: ან გონს მოეგეთ, ან დაუყოვნებლივ დატოვეთ საქართველოს მიწა-წყალი. ზოგიერთ რეგიონში, მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ არაქართველებმა იარაღი იხმარეს, თუმცა ამ ბარბაროსთა მიმართ შურისგებისა და გენოციდის მცდელობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ინციდენტის განმეორების შემთხვევაში, ბანდიტები გამანადგურებელ დარტყმას მიიღებენ.

ეთნიკური კონფლიქტი საქართველოში მიწათმოქმედების სფეროზეც ვრცელდება. ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში მოღალატე ქართველების მეშვეობით დატაცებულ მიწებზე აზერბაიჯანელები მიწათმოქმედების წმინდათა-წმინდა კანონების დანაშაულებრივ შერყვნას ეწევიან და თბილისს აწვდიან ქიმიკატებით მოშხამულ პროდუქტებს. რაღა ტყვია გისვრია და რაღა საწამლავი მიგიწოდებია კაცისათვის, ისიც ამდენისათვის ერთად. ეს ქიმიკატები წამლავენ არა მარტოოდენ მცენარეებსა და მათი მეშვეობით ადამიანებს, არამედ სპობენ ცხოველთა პოპულაციებსაც, თევზს, ფუტკარს, აბრეშუმის ჭიას. ერთი სიტყვით, ისინი ღმრთივმშვენიერი ბუნების დაუძინებელი მტრები არიან, ჩემი ღრმა რწმენით სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ უნდა იქნეს ახალი მუხლი, რომელიც ნაკვეთის ჩამორთმევით დასჯის მინერალური სასუქის ბოროტად გამომყენებლ პირებს, საერთოდ, უნდა აღიკვეთოს მინერალური სასუქის სოფლის მეურნეობაში გამოყენება. მიწათმოქმედების მარადიული ტრადიციის მიხედვით, ნიადაგი უნდა ნოყიერდებოდეს მცენარეული და ცხოველური სასუქით. რადგან ქართველი კაცის მტერი კონკრეტულ შემთხვევაში ღვთისა და ბუნების მეტრიც გამოდის, ჩემი აზრით, ისევ ქართულ მოსახლეობას უნდა დაუბრუნდეს თბილისის ბოსტნეულითა და ხილით მომარაგების პრიორიტეტი, რაც მას გამოსტაცა დიღმისა და გლდანის საბოსტნე სავარგულების მშენებლობისათვის გამოყენებამ. უნდა მოიძებნოს ახალი, ალტერნატიული საშუალებები, მაგალითად, მიწები თბილისსა და რუსთავს შორის უნდა გადაეცეს ქართველ კოოპერატო-

რებს, რომლებიც მათ მიერ მოყვანილ ბოსტნეულს გაყიდიან საკუთარ კოოპერატიულ მაღაზიებში, რასაკვირველია, იაფად, როგორც თვითნაწარმ და არა სპეკულაციურ ფასებში შეძენილ პროდუქტებს, რითაც საგრძნობლად დასწევენ ბაზრის ფასს და ჯანსაღი კონკურენციის მეშვეობით გააძევებენ მოწამლულ პროდუქტებს და მათ კრიმინალურ პატრონებს საქართველოს ბაზრებიდან და ალბათ, საქართველოდანაც, რადგან ფარული ომი აქ, მიწაზე გაბატონებისათვის მიმდინარეობს. გადამთიელისათვის იგი დანაშაულებრივი ხერხით იოლი გამდიდრების საშუალებაა. ჩვენთვის კი იგი ისევ საკრალურ მოქმედებად უნდა იქცეს. ჭეშმარიტმა გეორგიანულმა თერაპიამ აქაც შეიძლება იხსნას საქართველო.

როგორც ჩანს, დასავლეთს არ სურს გორბაჩოვისეული „პერესტროიკა“ სსრკ-ში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ანაცვალოს. გრძელვადიანი მოლაპარაკების გამო მას ეშინია კიდეც სტაბილური მდგომარეობის დარღვევისა სსრკ-ში, რაც შესაძლოა დამონებული ერების მისგან გამოყოფის მცდელობამ გამოიწვიოს. ზოგიერთებს დასავლეთში შესაძლოა იმიტომაც აწყობდეთ სსრკ-ში დღევანდელი მდგომარეობის შენარჩუნება, სოციალიზმი ნედლეულის ქვეყნად დარჩენის გარანტიას რომ უნაღდებს მათ. დასავლეთის ქვეყნების ფრთხილი დამოკიდებულების მიზეზები სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი არასუვერენული ერების მიმართ ნატოს ბლოკის თავდაცვითი ხასიათიდანაც გამომდინარეობს, იგი არ გახლავთ ის ძალა, რომელიც ჩაერევა იმპერიის მიერ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ მრავალგზის ნაცადი სისხლიანი რეპრესიების გამოყენების შემთხვევაში. ამიტომ აფრთხილებს ზოგჯერ დასავლეთი ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ჩვენგან დიდ შემწეობას ნუ მოელითო. როგორც ჩანს, ადგილი აქვს გარკვეულ გარიგებასაც, რის შედეგადაც სსრკ-ს მიერ ინტერნაციონალური სოლიდარობის საბაბით დედამიწაზე ცხელი წერტილების შექმნაში ინტენსივობის შემცირება პირდაპირპროპორციულია სსრკ-ში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩარევის ინტენსივობის შემცირებისა, რაც არ უნდა მოხდეს, დასავლეთი მაინც რჩება მსოფლიო დემოკრატიის ციტადელად, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს დემოკრატია თანდათანობით კარგავს თავის მებრძოლ ხასიათს, ამიტომაც, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საბჭოთა კავშირში, ძირეულად ისევ საკუთარ თავს, საკუთარ ძალებს უნდა დაეყრდნოს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი განუყოფელია პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვების პროცესისაგან.

მაგალითად, საქართველოს უწყებების (სამინისტროების, კომიტეტების) გამოთავისუფლება ბოლშევიკური იმპერიის უწყებებიდან, რაც უსათუოდ უნდა დაიწყოს, ერთდროულად პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესი იქნება. თანდათანობით საკავშირო დაქვემდებარებიდან უნდა გამოვიდეს კულტურისა და განათლების მთელი სისტემა, ნებისმიერი წარმოება და დაწესებულება: კურორტები, ფაბრიკა-ქარხნები, საპროექტოები. სჯობს, ქარხანა საერთოდ გაუქმდეს, ვიდრე საკავშირო დაქვემდებარებაში იმყოფებოდეს. ქარხანა, რომელიც მთლიანის რაღაც დეტალს ამზადებს, ეროვნული ეკონომიკის მტერია და უწინარეს ყოვლისა, იმპერიის ძლიერებას ემსახურება. ამიტომ, ნებისმიერი დაწესებულება, მეურნეობისა თუ წარმოების ნებისმიერი დარგი საქართველოში უნდა იყოს მთლიანი, სრული და თავისუფალი ორგანიზმი და არა ატომი, თუ შემადგენელი ნაწილი რაღაც მთლიანისა. აქ შეიძლება შემოგვედაონ: საბჭოთა სინამდვილეში დაუშვებელიაო უწყებების ამგვარი გამოთავისუფლება. მაგრამ თუკი არაფორმალური ორგანიზაციები და მთლიანად ქართული საზოგადოებრიობა ამგვარ უწყებებს მიუდგებიან არა როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, არამედ სპეციალობათა მიხედვით ჩამოყალიბებულ გაერთიანებებს, ხოლო მათ ხელმძღვანელებს მიიჩნევენ სპეციალისტებად შესატყვის დარგებში, ამასთან, აქციების მეოხებით აიძულებენ მათ არ დაემორჩილონ მოსკოვის დირექტივებს, იყვნენ დამოუკიდებელნი, გაატარონ საკუთარი ეროვნული ხაზი, ესწრაფონ მათდამი მინდობილი უწყებების პრაქტიკულ გამოყოფას და საკუთარ საფუძველზე დაყენებას, და თუ ამგვარი სულისკვეთება ნებისმიერი დარგის და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციების წიაღს განმსჭვალავს, უთუოდ გადავდგამთ გარკვეულ ნაბიჯებს ერთდროულად პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ. ხოლო სრული დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, რომელიც მარტოოდენ იმპერიის დამნგრევის ან დასავლურ ყაიდაზე მისი სრული გარდასახვის შედეგი შეიძლება იყოს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები საქართველოში სულ სხვა მასშტაბებით განისაზღვრება. საკუთარი თავისა და ქვეყნის უძრავ-მოძრავი ქონების ბატონ-პატრონობა, დაგეგმარებისა და რესურსების განაწილების, აგრეთვე პარტნიორი ქვეყნების არჩევის თავისუფლება, ენთუზიაზმი და გამომგონებლობა, ინდივიდუალიზმით აღბეჭდილ თავისუფალ მწარმოებლობას რომ ახლავს თან, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სავსებით ახალ განზომილებებს გულისხმობს. განზომილებებს, რომელსაც მარადიული ღირებულებების გვირგვინს დაადგამს ღვთის რწმენისა და სულის უკვ-

დავების იდეა, მსოფლიო რელიგიური მიღწევები. ყოველივე ამას კი საფუძველი დღესვე უნდა ჩაეყაროს. ამის წანამძღვრები ახლავე ჩვენს სულში, ჩვენს ხასიათში უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც შედეგი ამ მძიმე, დაკაბალებულ მდგომარეობაში წარმოუდგენელ წინააღმდეგობათა დაძლევისა, ტიტანური ძალისხმევით შეუძლებლის შესაძლებად ქცევისა, რადგან სასიკეთო ძვრები ღვთისა და ისტორიის წინაშე მარტოოდენ შეუძლებელთან ჭიდილით აღინუსხება.

მერაბ კოსტავა
გაზ. „ლიტერატურული საქართველო'
6 ოქტომბერი, 1989 წ.

რატომაა საჭირო ნაციონალური არმია

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საბჭოთა ხალხების დისკრიმინაციისა გახლავთ ის, რომ მათ არ გააჩნიათ ნაციონალური არმია. არსებული არმია უაღრესად რუსულია, რადგან რუსულ ენაზე ფუნქციონირებს და მის შემადგენლობაში მყოფი არარუსი ხალხების წარმომადგენელთა დეგრადაციასა და დენაციონალიზაციას იწვევს. არმია სახელმწიფოებრივი ეროვნების განუყოფელი, ორგანული ნაწილია და მოწოდებულია დაიცვას მშობლიური მიწისა და საკუთარი ხალხის ღირსება. მოქალაქის საუკეთესო თვისებები, პატრიოტული მოვალეობის აღზრდა წარმოუდგენელია ნაციონალური არმიის გარეშე, მაგრამ საუბედუროდ, საბჭოთა კავშირში შემავალი ეროვნებები მოკლებული არიან ამგვარ შესაძლებლობას. ამიტომ გასაკვირი როდია, არარუსთათვის საბჭოთა არმიაში სამსახური ერთობ მძიმე უღელს რომ წარმოადგენს. თუკი რუსი მამაკაცი არმიაში სამსახურის გარეშე თავს არასრულფასოვნად მიიჩნევს, ხოლო რუსი ქალიშვილები ყველაზე მეტად ჯარისკაცებს აფასებენ, ასე როდია სხვა ეროვნების შვილთა ცხოვრებაში. ნებისმიერ ქართველ ჭაბუკს, თითქმის გამონაკლისის გარეშე, ჭირის დღესავით სძაგს არმიაში სამსახური და მისი მშობლებიც არაფერს ზოგავენ, როგორმე დაიხსნან ისინი ამგვარი უსიამოვნებისგან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებზე. არა, ვაუკაცობა და ძალგულოვნება მათ

არ აკლიათ, მაგრამ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ნებისმიერმა, როგორც ჭაბუკმა, ასევე მშობელმა უწყის: სწორედ ის არმიაა იმპერიის არსებობისა და მათი დამონებული მდგომარეობის განმამკვიდრებელ-გამახანგრძლივებელი, ხოლო შეგნებული შოვინისტი რუსისათვის, როგორც იმპერიის გამარჯვებული შვილისათვის, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ჯარისკაცობით და ამგვარ არმიით თავის მოწონება. ხელისუფლებას ასეთი არმია ხალხების დაახლოებისა და ურთიერთშერწყმის ასპარეზად მიაჩნია. სინამდვილეში იგი მხოლოდ ხალხების „მკვლელობას“ უწყობს ხელს, რაც მათ უსახო ნაცრისფერ მასად გადაქცევას ნიშნავს, არცაა გასაკვირი, რომ ამგვარ არმიაში შეგნების დაბალი დონე ისადგურებს. ეგრეთწოდებულ „მოხუცთა“ მიერ ახალწვეულთა საყოველთაოდ ცნობილი ტერორიზაციის გარდა იქ აშკარად მძვინვარებს ველიკორუსული შოვინიზმით მოწამლული ეროვნებათაშორისი ზიზღი. ბოლო ხანებში საბჭოთა არმიის რიგებში განსაკუთრებით გაძლიერდა არარუსი ჯარისკაცების აბუჩად აგდება და ჩაგვრა. მათ მიმართ ბაუპტვახტებში სხვადასხვაგვარი წამების გამოყენება, ზოგჯერ სიკვდილითაც რომ მთავრდება. ამა წლის აპრილში საბჭოთა არმიაში საყოველთაოდ ცნობილი წამებით – „ლასტოჩკით“ – მოკლულ იქნა მოსკოვის ოლქის 528/8 ნაწილის ჯარისკაცი, ზემო ალვანელი მამუკა არაბული. სხვადასხვა მეთოდებით ამავე წელს მოკლულ იქნენ აგრეთვე ჯარისკაცები: გიგო თენგიზის ძე წკიპოშვილი, მამუკა კოსტას ძე იმედაძე, ხვიჩა გიგოს ძე თორღოშვილი.

მიმდინარე წლის ოთხი თვის განმავლობაში, როგორც მამუკა არაბულის მამის, ირაკლის, მთავრობისადმი გაგზავნილ განცხადებაში ვკითხულობთ, ქალაქ თბილისის აეროპორტის ტვირთამწე პერსონალის მიერ ფიქსირებულია საბჭოთა არმიის სხვადასხვა ნაწილებში მომსახურე ჯარისკაცთა მკვლელობის 28 შემთხვევა. იგივე წყარო გვამცნობს, რომ „ლასტოჩკით“ სხვადასხვა დროს უწამებიათ ჩეჩენი სათოევი, ქართველი ბერეკაშვილი, სომეხი მურადიანი. არარუსთა შეურაცხყოფისა და წამების ამაზრზენ ფაქტებს მრავალი ჯარმოხდილიც ადასტურებს, მაშინ როდესაც მსგავსი მეთოდებით რუსი ჯარისკაცების წამების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. აქედან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოთხოვნას ქართველი ახალგაზრდობის მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოში გავლის შესახებ. ერთიანი რუსულენოვანი არმია ისე ვით ერთპარტიულობა, ანუ არდაშვება ოპოზიციისა, ამასთან, მთავრობის, სახელმწიფო ადმინისტრაციის პარტიისადმი, ცენტრალური კომიტეტისადმი დაქვემდებარება პირწავარდნილი ტოტალიტარიზმის საფუძველს წარ-

მოადგენს და ერთი კაცის, გორბაჩოვის მცდელობანი, განახორციელოს ლიბერალიზაცია მმართველობითი სისტემის საფუძვლიანი შეცვლის გარეშე, არავითარ სამომავლო გარანტიას არ იძლევა. ტოტალიტარიზმის დამღით განსაკუთრებით საბჭოთა არმიაა აღბეჭდილი, რადგან პირსისხლიან მონღოლებსაც კი, სიმამაცისათვის საომარ ოპერაციებში მონაწილეობას რომ ავალებდნენ ქართველებს, არასოდეს მოსვლიათ თავში საქართველოს სამეფოს გაუქმება, ქართული მხედრიონის მონღოლთა ჯარში აღრევა და გათქვეფა. ნაციონალური არმია ერთა დამოუკიდებლობის უმთავრესი ნიშანსვეტია და ამ თვალსაზრისით ვარშავის პაქტის ერები ახლოსაც ვერ მოვლენ ნატოს ქვეყნებთან. ნატოს ხალხებისა და არმიების უფლებები აშკარად თანაბარია. ნებისმიერი მათგანისათვის გარანტირებულია სამხედრო და ეკონომიკური კავშირიდან გასვლის თავისუფლება და მათთვის რომელიმე იდეოლოგიის, ან ენის, გარედან თავს მოხვევას არა აქვს ადგილი. ვარშავის პაქტის ქვეყნებს თუმცა გააჩნიათ ეროვნული არმიები, მაგრამ ყოველი მცდელობა, რომელიმე მათგანის კავშირიდან გასვლისა მუდამ სისხლიანი ტრაგედიით გვირგვინდებოდა, რუსის ჩექმა თავსმოხვეული მარქსისტული იდეოლოგიიდან გამოთავისუფლების საშუალებას არ აძლევდა მათ. სსრკ-ში შემავალ ხალხებს კი, როგორც აღვნიშნეთ, არათუ არმია, საკუთარი სამხედრო ნაწილებიც არ მოეძევება. ზემოაღნიშნულის შემდეგ თვალსაჩინო ხდება კარდინალური განსხვავება აშშ-ს და სსრკ-ს შორის. პარტნიორი ქვეყნებისადმი დამოკიდებულებაში პოტენციური უპირატესობის მიუხედავად, აშშ უდავოდ თანასწორუფლებიანი პარტნიორია ნატოს დანარჩენი ქვეყნებისა. იგი ცდილობს თითოეულმა მისმა მოკავშირემ რაც შეიძლება მეტი თანხა გაიღოს საკუთარი ეროვნული არმიის გასაძლიერებლად, მაშინ, როდესაც თბილისში მომხდარი 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ სსრკ-ში სავსებით გააუქმეს თითო-ოროლად შემორჩენილი ეროვნული ჯარის ნაწილები. მისი ოფიცრობა თადარიგში გაუშვეს. ვერც პრეზიდენტი, ვერც ნებისმიერი სამთავრობო კაბინეტი ვერ იძლევა ერთა სახელმწიფოებრიობის იმგვარ გარანტიას, როგორც ძლიერი ნაციონალური არმია. ასე რომ, შეერთებული შტატები პარტნიორთა სამხედრო პოტენციალის გაზრდით განაძლიერებს და განამკვიდრებს ამ ერების სახელმწიფოებრიობას, ხოლო საბჭოთა კავშირმა, პირიქით, იმიტომ მოსპო ჯარის უკანასკნელი ეროვნული შენაერთები, რომ ამ ხალხებში საბოლოოდ მოესპო სახელმწიფოებრიობის ნებისმიერი ელემენტი, გადაშენების გზაზე დაეყენებინა სსრკ-ში შემავალი ერები, რითაც დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთადერთ იმპერიად რჩება.

ამგვარია რუსეთის ნდობა საქართველოსა და ეგრეთწოდებული რესპუბლიკების მიმართ. აშკარად ვხვდებით, თუ რატომ უგულვებელყოფს იგი ერთა სუვერენულობის უცილობელ ატრიბუტს, ნაციონალურ არმიას. იმპერიის მესვეურებმა უწყიან, რომ საქართველოში ქართული ენის ფუნქციონირება აშკარად დაანახებს ქართველობას, თუ რა ურყევი და ორგანულია კავშირი სამშობლოს ჭეშმარიტ გაგებასა და ეროვნულ არმიას შორის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ კავშირს ჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებისათვის. მხოლოდ ასე თუ ამოიძირკვება ქართველების შეგნებიდან ღირსების შემლახველი აზრი: რომ თითქოს საქართველოს ურუსეთოდ, ანუ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. დიახაც, შეუძლია და ვერც სპარსეთი და თურქეთი დააკლებს რამეს, თუკი საკუთარი ძალებისადმი რწმენა დამკვიდრდება ქართველთა გულებში. ამგვარი რწმენის დამკვიდრება კი სხვა ყველაფერთან ერთად ეროვნული არმიისათვის ზრუნვით უნდა დაიწყოს. ქართველებმა სამხედრო სამსახური საქართველოში უნდა გაიარონ. ამით და აქედანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ეროვნული არმიის შექმნას, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის სამომავლო გარანტიას. საქართველო ქართველების საკუთრებაა და სახელმწიფოებრივი უფლებების განმტკიცებით ეროვნული მეობის განმტკიცება, თვითდამკვიდრებისა და პარტნიორ სახელმწიფოებთან გულწრფელი დამოკიდებულების ერთადერთ საწინდრად მიგვაჩნია. მხოლოდ ეროვნული არმიებით თვითდამკვიდრებულ პარტნიორ სახელმწიფოებს შორის შეიძლება ნაღდი, უმლიქვნელო მეგობრობა. სხვაგვარად შეუძლებელია საკუთარ ჭერქვეშ საკუთარი თავის ბატონ-პატრონობა და ჭეშმარიტი მასპინძლობა. ოდესღაც დავით აღმაშენებლისდროინდელი საქართველოს სიძლიერე სხვა ყველაფერთან ერთად როქის სპის შექმნამაც განაპირობა. მორიგე ჯარის შექმნისათვის ამაოდ როდი ირჯებოდა ერეკლე მეორე და სწორედ ამ იდეის ვერგანხორციელებამ ითამაშა ერთ-ერთი უმთავრესი როლი საქართველოს სამეფოს გაუქმებაში. სხვა რომ არა იყოს რა, ქუდზე კაცის დაძახება გამუდმებით უხდებოდა მთელი ისტორიის მანძილზე ქართველ სარდლობას. ვაჟკაცობაში გამუდმებით იწრთობოდა ერი, დღეს კი ამ სამართალდაცლილი მშვიდობის სიმდორეში წელკავმა დააძაბუნა ოდესღაც დუშმანის თავზე რისხვის დამთენებელი ქართველი მამაკაცი, მას აშკარად აკლია სულისა და სხეულის წრთობისათვის აუცილებელი ეროვნული არმია.

ეროვნულ არმიაში ათეულისა და ასეულის თითოეული წევრი უთუოდ იგრძნობს განსაცდელისას ურთიერთის სიცოცხლისათვის უზარმაზარ პასუხისმგებლობას და ამგვარ შემთხვევაში კაცი

ღმერთს ეკუთვნის და არა საკუთარ თავს. ასეთი ომი, ჰერაკლიტე ეფესელის თქმისა არ იყოს, „ყველაფრის ღმერთია“, ამგვარ არმიაში ერთნაირად ბათილდება სიტყვა სავალდებულო, იძულების ის უსიამოვნო განცდა, საბჭოთა არმიაში რომ სუფევს, დამპყრობლურ არმიათა საპირისპიროდ. ასეთია სამშობლოს დამცველთა არმიის მორალური უპირატესობა.

ზემოთქმულის შემდეგ ერთადერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: რუსეთის პარტნიორობას ვერ ვიწამებთ, სანამ სსრკ-ში შემავალ ეგრეთწოდებულ რესპუბლიკებს ეროვნული არმიების შექმნის უფლებას არ მისცემს. მანამდე იგი აშკარად დამპყრობლის როლში გვესახება. ხოლო ქართველ მშობლებს მოვუწოდებთ, აღიჭურვონ და იბრძოლონ, რათა მათმა შვილებმა სამხედრო სამსახური საქართველოში გაიარონ, ამასთან, ეროვნულ არმიაში, რადგან არსებულ პირობებში არმიაში სამსახურს ისევ ციხეში ჯდომა სჯობია.

მერაბ კოსტავა
1989 წლის 10 აგვისტო

თავისუფლება ენგურს!

(მერაბ კოსტავას სიტყვა, წარმოთქმული
მესტიაში 1988 წლის სექტემბერში)

მეგობრებო, როგორც კი სვანეთში ჩამოვედი, მე გავიგე, რომ სადაც ახლა ხუდონჰესი შენდება, იქ ყოფილა წარწერა: „ენგურო, ჩვენ რამდენიმეგზის უნდა დაგიმორჩილოთ შენ“. რამდენიმეგზის დამორჩილება ნიშნავს რამდენიმე ჰესის აგებას, ანუ ენგურის გვირაბებში გატარებას, ენგურის კალაპოტის დაშრობას გარკვეულ რეგიონებში და ა.შ. მე ვიტყოდი, რომ ეს ენგურის დამორჩილების სურვილი კი არ არის, არამედ ენგურის მოკვდინების სურვილია, მეგობრებო, ე.ი. უნდათ ენგური მოკლან. ენგურმა თუ ის კალაპოტი არ გაიარა, გესმით, ენგურზე თუ ისეთი ნაწარმოებები არ დაიწერა, როგორიც იყო „მთვარის მოტაცება“, „ალმაცგირ კიბულან“, ალმაცგირ კიბულან თავისი შვილის საშველად გაცურავს ენგურს და შევა ზღვაში, როდესაც ქართული ვაჟკაცობის ეს ემოცია გადმოიღვრება ქართულ ქმნილებაში, ამის განმაპირობებელი არის საქართველოს ბუნება და უპირველეს ყოვლისა, ენგური. და თუკი ენგურის მოდ-

იდებას ჩვენ ვერ ვნახავთ, თუკი ჩვენ ვერ ვიგრძნობთ იმას, რაც იგრძნო თარაშ ემხვარმა, როდესაც ადიდებული ენგურის გადალახვა სწადდა, თუკი ჩვენ მთელ ამ სილამაზეს, მშვენიერებას, რაც ჩვენ განგებამ გვიწილადა, ვერ ვიგრძნობთ, მაშინ, რასაკვირველია, ვერც ერთი ჰესი, ვერც ერთი ენერგეტიკული საშუალება ვერ გაამართლებს იმას, რასაც ჩვენ ვკარგავთ. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ ბუნების ქმნილებებს და საერთოდ მთელ დედამიწას. ამერიკის მთელ კონტინენტზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ განლაგებულია ანდები და კორდილიერები, და ასევე ევროპასა და აზიაში მთიანეთი გასდევს ევროპიდან, ალპებიდან ჰიმალაიმდე. ეს ერთი ხაზია. გადმოდის კავკასიონზე, შუა აზიაში – პამირი, ტიანშანი და გადადის სამხრეთისაკენ. ჩვენ ვხედავთ, რომ რაც უფრო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოდიან ეს მთები, მით უფრო მაღლდებიან. იმიტომ, რომ ზემოთ არის ზოლი მარადიული მყინვარებისა და მარადი თოვლისა, რომელიც განგებამ იმისთვის შექმნა, რომ კაცობრიობას ჰქონდეს ისეთი ფენომენი, როგორიც არის მდინარე, მდინარე – ეს არის ადამიანის ცხოვრების წყარო. უწინ ყველამ იცოდა, რომ თითოეულ მდინარეს ჰყავდა თავისი ღმერთი. ეს ძველმა ბერძნებმაც, ძველმა ინდოელებმაც იცოდნენ. დიდი კულტურები იქ შეიქმნა, სადაც დიდი მდინარეებია.

ეგვიპტელები აღმერთებდნენ თავიანთ ნილოსს, ასევე ინდოელები – თავიანთ ორ მდინარეს, ასევე შუამდინარეთში აღმერთებდნენ მდინარეებს და კულტურაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადადიოდა და სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ... მიდოდა ზღვისაკენ... ეგვიპტის კულტურა დაიწყო ნილოსის შუა წელში, გადავიდა დელტაში. ასევე მოხდა ინდოეთში, შუამდინარეთში, ე.ი. მე რატომ ვლაპარაკობ ენგურზე. იგი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა, მთელი ამ რეგიონის მაცოცხლებელი და მასულდგმულებელი და იგი ვერ უნდა დაიმორჩილოს ადამიანმა რამდენგზის კი არა და ერთგზისაც. და თვით სიტყვა დამორჩილება ბუნებისა, მეგობრებო, ეს არის ბოროტება და ეს არის მკრეხელობა...

დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია

საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი გათვალისწინებულია იმავე მიზნების აღსასრულებლად, რაიც თავს იდვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ილიას მიერ დაარსებულმა სათავადაზნაურო ბანკმა. როგორც

ერთი, ისე მეორე ორგანიზაციის მიზანი იყო და არის – ქვეყნის მძიმე დემოგრაფიული და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, ქრისტიანულ-საქველმოქმედო საქმეთა განხორციელება, ქვრივთა, ობოლთა, უპოვართა, ხეიბართა და მარტოხელა მოხუცთა მოკითხვა და მოვლა-პატრონობა ეროვნული ნიშნის მიუხედავად, ვინაიდან გაჭირვება და სიკვდილთან მიახლოება ნებისმიერი ერის შვილს ათანასწორებს.

თავის დროზე ფრანგმა უტოპისტმა სოციალისტმა სენ-სიმონმა შენიშნა, რომ როგორც პიროვნებას, ასევე სახელმწიფოს შეუძლია არსებობა პროდუქციის წარმოების ან კორუფციის გზით.

სსრ კავშირი დაადგა არა პროდუქციის წარმოების, არამედ სხვადასხვა ფორმით კორუფციის გზით არსებობას. მოქალაქეთა ხელფასები და პენსიები არ შეესაბამება საარსებო მინიმუმს, რაც სტიმულს არ აძლევს საზოგადოების განვითარებას. სსრ კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკა და ეროვნება განიცდის მძიმე ეკონომიკურ და მორალურ კრიზისს. ყოველივე ამან გამოიწვია საზოგადოების ნაწილის გარყვნა. ზემდგომ ორგანოთა წარმომადგენლებს დაარქვეს კორუმპირებული ელემენტები, ხოლო მუშებსა და გლეხებს – „ნესუნი“. ახლად დაარსებული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შრომის სტიმულირების გზით საქართველო აქციოს პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნად, ხელი შეუწყოს ერის ეთიკურ-ზნეობრივ გაჯანსაღებას.

ცნობილი დანიელი მეცნიერის ჰანს სელიეს აზრით, ფული არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს, მაგრამ მასზე გადის, მისგან გამომდინარეობს და მისი მეშვეობითაა შესაძლებელი ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი და სხვა საკითხების გადაწყვეტა. აღნიშნულ ფონდში ფულადი სახსრების ჩარიცხვა ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

მოგიწოდებთ ცალკეულ პირებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და კოოპერატივებს, რომ თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყოველწლიურად გადარიცხოთ ფულადი სახსრები საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდში.

მერაბ კოსტავა
12.10.1989 წ.

საკრავები, მუსიკოსები, გონიერება...

ვინც თვალს გადაავლებს საკრავიერი მუსიკის მდგომარეობას ჩვენში, მაშინვე შეამჩნევს პიანისტების სიჭარბეს სხვა ინსტრუმენტალისტებთან შედარებით. ერთი შეხედვით, ეს არც თუ ისე დიდი ხარვეზია მუსიკალური კულტურისა. ფორტეპიანო მეტად პოპულარული ინსტრუმენტია. მისთვის მრავალი გამოჩენილი კოპოზიტორი წერდა ჩინებულ ქმნილებებს, რომელთაც ასრულებდნენ გამოჩენილი და ამჟამადაც ასრულებენ შესანიშნავი პიანისტები. მაგრამ საქმის არსში მეტი ჩაღრმავება წარმოაჩენს იმ სერიოზულ საშიშროებას, რომელიც უთუოდ მოსდევს საფორტეპიანო მუსიკის გადაჭარბებულ პოპულარიზებას.

რა არის ფორტეპიანოს ასეთი პოპულარიზების მიზეზი და არის თუ არა იგი მართლაც სიმებიანი და სასულე საკრავებზე მნიშვნელოვანი?

ფორტეპიანოს პოპულარობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ასათვისებლად შედარებით უფრო ადვილია. თუკი ბალღს აკვანთან უხეიროდ ნათქვამმა იავნანამ არ გაუმრუდა ყურთასმენა, ასე თუ ისე, იგი მოახერხებს დამახსოვრებული მოტივის ცალი თითით აწყობას, და ეს იმიტომ, რომ ფორტეპიანო ტემპერირებული საკრავია ყოველი კლავიშის წინასწარ განსაზღვრული სიმაღლით. მისი აბგერება (მხედველობაში არა მაქვს ყღერადობის ხარისხი) არ მოითხოვს სმენის რაიმე დაძაბვას. ხემიან და სასულე საკრავებზე სუფთა ბგერის ამოღება კი ამწყობის სმენას საჭიროებს. სწორედ ამიტომაა, რომ ფორტეპიანოს თავს აფარებს მრავალი უსმენო ადამიანი, რომელიც საერთოდ ვერ ისწავლიდა ხემიან და სასულე საკრავებზე დაკვრას, რადგან ისინი იმთავითვე სმენის მაღალ მონაცემს მოითხოვენ. ამიტომ სამწუხაროა ჩვენში მრავალი მშობლის არასერიოზული, ზერელე დამოკიდებულება თავიანთი შვილების ბედისადმი, როცა ისინი ყურად არ იღებენ საქმეში ჩახედული ადამიანების შეგონებას და ხემიანი, ან სასულე საკრავების ჯიუტად უარმყოფელნი, მაინც საფორტეპიანო განყოფილებაზე აბარებენ შვილებს. ეს ამბავი რამდენადმე ხელს უშლის მუსიკალური კულტურის სწორ განვითარებას ჩვენში.

სარეგისტრო სივრცის, ჰარმონიული და დინამიური შესაძლებლობების მიუხედავად, ფორტეპიანო ბევრად ჩამოუვარდება ცალკეულ ხემიან და სასულე საკრავებს, რადგან თითოეული მათგანის ტემბრი განუმეორებელ ცოცხალ ფერად წარმოგვიჩნდება, ხო-

ლო მათი სხვადასხვა საანსამბლო და საორკესტრო შეხამებანი კი ფერთა უსაზღვრო ოკეანეს აღმოაცენებს. საფორტეპიანო ხმოვანება ისევე ვერ შესწვდება საანსამბლო ან საორკესტრო ხმოვანებას, როგორც გრაფიკა ფერწერას, მშრალი აბსტრაქცია ხატოვან აზროვნებას, ან ღრუბლიანი, ნაცრისფერი დღე სინათლით აღვსილ მზიან დღეს. რანაირად წარიმართებოდა მხატვრების საქმე, უმრავლესობა მხატვრობისა რომ გრაფიკოსობდეს მხოლოდ და უგულებელჰყოფდეს ფერწერას?

ამგვარი შედარებით ჩვენ როდი უარვყოფთ ფორტეპიანოს მთელ რიგ ღირსებებს. განა გრაფიკა დასაძრახი სფეროა მხატვრობისა? განა ფერმწერთათვისაც სავალდებულო არ არის მისი ფლობა? ასევე სავალდებულოა ფორტეპიანო ყველა განხრის მრავალი დიდოსტატი უპირატესობას ფერს ანიჭებდა ყოველთვის. რა უფრო ახარებს თვალს, ფანქარში შესრულებული მთლიანი პეიზაჟი, თუ რაიმე მონაკვეთი ფერწერული პეიზაჟისა, დავუშვათ მშვენიერი გამჭვირვალე ფერი ცისა? დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულებაა ფორტეპიანოსა და სხვა საკრავებს შორის და რაც უფრო სრულქმნილია საფორტეპიანო შესრულება, მით უფრო უახლოვდება მისი ხმოვანება საორკესტრო ტემბრებს; და მაინც, შეუძლებელია ფორტეპიანოზე თუნდაც ისეთი პასტორალური განწყობილების შექმნა, ხის სასულე საკრავებსა და ვალტორნებს რომ ხელეწიფებათ. მისთვის ასევე მიუღწეველია პიკოლოებისა და ფაგოტების სარკაზმი ან იუმორი, საყვირთა ან ტრომბონთა ნებელობა და ძალისხმევა, ხემიანთა ჯგუფის გულიდან ამომდინარე სითბო და ამაღლებული გრძნობები და ა.შ.

ეს ამბავი კარგად უნდა შეიგნონ მშობლებმა. ნიჭით კეკლუცობა და თავის მოწონება კი არა, არამედ დიდი მუსიკის სარბიელისათვის ფიქრია აქ უმთავრესი საზრუნავი. საუბედუროდ, მშობლებს როდი ემეტებათ თავიანთი შვილები ანსამბლებისა და ორკესტრების წევრებად. ძნელია იმასაც „დაელოდო", სანამ ბავშვი სუფთა ბგერას ამოიღებს ხემიანი ან სასულე საკრავიდან, რაც გაცილებით იოლი მისაღწევია ფორტეპიანოზე.

ფორტეპიანოს კონსტრუირებაში სხვა ინსტრუმენტებზე მეტად ჩაერია ადამიანური განსჯა. ლითონის ჩარჩოზე გადაჭიმულ სიმთა სიგრძის თანდათანობით შემცირება, — რეგისტრს რომ ამაღლებს — აქ ფიზიკისა და მათემატიკის წინასწარგანსაზღვრულ კანონებს ექვემდებარება. ამგვარი ტემპერირებული საკრავის შექმნა კაცობიობის თავისებურებებმა განაპირობა. ტემპერაცია მუსიკაში ისეთივე აუცილებელი გახდა, როგორც ოდესღაც ძველებურ მხატ-

ვრობაში (აპოლოდორე ათენელი) სამგანზომილებიანობის შემოღება. ბერძნული არქიტექტურისა და სკულპტურის სივრცული ელემენტი ფერწერაში აღიბეჭდა. მხატვრობაში იშვა ინტერიერის შეგრძნება, სივრცეში საგანთა კონტურების მკაფიო გამოკვეთით და სიშორეზე დამოკიდებული პროპორციებით. დრომ მოიტანა და ასევე აუცილებელი გახდა მუსიკაში თორმეტი ტონის გამოკვეთა და დასაზღვრა, ანუ ტემპერირება. ეს პროცესი თანდათანობით მზადდებოდა და საბოლოოდ მკაცრი სტილის პოლიფონიის აღმავლობისას დაგვირგვინდა. კლავისინი და ფორტეპიანოც ხომ ამავე პროცესის პირმშონი არიან. კლავიატურის აგებულება უდავოდ მეტყველებს ბგერათა დასაზღვრაში მხედველობის ფუნქციის გაზრდილ როლზე. ადამიანი აღარ ენდობა საკუთარ სმენას (ასევე აღარ ენდო იგი ოდესღაც თავის მეხსიერებას, როდესაც პირველად ჩასწერა საკრალური წიგნები: ბიბლია, მანუს კანონები, ილიადა და ოდისეა და სხვა, მანამდე ზეპირად რომ გადადიოდნენ თაობიდან თაობაზე), ან არ სურს სმენის დაძაბვით ზედმეტად თავის შეწუხება. იგი ეძებს კომფორტს და განსჯითი აზროვნების ჩარევით იგონებს ფორტეპიანოს. სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე უწოდა ამ ინსტრუმენტს მეოცე საუკუნის გამოჩენილმა მოაზროვნემ და ესთეტმა რუდოლფ შტაინერმა საკრავთა შორის ყველაზე ფილისტერული ინსტრუმენტი.

ხოლო რაც შეეხება ხემიან და სასულე საკრავებს, ისინი განსჯაზე უფრო ადამიანის ნათელხილვითმა ინტუიციამ და ხატოვანმა აზროვნებამ ჩამოჰქნა. ხემიან საკრავზე რეგისტრის ასამაღლებლად კონსტრუქტორის ნაცვლად შემსრულებლის მარცხენა ხელი ამცირებს დაკვრის პროცესში სიმების სიგრძეს. ბგერათა მიგნება და დასაზღვრა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, შემსრულებლის სმენით, მისი კერძო ინიციატივით წარმოებს. ამგვარი აქტიურობა უფრო ბუნებრივია, რადგან ადამიანიც ხომ თავისი სმენის მეოხებით პოულობს სიმღერის დროს ბგერათა სიმაღლეს. ადამიანი კი თავადაა შემოქმედის სუნთქვით განმსჭვალული ბუნების გვირგვინი და უსრულქმნილესი ინსტრუმენტი.

ასე რომ, პიანისტების საპირისპიროდ ვოკალისტები, ხემიანი და სასულე საკრავების სპეციალისტები, თვით არიან მუსიკის ტემპერატორები. ისინი თავად გამოჰყოფენ დაუნაწევრებელი ხმოვანების ქაოსიდან ბგერათა კოსმოსს, ვითარცა შვიდი ცდომილისა და თორმეტი ზოდიაქოს ურთიერთქმედებათ მიკროკოსმიურ ანარეკლს (გამმის შვიდი საფეხური და თორმეტი ნახევარტონი). მათი გზა სმენიდან ბგერისაკენ მიემართება, პიანისტებისა კი პირუკუ (განსაკუთრებით პირველ ხანებში), ბგერიდან სმენისკენ. ამრიგად, ხემიან და

სასულე საკრავთა ბგერების წარმოებაში კოსმოსურ ურთიერთობათა უფრო კრეაციონისტული პრინციპი ირეკლება, ფორტეპიანოსთან მიმართებაში კი უფრო მექანიკური, – პირველ შემთხვევაში თავისუფლება, ხოლო მეორეში აუცილებლობა.

ხემიან და სასულე საკრავთა „ადამიან-ინსტრუმენტიდან" წარმომავლობა სხვა ფაქტორებითაც მტკიცდება. მაგალითად, პირველთაგან ვიოლინო ადამიანის მაღალი ხმის, სოპრანოს დიაპაზონს შეესაბამებოდა და მარტოოდენ სამი პოზიციით შემოიფარგლებოდა. დანარჩენი პოზიციები მხოლოდ შემდგომ იქნა ათვისებული. იგივე ითქმის სხვა ინსტრუმენტებზეც; უფრო მეტიც, ხემიანი საკრავები თავიანთი ფორმითა და შინაარსით ადამიანის, ვითარცა მიკროკოსმოსის ჭეშმარიტ ხატს, ანუ იმაგინაციას წარმოადგენს. მათი ხატოვანი კორპუსები ადამიანის ტანის ასოციაციას ჰბადებენ კიდურების გარეშე; მათი მრავალნაკვთიანი ფორმები მხატვრის მიერ ჩამოქნილს ჰგვანან უფრო, ვიდრე კონსტრუქტორის განსჯითი აზროვნების ნამოქმედარს. ხემიან საკრავთა თავი კი, სიმთა სამაგრი მოქლონებით, თავისებური სიმბოლოა ადამიანის აზროვნებისა, რომელიც თავად არის სამაგრი და მარეგულირებელი გრძნობათა და ლტოლვათა ქაოსისა...

ზემოხსენებულ საკრავთა დაპირისპირებას მეტს აღარ გავაგრძელებთ, რადგან ჩვენი მიზანია არა აგიტაცია, არამედ თავისუფლების პრინციპის დაცვა, რაც მხოლოდ ცნობიერებაზე ცნობიერებით ზემოქმედებაში გამოიხატება. ადამიანის ყოველი მოქმედება საჭიროებამ და გარემოს მოთხოვნილებამ უნდა განაპირობოს. სხვა არა იყოს რა, ჩვენს მუსიკალურ კულტურას დღეს ინსტრუმენტალისტები უფრო სჭირდება, ვიდრე პიანისტები. ნებისმიერ ორკესტრს ან ანსამბლს ერთი ფორტეპიანოც ეყოფა (ზოგჯერ ისიც არ არის საჭირო. აქ მხედველობაში არა გვაქვს სპეციალური შემთხვევები), მაშინ, როდესაც ფართო მოთხოვნილების მიუხედავად, ინსტრუმენტალისტების აშკარა სიმცირე იგრძნობა მუდამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენში საგრძნობლად დარღვეულია ბალანსი პიანისტებსა და სხვა მესაკრავეთა შორის, რაც უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ორკესტრების და ამასთან, მთელი მუსიკალური ცხოვრების დონეზე.

ჩვენში ერთბ საშურია შეიქმნას რამოდენიმე სპეციალური საინსტრუმენტო-სამუსიკო სკოლა, სადაც განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები ორ ან სამ ინსტრუმენტს აითვისებენ. მათთვის აუცილებელი უნდა იყოს თითო ხემიანი და სასულე საკრავის ფლობა და ამასთან ფორტეპიანოსი, როგორც სავალდებულო საკრავისა. თვით-

მიზანს მარტოოდენ ვირტუოზ-შემსრულებელთა მომზადება კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ კომპოზიტორების, დირიჟორების, ანსამბლებისა და ორკესტრის სრულფასოვანი წევრების აღზრდაც. გათვალისწინებული უნდა იქნას წარსულის პრაქტიკა. უმეტეს შემთხვევაში მსოფლიოს უდიდესი კომპოზიტორები ხომ რამდენიმე საკრავს ფლობდნენ (ჰენდელი, ბახი, ჰაიდნი, მოცარტი, შუბერტი, სიბელიუსი და ა.შ.). ამიტომ აღზრდის პროცესში, იდეალურად მათი გზა უნდა დავისახოთ, ბავშვი თავიდანვე უნდა ჩასწვდეს ტემბრთა მრავალფეროვნების იმ საიდუმლოებას, ხემიან და სასულე საკრავებს რომ გააჩნიათ. მან სიმფონიური მუსიკის ხმოვანება უნდა გაიშინაგანოს. ჩვენში ერთიც რომ იშვას ისეთი მუსიკოსი, რომელიც ერთდროულად გენიალური კომპოზიტორი და დირიჟორი იქნება, ჩვენი მუსიკალური კულტურის დონე წარმოუდგენლად გაიზრდება (ასეთი უნივერსალურები იყვნენ თავის დროზე რ. ვაგნერი, ჰ. ბერლიოზი, რ. შტრაუსი, გ. მალლერი, ი. სტრავინსკი). ყოველივე ამისათვის კი აუცილებელია აღმზრდელობითი პროცესის იმგვარად წარმართვა, ხელს რომ შეუწყობს ქვეცნობიერების წიაღში შთამალული ნიჭის სწორ აღმოცენებას.

კარგი ინსტრუმენტალისტების აღსაზრდელად ერთი მეტად საყურადღებო გარემოება უნდა იქნას გათვალისწინებული: მაღალმონაცემებიანი მოსწავლეები ხშირად ზიანდებიან სკოლებსა და სასწავლებლებში არამაღალკვალიფიციური პედაგოგების მეოხებით. ასე რომ, კონსერვატორიაში უკვე კარგ პედაგოგებს უჭირთ ხოლმე მათ მუშაობაში ადრე დაშვებული ხარვეზების გამოსწორება. საშუალოა იმგვარად განაწილდეს მაღალკვალიფიციური პედაგოგების განაკვეთი, რომ მათ მიეცეთ ერთდროული მუშაობის შესაძლებლობა, როგორც კონსერვატორიაში, ასევე მუსიკალურ ათწლედებში, რათა თავიდანვე სწორად წარმართონ მოსწავლეების აღზრდა, ხოლო კონსერვატორიაში ჩარიცხვის შემდეგ თავისსავე ჯგუფში დატოვონ ისინი. ამ საკითხით უნდა დაინტერესდნენ, როგორც სასწავლო დაწესებულებათა ადმინისტრაციები, ასევე ზემდგომი კულტურულ-ადმინისტრაციული დაწესებულებანი. კადრთა განაწილების უფალნი და კულტურის მესვეურნი თავად უნდა იცნობდნენ თითოეული პედაგოგისა თუ ხელოვანის შესაძლებლობას, რათა სათანადო ადგილი მიაგონ მათ ცხოვრებაში. ნიჭიერ ხელოვანთა ბედი მათ ღვიძლ საქმედ უნდა იქცეს, მხოლოდ ამგვარად თუ შეიძლება დაჩქარდეს ჩვენში საკრავიერი მუსიკის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სიმფონიური ორკესტრებისა და ანსამბლთა საშემსრულებლო დონის ამაღლებას.

ნებისმიერი განათლებული კაცისთვის აშკარაა, რომ კარგი საოპერო თეატრისა და სიმფონიური ორკესტრის გარეშე ქვეყნის სულიერი ცხოვრება ვერ ეზიარება სანუკვარ მწვერვალებს. ამისათვის აუცილებელი მაღალი კვალიფიკაცია კი მარტოოდენ სასწავლო დაწესებულებებზე როდია დამოკიდებული. არსებობენ სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომელთა გადაუჭრელად შეუძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა. უპირველეს ყოვლისა, საშუროა მუსიკოსთა ყურადღება მარტოოდენ ერთ საქმეზე იყოს კონცენტრირებული. სიმფონიური ორკესტრისა და საოპერო თეატრის მუსიკოსები ერთი სამსახურით უნდა შემოიფარგლონ. ექვსსაათიანი რეპეტიციები, კონცერტები, ან ყოველდღიური სპექტაკლები განა მცირე ჯაფას მოითხოვს მათგან? ფიზიკურთან ერთად ისინი ხომ უზარმაზარ სულიერ ენერგიას ხარჯავენ. ამიტომ სამართლიანი და აუცილებელია სიმფონიური ორკესტრისა და საოპერო თეატრის უმაღლეს კატეგორიაზე გადაყვანა. ხელფასის გადიდება მათ ხელს ააღებინებს დამატებითი სამსახურის ძებნაზე. ერთი გეზით წარმართული ენერგია კი საშემსრულებლო ხარისხსაც სრულჰყოფს.

ხელოვანი არც უპოვარი უნდა იყოს და არც თუ ძალზე მდიდარი, – პლატონის ეს ყველა დროისათვის ვარგისი აზრი შემდეგ გოეთემაც გაიმეორა ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ზედმეტი სიმდიდრე მართლაც ამძიმებს და აზარმაცებს ხელოვანს, რამდენადმე ადუნებს მის სულიერ ენერგიას, ხოლო სიღარიბე კი უსპობს ხელოვნებისათვის აუცილებელი საგნების შეძენის შესაძლებლობას და, ლუკმა-პურისათვის საშოვარზე გასულს, ართმევს სრულქმნისათვის აუცილებელ დროს. ასე, რომ უმთავრესად ეკონომიურ სფეროში ზომიერებაა ხელოვნებისათვის ხელსაყრელი. ამგვარად ზომიერებად მიგვაჩნია სიმფონიური ორკესტრისა და საოპერო თეატრის წევრთათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ უკვე მათ აღარ ეძებონ დამატებითი სამსახური. მხოლოდ ამის შემდეგ წარმოიშვება მორალური უფლება თითოეული მათგანისათვის უმკაცრესი მოთხოვნის წაყენებისა. ყოველი კონცერტი დღესასწაულს უნდა წარმოადგენდეს შემსრულებელთათვის და არა მოვალეობის მოხდას. ასეთ დღეებში დაღლილნი რად უნდა მოდიოდნენ ისინი სხვა სამსახურიდან? ამ პრობლემის გადაუჭრელად ვერა და ვერ ეზიარება ჩვენი საოპერო თეატრი და სიმფონიური ორკესტრი უმაღლეს საშემსრულებლო მწვერვალებს: დროებითი და ეპიზოდური წარმატებანი ფონს ვერ გაგვიყვანს. აქ გაბედული პრაქტიკული ღონისძიებაა ყველანაირ საუბარზე უმთავრესი. ნებისმიერ რესპუბლიკას უნდა შეეძლოს ერთი სიმფონიური ორკესტრისა და საო-

ბერო თეატრის სრული უზრუნველყოფა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში მარტო ვენეციაში შვიდამდე საოპერო თეატრი იყო, ხოლო გასულ საუკუნეებში გერმანიის ნებისმიერ პროვინციულ ქალაქს გააჩნდა საკუთარი სიმფონიური ორკესტრი. ჩვენი ეროვნული კულტურის ამ ორ კერას მეტი ელვარება უნდა შეესძინოთ, რადგან საზღვარგარეთელ გასტროლიორებს ნიადაგ გააქვთ უცხოეთში ამ კოლექტივთა მხატვრული დონის ამბავი. განსაკუთრებით სავალალოა მდგომარეობა ოპერის გუნდში, რადგან ფინანსური მოუწესრიგებლობის გამო მედასენი ხშირად დაუნანებლად სტოვებენ ხოლმე სამსახურს. სამწუხაროა, რომ საგუნდო ტრადიციათა ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დღემდე არ მოიპოვება სპეციალური საგუნდო სკოლა, რომელიც მაღალკვალიფიციურ კადრებს მიაწვდის კაპელასა და საოპერო თეატრის გუნდს. მდგომარეობას ისიც აშუქებს, რომ სახელმწიფო კონსერვატორიაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე არ დგას სოლფეჯიოს სწავლება.

მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად საჭიროა კულტურის სამინისტროსა და საკომპოზიტორო კავშირის ერთსულოვანი, კოორდინირებული მოქმედება. განა კომპოზიტორებისათვის აუცილებელ ბაზისს არ წარმოადგენს საშემსრულებლო კოლექტივები? დრამატურგივით რატომ არ უნდა ფიქრობდეს წინასწარ კომპოზიტორი, თუ როგორი დასისათვის ან შემსრულებლისათვის წერს ნაწარმოებს? საშემსრულებლო კოლექტივები რამდენადმე განაპირობებენ კიდეც სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა შექმნას. ასე ჩაუყარა პირველი ქართული სიმებიანი კვარტეტის ჩამოყალიბებამ საფუძველი საკვარტეტო მუსიკის აღმოცენებას ჩვენში, ხოლო ახალმა კამერულმა ორკესტრმა კი ამ ჟანრისადმი მრავალი კომპოზიტორი შემოქმედებითად განაწყო. კომპოზიტორებს უნდა ხელს აძლევდეთ არსებულ კოლექტივთა დონის ამაღლებაც და ახალი დასების შექმნაც. განსაკუთრებით ეს კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბლებს შეეხება. კომპოზიტორთა კავშირთან უნდა არსებობდეს ისეთი ქმედითი და საშემსრულებლო კოლექტივი, რომელიც ნებისმიერი კამერული ჟანრის (ტრიოდან – ნონეტამდე) ნაწარმოებს შეასრულებს (ასეთი ელასტიური კოლექტივი ყველაზე მეტად სწორედ რომ კომპოზიტორთა კავშირს სჭირდება). დროა საკონცერტო ცხოვრებაშიც შეივსოს ამ სფეროში არსებული სიცარიელე. ქართველი მსმენელი (ვიწრო სპეციალისტების გარდა) ცუდად იცნობს კამერულ-ინსტრუმენტულ მუსიკის უზარმაზარ მემკვიდრეობას. მაგალითად, ჩვენში თვით ბეთჰოვენის კვარტეტების დიდი უმრავლესობაც კი არ შესრულებულა დღემდე, მაშინ, როდესაც ყოველდღი-

ურად ღღერს მისი საფორტეპიანო სონატები. ესეც თვალსაჩინო შედეგია ბალანსის დარღვევისა პიანისტებსა და სხვა ინსტრუმენტალისტებს შორის. კამერული მუსიკის უდიდეს მემკვიდრეობას ერთი ან ორი ინსტრუმენტული ანსამბლი ვერ მოერევა. ამისათვის საჭიროა რამდენიმე კვარტეტი, ტრიო და ა.შ. ილუზია ხომ არ იქნება იმის გაფიქრება, რომ ჩვენი ფილარმონია ანსამბლების დიდ რაოდენობას შეინახავს როდესმე?

მუსიკალური კულტურის უმაღლეს მწვერვალებზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც საანსამბლო მუსიკა საფორტეპიანო მუსიკაზე ხშირად იჟღერებს.

არ შეიძლება თქმა იმისა, თითქოს ინსტრუმენტული მუსიკის აღორძინებისათვის ჩვენში არაფერი გაკეთებულა ამ უკანასკნელ წლებში. მარტოოდენ კამერული ორკესტრისა და ახალი კვარტეტის შექმნა რად ღირს?

უდავოდ ახალი ეტაპია ქართული კამერული მუსიკის ისტორიაში რეორგანიზებული ძველი კვარტეტის ნაცვლად ახალი კვარტეტის ჩამოყალიბება. ეს არის მაღალპროფესიონალური ანსამბლი (კ. ვარდელი, თ. ბათიაშვილი, ნ. ჟვანია, ო. ჩუბინაშვილი), რომელმაც ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსზე ევროპული მასშტაბის აღიარება მოიპოვა.

კვარტეტის მიერ თბილისში ჩატარებულმა კონცერტებმა ცხადყვეს, რომ მის წევრებს თანაბრად ხელეწიფებათ როგორც გარდასული დროის, ასევე თანამედროვე კომპოზიტორთა ურთულესი ქმნილებების საუცხოოდ შესრულება. მათი პერსპექტიულობა ეჭვს არ იწვევს. ვიმედოვნებთ მრავალი ისეთი ნაწარმოების მოსმენას ცოცხალი შესრულებით, როგორიც ჯერ არ ღირსებია ჩვენს ესტრადას. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ კვარტეტის მხატვრული ხელმძღვანელის გიორგი ბარნაბიშვილის დამსახურება, — სახელდობრ, მისი მოქალაქეობრივი პათოსით აღბეჭდილი მოქმედება. მას განდიდების მანია როდი ამოძრავებდა, არამედ ხელოვნების მაღალი ინტერესები, როდესაც საგანგებოდ მოიწვია მოსკოვიდან ბოროდინის სახელობის კვარტეტის პირველი მევიოლინე, ჩინებული მუსიკოსი როსტისლავ დუბინსკი, რომლის კონსულტაციებმა საგრძნობლად ასწია ჩვენი კვარტეტის პროფესიული დონე.

მხოლოდ საკუთარი ეგოიზმისა და ვიწრო-ეროვნული, პრიმიტიული გაგებების დაძლევით თუ შეიძლება თვისტომთათვის მეტი სარგებლობის მოტანა; მაგრამ ზოგიერთები ამგვარად როდი ფიქრობენ. ამისათვის ქვემოთ გვექნება საუბარი კამერულ ორკესტრთან დაკავშირებით. ამჯერად კი გვსურს თავად ამ ორკესტრის მდგომა-

რეობაზე შევჩერდეთ, რომელიც ამას წინათ დაშლის პირას იყო მისული ხელმძღვანელისა და ორკესტრის წევრთა შორის გამოწვეული უთანხმოების გამო. ამ ინციდენტს მესაკრავეთა უნიათობას ვერ მივაწერთ, რადგან ორკესტრი რომ ჩინებულად უკრავს, ამაში მრავალნი დარწმუნდნენ ქართველ კომპოზიტორთა პლენუმზე. დეტალებში არ ჩავღრმავდებით (ამას მთელი სიმკაცრითა და გულმოდგინებით მხოლოდ მაშინ მოვიმოქმედებთ, მოსალოდნელი კატასტროფის გამომწვევი მიზეზი თუ არ დაცხრება), იმას კი აღვნიშნავთ, რომ ორკესტრის დაშლა დიდი უპასუხისმგებლობა და დანაშაული იქნებოდა ქართული კულტურის წინაშე. იგი ხომ წლების განმავლობაში შედუღაბდა (ჩამოყალიბდა 1963 წ.) და მრავალი სასიამოვნო წუთი განაცდევინა ჩვენს მსმენელს. მსგავსი ორკესტრის ხელმეორედ ჩამოყალიბებას კვლავ წლები დასჭირდება, რადგან ასეთია მუსიკალური ანსამბლის სპეციფიკა. მხოლოდ სმენასთან შეჯერებული გრძნობების ხანგრძლივი ურთიერთშეგუებლობით აღმოცენდება ის იდუმალი ინტიმი, ერთ დიდ შარავანდედად რომ შეჰკრავს ცალკეულ წევრთა ინდივიდუალურ ფერებს. ანსამბლებისა და კამერული ორკესტრების უპირატესობაც ისაა, რომ მისი წევრები რამდენადმე სოლისტის ღირსებასაც არ ჰკარგავენ და არც საერთო მასაში ითქვიფებიან იმდენად, რომ დაკვირვებულმა მსმენელმა თითოეულის ყადრი ვერ გამოიწვლილოს. სანიმუშო უნისონის შექმნა ინდივიდუალობის დაუკარგავად – აი რამდენადმე პარადოქსული ელემენტი სრულქმნილი ანსამბლისა, რომლის ერთიანი, დაწმენდილი შარავანდედის შეკვრას წლები და თავგადადებული, თითოეული ხმიერი ფერის ფანატიკურად მოტრფიალე ხელმძღვანელი სჭირდება.

კამერული ორკესტრის რეორგანიზება მთლიანად მოშლიდა მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვან უბანს, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო ხანებში მთელს მსოფლიოში გაიზარდა კამერული მუსიკის მოთხოვნილება (განსაკუთრებით გარდასულ დროთა მემკვიდრეობისაც), რაც ალბათ თანამედროვე სიმფონიური ორკესტრების გრანდიოზულმა შემადგენლობამ და ხმოვანებამ განაპირობა, განსაკუთრებით კი რიტმული ჩონჩხის გაშიშვლებასთან დაკავშირებულმა ერთგვარმა ჰეგემონიამ დასარტყამი ინსტრუმენტებისა. სმენას არანაკლებ ესათნოება მშვიდი, უექსცესო და დაწმენდილი ემოციების სამყარო, ბავშვური სიხალისე და უმწიკვლოება. ეს განცდა საარქივო მასალისადმი დამოკიდებულებას როდი ჩამოჰგავს. დიდ მდინარეთა მღვრიე ტალღები როდი ავიწყებენ ადამიანებს სათავეებთან ანკარა წყაროების არსებობას.

მუსიკა კამერული ორკესტრისათვის უმთავრესად გვიანდელი რენესანსის სულიერ იმპულსებზე აღმოცენდა. რენესანსის ეპოქაში საბოლოოდ შეერწყნენ ურთიერთს პალესტინური და ბერძნულ-რომაული ნაკადები. ასე როდი იყო პირველ საუკუნეებში. ჯერ იყო და რომის ხელისუფალნი დევნიდნენ პალესტინიდან შემოსულ ქრისტიანობას, შემდგომში უკვე სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულმა ქრისტიანობამ შეუტია წარმართულ სიბრძნესა და კულტებს და იავარჰყო კიდეც ელინური ტაძრები და ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები. მხოლოდ რენესანსის ეპოქაში განმსჭვალა საბოლოოდ ბიბლიურმა სიუჟეტმა ბერძნული ფილოსოფია და ხელოვნების ღვთაებრივი ფორმები. მუსიკალური ქმნილებებიც ამ ორი ძირეული იმპულსის ზეგავლენით იქმნებოდა იტალიაში. კამერული ორკესტრები გააჩნდათ როგორც ეკლესიებში, ასევე ანტიური კულტურის მოტრფიალე პატრიციებსაც. ერთი და იგივე კომპოზიტორები ქმნიდნენ როგორც საეკლესიო, ასევე საერო კონჩერტო გროსსოებს. თითქმის ბეთჰოვენამდე მუსიკა ისეთივე მიმართებაში იყო მშვენიერებისადმი, ლესინგის თქმისა არ იყოს, ბერძენ სკულპტორებს რომ გააჩნდათ; ისინი ხომ თვით შემაზრზენ სიუჟეტებშიც კი არ ჰკარგავდნენ ზომიერებასა და სრულქმნილი ჰამონიის გრძნობას. ამ მშვენიერებისა და კეთილშობილების ელფერით არის აღბეჭდილი კამერული ორკესტრისათვის დაწერილი ნაწარმოებების უმრავლესობა. კამერული ორკესტრის პრაქტიკის ამოკვეთა მუსიკალური ცხოვრებიდან ნიშნავს საერთოდ უარი სთქვა ვივალდის, კორელის, ჰენდელის, ბახის, ჰაიდნის, მოცარტისა და სხვა კომპოზიტორთა მთელი რიგი ნაწარმოებების მოსმენაზე. ამიტომაც გონივრული იქნებოდა საუკეთესო სამუშაო პირობების შექმნა ქართული კამერული ორკესტრისათვის.

ერთი პერიოდი საქართველოს კამერულ ორკესტრს ჰქონდა უდირიჟორობის ხანა. იმჟამად ორკესტრის წევრებმა შემოქმედებითი კონტაქტი დაამყარეს ჩინებულ მოსკოველ მუსიკოსთან ლეო მარკიზთან. მარკიზი იყო ნიჭიერი ინსტრუმენტალისტი და მოსკოვის კამერული ორკესტრის კონცერტმაისტერი, რომელსაც ანსამბლის მკაფიო შეგრძნებამ საშუალება მისცა ბრწყინვალე დირიჟორი გამხდარიყო. იგი ხემიან საკრავთა ჯგუფის ერთ-ერთი უბადლო ოსტატთაგანია. ეს ჯგუფი კი თვით დიდი ორკესტრის სული და გულია.

საერთოდ, მიზანშეწონილია კამერული ორკესტრის ხელმძღვანელი რომელიმე ხემიანი საკრავის სპეციალისტი იყოს, მაგრამ სოლისტობიდან დირიჟორობისაკენ მიმავალ გზაზე მან პროფესიული თავისებურებებისა და საკუთარი ხასიათის გარკვეული

გარდასახვა უნდა მოახდინოს. სოლისტი „ეგოისტური“ საშემსრულებლო აზროვნების დაუთმობლად ვერ გახდება კარგი დირიჟორი. იმთავითვე მან „კეისრობას“ „რესპუბლიკელობა“ უნდა ამჯობინოს და საანსამბლო აზროვნების სპეციფიკას შეეთვისოს. კარგი მხედართმთავარივით, მან ჭარისკაცის გზაც არ უნდა ითაკილოს მუსიკაში; მხოლოდ ამის შემდეგ თუ გაუწევს იგი ორკესტრს ნამდვილ მწყემსობას, არა ერთი მბრძანებლისა და დანარჩენთა მონობის, არამედ ერთი მწყემსისა და ერთი ფარის პრინციპიდან გამომდინარე, სადაც მწყემსი როდი ფიქრობს დაუნანებლად გაჰფანტოს თავისი სამწყსო და სანაცვლოდ ახალი შემოიკრიბოს, არამედ მზად არის მთელი დრო და ენერგია არსებულის სრულყოფას შეალიოს. ასე, რომ საანსამბლო აზროვნების სპეციფიკა სოციალური ჰარმონიის წარმომშობ ეთნოსსაც გულისხმობს. და თუ დირიჟორი საანსამბლო აზროვნებისა და განწყობის თანაარსი იერარქიის გრძნობას გაიშინაგანებს, ღრმად დარწმუნდება, რომ კამერული ორკესტრის ხელმძღვანელი სხვა საქმით აღარ უნდა იყოს დაკავებული და რომ ყველანაირი შავი სამუშაო ორკესტრში მისი მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა ტარდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ორკესტრის წევრები გერებად იქცევიან მისთვის და მასაც აღარ ექნება პრეტენზიათა წამოყენების მორალური უფლება. დირიჟორმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა განიშოროს „კასტური ქედმაღლობა“ ორკესტრის წევრებისადმი.

დირიჟორისათვის აუცილებელი პროფესიული და მოქალაქეობრივი თვისებების გამო შეიყვარეს ლეო მარკიზი თბილისის კამერული ორკესტრის წევრებმა. მათი თხოვნით იგი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში და თავისი კონსულტაციებით მაღლა სწევდა ორკესტრის მხატვრულ დონეს. მის მიერ მომზადებული რეპერტუარი ამჟამადაც ორკესტრის ძირეულ სარეპერტუარო ბაზისს წარმოადგენს.

საუბედუროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ამჯერად შეწყვეტილია ეს შემოქმედებითი კონტრაქტი. ორკესტრის წევრთა უმთავრესი სატკივარიც სწორედ ეს არის. მათ კარგად ახსოვთ ამ ჩინებულ მუსიკოსთან ჩატარებული მუშაობის ბედნიერი წუთები და მის განახლებაზე დიახაც ოცნებობენ. მარკიზი ამჟამადაც მზად არის იქონიოს ორკესტრთან ამგვარი კონტრაქტი, ასე, რომ იგი არც ეკონომიურ საზღაურს გამოელის და არც სახელისათვის ზრუნავს. ამ თავისუფალ ინიციატივას მხოლოდ კოლეგიალობის გრძნობა და ხელოვნების ჭეშმარიტი სიყვარული უდევს საფუძვლად.

მესაკრავეთა შრომითა და ინიციატივით შექმნილი ორკესტრის დაშლაზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, არამედ იმაზე, თუ როდისთვის, ან როგორ შევძლებთ მომავალში ასეთივე ორკესტრების ჩამოყალიბებას საქართველოს რაიონულ ცენტრებში, განსაკუთრებით იმ ქალაქებში, სადაც მუსიკალური სასწავლებლებია. ისე კი, რად გვინდა სასწავლებლები, თუკი პრაქტიკულად არ იყღერებს მუსიკა მთელი მოსახლეობისათვის!

მერაბ კოსტავა

ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების საყოველთაო სწავლებისათვის...

მშვენიერების შეგრძნებას, ამ შეგრძნების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას ადამიანებში მხოლოდ მშვენიერი საგნები და მაგალითები იწვევენო, ამბობდა დიდი გოეთე. მშვენიერია ჩვენი ხალხური სიმღერები და საგალობლები, ის უზარმაზარი მასალა, მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული დიდი რუდუნებით რომ შეკრიბეს და ნოტებზე გადაიღეს ქართული მუსიკის მესვეურებმა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს კონსერვატორიასა და მუსიკალურ სასწავლებლებსა და სკოლებში ჯერაც არ არის შემოღებული ქართული სიმღერებისა და საგალობლების სავალდებულო საყოველთაო პრაქტიკული სწავლება. ასე რომ ამჟამად ქართული სიმღერებისა და საგალობლების პრაქტიკული შესწავლა თითქმის მარტოოდენ სახელმწიფო და თვითმოქმედ ანსამბლებში ხდება, ხოლო სპეცსასწავლებლებში თეორიული გამოკვლევების საგანს წარმოადგენს.

საქართველო რომ უძველესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაა, დღესავით ნათელია იმათთვის, ვისაც სმენად ყურნი ასხია და მშვენიერების მიუკერძოებელი შეფასება ძალუძს. მონოდიური მუსიკის გარემოცვაში აღმოცენებული მისი საგუნდო მრავალხმიანობა ლოკალურ წარმოშობასა და მიმდებარე ქვეყნების ზეგავლენისაგან ხელშეუხებლობაზე მიგვანიშნებს. მართლაც, ერთხმიანი იყო არა მარტო მუსლიმანი მეზობლების, არამედ თვით ქრისტიანული პა-

ლესტინის, სირიისა და ბიზანტიის საგალობლები და სიმღერები. ამიტომაც არის ესოდენ განსაცვიფრებელი ქართული მუსიკის ორიგინალობა. ქართული მუსიკალური ენის თვითმყოფადობა და მისი მრავალხმიანობის წარმოშობა არანაკლებ იდუმალია, ვიდრე იოანე ზოსიმეს მიერ მინიშნებული ის საიდუმლოება, ქართული ენის წიაღში რომ არის დამარხული. ორთავე ისინი ერის სულის ერთიანი მეტყველი ენის სხვადასხვა გამოვლინებაა. მხოლოდ ჩვენს დაუდევრობას უნდა მიეწეროს, თუ არ წარმოვაჩენთ და ჩვენს კულტურულ ყოფაში შესაფერის ადგილს არ მივუჩენთ ყოველივე ღირსეულსა და მაღალმხატვრულს, რაც კი ოდესმე შექმნილა, ან იქმნება ჩვენს ხელოვნებასა და ლიტერატურაში. მართალია, ამჟამად უფრო ხშირად გაისმის ესტრადიდან ქართული სიმღერები და საგალობლები, მაგრამ ეს როდია საკმარისი. უთუოდ უნდა შემოვიღოთ ქართული სიმღერებისა და საგალობლების საყოველთაო სწავლება. საგალობლებს ხომ ნიადაგ ასწავლიდნენ უძველეს ქართულ აკადემიებსა და საეკლესიო სკოლებში. ისინი მუდამჟამს მიიჩნეოდნენ პროფესიული მუსიკის მაღალმხატვრულ ნიმუშებად და მათი შესწავლა ისევე იყო სავალდებულო, როგორც მშობლიური ენისა. პროფესიულ მუსიკას რომ დიდი სერიოზულობით ეკიდებოდნენ, ამაზე ღაღადებს საკუთარი ქართული სანოტო დამწერლობაც და ისეთი უზარმაზარი პიროვნების ყურადღებაც მუსიკის თეორიული საკითხებისადმი, როგორც იყვნენ იოანე პეტრიწი და იოანე ბატონიშვილი.

ჩვენი ლიტერატურის უთვალსაჩინოესი მოღვაწენი გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მთაწმინდელი და სხვები იმავე დროს მგალობელთუხუცესნი ან მგალობელთმთავარნი იყვნენ. ხშირად ერთი და იგივე პირები თხზავდნენ ჰიმნებისა და საგალობლების სიტყვიერ ტექსტებსა და მუსიკას: იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, ეზრა, იოანე ქონქოზის ძე, მიქაელ მოდრეკილი, დემეტრე მეფე და სხვები. თუ ეს სიტყვიერი ტექსტები და ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ქართული ლიტერატურის ღირსეულ ნიმუშებად მიგვაჩნია და მათი სწავლება უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში სავალდებულოა, კვლავაც ვიმეორებთ: რატომ ქართული საგალობლებიც არ უნდა ისწავლებოდეს შესაბამის სასწავლო დაწესებულებებში? განა ერთი და იმავე წყაროდან არ საზრდოობდნენ ისინი?

საგალობლებთან ერთად მუსიკალურ სასწავლებლებში ხალხური სიმღერების პრაქტიკული შესწავლაც უნდა ხდებოდეს. თუ ქართული საგალობელი იმპულსების მატარებელია, ხალხური სიმღერები აღსავსეა უმთავრესად დიონიდური ენერგიითა და ძალმოსილებით. ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს მიესადაგება

სხეულის მოძრაობასა და სიმღერებზე პლატონისაგან სწავლა-თქმული, რომ: „ვაუკაც ადამიანებს მშვენიერი ცეკვები და სიმღერები აქვთ, ხოლო მხდალებს – შემაზრზენი“.

იშვიათად შეხვდება კაცი ესოდენ მცირე ტერიტორიაზე ისეთ მრავალფეროვნებას სიმღერებისას, როგორც საქართველოში. ჰარმონიის ერთიანი, მტკიცე ბალავერის მიუხედავად, თითოეული კუთხის სიმღერა თავისი ხასიათითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქართლ-კახური ჰომოფონია, სვანური კომპლექსური ჰარმონია, გურულ-იმერული პოლიფონია მუსიკალური აზროვნების სავსებით განსხვავებული მოვლენებია. თუ დაქსაქსვისადმი მიმდრეკი კუთხეების შეკვრა-შედულაბება მხოლოდ ისეთ ენერგიულ და შორსმჭვრეტელ ადამიანებს ხელეწიფებოდათ, როგორიც იყვნენ ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, ერთიანი ქართული კლასიკური მუსიკალური ენის შექმნა მარტოოდენ მას თუ ძალედვა, ვინც ღრმად ჩასწვდებოდა ყოველი კუთხის სიმღერის საიდუმლოებას და მათ გამთლიანებას შესძლებდა. ასეთი გახლდათ ზაქარია ფალიაშვილი. მისი „აბესალომ და ეთერი“ იმიტომაცაა გენიალური, რომ მან ურთიერთშეაჯერა ქართული ლეგენდა და ის, რაც ღირსეულია ქართული მუსიკისათვის – მისი საგუნდო კულტურის მონაპოვარი. ამ მონაპოვარს ქართული ეროვნული ოპერის შექმნისათვის გერმანული მუსიკის მონაგარს, მის მაღალგანვითარებულ სიმფონიურ შემოქმედებას. ამის შეგნებამ მით უფრო უნდა აღიმაღლოს მისწრაფება – მოზარდ მუსიკოსებს ძვალ-რბილში გაუჯდეთ ჩვენი სიმღერასაგალობელთა ჰანგები. ნუ დაგვავიწყდება უკანასკნელ ხანებში უცხოეთში შექმნილი აზრიც ჩვენი კულტურის ამ ფასდაუდებელი საუნჯის შესახებ. ცნობილია, თუ რაოდენ დიდი შეფასება მისცა თანამედროვეობის უდიდესმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ ქართულ სიმღერებს, მათ შორის გურულ სიმღერას, რომელთაც იგი ჩანაწერით გაეცნო. მხცოვანმა კომპოზიტორმა გულწრფელად აღიარა, რომ ეს მისი საუკეთესო შთაბეჭდილებათაგანი იყო უკანასკნელი წლების მანძილზე.

სტრავინსკი რომ ქართული კლასიკური მუსიკის უკანასკნელი ასწლეულის ისტორიას გასცნობოდა, იგი დაინახავდა, თუ როგორი მონდომებით ივსებდა ჩვენი ერი დანაკლისს ევროპის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის ხანგრძლივი უქონლობის გამო, როგორი ცხოველი ენერგიით ითვისებდა იგი მისთვის სავსებით ახალ ჟანრებსა და მუსიკალურ ფორმებს, მისთვის სავსებით უცხო ინსტრუმენტებს. მიუხედავად ამისა, პირუთვნელობა მას უთუოდ ათქ-

მევინებდა, რომ ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არ უთქვამს ახალი სიტყვა მსოფლიო საკომპოზიტორო ხელოვნებაში. ქართულმა საკომპოზიტორო ხელოვნებამ ხომ სულ რაღაც 70-80 წელიწადში, თითქმის ერთდროულად და ამასთან სტიქიურად, აითვისა დღემდე განვლილი ყველა მიმდინარეობა – წინაკლასიკური და ვენის კლასიკური პერიოდები, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი და მოდერნიზმის სხვადასხვა განშტოება, მაშინ, როდესაც ყოველი ეს მიმდინარეობა ევროპაში ეტაპობივად ვითარდებოდა მისთვის შესაბამის ეპოქასა და გარემოში და ამასთან საკმაოდ ვრცელი დროის მანძილზე.

ქართული პროფესიული მუსიკა დღესაც ითვისებს მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების უახლოეს მიღწევებს, მაგრამ შეგირდობა სირცხვილი როდია. ევროპის ყველაზე განვითარებული მუსიკალური ქვეყნის – გერმანიის მუსიკოსები იტალიის მუსიკოსთა შეგირდები იყვნენ საუკუნეების მანძილზე. ასეა ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ყველა დიდი მაძიებელი, იგი მიაგავს იმ ძვირფას ჭურჭელს, რომელიც ნიადაგ მზად არის დაიცარიელოს თავი ჭეშმარიტების უფრო აღზევებულ სფეროებთან საზიარებლად. ამიტომაც უმჯობესია გადაუჭარბებლად შევაფასოთ ჩვენი მუსიკის მდგომარეობა ამჟამად და მკაცრნი და მიუკერძოებელნი ვიყოთ საკუთარი თავის შეფასებაში, რაც საშუალებას მოგვცემს მეტი სიფხიზლით განვჭვრიტოთ მომავლის გზები. საქართველოში ახალი პროფესიული მუსიკის პოპულარობა ჩვენი მხატვრული ლიტერატურისა და პოეზიის პოპულარობას რომ ვერ შეედრება, ეს ჩვენი ხალხის მუსიკალური პოტენციის სიმცირეზე როდი მეტყველებს. გავიხსენოთ, თუ რაოდენ დააგვიანდა ევროპაში მუსიკის რენესანსს ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, რაოდენ დაშორიშორებულნი იყვნენ დროში დანტე და მოცარტი. ასეთივე აღორძინება მოელის ალბათ მომავალში ქართულ მუსიკასაც. სტრავინსკის, ალბათ, ამ ამბის გაგებაც არანაკლებ განაცვიფრებდა, რომ მარტოოდენ მისთვის, ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები კომპოზიტორისათვის როდი იყო ქართული საგალობლები აღმოჩენა, არამედ ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობისთვისაც. როგორც ბახის ყველასაგან მივიწყებულმა ზემოქმედებამ დაიქუხა მოულოდნელად ევროპაში მისი შექმნიდან თითქმის საუკუნის შემდეგ, ასევე ანაზდეულად გამობრწყინდნენ საუკუნეების წიაღში შობილი ეს ყველასაგან მიტოვებული შედევრები ჩვენი მსმენელების წინაშე. მაგრამ აღიტაცებს კი მათ ჩვენი საზოგადოებრიობა ისე, ვით ევროპამ ოდესღაც ბახის მუსიკა აიტაცა? გაიხდის მას საყოველთაო თაყვანისცემისა და საგალ-

დებულო შესწავლის ობიექტად? სხვა რომ არა იყოს რა, ქართული სიმღერა-გალობა საუკეთესო გაქცინაა, ბრძოლის უებარი საშუალებაა ჩვენი მუსიკალური კულტურის ორი დაავადების, ორი დაუძინებელი მტრის – აღმოსავლური ბაიათებისა და ახალგაზრდების ერთ ნაწილში მოდებული იაფფასიანი ჯაზური მუსიკის წინააღმდეგ. რატომ უნდა გაისმოდეს ჩვენს ქორწილებსა თუ თავშესაყარ ადგილებში, განსაკუთრებით სოფლად, ნაცვლად შესანიშნავი სუფრული და მხედრული სიმღერებისა, მხოლოდ დოლ-გარმონისა და ზურნის გულისგამაწვრილებელი ჭყვიტინი? რად გარდიხვეწნენ ჩვენი სანიმუშო სიმღერები ყოფიდან? აქ საცნაური ხდება ქართული მუსიკალური ფოლკლორის დაუძინებელი მტერი, ჩვენთვის უცხო აღმოსავლური ელემენტი. დღესაც კი ვიმკით როსტომ მეფის დროინდელ კომპრომისს მუსლიმანური სამყაროს წინაშე, რისთვისაც ასეთი გულისტკივილით მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“: „და მას ჟამსა შინა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება... და მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა, და განმრავლდა სახლსა მისსა შინა მისსა სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა და იყვნენ დღითი დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნავდნენ: მოიყვანეს მეჩანგენი და მუტრიბნი და აქებდნენ ქართველნი, და მათაც აგრეთვე იყოლიეს მუტრიბნი და მრავალნი მხელავნი და არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და მეძაობისა“. ეს იყო შავბნელი ჟამი ქართული კუტურისა, რამეთუ წინანდებურად აღარ იქმნებოდნენ ქართული ხუროთმოძღვრების შედეგრები, ოქრომჭედლობაში თითქმის მთლიანად გაჭრა ჩვენი ოსტატების უსაყვარლესი მოტივი – ვაზის ფოთლის ვარიაციები: უფაქიზესი ტიხრული მინანქარი დამკვიდრდა. პოეზიაში შემოიჭრა სპარსული ლიტერატურის გავლენა. მოგვიანებით ქართულმა დრამატურგიამაც და მხატვრობამაც იწვნია თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის თარეშის შედეგები. განსაკუთრებული ზიანი კი იმხანად ქართულმა ქალაქურმა მუსიკამ განიცადა. აშუღურმა და მუტრიბულმა ხელოვნებამ დაბანგა სპარსულ კულტურას ნაზიარები მეფენი და მათნი წინაშემდგომნი, ხოლო სამეფო კარის ესთეტიკური დონე კი იმჟამინდელ მოქალაქეთათვის საზომად იქცა. აქედან გამომდინარე, ქალაქური ფოლკლორიც აღმოსავლური ელემენტით განიმსჭვალა, რაც ცალკერძ კინტოებისა და ყარაჩოღელების ბაიათისებურ მუსიკაში აირეკლა. ხოლო მეორე მხრივ, უფრო დახვეწილი ხვანჯებით პროფესიული მუსიკის წიაღშიც შემოიპარა. მუსლიმანურმა კულტურამ თემურ-ლენგიდან მოყოლებით გააფთრებული იერიში მიიტანა ქართული კულტურის მონაგარზე. მდგო-

მარეობა მით უფრო გაართულა თემურ-ლენგის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის გამაჰმადიანებამ და კონსტანტინოპოლის დაცემამ, რითაც საქართველო ქრისტიანული სამყაროსაგან იზოლირებული აღმოჩნდა. მთელი ეს დრო თავდაცვასა და მტრული გარემოცვის გარღვევას მოანდომა გმირმა ქართველმა ხალხმა და ამიტომაც დარჩა იგი ამჟამად გარეშე იმ მძლავრი კულტურული დინებისა, რომელმაც განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ევროპის ინსტრუმენტული მუსიკა და მუსიკალურ-დრამატურგიული ფორმები. ეს მაღალი მუსიკალური კულტურა ევროპის ცალკეული ქვეყნების თანაშემოქმედების შედეგი გახლდათ, ვინაიდან მუსიკის ენას სალაპარაკო მეტყველების დარად როდი შეხებია ბაბილონის გოდოლის მსხვრევა. მასში უფრო მეტად იგრძნობა ეროვნული ელემენტის ძალუმი ფეთქვა. ამიტომ სწორედ მუსიკოსები აგებდნენ ევროპაში სხვებზე კარგად ერთა შორის ურთიერთობის ხიდებს. გაალმასებით იქნევდა ქართველი კაცი მახვილს, რათა არ გაეწყვიტა კავშირი მისთვის ახლობელი ევროპის კულტურასთან. ეს სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ამჟამად ხელოვნების სადინარში მისი გადართვა საოცრებებს ახდენინებს მას კულტურის სფეროში. ეს პროცესი რომ უკვე დაწყებულია, ამას მეტყველებს ჩვენი მუსიკოს-შემსრულებლების ბრწყინვალე გამარჯვებები საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ მუსიკალური გემოვნების შემდგომი დახვეწა-განვითარებისათვის უმჯობესია საკუთარი მახვილი მოვიქნიოთ.

საამისო ფარი და მახვილი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუსიკალურ-სასწავლო დაწესებულებებში ქართული სიმღერა-გალობის საყოველთაო პრაქტიკული სწავლების ფართოდ დანერგვაა.

ქართული სიმღერებისა და საგალობლების სასწავლო პროგრამაში შესატანად კონკრეტული ზომების მიღებაა საჭირო. ამისათვის სახელმწიფო კონსერვატორიაში უნდა შეიქმნას გარკვეული ცენტრი, რომელიც ამ საქმეს უხელმძღვანელებს.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში თუმც კი არსებობს მუსიკალური ფოლკლორის კათედრა, მაგრამ მაინც უნდა დავსძინოთ, რომ უძველესი ქართული პროფესიული მუსიკა ახალთან ერთად სწორედ რომ ღირსია ჰქონდეს საკუთარი კათედრა, რომელიც ქართული მუსიკის ყველა არსების საკითხს წარმართავდა: ხომ წარმოუდგენელია, ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტს რომ არ ჰქონდეს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა: სწორედ ქართული მუსიკის კათედრამ უნდა წარმართოს კონსერვატორიის, რომელიც გნებავთ ფაკულტეტზე ქართული სიმღერებისა და საგალობლების სავალდებულო პრაქტიკული სწავლების საქმე.

მანვე უნდა მოამზადოს ამ დარგში უმაღლესი განათლების პედაგოგ-ლოტბართა კადრები, როგორც კონსერვატორიის, ასევე მუსიკალურ-სასწავლებლებისა და სკოლებისათვის. ამ საქმის განხორციელება უნდა დაეკისროთ საუკეთესო სპეციალისტებსა და შემსრულებლებს, რომელნიც საბედნიეროდ საკმაოდ არიან ამჟამად. პროფესიული მუსიკა მხოლოდ მაშინ არ იქნება ვიწრო სპეციალობა, როდესაც ჩვენ რომელიც გნებავთ მუსიკოსს, შემსრულებელს, კომპოზიტორსა თუ თეორეტიკოსს თავის საგანთან ერთად ქართული სიმღერა-გალობაც კარგად ეცოდინება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენში მუსიკის ასეთი იზოლირების მოსპობა და მრავალთა გულების შეძვრა. დაე, ჩვენმა თანამოძმეებმა ღრმად აღიბეჭდოს ძველი ბერძნების ბრძნული მოწოდება: „კარგად აღზრდილი ადამიანი ჩინებული მოცეკვავე და მომღერალი უნდა იყოს“.

მერაბ კოსტავა

პროზაული

ნაწარმოებები

საკანი. სენაკს მაგონებს იგი, პატიმარი – მეუდაბნოეს არანებაყოფლობითს. ასე განსაჯეთ, აქ იძულებით უნდა დავატყვევო ჩემსავე თავში უსასრულო წყება სურვილებისა, სამშვინველისეული ქაოსის უმისამართო ენერგიით აღძრული, ლტოლვილები, რომელთა დასადავება, გათოკვა და ჭკუაზე მოყვანა მეუდაბნოეთა სოფლისაგან განდგომილთა სანუკვარი მიზანია.

მეც აღარ დავაყოვნე და უმკაცრესი კანონმდებელივით სანქცია დავადე ჩემს აბეზარ სურვილებს, გარდაუვალობის ძალით სათითაოდ დავატუსაღე და შევუდექი მათ ულმობელ განკითხვას. გაუჩინარდა გლუვი გველაძუა, ნაირფერად აელვარებული ხატება მათი. შეწყდა მათი მოუსვენარი, საყვედურით აღსავსე სისინი. მოისვენა სხეულმა, და სადღაც, გონებაში აკიაფდა სიმშვიდის მომფენი კანდელი სულისმიერი.

სარკმლის დამხანჯლავი სინათლე შთენილა მარტოოდენ ერთადერთ, ჩაუფერფლავ სურვილად. ცის ნაფლეთები მარადისობის ლურჯი იებივით მოსდგომიან ცხაურის ვიწრო სამზერებს. თვალბუდეები ძლივსღა ამაგრებენ ამოსავარდნად გამზადებულ, უსასრულობის მირაჟით დატყვევებულ თვალებს. შორს, კაბადონზე, იალქანივით ლაპლაპებს სივრცეში მონავარდე მტრედი. უცნაურად ენამჭევრობს იგი, როცა ფერწერის სიმსუბუქით ჰაერში ავლებს იდუმალ ხაზებს. ნეტა თუ ფიქრობს, ამ ფარულ ნიშნებს აღმოუჩინოს სადმე წამკითხველი. ამაოდ, რადგან ისტორიის სათავეებთან აღმართული გასაოცარი სახე კალხასისა ჩვენმა აკადემიურმა საუკუნემ არათუ ანაქრონიზმად, ბალღობისუამინდელი „უმეცარი“ კაცობრიობის მონაჩმახად მიიჩნია, როგორც ყოველივე მითოლოგიური.

რაოდენი თავისუფლებაა, საოცარო ფრინველო, შენს მოძრაობაში! განუსაზღვრელი ექსტაზი სივრცეთა შთანთქმისა, ერთდროულად ყველგანყოფნის სურვილი. თავისუფლება დიახაც ჰგულისხმობს ყოვლისმომცველობას და შენ უთუოდ ჰფლობ მას სივრცეში, რომლის სინაკლებესაც მომეტებულად განვიცდი მე, როგორც პატიმარი. მაგრამ შენს უბოროტო გულს, შენს უმანკოებას ვფიცავ, უსპეტაკესო, კიდევ მეტად რომ დავიწროვდეს საკანი, თუნდაც რომ დაიძრნენ და კუბოს ფიცრებივით შემომჭედონ მისი კედლები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი. შენ სივრცეებმა გასწავლეს ფრენა, მზემ ოქროს ცვარში ამოავლო საშურველი სითეთრე შენი სხეულისა. მიწამდე დაჰყვინთავ და წამისყოფაზე უმალ დიდებული

მნათობის კალთასთან ნებიერად ამოჰყვინთავ ფირუზოვან თვალსაწიერის მეუფევ, მაგრამ ვერ მომატყუებს ეგ შენი თავდავიწყებამდე დაუცხრომელი ნავარდი. არამც და არამც შენ არა ხარ თავისუფლება, არამედ მარტოოდენ სიმბოლო ხარ თავისუფლებისა. ნამდვილი თავისუფლება აქ, კუბოსდარ ვიწრო საკანში იშვის. აქ, შეგრძნებათათვის, ხანგრძლივ მოწყენილობაში იბადება იგი. უჩინრად ისახება ენერგიულ ფიქრებში, დაიძვრის, როგორც მდინარე მეხსიერებისა და მიეშურება ჩემივე ცხოვრების სათავისაკენ, დავიწყების უფსკრულიდან მოუხმობს გარდასულ სახეებს, აწ განვლილ ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ნაფიქრ-ნაგრძნობსა თუ წარმოსახვაში აელვარებულ სურათ-ხატებს. ხელახლა აცოცხლებს, ახლებურად წარმოგვიჩენს მტერსა და მოყვარეს და შენში ჰბადებს ახალ თვალს, თვალს მსაჯულს, შენივე სიღრმისაკენ მიქცეულს, რომელიც დაწვრილებით გამოიწვლილავს მთელს შენს წარსულს, შენს ნამოქმედარს, ნათქვამს, გულისნადებსა თუ ნააზრევს, ადამიანებისადმი მიმართებას, პირუთვნელობის უქცეველი სასწორით ასწონის ყოველივეს, ნაწევარებს გაამთლიანებს, მიზეზებიდან გამოიყვანს შედეგებს და შედეგებიდან კვლავ მიგაბრუნებს მიზეზებისაკენ, რითაც გასწავლის კითხვას დრო-ჟამისეულ კანონებში არეკლილი ბედისწერის წიგნისას. დრო-ჟამისეულ მდინარებაში გასწავლის ნავარდს, ისე, ვით შენ დანავარდობ, საოცარო ფრინველო, უკიდეგანო სივრცეში, სინანულის საკურთხეველთან განბანილს, სინდისის ცეცხლში გამოგაწრთობს, საკუთარ თავს, საკუთარ ჭეშმარიტ არსს გაპოვნინებს, სიქველის საწყისსა და უჟამობის სამანებს მიგაახლებს და მაშინ, ამ ახალი სიმაღლიდან განახლებული სულითა და შემართებით გააცნობიერებ და გადააფასებ ნებისმიერ არსებას, ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენას და ისეთ უმნიშვნელო გასაჭირსაც, როგორიცაა პატიმრობა, ოთხკედელშუა გამომწყვდევა, გიხსნის და, რაც მთავარია, დასაბამს აძლევს შენში ახალ, ჭეშმარიტ ცხოვრებას, შინაგანი თავისუფლების შუქით გასხივოსნებულს.

მაშ ასე, სივრცეების პატარა ბინადარო, შენ მხოლოდ მშვენიერი სიმბოლო ხარ იმ თავისუფლების, ამ ბნელ საკანში რომ იწყო აღმოცენება. ოდესღაც მტრედისფერი დაარქვეს რიურაჟს, როცა კაცობრიული ცნობიერების გარიურაჟზე პატრიარქთა დიდმა წინაპარმა ნოემ წარღვნისეულ სტიქიათა დაცხრომისას გამოგტყორცნა კიდობანიდან, როგორც მაცნე გადარჩენილი კაცობრიობის ახალ საფეხურზე აღზევებისა, და შენ მაშინ ცნობიერების გარიურაჟის სიმბოლოდ იქეცი. სპეტაკზე უსპეტაკესად გიხილა ზეცით გარდამოსული იორდანეზე წინამორბედმან უფლისამან და ნათლისმცემელმა,

როცა ლაჟვარდოვანი სიწმინდის მისაღებად მოიწიფა კაცობრიული გონი, და ამ ახალი განწმენდილი ცნობიერების სიმბოლოდაც შენ შეიქმენ. ცნობიერება მიგვაახლებს ჭეშმარიტებას, ხოლო ჭეშმარიტება თავისუფლების ძალუმი ფრთებით გვაუნჯებს. ანგელოსის ორი ფრთა ფრესკაზე მაღალი ცნობიერი ცხოვრების ხატია, ხოლო ქერუბიმის ექვსი ფრთა ხატი განუსაზღვრელად უფრო მაღალი ცნობიერებისა, და ვინ უნდა გაგიმართოს მზერა შენ, უფალო, რომელი ყველგან ხარ და ყოველივეს აღავსებ მადლითა შენითა. ეს შენ მოგვივლინე სულიწმინდის ხატად ელვარე ნიმბით მოსილი პატარა მტრედი, სხეულისმიერი საკნის წიაღში რომ აღგვინათებს ცნობიერების კანდელს და გვაზიარებს ანგელოსურ ბუნებას შენსას, უკვდავებისა და თავისუფლების საწინდარს. ჭეშმარიტად არსებობს შენგან დადგენილი ცით დედამიწამდე დამავალი და მიწით ზეცამდე აღმავალი ანგელოსური კიბე ცნობიერების ხარისხებისა, შენგან რჩეული ერის ნუგეშად რომ იხილა ოდესღაც ბიბლიურმა იაკობმა. შენა ხარ, მტრედო, ხატი ცნობიერების ამ სიმაღლეთა ერთაინობისა. ვუმზერ სივრცეში შენს დაუსრულებელ ნავარდს, როგორც ჩემი სულის პროექციას გარე სამყაროში და ვტკბები მშვენიერი სიმბოლოთი, რომლის ჭეშმარიტმა არსმა ჩემშივე იწყო აღმოცენება.

მერაბ კოსტავა
1978 წ.

ცხენი

რა შეედრება ჯიშიანი, ნაკვთად კეთილი ბედაურების ჭვრეტას, დიდრონი, ჭკვიანი, მიმდობი თვალები, მაღალი, მწყობრი, ჰაეროვანი წვივები, ამაყად აზიდული, მასიური მკერდი, მოღერილი კისრის მტკიცე ბალავერი, მჭიდროდ შეტკეცილი, კუნთთა ზამბარებში მომწყვდეული მუცელი, სისხლძარღვების მოუსვენარი ტოკვა მოელვარე კანქვეშ, თითქოს ქალური გულმოდგინებით ვარცხნილი ფაფარი; ავდრის მოლოდინი დგომისას, ქარიშხალი აბორგებული ჭენებისას. ქარცეცხლის მფრქვეველი ნესტოები და ლაგამის მკვნეტავი, გაალმასებული კბილები, სისხლის მაჩქროლებელი რიტმები ფეხთა ხმისა, ფლოქვებიდან ავარდნილი მტვრისა და ნაპერწკლის კორიანტელი...

და ბოლოს, ამ თავაწყვეტილი სამუმის გამხედნავი და დამასადაგებელი ფოლადის ხელი!.. აი, ღირსად მისაჩნევი მიზეზი ექსტაზისა და აღფრთოვანების.

მხოლოდ გრძნობაგამრუდებულ ადამიანს არ ძალუძს შეგრძნება იმ მოჭარბებული მშვენიერებისა და კეთილშობილებისა, ცხენს რომ აქვს.

საუბედუროდ ასეთ სილამაზეს დღეს იშვიათად თუ დალანდავს კაცი, ჩვენს სოფლებსა და დაბებში ბედაურთა ჭაჭანებაც თითქმის აღარსად არის. რამდენიმე წლის წინათ ფილმ „დიდოსტატის მარჯვენის“ გადაღებისას, მთელს საქართველოში ვერ მოუყარეს თავი ბატალური სცენებისათვის საჭირო ოდენობას ცხენებისა...

ოდითგანვე ცნობილია ადამიანის უსაზღვრო გატაცება ცხენებით. ცხენი პოეტების უსაყვარლესი ცხოველი იყო. იგი პოეზიის ასპარეზსაც ამშვენებდა, რადგან საგმირო საქმენი პოეტების შთაგონების წყაროს წარმოადგენდნენ. ვინ არ აღუფრთოვანებია აქილევსის თუ ტარიელის ლაგამისმკვნეტელ ტაიჭთა თუ სხვა ბედაურთა საქებარ მგზნებარე სტროფებს პოეზიაში. მაგრამ არც მითები დარჩენილან ვალში. წარმოდგენას მუდამ ატყვევებდნენ ოქროს ეტლის მზიდველი მერნები ჰელიოსისა თუ ჰერსეუსისა...

მაგრამ მითი თუ პოეზია არასოდეს განდრეკილა პრაქტიკისაგან, ამიტომ ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ რაოდენ ესათნოებოდათ ცხენები გამოჩენილ მხედართმთავრებს. ამგვარი პატივისგების მწვერვალია ალექსანდრე მაკედონელის მიერ ინდოეთში აგებული ქალაქი საყვარელი მერანის, „ბუცეფალის“ უკვდავსაყოფად. ცხენი მრავალი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების ნაწილს შეადგენდა, ხშირად ცოცხალი ადამიანივით პერსონიფიცირებულს მათს ბიოგრაფიაში. ამაოდ როდი იშვა მოქანდაკეთა წრეში ტრადიცია დიდი ქალაქის ფუძემდებელთა ამხედრებულად წარმოჩენისა, და ეს შემთხვევითი როდია, არა თუ ქალაქების, თვით ერებისა და კულტურების ფუძემდებელნი და ამაგდარნი გამოჩენილი მხედრები ყოფილან ხშირად.

საქართველო უხსოვარი დროიდან მხედრების ქვეყანაც იყო. იგი ამასთან ერთად კეთილშობილი პირუტყვის აპოლოგიით არის ცნობილი.

ძველთაგანვე აქ მრავლად ყოფილან მეცხენეობის დიდოსტატები, მეცნიერნი და ჯიშთა გამომყვანნი. ღრმა ცოდნაზე დაფუძნებით იწერებოდა ძვირფასი კარაბადინები ცხენისა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქ ითესებოდა საგანგებო ჯიშის ბალახეული ცხენისთვის. ნიკო მარის თქმით,

ძაღლის კულტის შემდეგ საქართველოში ცხენის კულტი დომინირებდა. საქვეყნოდ ყოფილა განთქმული კოლხური ჯიშის მაღალტანიანი ცხენი, რომელიც სამწუხაროდ, ჟამთასვლაში გადაშენებულა.

ცხენისა და ცხენოსნობის კულტისთვის ჩვენში მთელი რიგი ისტორიული ფაქტები ღაღადებენ. ტყუილუბრალოდ როდი დაუდგეს რომაელებმა ქანდაკება რომში, მარსის მოედანზე, ცხენზე ამხედრებულ საქართველოს მეფე ფარსმანს (მეორე საუკუნის მეორე ნახევარი), რომელიც თავისი ამალითურთ კეისართან სტუმრად იმყოფებოდა. განა ადვილი იყო ცხენოსნობითა და ვაჟკაცობით ეგოდენი აღფრთოვანება იმგვარი ქვეყნის შვილებისა, რომელთა სამხედრო ძლიერება იმჟამად მთელს მსოფლიოს შიშის ზარს ჰგვრიდა! თუნდაც მეორე, მოსახსენებლად ღირსი ამბავი. სხვა ქვეყნის მკვიდრთაგან მარტოოდენ ქართველებს ჰქონიათ იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულად შესვლის უფლება. და ეს ტრადიცია შემდგომშიც დიდხანს გრძელდებოდა (ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“). საქართველოს სამეფო კარზე მთელი ინსტიტუტები არსებობდა მეცხენეობისა. მეჯინიბეთუხუცესი მეფისა უაღრესად პატივსაცემ პირად ირაცხებოდა. თითოეულ სათავადოს საკუთარი ჯიშის ცხენები ჰყოლია თურმე. არსებობდა ბაგრატოვანთ, ამილახვრიანთ, წერეთლიანთ ცხენები და ა.შ. მაგალითად, წერეთლიანთ ცხენები მთლად ოქროსფერნი უნდა ყოფილიყვნენ, თოვლივით თეთრი კავშებით. ასევე გამორჩეული ფერისანი და აღნაგობისანი იყვნენ სხვა სადროშოთა ბედაურები.

ეს ძალუმი სიყვარული ცხენებისადმი, გარდასული დროის ხელოვანთ და მხედართ რომ ჰქონდათ, ასეთივე გზნებით აისახა ჩვენს შედარებით გვიანდელ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. გავიხსენოთ ბედის სამზღვარს გადაცილებული „მერანი“ ბარათაშვილისა, ბრწყინვალე სტროფები ვაჟას პოემებიდან და კონსტანტინე გამსახურდიას რომანებიდან, გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და „ეფემერა“, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები „ალავერდობა“ და „თვირთვილა“, ბასილ მელიქიშვილის მინიატურა „ქვირინა“, ელგუჯა ამაშუკელის ვახტანგ გორგასალი და მერაბ ბერძენიშვილის გიორგი საკაძე, ლადო გუდიაშვილის ზოგიერთი ნამუშევარი...

და, სამწუხაროდ, ასეთი მშვენიერი და ვაჟკაცური წარსულის მქონე პირუტყვი ჩვენს თვალწინ ქრება.

ცხენთა ჯიშების დაკნინება უკვე მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაწყებულა. „სადღა არიან ის კარგი ბედაურები საჯინიბოებში“, უკითხავს ერთხელ საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი მეცამეტეს ერთი მეჯინიბისათვის. მეჯინიბეს უპასუხნია: „მაშინ რომ

იყვნენ, ის კარგი ვაჟკაცები შესხდნენ იმ კარგ ბედაურებზე და მათთან ერთად გადაიხვეწნენო“.

ამჟამად, მექანიზებული ტრანსპორტისა და გამწევი ძალის ეპოქამ, საცხენოსნო და საურმე გზების სამანქანო და სარკინიგზო მაგისტრალებით შეცვლამ კატასტროფულად დაამცრო დანიშნულება ცხენისა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცხადია, დღეისათვის აღარავინ ისურვებს ცხენით გამგზავრებას მოსკოვში ან თუნდაც აქვე, დასავლეთ საქართველოში. ამას დღეები, კვირეები, თვეები დასჭირდება და ამჟამად ასეთი მოცალეობა არავისა აქვს, მაგრამ მოკლე მანძილზე, ბარში და განსაკუთრებით მთაგორიან ძნელადსავალ ადგილებში, ცხენი დღესაც შეუცვლელია. ამიტომ ცხენთა ოდენობის ასეთი საგანგაშო კლება სავსებით გაუმართლებელია.

აი, ფრიად დამაღონებელი სტატისტიკა, რომელიც ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პორფესორმა, მეცხენეობის საუკეთესო სპეციალისტმა დავით ქობალავამ მომაწოდა: ამ ოცი წლის წინათ საქართველოში ას ოცი ათასი სული ცხენი ყოფილა. ამჟამად კი მხოლოდ ორმოცდაოთხი ათას რვაასი სულია. სულადობის კლების სტატისტიკა ბოლო რვაწლეულში ასეთია: 1968 წ. – 63400 სული, 1969 წ. – 61300 სული. 1970 წ. – 56000 სული, 1971 წ. – 52548 სული, 1972 წ. – 48500 სული, 1973 წ. – 46660 სული, 1974 წ. – 44867 სული. გამოდის, რომ საქართველოში ყოველწლიურად ცხენების რაოდენობა 2500 სულით კლებულობს. თუ ასე გაგრძელდა, 17-18 წელიწადში ერთი სულიც აღარ დარჩება. სავალალო მდგომარეობაშია ცხენების გამრავლების საქმე. ყოველ ას დედა ცხენზე ყოველწლიურად თერთმეტ კვიცს ღებულობენ. ნორმალურ პირობებში კი უნდა მიიღონ სამოცდაათი. სამი ცხენთსაშენიდან დაიხურა ორი. გაუქმდა სახელმწიფო საჯინიბო (ომამდე), საკოლმეურნეო მეცხენეობის ფერმები კახეთსა და დასავლეთ საქართველოში. საგრძნობლად შემცირდა ცხენების რაოდენობა ოჯახებშიც.

განა მარტოოდენ პრაქტიკულ-უტილიტარული დანიშნულებისათვის აშენებდნენ ადამიანები ცხენებს? რად უნდა გადახვეწილიყვნენ ისინი ავტომანქანების მომრავლებისთანავე? ნუ იფიქრებთ, ტექნიკის საწინააღმდეგო პროპაგანდას ვეწეოდე. ცხადია, გვერდს ვერ აუვლი იმას, რაც დროის სულმა მოიტანა. მაგრამ როგორ დავიყუჩოთ ტკივილის გრძნობა, როცა საქართველოს უმეტესი რაიონების (განსაკუთრებით ბარის) მოვლისას ველარ ვტკბებით ამ მშვენიერი, მართლაცდა ვაჟკაცური სანახაობით, მხედრებისა ან ცალკე ბედაურების ცქერით (აქ იპოდრომებზე როდი ვსაუბრობთ, არამედ სოფლებზე, გლეხკაცთა სამოსახლოებზე), გულისტკივილის გრძნობა

სამართლიანი რისხვით იცვლება, როდესაც ცხენის გაუჩინარების ერთ მნიშვნელოვან მიზეზსაც ვგებულობთ. თურმე ნუ იტყვით და მას შემდეგ, რაც საქართველოში მელიების ფერმები მოაშენეს, მრავალი ცხენი მელიების გამოსაკვებად განადგურდა. ასე რომ, უკეთილშობილესი და ადამიანის უერთგულესი მეგობარი ცბიერთა ჯილაგს შეეწირა. ღმერთმა ნუ გვაფიქრებინოს, რომ ჩვენ ხალხს გამოუნელდა ვაუკაცური სულისკვეთება და სილამაზის ეშმარიტი შეგრძნება. ამგვარ საქმეთა მიზეზად ჩვენივე დაუდევრობა და არასწორი ინსტრუქციები უნდა მივიჩნიოთ. ეჰვი მაინც არ გასვენებს, როდესაც ხედავ, რომ ჩვენი გლეხკაცობა, მთელი ჩვენი ინტელიგენცია მარტოოდენ უტყვი მოწმის როლში აღმოჩნდა და წინ აღარ აღუდგა ამ აღმაშფოთებელ ამბავს. განა ცხენებს გაუჭირდებოდათ არსებობა მანქანების გვერდით? განა ურიგო ოქნებოდა, თუნდაც მომწუხრისას გაჯირითება ბუნების წიაღში? ჯანსაღი ემოციისა და მშვენიერების შეგრძნება ამ კეთილშობილ პირუტყვთან ერთად? ფიზიკურ შრომისგან დამაშვრალ გლეხკაცებს კი არა, ქალაქელებსაც არ აწყენდათ ამგვარი დასვენება. განა ასე არ იქცევიან ამჟამადაც ევროპელები ბულონისა და ვენის ტყეებში, ინგლისურ პარკებში? საუბედუროდ, დღეს არც დოღები იმართება ისეთი მასშტაბით, როგორითაც უწინ, აღარც ამ ვაუკაცური სპორტის გულშემატკივრები მოიძებნებიან იმგვარი ოდენობით, როგორიც ფეხბურთსა და სპორტის სხვა სახეობებს ჰყავთ.

მოდით, ავმაღლდეთ პრაქტიციზმზე!

კვლავაც ფართოდ დავნერგოთ ჩვენში ყველა დროის უმშვენიერესი პირუტყვის, ოდითგანვე რაინდთა უერთგულესი მეგობრის, ცხენის კულტურა.

მერაბ კოსტავა
1975 წ.

პოეზია

ლირს მამა დავითს

ანტიოქიის უდაბნოში აღძრული ხმები
ვინ შეუწყვილა კავკასიის ველურ ექოებს,
ღვარძლგამოცლილი თავთუხები ვინ შეჰკრა ძნებად
და სამსხვერპლოზე აუტანა ზოდიაქოებს.
დემონნი ბილწი ბომონების ვინ ასაპყარა,
მაგიურ სიტყვით ვინ გაძაგრა სიქველის მტერი,
გარეჯის ურწყულ ხრიოკებში ვინ ასაყდარა
უშქარი ლავრა უდაბნოსი და მონასტერი.
ვინ აგალობა საღვთო ჰანგი უცნაურ ხმაზე,
უკვდავ ვარსკვლავთა ელვარების განუქარვებლად,
მთაწმინდის თეთრი ბილილების ამონაყარზე
ვინ დაიფერფლა და თბილისის იქცა მფარველად.
ჰოი, თბილისო, შენს დიდებად მთაწმინდა კმარა,
იმისი მადლით ხამს სატანა შენგან განვიდეს,
მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა,
ლოცვა წართქმული წმინდა ბაგით მამა-დავითის.
წმინდა ალაგო, შენს კვარცხლბეკზე ამაღლებულმა,
თავად ღმერთკაცმა ტანთ აგასხა რწმენის აბჯარი,
დაიგიზგიზა შენში ცეცხლმა მინავლებულმა,
ოდეს ზეგარდმო გადაგსახა მძლეველი ჯვარი.
მთაო პოხილო, იმ ზეკაცურ ნატერფალებით,
ნაოცნებარით თუ ცრემელებით ხარ დაღარული,
მზერაუქცეველ აღმართხედვით ნამწვერვალები
ჩუმი ფიქრების საკმეველით შემოჯარული.
მთაო მეტყველო, რაკი მისი ფიქრი გაცრიდა,
სწორედ ამადაც, სწორედ ამადაც... გეწოდა წმინდა.
იდუმალია იმ მაგიის საშინელება,
დაბრკოლებათა უტეხელის ნებით მძლეველი,
უმანკოების ღვთაებრივი გამოელვება
და მადლი ცისა, მოუწყველი, დაულეველი,
გარდუვალია წამი იგი იდუმალების,
გულდაწრეტილი ოდეს ღმერთთან რჩება ეული,
მხოლოდ ერისთვის გახელილი გრჩება თვალები
და მოგაქვს მსხვერპლი, უანგარო, სისხლხორცეული.

ღრუბლების რუხი საბურველი დაადგა თბილისს,
და მცდელობანი ტაროსისა გახდა ამაო,
ოდეს თვალებში ცრემლის ნაცვლად ჩადგება თრთვილი,
ისევ და ისევ შენ მოგიხმობ წმინდა მამაო.
ო, რა ძნელია, რა მძიმეა ჟამი ლოდინის,
მო, მოგვეახლე, გვანუგეშე მცირეოდენი,
ფარვანასავით გიტაცებდა არსთა ზეობა,
კაცს ანგელოსურს და ბიბლიურ ღმერთის სახიანს.
ვითა პრომეთემ, გამოსტაცე ზეცას ზნეობა
და ჩვენს მიწაზე გადმონერგე ძლევის მაგიად.
ვნებების რაში რკინის სალტით დაასადავე,
და ნებელობა უძლეველი მეაბჯრედ იწამე,
გამჭოლავ მზერას აღაპყრობდი უძრავ ვარსკვლავეთს,
და საოცრებას დაეძებდი ვარსკვლავებს მიღმა.
შენ მეფე-მოგვის სათნოება იერად გადევს,
და აღთქმის ნიშნად გადმოგნათის თავზე ირისე,
შენივე ხორცი სისხლთან ერთად ბარძიმში ჩასდე
და უზიარე მწყურვალ შვილთა იბერიისა.
მოყვასისათვის განილიე გულგანემსილი,
ოდეს სამწყოსთვის სული დასდე კეთილ მწყემსივით,
რომ სასოება არ გქონოდა ჯვარზე ვნებულის,
ბუბაქარების გოროზობას ვით გაუძლებდი,
შენ მამის წიაღს დაუბრუნე შენანებული
შვილი ნაკლული, შვილი ურჩი, შვილი უძღები.
ვით ჰიბერნიას კოლუმბაში, უდრეკი ბერი,
შენ იბერიის წმინდა მიწას გამოესარჩლე,
ჰგავხარ შექსპირის „ქარიშხალის“ მხცოვან პრისპეროს,
ქარიშხლის პირმშოს და ბუნების ძალთა მესაჭეს.
ასიზელისკენ ძმობის ხიდი ღვთით გაგიდვია
და მთა ულუმპოს ბინადართაც გადაამეტე,
შენ თავად იყავ ფშაველ ვაჟას ბრძენი მინდია,
იდუმალთწვდომით მინდიაზე იყავ უმეტესს.
მამაო, გულო ტრედისაო, გრძნობავ მარტივო,
ქვეგამხედვართა და მზაკვართა ფართე მთხრებელო,
ჩვილი ნუკრების ძუძუმტეო, სულო მარტვილო,
წიაღთა სიბრძნის აიაზმად მასხურებელო.

გარეჯსად იდექ, ღამეების თეთრად მთეველი,
ნათლისა სვეტი, წყვდიადისგან დაუძლეველი,
ანაზდეული ჩამოგესმა რეკვა ციდანა,
იესოს კვალზე როს ედემში ალვად იზარდე,
მხოლოდ წარსულში? მყოფადშიაც გცნობენ წმინდანად,
წმინდათ დაშთები უკუნითი უკუნისამდე!
მოვედ ჩვენს შორის კათაკმეველთ მადლის მყოფელო,
ლავრების თაღქვეშ აღვლენილო საგალობელო.
ღირსო მამაო, თუ წმინდანი არა ხარ მართლაც,
რტო ფებუსისა, პოეზიის ისრით ჭდეული
რაღად ისწრაფვის მაღალ ნიჭის შენგან განათვლას,
შენს კვალს რად შესტრფის მელექსეთა დასი რჩეული?
და თუ მგოსნების განათვლაში არ ხარ პირველი,
პარნასის თხემზე აზიდული ტინის კედელად,
მაშ გულზე ნაოჭდაჭდეული მთა საკვირველი
რატომ აქციეს პოეტების საგოდებელად?
სად მგოსანთაგან ვინ არ იგრძნოს მადლი ციური,
რაღაც ძვირფასი, იდუმალი და მისტიური,
თუ პოეზიის შენ არა ხარ წმინდა ემბაზი,
ლექსის კამარა მადლით თუ არ დააირისე,
მარქვი, ძვირფაო, შენს უბრალო გახსენებაზე
ტანში რადა სცრის ყველა ქართველს, ყველა თბილისელს?
მთას შესევია ბილიკები კენტი და ლუწი,
ამ აღმაფრენის სპირალებით ვის არ უვლია,
ამ რძიან გზებით დავაბიჯებთ და არ კი ვუწყით.
რომ ეს ბილიკი შენის ტერფით გაკვალულია.
ფერს შეეპარა მტრედისფერი ცისკრის სინორჩე,
სიბერე დღისა, დაისების გაფერმკრთალება,
მთაწმინდის მკერდზე გაზაფხულის ნედლი სინორჩე
და შემოდგომის პანაშვიდთა ფერისცვალება.
ოდითგან ფუნჯის დიდოსტატთაც მაჯა აკურთხე,
ფერთა ზეობის საფუძველი იცან რომელმან.
ამადაც ფრესკის მჭვირვალების ხარ სიმსუბუქე,
რათა ექსტაზში ნეტარება ჰპოვოს ყოველმან.
მამაო, გვარქვი, უშენობად ნეტავი ვინ სძლოს,
მამაო, ჩვენდა გადახსენი უცხო სამყარო.
მამაო, წყარო ცხოვრებისა ვისხუროთ ვინძლო.
მამაო, ვინძლო დამჭკნარ კვერთხზე ყლორტი ვახაროთ.

მამაო, ღირსო ქადაგების ცეცხლო და რვალო,
მამაო, მაღალ სასწაულთა ღირსო ქმედებავ,
მამაო, ზეცით მომზირალო უშრეტო თვალო,
მამაო, ქველთა ხელოვანთა შემოქმედებავ
მამაო, შვილთა უპოვართა შესამოსელო,
ცხოვრების გზაზე შეჭირვებულთ მწეო მართალო,
მამაო, უბრად გამოუთქმელ არსის მმოსავო,
მამაო, სიწრფით ღვთის სასწორო და სამართალო.
ვერ დაგვიხსნიდა ავგაროზი, ვერცა თილისმა,
დუშმანისაგან ვერაფერი დაგვიფარავდა,
თუ გორგასალმა აღაშენა ფუძე თბილისის,
შენის კურთხევით ჰყავ უკვდავი აწ და მარადის!
შენ ამწყალობე მის სანახებს მკაცრი იერი,
და ქართულ მიწას ააცილე უსახურობა,
სულის საჭრეთლით ჩვენი ერი ჰყავ სახიერი,
როს საიდუმლო აღასრულე ღმერთმსახურება.
ღირსო, მამაო, ხამს აღლესო სიტყვის მახვილი,
და ახალ ნერგებს სხვა ახალი მისცე საზრდელი,
საუკუნეთა გოლიათურ გადაძახილში,
ხაზს მოგაწვდენენ შენი შიო და ზედაზნელი.
ანტიოქიის უდაბნოში აღძრული ხმები,
თქვენ შეუწყვილეთ კავკასიის ველურ ექოებს,
ოქროცურვილი თავთუხები შეჰკონეთ ძნებად,
და სამსხვერპლოზე აუტანეთ ზოდიაქოებს.
დამაშვრალები მოადექით თბილისის კარებს,
ქალწულებივით მოგეგებნენ ზვრებში ბწკარები,
ცრემლი სდიოდათ კაბადონის უხილავ ბზარებს,
და სამრეკლოთა თავისთავად სჭექდნენ ზარები.
სასულიერეროს არ ელტვოდით მაღალ წოდებას,
არ დაეძებდით არც დიდებას, არცა სახელოს,
სხვა მისწრაფება, სხვა მიზანი მოგიწოდებდათ,
დაუსაბამო, უწვდომელი და უსახელო...
სიმდაბლე თავად დიდების გზით მიემართება,
შემწყნარებელი მყის მოიმკის პირუთვნელ მსაჯულს,
თავისმოდრეკით დამდაბლების ეს შემართება
არ იავარჰყოფს, არ დალაშქრავს ან რომელ ქაჯეთს.

როგორც ყინვართა ჯიქანიდან ჩვილი ბინული,
აღძარით ტალღა სინანულის ქართლისა წიაღ,
უშრეტი ცეცხლი მოაზღვავეთ ქერუბიმული,
ცეცხლი, რომლითაც მოაპობდით უსიერ წყვდიადს.
ცეცხლი წვავს მიწის ყველანაირ წარმავალობას,
მაგრამ ვინ ჰპოვოს ქვეყნად ცეცხლი ბიწთან ნაზავი,
იგი წმინდაა და მის წმინდა შეუვალობით
არ დაიდების, არ ეგების ბოროტთან ზავი.
თქვენ მცხუნვარება გვაგრძნობინეთ უდაბნოს ლომის,
და ძლევის ცაზე შთაბრიალდით, როგორც არწივი,
დაუცხრომელი სპარაზენნი სულიერ ომის.
ჩვენი სინდისის და მეობის აკვანს არწევდით.
არ დაიშრიტოს ცეცხლი თქვენგან ანატაცები,
ცეცხლი მგზნებარე, ჩვენს ძარღვებში სისხლად ნადენი,
რადგან ზნეობის რაინდები და ღმერთკაცები,
ჩვენი კაცობის ბასტიონად აღემართებით.
არ იმცრობიან სასწაულნი საარაკონი,
ჟამთა დინებას მხოლოდ ტვირთი სუბუქი მიაქვს,
საქმეთა თქვენთა ასაპყარეს ბილწი დრაკონი
და ბოროტება უმსახურეს სიკეთის წიაღს.
მოხველით დასი ათცამეტთა მწირთა ასურთა,
როს შორეული მყინვარწვერის ელავდა ქიმი,
უკვდავებასთან დიდებული აღთქმა აღსრულდა,
და თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთისმშობლის ღიმი.

ქართული საგალობელი

არ ამოვიკრავთ პირს ვინაიდან
წილად გვარგუნე ღმერთების ენა.
გიგალობთ, რადგან დასაბამიდან
ყოველი არსი გიგალობს შენა.
სიმღერის მადლი მოგვდგამს მას იქით,
როგორც გულის ხმა დაუძლეველი,
ყველა ქართველში შენი მუსიკის
ანთია წმინდა საკურთხეველი.
შემაძლებინე მაღალო ღმერთო,
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო,
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.
მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,
გავუადვილო წუთისოფელი,
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,
აი, ქართული საგალობელი.
უნდა ევნოო მისი გულისთვის,
უნდა იწვოდე მისი სახმილით,
აჰა, მამულო, შენი გულისთქმა,
შენი სიმღერა და მოძახილი.

კვლავ მოლოდინში

კვლავ მოლოდინში დაგვათენდება,
კვლავ შემოანგრევს რიურაუი სარკმელს,
სული ლოცვებში მოითენთება,
მხურვალე ცრემლით დაალტვობს კანკელს.

ოცნებას აშლის ზედაზნის ზეცა,
მცხეთისკენ თვალის შენავარდება,
მონასტერს კალთა რამ შეაკვეცა,
ან სული უფალს რად არ ბარდება?

დიდი ცარგვალის ლურჯ იმედებში
სვეტიცხოველი დაგვინთებს ედემს,
მარქვი, მონასტრის დახშულ კედლებში
რატომ ვერ ხედავ შაოსან დედებს?

რატომ ვერ ხედავ მიმქრალ სახეებს,
მენელსაცხებლეს, ნიშის წინ დახრილს,
კდემით წართქმული წმინდა სახელი
რად არ მიშუშებს ტანჯვათა სახმილს?

სული ლოცვებში მოითენთება,
მდუღარე ცრემლი ეცემა კანდელს,
კვლავ მოლოდინში დაგვათენდება,
კვლავ შემოანგრევს რიურაუი სარკმელს.

* * *

დე, ჩამოიქცეს ტანჯულის ცრემლი
ცისკრის ნამივით,
ცისკრის ვარსკვლავმა მოჰხაზოს ბჭენი
და სოფლის გოგომ
მაშინ ნახირი მისდენოს ჭასთან,
ჭის წყვდიადიდან თუნდაც უნასი
აბრდღვიალებდეს თილისმა თვალსა
თუნდაც წყეული უდგეს კრიჭაში
მზე ჩაბრძანდება მაინც იმ ჭაში.
და უნასს აქცევს უნაზეს ქალად.

ტანჯვათა ტიტანი
(ვუძღვნი დოსტოევსკის)

ლურჯად ლივლივებს ზეცა უზადო,
ირკალებიან სტეპნი დონისა,
გაშიშვლებულა დიდი რუსეთი,
როგორც მეძავი ბაბილონისა.
ნუთუ ფორტუნას ჰყავს ატანილი
და თავს საკუთარს ვეღარ იპოვის...
როდემდე გასტანს აუტანელი
უსულგულობა ჩინოვნიკობის.
ვაჰ, თუ მეუფემ ისევ ინება
მახვილად დაგვცეს ფრთა ანგელოსის,
არა, არა სურს ჭეშმარიტებას
გაწირვა დედა საქართველოსი.
როცა აჰყარა დედაბუდიან,
მამის ბეჭედი ეპყრა სარჩულად,
რადგან გასწირა მან იუდეა
კაცობრიობის გადასარჩენად.
მისგან განდგომილთ დაატყდა წყევლად,
სახეტიალო დრო მერმინდელი,
მაგრამ სიკეთით ატარა ყველა
მან ჭეშმარიტი ისრაიტელი.
წოდებულთაგან რჩეულ თავკაცთა
ახალი დროის გვამცნეს დადგომა,
ხალხებს აგლოვეს მესიის ჯვარცმა,
ახარეს ღმერთის მკვდრეთით აღდგომა.
საქმეა იქცე მსოფლიო კაცად
და არ უმუხთლო ერსა და თვისტომს,
ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას
ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო.
ცხოვრება მუდამ სვამდა საკითხებს
უკომპრომისოდ, ულმობლად, მწვავედ,
საკუთარ სინდისს მკაცრად მოჰკითხე,
თორემ პირისგან მისისა განვედ.

დღევანდელობის ავიტანთ პროზას,
რადგან განზრახვა შემოქმედისა
გვპირდება ახალ მეტამორფოზას,
თანამდგომელად ქართლის ბედისა.
ზიზღით გასტყორცნის ალესილ ნაჯახს,
ვინც სინანულის ბილიკს იპოვის,
საკუთარ სულში გარდაჰქმნის ყაჩაღს
რუსეთი – ბნელი რასკოლნიკოვი.
აკრთობდა ჯალათს მაღალი შუბლის
გადაღარული ელვით რკალები,
კოპებთან შეყრა საწვიმარ ღრუბლის
და ხანჯალივით ბასრი თვალები.
მაგრამ დაღუპვა მისი არ სურდა,
გამოცდა სწადდა მფარველს უჩინარს
და სამერმისოდ იგი აღსრულდა,
ბედის ვარსკვლავმა რაც განუჩინა.
ჰა, კატორღელი სასწაულს ელის,
თანანადებთა მოსჩხრეკს იარას,
გზები კაენის, განცდები მკვლელის,
ცოდვის ზიარად შემოიარა.
არ აიცდინა იღბალი კრული,
შხამად რომ ასვა წუთისოფელმა,
სინდისის ცეცხლში გავლებულ სულის
მენელსაცხებლე მახარობელმა.
გადაეძაბა ლოდინის ძაფი,
იმედის ელდამ გული გალია,
სად თანაგრძნობას კამარით მძაფრით
ქვესკნელით ზეცა განუმსჭვალია.
ვერ ანარცხებდა ცხოვრება მრუში,
არ უდრკებოდა შემზარავ ფერებს
და განაგონი ნახევრად რულში,
ახსენდებოდა დიდი ხნის მერე.
ააგიზგიზებს შორეულ ესკიზს,
უხამს სიფათებს ვერ მოინელებს,
აწამებს ხსოვნა და დოსტოევსკის
დაალტობს ცრემლი მაგდალინელის.

საშოს სულისას არ დაიბერწებს
ქვით დამკრეფელთა მკაცრი მქირდავი,
მეძავის დარდში მარგალიტს ეძებს
შვიდი დემონის ტანით მტვირთავი.
ვის წიაღიდან დიდმა უფალმა
ლოცვით განასხა ეშმათა დასტა,
ახლა თვით არის ჭირისუფალი
ცოდვის საწერლით დადაღულ კაცთა.
სჭვრეტს მეოხებას, მონადენს მაღლით,
სად ლოთობაა, სიძვა, როზგები,
და განგვაცვიფრებს თავისი ხალხის
აღუწერელი პარადოქსებით.
და როგორც მოგვი, ორგზის ნაშობი,
ჭეშმარიტების ხდება მხლებელი,
ეოცნებება სულ სხვა სამშობლო,
ქვეყანა ღმერთის მაძიებელი.
კაბადონივით გადაიავდრებს,
გულს გააშიშვლებს უზომოდ ალალს
და უჩვეულოს შესძენს სიმძაფრეს,
მოყვასის ხვედრში ჩაწობილ კალამს.
სისხლად ნანთხევი თითო ბწკარედი
უძირო ტანჯვის აჩენს ტიტანად,
სიზმართა წყების გენისარეთი
ვინც პეტერბურგში გადმოიტანა.
ბნედიანივით შეაზანზარებს
აპოკალიფსი მეხის და სეტყვის,
მკვდრეთით აღმდგარა მისი ლაზარე,
სისხლი და ხორცი დიდი მესიტყვის.
ის მოგონება არ არის მითი,
გამონაგონი ბოგანო რუსის,
მასში იმძლავრებს ხმა პირველ სკვითის,
ვარდისჯვრიანი სკვითიანუსის.
მყოფადის ბედი არ წყდება უცებ,
არ გადიხსნება ზეცა იოლად,
უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს,
ვეშაპის მუცლით გასულ იონას.
და აიაზმას გადაასხურებს,
როცა განწმენდის ჟამი იელვებს,
როცა იქცევა ყველა მსახურად,
როცა ფეხს დაჭბანს გადამთიელებს.

გაჯაფხული

ხატებაო, ნატვრის ხისა,
უცხო მხარეს დარგულო,
ხეო, მიჯნურთ სამოთხისა,
ცხრა მთას გადაკარგულო.
კაეშანი გარდამიგდე,
დარდი განუკურნელი,
დამიმკვიდრე სულში ქრისტე
და აღდგომის სურნელი.
ნუში, მთელი და ველები,
შუქთა ფენა მთიების,
თეთრი, თეთრი ყვავილები,
თეთრი ეკლესიები.
ვერ დაფარავთ ვერა ღიმილს,
მანგად განაელვებო,
მგლოვიარე სერაფიმის
დაკარგულო ცრემლებო.
ჩაგეღვარათ რა ნექტარი
ფერად ალმას შუშისა,
თვალთა ჩვენთა სანეტარო
ყვავილების ნუშისა.
უელვებდით სივრცეს თოლებს,
ალბათ ფრება გეწადათ,
ლურჯი ფერით ანათრთოლი
მიიწევდით ზეცადა.
თუმცა ფრთენი, ფრთენი ოდენ
ასაფრენად გელოდნენ,
გული ცისთვის გელეოდათ,
რტონი გერ გელეოდნენ.
ბოლოს ქარი აგეანცათ,
მოვარდნილი ქადილით,
მეცხრე ცაზე აგიტაცათ,
აგისრულდათ წადილი.

წყაროვ, ო, წყაროვ

წყაროვ, ო, წყაროვ უწრფელეს გზნებით
კლდიდან ველებს რომ ჩამოეჭრები,
შენი სიმღერით სარბენი გზები,
მოგებულია თეთრი კენჭებით.

საარწივო და საშევარდენო,
უწარმტაცესო მთების ალერსით,
წყაროვ, ო, წყაროვ ცის მონადენო
მიჯნურის ცრემლზე უსპეტაკესო.

ღვთისმმოსავივით განვიბან ხელებს,
მოწყურებული შეგსვამ გულითა,
რადგან მაგონებ ჭაბუკურ ცრემლებს,
გამთბარს პირველი სიყვარულითა.

დიდგორი

ვით მღვრიე ტალღები, შეიხნი, ხოჯები
ვამპირულ ცოფით და სატანურ ღოჯებით
აღიძვრნენ, უძღოდათ მზერათა მზარავი
არაბულ ტაიჭით მჭროლავი არავი.
დუშმანს გაეგება დავით თოროსანი
მესსიის ელვა და ედემის სოსანი
და ბოცომკალივით მომდგარი საჭარა
მკლავზე დაიგრიხა, მშვილდივით წახარა.
გულდაგულ შემუსრა მტარვალთა კერპები,
გველს და ბასილისკოს დაასო ტერფები,
ბაღდადურ ღრიანკალს დასთხარა ჭანგები,
იდიდოს მადლი და კურთხევა განგების!
აქეთ იყალთოთი, იქეთ გელათითა,
მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა,
აღსავლის კარიდან ასტყორცნა არწივი,
ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ-ბარძიმი.

ირაკლის

არა, წუწუნი იქ არ გაისმა,
 რამეთუ ჰფლობდი სიღრმეს გაუმხელს,
 თავი მოიკალ, როგორც კლაისტმა,
 ვერთერულ განცდებს ვეღარ წაუხველ.
რად მოგიწამლა ასე გუნება.
 საწუთრომ თვისდა წესის მიხედვით,
 რად ვერ გაუძელ მწარე ცდუნებას,
 ფაუსტობამდე რად არ მიხვედი!?
მეტის გაბედვით და ვაჟკაცობით,
 სიცოცხლის ძარღვი რად გაიწყვიტე,
 ისრები, შხამში ამონაწობი,
 უკლებლივ რატომ ვერ აისხლიტე?!
 ვერც მოგეფერე, ვერც დაგიტირე,
 ჭირსა შიგან მყოფს, ეს რა მიყავი,
 იმ დაწყევლილ დღეს, მე სასიკვდილე,
 ვაგლახ, შენს გვერდით რომ არ ვიყავი.
 ო, როგორ ვდარდობ, როგორ ვინაღვლი,
 აწ მომხდარს რომ ვერ გადავეღობე,
 კიდევ კარგი, რომ ჩემთვის ირაკლი,
 გარდაცვლილები არ არსებობენ.
და არც კვდებიან, და არც ჰქრებიან,
 გარდიქმნებიან ღმრთივ საოცრებად,
 რადგან ისინი მუდამ რჩებიან,
 ჩემთვის ცოცხლებზე უფრო ცოცხლებად.
გუმანით გრძნობდი, რომ ბედისწერას,
 მუდამ დაჰყვება ხმა განგმირავი,
 მაგრამ ღმერთს, აბა, ვინ გაუწირავს,
 რომ შენში ვპოვოთ გასაწირავი?!
წამქეზებელი წყეული თესლის,
 მოძალადეთა მომრიგებელი,
 მუდამ შიშობდა აღვსილი გესლით,
 წუთისოფელი შურისმგებელი.
დამმკვიდრებელნი ჭეშმარიტ გეზის,
 ნებით უდრეკით, შეურყეველით,
 რომ შევმტკიცდებით, ირაკლი, გესმის,
 როგორც გოდოლი აუღებელი.
 და სულით ეგზომ უახლოესნი,
 გაგვნთესა ისე, ვით შორებელნი.

გათიშვით სურდა ჩვენი წვალება,
კავშირი მძლავრი რომ დაეშალა,
და არ მიეცა საშუალება,
გულისნადები გადაგვეშალა,
მას უკვდავების წმინდა წყლებითა,
არ სურდა მორწყვა დასიცხულ ზვრების,
რათა უმაღლეს საწყისებიდან,
მერმისის თავთავს იმკიდნენ სხვები.
გადავეცდინეთ სურდა გეზიდან,
მუხთლალის ზრახვას ნუთუ ვერ ხვდები,
გონება ისე გადამებინდა,
ვეღარ ჩავშალე მტარვალის ცდები.
შემოგვიტია, არ მოგვერიდა,
ირონიით და ნიშნის მოგებით,
ეს რა უწყალოდ გადაგვეკიდა,
რა უსაშველოდ მოგვაწვა რქებით,
როდესაც შენი დაბადებიდან
შეუბრალებლად გაჰყარა გზები.
მაგრამ გამორჩა მტარვალს ხედვიდან,
წმინდა კანონი შინაგან ძვრების,
მამა-შვილობა გვიჩნს ავბედითად,
თუ სულიერი არ გავხდით ძმები.
ამგვარი ხვედრი რად არ გვეტვირთვა,
აღვლესოთ გულნი, ვითარცა ხმლები,
რადგან სამკალი ასე გვემდიდრა,
ისევ ჩვენ შევკრათ თავთუხის ძნები.
თუმცა მე აქ ვარ სოფლად შთენილი,
შენ კი სულეთში, იქ, ზესთასოფლად,
ხარ შენის ნებით გარდავლენილი,
თავს ნუ ვიგულგებთ, ირაკლი, ობლად.
ტრფობა ნაჭარბი რადგან გულებით,
სასუფეველი იიძულების,
უდრეკ ზღუდეთა მარად დამძლევი,
ვყოთ სიყვარული ჩვენ გზად და ხიდათ,
და ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი,
მეოხ გვექმნების განგება დიდათ.
ცხადად ერთურთს რომ არ მოველანდოთ
და ურწმუნობას ავუგოთ წესი,
ჩვენ უნდა შევხვდეთ ჩემს სიკვდილამდე,
ვით ლაერტის ძე და აქილევსი.

რომ შევამტკიცოთ ორი სოფელი,
მზით ნათელღებულ შუაღამეში,
ჩვენ უნდა შევხვდეთ უცილობელად,
როგორც ენქიდუ და გილგამეში.
არცოდნა აღარ გვეპატიება
იმის, თუ რაა გეზი ღმერთისკენ,
ეს ურთიერთის არის ძიება,
იგი გზა არის ურთიერთისკენ.
ასე იკვრება მრავალი ერთით,
მსგავსი რომლისაც არ გვეგულება,
თუკი სამყაროს გულია ღმერთი,
გზაა სიწრფელეც და ერთგულებაც,
და ამიტომაც დაგვმოძღვროს, ვვედრით,
ულირსთ გვაჩვენოს თვისი დიდება,
თუკი სამყაროს აზრია ღმერთი,
გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც.
და თუკი ვინმე ეს დაჭბედვია,
ერთი აქვს სიტყვა, საქმე და ცნება,
რადგანაც ღმერთი შემომქმედია,
გზა არის საქმეც და წმინდა ნებაც.
მაშინ გაუვა ყავლი წამებას,
შეხვედრის წამი როს არ აგვცდება,
როს ჩვენს წიაღში, ესე სამება,
მძლე სიყვარულით გაერთარსდება.
და როცა ზღუდეს გავუმკლავდებით,
როგორც ანქიზე და ენეოსი,
მიწას მოვწყვიტოთ მძლავრი მკლავებით,
ცაში დავახრჩოთ ჩვენ ანთეოსი.
აღსასრულებლად თუნდ იყოს ძნელი,
ღმერთმა ხელი ნუ აგვაღებინოს,
რომ საქმე, თითქმის შეუძლებელი,
ამ სიყვარულმა შეგვაძლებინოს.

მსხვერპლი

რამ მოგანიჭა ესე ტრფობა დაულეველი,
შენი შემყურე ვით არ გავხდე ჭკუათმყოფელი,
თუ გსურს ბოლომდე დაიმკვიდრო სასუფეველი,
უნდა ბოლომდე შეიყვარო ესე სოფელი,
ისე ვით ქრისტემ შეიყვარა იგი ბოლომდე.

* * *

იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი,
სიწმინდის თვალი, ასპიტის ელდა,
მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვარი,
დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას.
განურჩევლობა დაბგმე მცონარი,
ბადაგის ხარბო, ძმარი მიირთვი,
აღვდგეთ, აღვიღოთ ჩვენ ჩვენი ჯვარი,
უმძიმეს ტანჯვის ვიწვნიოთ ტვირთი,
დავგმოთ, დავთრგუნოთ მომხვეჭელობა,
მალამო წარვცხოთ წარსულ იარებს
და უზენაეს პირუთვნელობის
გაბრწყინებული გზებით ვიაროთ.
არცოდნა აღარ გვეპატიება
იმის, თუ რაა გეზი ღმერთისკენ,
ეს ურთიერთის არის ძიება,
იგი გზა არის ურთიერთისკენ.
ასე იკვრება მრავალი ერთით,
მსგავსი რომლისაც არ გვეგულება,
თუკი სამყაროს გულია ღმერთი,
გზაა სიწრფელეც და ერთგულებაც.
და ამიტომაც დაგვმოძღვროს, ვვედრით,
ულირსთ გვაჩვენოს თვისი დიდება,
თუკი სამყაროს აზრია ღმერთი,
გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც.

და თუკი ვინმეს ეს დაჰბედვია,
ერთი აქვს სიტყვა, საქმე და ცნება,
რადგანაც ღმერთი შემომქმედია,
გზა არის საქმეც და წმინდა ნებაც.
მაშინ გაუვა ყავლი წამებას,
აღთქმულის მადლი როს არ აგვცდება,
როს ჩვენს წიაღში ესე სამება
მძლე სიყვარულით გაერთარსდება.
შეგვაძლებინე, მაღალო ღმერთო,
მოყვასთან ჩვენთა მუხლი ვუყაროთ,
მოძმე მკერდიდან არ მოგვიკვეთო,
ტრფიალი მისი არ განგვიქარვო.
ღირსი გაგვხადე ჩვენი ერისთვის
არ შევეპუოთ ხვედრის სიმძიმეს,
აქ გამოვლილი სატანჯველისთვის,
იქაურ ტანჯვას ნუ შეგვიმცირებ.
გთხოვთ, მარტვილობა გვიქციო ბრძმედათ,
გარდასახდენი არ განგვარიდო,
ღირსად გვყო ძისა შენისა ჭვრეტად
ჩვენი ცხოვრების სამაგლითოდ.
რამეთუ გვწადის დიდო გამჩენო,
მოსახდენს ზურგი არ შევაქციოთ,
სურვილი შენი, განზრახვა შენი,
მიზნები შენი ჩვენად ვაქციოთ.

* * *

ძალუმი ვით იეჰოვა,
ვითარცა ზვავების თოვა,
ცეცხლოვან მდინარედ მოვალ.
დავანთებ ცრემლსა და გლოვას,
ზათქით და გრიალით მოვალ...
მთიდან რომ მოგაწვდი ყვავილს,
იცოდე, ცეცხლისა არის,
ვითარცა ღველფისა გუნდა,
ხელები დაგთუთქოს უნდა.
შემცნობის ქველის და ავის,
მარადი ომი და ზავი,
ზვავთა და მერეხთა თოვა,
ელვათა კვეთებით მოვალ.
იათა ცრემლიან გულად,
განმეხვენ ნუგეშის დაო,
შთამასვი ცხოვრების ზმულა,
შემმოსე სიმშვიდის ბაო.
გრძნობების ეს სახიობა,
გაუხსენ ჩემს სიმშფოთვარეს,
უსაყდროდ გამრიყავს ყოფა,
შენ თუ არ გამიღებ კარებს.
ზვავთა და მერეხთა თოვა,
სისხლით და ცრემლებით გლოვა,
ლოცვად და ვედრებად მოვალ,
ლოცვად და ვედრებად მოვალ.

ჩავუხტეთ ბარათაშვილსა

ი არსენა რა ყოფილა,
რა არი ამისთანაო.

რას იკვეხ, ბარათაშვილო,
შენი ლამაზი ქალითა,
ჩაგიმწყვდევია ცხრაკლიტულს,
მზეს არ ანახვებ თვალითა.
ტალად ვეფხვები დაგისვამს
ულამაზესი ბრეშყალითა,
ვერ დაიფარვენ, დაგავსებ,
ქალს წაგგვრი მაჯაგანითა.
აბჯარ აისხა, შეჰკაზმო,
შენი ქურანი მალია,
ღვთის რისხვა გამამადევნო,
ქვას ფრეწდის ქორის თვალითა,
ცხრა ვაჟი შამამასივო
ცხრა ალესილი ხრმალია,
ცხრა რძალი ბანზე დაგისვა
დაღრეჯით მატირალია.
შევარდნის მართვე გახლავარ,
მოყმე ვარ ალვისტანაო,
ცხრა მუხა აკვანს მირწევდა,
ცხრა წყარომ პირი მბანაო.
ცხრა დევი ხელით შავიპყარ,
შავკოშე, ჩავეც დანაო,
ცხრა სიკვდილ ისე დავლახენ,
წარბიც არ შამექანაო.
ჩემი აკვანი კუბოა,
ზარი გლოვისა – ნანაო,
სული გვამს როცა გასცდება,
მიმღერე სულთანანაო.

* * *

ბალღო ლომისფაფარიანო,
მკათათვისფერო თმისაო,
სერაფიმ-საგალობელო,
უფსკრულო სინათლისაო.
მზერაო დაუშრეტელო
და პურო ცხოვრებისაო,
წყაროო უკვდავებისავ,
სასუფეველო ცისაო,
ცვარ-მარგალიტის სიგრილევ,
ნიავო წალკოტისაო,
ვარსკვლავეთისა საუნჯევ,
მშვენებავ ედემისაო,
ამ სოფლად მოვლინებულო
შენ ბინადარო ცისაო.
ხელთუმტკიცესო ბეჭედო
მაღალი განზრახვისაო,
უსათუთესო შეხებავ
ანგელოსური ფრთისაო.
დაუჭკნობელო ყვავილო,
კდემაო ქალწულისაო,
აღურაცხელო მადლო და
სასუფეველო ცისაო.

სულო დაიცა...

საით მიილტვი, სულო, დაიცა,
სულო მბორგავო, შესდექ!
ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს,
უნდა ელოდე შემდეგს.
        სულო გასდიე სალი კლდის არწივს,
        ლაჟვარდში შვება იცან,
        ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვდი
        და ეამბორე მიწას.
აუწყვეტია კლდეთით პრომეთეს,
დამცხრალა მთებში ზვავი,
ადევნებიხარ ცაში კომეტებს,
ზევსთან შეკრული ზავით.
        სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს,
        მნათობთა ბადეს გაშლილს,
        განგებას შენთვის დაურახტია
        ცეცხლის მფრქვეველი რაში.
ჰა, გარიჟრაჟმა ცეცხლი დაგინთო,
აღდგომა კვირის დამდეგს,
ხამს სინანულის ზღვაში ჩაყვინთო,
მოკვდი და მკვდრეთით აღდექ!
        რა უკვდავების ქნარით გვიგალობ,
        ეს რა სამკვიდრო გერგო,
        ბოროტებასთან შეურიგალი,
        მარადისობის ნერგო.
სად მიისწრაფი სულო, დაიცა,
სულო მბორგავო, შესდექ!
წმინდა ლაჟვარდიც უნდა გაიცრას,
რომ მიემთხვიოს ედემს.

შიმშილობა*

თუკი ქადაგებ ქვეყნად ჰუმანიზმს,
კიდევაც შესძელ ტანჯვის ატანა,
შესძელ ალაგმო შენში გურმანი,
გაავებული, როგორც სატანა.
შიმშილის განცდა მწვავეა ფრიად,
ვით სიცოცხლეზე აღმართვა ხელის,
გვამში გეღვრება, ვით ცხელი ტყვია,
თავს დასტრიალებს სიკვდილის ცელი.
ქარქაშში ხმალს ნუ ჩაგაგებინებს
დრო სიმუხთლისა და უხამსობის,
მხოლოდ შიმშილი შეგაგნებინებს
რა არის პური ჩვენი არსობის.
რაა შიმშილი, მეტადრე ჩვენმა
გამოცდილებამ უწყის პირადმა,
უწყოდა განდიმ, ლიკურგემ ბრძენმა,
ნიდერლანდებმა და ლენინგრადმა.
მხოლოდ ძლიერთა ძალუძთ ალაგმონ
სულმდაბლობა და ძაბუნი შიში,
გარემოცვისას ბევრმა ქალაქმა
მონის ბორკილი არჩია შიმშილს.
რადგან ქალაქი, ვით პიროვნება,
თვითაა თავის ბედის მჭედელი,
საკუთარ ხალხის და ეროვნების
სინდისისაგან მოუკვეთელი.
თუ გამოირჩა უფლის წინაშე
და მოიხადა საქვეყნოდ ვალი,
უკვდავყოს ხსოვნა ხალხის წიაღში,
წარუხოცველი დასტოვოს კვალი.

---

* დაწერილია პატიმრობისას, შიმშილობის მერვე თვეს. მერაბ კოსტავამ ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე იშიმშილა. ადმინისტრაცია კვირაში ერთხელ, ძალდატანებით, სტომატოლოგიური ხელსაწყოს მეშვეობით უღებდა პირს ბორკილდადებულს და ზონდის მეშვეობით აწვდიდა ორგანიზმს თხიერ საკვებს.

სულეთისაკენ ვინც იჩქაროდა,
სპარტის დიდებად დელფოსს მისული
და მიდიოდა ამ სამყაროდან
მისნების დასით გარემოცული.
ძალას არ ჰქონდა მისას სასრული,
გასძლო, რამდენიც სულს გაეძლება,
შიმშილით სხეულს გაჰყარა სული,
რამეთუ ჰქონდა ამის შეძლება.
ერის მსახური, ხალხის მხლებელი,
ბერძენთა დიდი კანონმდებელი,
პირნათლად დადგა სამარის კართან,
ძლევის მახვილი შეაბა სპარტას.
იგი სიკეთით გახლავთ საცნობი,
თემიდას სვეტი, მეკვლე დამდეგის,
პიროვნულ ეგოს სულმთლად დამთმობი
და უდრტვინველად მსხვერპლად დამდები,
სიმდაბლით თვისით გასაოცარი
და ვაჟკაცობის დიდი მოძღვარი.
რომ ვერ იხილონ სპარტა ძლეული,
შორს ფუფუნება, განცხრომა, ფული,
მხოლოდ ჯანსაღი სწამდა სხეული
დასავანებლად ჯანსაღი სულის.
უხვად მიაგებს ცეცერა სართავს,
და აკარგვინებს ანგარიშს უცებ,
ვინც ლუკულუსის ნადიმებს მართავს,
დაუცხრომელად ახარებს მუცელს.
ვისაც თან დააქვს მსოფლიო ხვავი,
გადაჟანგებულს მიაგავს ძრავას,
და ასე ცხოვრობს, რაც ახსოვს თავი,
უიდეალოდ, დუნედ, უძრავად.
მუდამ დამუხტავ, თუ გსურს ძალიან
ცხოვრების შენის პირქუშ პოემას,
იქ სახუმაროდ სადღა გცალიან,
როცა სიკვდილთან ნიშნავ პაემანს,
სიკვდილზე ფიქრებს, სიბრძნის ამ დედას,
თუ სამარცხვინოდ არ გაექცევი,
ჯანგალეული სხეულის ჭვრეტა,
შემაზრზენ შიშად თუ არ გექცევა,

გარეშემოთა და შენდა ბედად,
მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა,
კვლავაც აგღმართავს ხელთუქმნელ სვეტად,
ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად
მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს.
როს შიმშილობა ბოლომდე განდობს
საიდუმლოთა დიდთა სიკეთეს,
იგრძნობ ტოლსტოიმ, შამილმა, განდიმ,
ხორცის მიღება რად აღიკვეთეს.
რად არ ემსგავსნენ ცოცხალ სამარეს,
მარადის ხრწნადი გვამის სათავსოს,
ირჩიეს გეზი მხოლოდ მთავარი,
დაჰგმეს წვრილმანი ათი ათასი.
როს შეგრძნებების აღორძინება
ისევ და ისევ წარმოშობს ახალს,
მიხვდები, ეგზომ გულმოდგინებით
რად ინახავდნენ ძველები მარხვას.
შიმშილმა ისე უნდა დაგცადოს
და შეგირყიოს სიცოცხლის ღერძი,
გემოც, ხარისხიც ყოველი კერძის.
როცა შიმშილი დაძრწის წელებში
და ცხედარივით ნარზე დაგდებენ,
მიხვდები მიზეზს ჩვენთან ქელეხში,
ხორცეულს რატომ არ ამზადებენ.
სწორედ ის არის გასაკვირველი,
როს ახარისხებ კერძების წყებას,
იგრძნობ, რომ შენში თავდაპირველად
უხეშ საკვების სურვილი ჰქრება.
და ზეციურის ნესტრით ვნებული,
კერძთა სურვილის იგრძნობ ხელყოფას,
იგი ჰგავს განცდას მიცვალებულის,
როს ემიჯნება მიწიერ ყოფას.
და გინელდება მაშინ წყურვილი,
ეს თვითდინება აღარას გკითხავს,
ანაზდად ქრება ხორცის სურვილი,
სურვილი პურის არ ცხრება დიდხანს.

ხე მსხმოიარე მზისკენ მიქცევით,
თუკი ნაყოფის იმკის დიდებას,
არასდროს შეშად მას არ აქცევენ,
ცეცხლზე არასდროს არ დაიდება,
ნთქავს მატერიას ჭია და ჩრჩილი,
არავინაა აქ დაზღვეული,
ძმარდება ღვინო, ფუჭდება ხილი,
ბაღჩეულობა და ბოსტნეული.
მიზეზი იგი მიწის ბარაქის,
ძნელლა იხილონ ჟანგმორეული,
ფორმადმქმნელ ძალთა სრული მარაგით,
ერთობ ხანგრძლივად სძლებს თესლეული.
სიქველეს ფრიადს ვერ ბგუობს შური,
რძისმიერ ნაწარმს სიმუავე მძაფრი,
იხრწნება ხორცი, ობდება პური,
არვის უხილავს ხრწნადობა თაფლის.
ნაყოფში წვენი არ დგება სწრაფად,
რაც დიდი ხარჯის შესატყვისია,
ყვავილის წვენი რომ იქცეს თაფლად,
ამისთვის წუთიც საკმარისია.
მთელი ზაფხული მზე იღწვის ასე,
უანგაროდ და დაუყვედრებლად,
ამადაც გარჯა ფუტკართა დასის,
მის კოლოსალურ ძალას ედრება.
განიბნევიან როგორც ფანტელი
და გარჯა მათი საკვირველია,
სადაც ბეპლების კორიანტელი
მინდვრის ყვავილებს ცით დაბფენია.
ტაძრებს მობმადლეს წმინდა სანთელი,
წმინდაა, რაიც ყვავილთ მტვერია,
რადგან უფლისად ხამს მისარქმელად,
რაც მხოლოდ უფლის შესაფერია.
მოუსხამს ლურჯი ცას კრეტსაბმელი,
გაავდარება არ უწერია,
სამყარო ელავს როგორც კანკელი
და ენა მისი ერთობ მჭევრია.

არ დაიმცრობის მისი სახელი,
რაიც აშკარად უფლის მწერია,
რამაც შთაღვარა თაფლში ნათელი,
მზის სასწაულად და მისტერიად.
მადლი იმისი ხამს გაიაზრო
და დაადგინო, თუ რა განძია,
მთელის არსებით რათა განსაზღვრო
მისი ბუნება და სუბსტანცია.
ვგრძნობ როგორც სიზმარს, თითქო მითიდან,
ვით ნამსხვრევები ძვირფას ზოდების,
ხსოვნაში მშვიდად ამოტივტივდნენ,
ცხოვრების ჩემის ეპიზოდები.
როს რელიგიის ვსვამდი ზედაშეს,
ვგრძნობდი სურვილებს ათასგზის ნაკლებს,
არ ვაწუხებდი დიდად დედაჩემს,
თუ მცენარეულს ვითხოვდი საკვებს.
როს ოკკულტიზმის ნესტრით ვეწამე,
ფილოსოფიის ვეწიე სიბრძნეს,
მეც შევიცვალე და რძის ნაწარმის
მოთხოვნილება ანაზდად ვიგრძენ.
როდესაც შევრგე თავი ხიფათში,
და უჩინარი გავხდი საჩინო,
ოდეს შევები პოლიტიკაში,
კვლავ ვეზიარე ხორცსა და ღვინოს.
თუმც ურთიერთში არ აღვურიე
საპირისპირო ორი საწყისი,
სჩანს, ნებისმიერ სწრაფვას სულიერს,
ამსოფლიური აქვს შესატყვისი.
წუხხარ, რატომღაც არ მოდის რული,
წევხარ გამხდარი და გალეული,
აქეთ ნახევრად ამოხდილ სულით,
იქეთ ერთთავად ჩონჩხადქცეული.
სამშვინველი კი თუ დარჩა ვალში,
ხილვები რკალად შემოეკვრება,
ანგელოსთ დასის უბიწო თვალში
როს მთელი ზეცა აირეკლება.

მოგვხედე მაღლით მაღალო ღმერთო,
შენი აღთქმით და დანაპირებით,
არასრულქმნილნი თუ ვჩანვართ ერთობ,
იმათ თვალებში როს ვიმზირებით.
ისევ წვალება, ისევ წუხილი,
გამოსაცდელად ჩემდა წვეული,
სიკვდილის პირას ვიყავ წუხელის,
მაგრამ გაბრუნდა, მომწყდა ძლეული.
ბუნების წესებს არ მოხედავენ,
ეგზომ უშუალოდ ჩვენში რომ იშვის,
და ხელოვნურად ვისაც კვებავენ,
შეუნელებელს განიცდის შიმშილს.
ტანჯვაში ვერვინ შეეცილება
ამგვარი ხვედრი ვისაც არ ასცდა,
ებრძვის შიმშილის გამოცდილება,
უკმარისობის შემზარავ განცდას.
ამგვარი ზრუნვა გინდაც შეაქეთ,
წვას გვიხანგრძლივებს, ადრევე გვითქვამს,
ფეხი არც იქით და აღარც აქეთ,
სულს ვეღარც ვღაფავთ და ვეღარც ვითქვამთ,
ვფიქრობ, აღსრულდი სანამ დრო არის,
საგზურს მიწისას რა თავში იხლი,
სიცოცხლე განა უვალო არის,
ამაოებით თავს რატომ იღლი.
შეუპოვრობის განცდა ჯიუტი,
დე, ნაადრევად სიკვდილს განეღოს,
ოღონდ კი ტანჯვის ყოველი წუთი,
ცნობიერების არეს შეეხოს.
მაგრამ ჩვენ ვიცით ცხოვრების ფასიც,
გვაქვს მიწიერი ვალის შეგნება,
განვლილ დღეთათვის ჩვენ ვაგებთ პასუხს,
სხვისგან ნუ ელით პასუხისგებას,
როცა არ ვჩქარობთ, თვალში არ მოგვდის,
თითქო განცდაა ჩვეულებრივი,
სიკვდილი როცა თავისით მოდის,
არის დროული და ბუნებრივი.

მის მოლოდინში დარდს ნუ ვიახლებთ,
აწ მოსახდენის ვერ შევცვლით შედეგს,
მოვიდეს, წყლულებს ნუ განვიახლებთ
თუნდაც დღეს, თუნდაც ასი წლის შემდეგ.
არ დაგვჭირდება ჩვენ ახსნა ვრცელი,
და განმარტება იმისთვის, რათა
მივხვდეთ, ჩონჩხი და ელვარე ცელი,
რად მიიჩნიეს სიკვდილის ხატად.
შესახლებულა სიკვდილი ძვლებში,
დაათრევს ნეკნებს და თავის ქალას,
ჩაუკირია სიმყიფე წლებში,
სულს გამოსწოვა ფორმადქმნის ძალა
და ამ ხრწნადობის ნებით მძლეველი,
ვინც შეუპოვრად მიაპობს ტალღებს,
მიხვდება, ცათა სასუფეველი
რატომ ამსგავსა იესომ ბალღებს.
ცხოვრების წყარო რადაა ბალღი,
წამის ყოფითაც რომ არ ყუჩდება;
იმის წინაშე მორჩილი სახით,
ბრძენიც, ყარიბიც რატომ მუნჯდება;
ნაჭდევი რატომ არ უმწვავდება,
ანაზდად ფეხი თუ მოუცდება,
ხოლო მოხუცი თუ დაშავდება,
ტრავმები რატომ არ უხორცდება.
ეგ ოდითგანვე კარგად იციან,
ცნობილი განა ახლახან გახდა,
თუ ძველი სიბრძნე და ტრადიცია
რად აიგივებს ანგელოზს ბალღთან.
იქ კვლავად ვხედავთ მბრუნავ იქცევისს,
ვით უძღებობის ჩვენისა მიზეზს,
ხელახლა ბალღად თუ არ ვიქცევით,
სასუფეველში ვერ შევალთ ისე.
ვინაც ირეკდა, განელო კარი,
მაღალთა შორის მოიხსენებენ,
ის სანუკვარი საცაა მხარე,
სადაც მართალნი განისვენებენ.

ეგეც ვიკითხოთ, განა ღირსი ვარ
შევერთო წმინდა განსასვენებელს,
ეგება ცოდვის მორევში ვზივარ,
ღირსიც არა ვარ მათი ხსენების.
ჩემგან ნათქვამი აქ ძევს უკლებლად,
სიტყვა ბილწი და არგასამხელი,
და ამის შემდეგ მაქვს კი უფლება
ვახსენო უფლის წმინდა სახელი?
უფალო, ღირს მყავ ჩემი ერისთვის
არ შევეპუო ხვედრის სიმძიმეს,
აქ გამოვლილი სატანჯველისთვის
იქაურ ტანჯვას ნუ შემიმცირებ.
გთხოვ, მარტვილობა მიქციო ბრძმედად,
გარდასახდენი არ განმარიდო,
ღირსად მყო ძისა შენისა ჭვრეტად,
ჩემი ცხოვრების სამაგალითოდ.
განმისპეტაკე მაღალო ცაო,
გველისა ტრედთან შეხმატკბილება,
ბალღურ სიწმინდეს რომ შევუზავო
ცხოვრების ჩემის გამოცდილება.
ედემის ბაღი სხვა არა არის,
თუ არა წყარო ფორმადმქმნელ ძალთა,
სადაც მუსიკობს სფეროთა ქნარი,
გამომძერწავი სახეთა, გვართა.
გამოუთქმელმან აგვასხა ფარი,
გადაგვაფარა წყალობის კალთა,
ძე მოგვივლინა ვით გზა და კარი,
ვდგავართ ახალი ცხოვრების კართან,
გადმოგვასხურა ციური ცვარი,
გადაგვეფარა სიწმინდის კვართად.
კაცობის ჩვენის იქცა მდინარედ,
წყაროდ რწმენის და წყაროდ ცხოვრების,
დაუფარავად გვამცნო ვინ არის
პურიც, სახსარიც ჩვენი ცხოვრების.
ფიქრთა ნაკადი იმედებს გისევს,
კვლავაც დაიქუხებ, თუ ისევ მორჩი,
თუ ვეღირსები ნეტავი ისევ,
იმ ჰარმონიას სულის და ხორცის.

გაშლილი გულით, ღიმილით პირზე,
ისე, ქართველ კაცს რომ ეკადრება,
თუ მეღირსება ნეტა გამზირზე,
ამაყად დგომა ნაცნობ ჭადრებთან,
კოლხეთით ტკბობა რიონის პირზე,
მუხლის მოდრეკა ქართულ ტაძრებთან.
ეს თუ არ მოხდა, აღარ ვინაღვლი,
ცხოვრება ჩემი განვლიე სწორად,
მუდამ მთლიანი ვიჯექ ინახად,
არ გავთიშულვარ აროდეს ორად,
წილხვდომ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად,
მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
შემდეგ ეს მიწა და საქართველო.
გინდა მომკალ და გინდ დამარჩინე,
მასზე მეტი ვარ, ვიყავი რაცა,
გმადლობ უფალო, რომ გამაჩინე,
აუხდენელი ოცნების კაცად.
რომ შემაყვარე იდეალური
სავსება გარეშეუწერელის,
მიზანი მუდამ მაქსიმალური,
სურვილი, მხოლოდ შეუძლებელის.
შენგან მივიღე მძალვრი სხეული,
ჯანმრთელი, მკვრივი, არც თუ სნეული,
ახლა, რომელიც ჩონჩხად ქცეული,
ჰგია გამხდარი და გალეული.
ნაყოფი უნდა დამწიფდეს დროზე,
რადგან კანონი რვალზე მტკიცეა,
სატარტაროზოც, საანგელოზოც,
ეს სული შენთვის გადმომიცია.
რა უნდა მქონდეს აქ დასარჩენი,
თუ მომელიან და იქ მნატრობენ,
აღურაცხელნი მოყვასნი ჩემნი,
საიქიოში თუ ბინადრობენ.
მაგრამ ჭაპანი თუ გსურს გასწიო,
საფუძვლად საქმე დაუდო სიტყვას,
სერიოზულ შედეგს აქ მიაღწიო,
მიწაზე უნდა იცხოვრო დიდხანს.

რადგან შენს მიზნებს ვეღარ ვიაზრებ,
აღუწერელო კაცთაგან ენით,
სავალნი დღენი ხამს განმისაზღვრო,
ამადაც იყავნ ნებაი შენი.
ვინც გამაჩინა, მან განმიჩინოს,
განზრახვა მისი დე იყოს წმინდა,
ადგილი ჩემი მან მომირჩინოს,
ზედმეტი ბარგი არაფრად მინდა.
რამეთუ მწადის დიდო გამჩენო,
მოსახდენს ზურგი არ შევაქციო,
სურვილი შენი, განზრახვა შენი,
მიზნები შენი ჩემად ვაქციო.

* * *

ვერაფერმა განაქარვოს
ხსოვნა გარდასულისა,
საიქიოც, სააქაოც
სუნთქვა არის სულისა.
თუ გგონიათ დამაბერონ
წუთისოფლის ვალებმა,
ან როდისმე დავიჯერო
სულის გარდაცვალება.
დაისებში ჟონავს სული
აისობის სიალით.
ხან მტრედივით გალურსული,
ხან ელჭექის გრიალით.
ანთებული უშრეტ ალად
ბრძენთა გულის მლეველი.
ათასჯერი, ათასთვალი,
ქვეყნად დაუტეველი.
თვით სიქველეულეველი,
უჩინარი მხლებელი,
მჭვრეტელთაგან უხილველი,
ხელით შეუხებელი,
დამავალთა ზეობაა,
მდაბლის მაღლით მზეობა,
უქცეველი ზნეობაა,
უტეხელი მეობა.
იდეალთა იდილია,
თავგანწირვის სიშიშვლე.
სამსხვერპლოზე სიკვდილია,
ღვთაებრივი სიგიჟე.
ჰა, საკანი დაუტევა,
მოდგა ჟამი ქროლვისა,
ვიცი, ვერსად დაეტევა,
აღმვსებია ყოვლისა.
ვიცი, ვერსით აღუდგება
ვერა ზღუდე-კედელი,
ოდეს ბოროტს განუდგება
ხუნდ-ბორკილთა მკვნეტელი.

ძმას ქრისტესმიერს

როს მიაკითხავ წმინდა ალაგებს,
თითქოს იერი ეცვლებათ ტაძრებს,
წმინდა მამათა ძვალშესალაგებს,
მღვდელმთავართა და მეფეთა საძვლეს.
გეკითხებიან, მოსულხართ სადით
ხატება შენი ვეღარ გვიცვნია,
წარსულის სუნთქვა ესდენ სიცხადით
საუკუნეა არ განგვიცდია.
ხარ მწირი თამარ დედოფალისა,
საღვთო სინედლის გულში აღმძვრელი,
თუ ნახევარძმა პარსიფალისა,
დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი,
სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმინდა
გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული,
თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან
თორნიკესავით დაბრუნებული.
ვინც განგვიახლე ნათლობის მადლი,
კურთხევის ძალა შორს გამიზნული,
როს მოგვეძალა დიდვაჭრის ადლით
დუშმანი ჩვენში შემოხიზნული,
ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი
და მიეფარა ღრუბლებს უფალი,
შენ აღემართე ვითა პირველი
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი.
თვით ზეციერმა შეგარტყა ძალი,
გიპყრა მახვილი, რვალთა მლეწავი
და აგიტაცა როგორც ბოძალი
დუშმანის ძვლებში დასახვეწარი.
გჩვეოდა მტერთან არდარიდება
შეწყვილებულო სიმტკიცით კლდესთან
და ეძიებდი ჭეშმარიტებას
ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს.
დიდ წინაპართა ტანჯვით ვნებულმან
ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა,
როს განაახლე მინავლებული
ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.

ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე,
აზრთა განწყობას უცვალე ფერი,
ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,
ახალ ხარისხზე ასწიე ერი.
შენგან ნატყორცნი გავარდა სიტყვა,
ვითარცა მეხი ცათა მკვეთელი,
ჯიუტი თმენის ზღუდე მისეტყვა,
ზღვა საგუბარის დასცა კედელი.
შემოიმტკიცე ფიცვერცხლით ძმანი,
ცეცხლს რომ უნთებდნენ გულში ასულებს,
შლეგებს მოვგავდით მოყმენი ცხრანი,
ვეფხვთან სარკენად ველად გასულებს.
არ დაგვითრგუნავს სხვათა უფლება,
ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს,
რადგან ჩვენც შევტრფით თავისუფლებას
ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს.
მაგრამ ნესტანი, იგი ნესტანი,
ისევ ქაჯთა ჰყავთ გამომწყვდეული
კვლავაც ზვაობენ მტერთა დასტანი
უტიფრობს შხამი მათგან ნთხეული,
ცნობამიხდილი წყევლი ცრუ სოფელს,
როს გულისსწორის სახელს აბოდებ,
ვიცი, ო, ვიცი, იმის ხელმყოფელს
უშრეტი ცეცხლით დაანაფოტებ.
როს ამოშრება წყევლის სათავე
ქაჯეთს მიხტომა ნახონ ჯიქური,
მაშინ იხილონ დუშმანის თავი
უწმინდურ სისხლით გადათხიფული.
მისთვისაც გაგთქვამს ზეცა და მყარი
და ქარიშხალი ზღვებზე მქუხარი
კვლავ გაიელვებ სიმართლის ფარით
რწმენის სამკლავით და საფუხარით,
გადაიჭრები გზნებით მყოფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით,
ზეაღმართულო ჩვენს ეპოქაში
მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.

დაუცხრომელო სულიერ ცდაში,
დაუსაბამო სიტყვის მხმობელო,
უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში
დემონთა ხროვის დამამხობელო.
ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანადგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია,
ბოროტებისთვის მუქაფის მგებელს
საქმენი ქველნი არ დამიგმია,
მაგრამ სვებედის საწყისთა მძებნელს
ერთი ამბავი ვერ გამიგია:
სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე
როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,
მოყვასისაგან რად განისაჯე
ღირსო უკვდავთა დიადემისა:
ალბათ გამოცდა ენება უფალს,
როს გიმზადებდა ხვედრს არასაცდენს,
რადგან განგებას რომელი უყვარს,
მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს;
რას დაგაკლებდა ბედი ტიალი
ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს,
ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა
და როს აღგივსეს ძმარით ფიალა
არ აიცდინე სასმელი ესე;
რადგან იცოდი, როგორ მავნებლობს,
როცა მაცდური გვიდგას საჭესთან,
რომ სიამაყე, აქ რომ მბრძანებლობს,
მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან,
რომ წაუხდება მცდელობა უმალ,
გატიალდება როგორც საპყარი,
როს აღმოჩნდება, რომ ამგვარ სტუმარს
ზეცაში არ აქვს თავშესაფარი,
რომ ვერ იხილავს სანუკვარ შედეგს,
ჭეშმარიტებას ვინც არ იმშვილდებს,
შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ
ვინაც ვერ ჰპოვა სულის სიმშვიდე,

ძმის აღსარება რომელმან გასთქვა,
ვინც ვერ დაიცხრო ღელვა გულისა,
ზიარებამდე ვინაც ვერ წარსთქვა
საგალობელი სინანულისა.

1978 წ. 12 აგვისტო

სიზმარი

გიორგობას, ზღვის ნაპირას,
მოაგელვა მოყმემ რაში,
ჰორიზონტზე თავდაყირა
ცას ეკიდა გარიჟრაჟი.
ერთობ მძიმე, შესაზარი
ერგო მხედარს განაჩენი,
მისი ჭმუნვის შემხედვარე
გაშტერებით იდგნენ კლდენი.
რაში ჰყავდა საოცარი,
თეთრი, როგორც დედის ხსენი,
რაინდების საფიცარი,
ლეგენდების მოსახსენი.
ფლოქვთა დაკვრით მიწას სწვავდა,
უკიდებდა ხვატს და სიცხეს.
სადავეებს კბილით ხრავდა,
ნესტოებით ხრავდა სივრცეს.
ბედი იყო თუ განგება,
ახელებდა მხედარს ეულს,
ამსგავსებდა მოჩვენებას
და ხატებას სიზმარეულს.
კვნესის, კვნესის ფეხქვეშ მყარი,
გულზე მსჭვალი არ ეხსნება,
ვაგლახ, ბევრი მეგობარის
დატოვება ენანება.

გაჭრილიყო ტრფობის გამო,
თუ რამ სწვავდა სადიდგულო?
დარჩა როგორც სამუდამოთ
აუხსნელი საიდუმლო.
გამოხედა მოყმემ ხმელეთს,
ცხენს დასჭექა ხაფის ხმითა,
მტერთა რისხვით გადამთელელს
ჩუმი ოხვრა მისწვდა ზღვიდან:
„შერიგება არ იქნება,
წაწყდეს, წაწყდეს აქ დამრჩენი,
ნუ ინებებ გადადებას,
დე, აღსრულდეს განაჩენი!
დაბრუნება უკან არ ღირს
ახლობელთა შუღლის გამო,
გაეცლები დღესვე ნაპირს
სამუდამოდ, სამუდამოდ!
აწყვეტილი ნიაღვარი
რჩეულ გმირთა დასში ბრწყინავ,
უშიშარი ალამდარი
მარადიულს ჰპოვებ ბინას“.
შეახურა მოყმემ ჰუნე,
შეაგელვა ფიცხლად ზღვაში
და ზვირთებმა მოდგაფუნე
ჩაიხუტეს თეთრი რაში.
მახვილივით მიჰკვეთს ტალღებს,
წერტილივით მოსჩანს შორად,
უსაზღვრობა ყმას ალაღებს,
ჭმუნვის კვალი მოიშორა.
გადუჭირა მერანს მძაფრად
ნესტოს წასკდა ცეცხლის ენა,
ზღვა აჯანყდა, აიჯაგრა,
რისხვის ქაფი მოიყენა.
ზღვა გაგიჟდა, აიფაფრა,
ცხენს ფაფარი ექცა ზღვადა,
ტალღა ცეცხლს და ცეცხლი ტალღას
შეეხეთქა, ჩაეხლართა.

დაიქუხა, ვით ხანძარმა,
მკერდი წყლისა გადიფხრიწა
და ექსტაზმა უეცარმა
შეარყია ცა და მიწა.
აზანზარდა ზვირთთა ტაში
აღტაცება გაუმხელი,
ბორგავს ზღვა და ხარობს რაში,
ნეტარებით საკვირველით.
და როდესაც დასალიერს
თეთრი ნისლი გადექარგა,
მოყმე გასცდა თვალსაწიერს
სამუდამოდ გადიკარგა.

განაჩენის მოლოდინში

სული ნაკუწებად ნაკეპი
ჭმუნვის ულეველი მიზეზი,
ფიქრები – წამახული ჭანგები,
სახეზე აკრული გისოსი.
სისხლის ნაღვერდებლად დანალექი
მზერაში მტაცებლები სახლობენ.
ცხადში გასიზმრებენ მედილეგეს.
ძილში გიცხადებენ ახლობლებს
გეკვრიან ლორწოვან გველებად
კოშმარულ ხსოვნათა რკალები,
ნაბდათ აგისხია მკვლელობა.
გუდათ – საიქიო ვალები.
სახე მიტკლისებრ გაგხდომია.
ნაგვემი ლეკვივით ტანჯული,
ავი წინათგრძნობა აგხდომია.
სიკვდილის ცელს ლესენ მსაჯულნი.
არ დასჭირვებიათ დოსიე,
ისე ვით მოკლულებს მკურნალი,
ერთს ცივი ბებუთი აყნოსე,
მეორეს – ცხელი ტყვიის სურნელი.
ლოდინმა სული შეგიხუთა,

ფიქრობ, გადავრჩეო ეგების,
ღამეებს ზარავს შენი კუთვა,
შიშისგან უდროოდ ბერდები,
ან იქნებ გადარდებს მოკლულთა,
თალხით შემოსილი დედები,
სიცოცხლის ნასკვი გეწყევლება,
გეცლება იმედის ნასახი,
სიკვდილი, ვით გაურკვევლობა,
ტანში დალასლასებს ცახცახით,
ადრე განაგონი იგავად.
გზარავს სულთამბრძოლის ხავილით,
სჩანს შეუბრალებელ მთიბავად
და არა ცხოვრების ყვავილად.
ურუოლვა სასიკვდილო ცივია,
სურვილით ვინ აღესრულება,
მაგრამ მის აჩრდილზე მძიმეა
შეხვედრა მოკლულთა სულებთან,
ზოგჯერ თევზივით დამუნჯებულს
უაზროდ გიშეშდება თვალები,
ღაწვნი ნაუეუივით გილურჯდება.
საწოლთან მიეთრევი წვალებით.
გსურს მიუსავლეთში გაქცევა,
გაცლა საკუთარი თავიდან,
აუხდენ ოცნებად გექცევა
ყველაფრის დაწყება თავიდან,
უდაბურ კუნძულზე გაგრიყავს,
ზმანება ღელვისგან დევნილი,
იქაც კი არავინ არ გყავს.
ბორგავ უთვისტომოდ შთენილი,
ელი ჩასაფრებულ იქედნეს,
უმზეო ცით გადამეხილი,
გამწლეულ სხეულის ყრუ კედლებს,
აწყდები ცოფიან ვეფხივით.
თავი ჭაღარით გადიღება,
საკანის ბედკრულო მეიტნახევ,
შენს სასჯელს თავზე ავიღებდი,
ოღონდ ამ ტანჯვაში არ მენახე.

სფინქსი

უდაბნოს გვამში დგება ცისკარი,
როს დისკო მზისა ტანზე სისხლის იშრობს,
უდაბნო სუნთქავს და ამღვრევს ქარი,
მზესთან ატყორცნილ მეწამულ ქვიშრობს.
რამ დაიმონოს სული პოეტის
ელვა ხუნდებით ვინ ასაპყარა.
შენში სდუღს ხვატი უდაბნოეთის,
გარსის გამრღვევი სულის კამარა
და შენ დარჩები სულის ამარა,
სულთა მხილველი თალხი ღრუბელი,
ვინ აამხედროს ქვეყნად ავდარი,
შენთა სწრაფვათა გადამბუგველი.
გადაიხსნება ზეცის თავანი,
იდუმალ სიტყვის მაღალმშვენებით,
გადაევლები ოდეს სამანებს.
მოგვის არტახში ჩაკრული ვნებით.
აიზიდება მზედ ლომის ტანი,
არწივის მხრებით შეჰკრავს ირაოს,
ელვას გასტყორცნის ცის გალავანი,
რომ სკნელთა ფსკერი ააყირავოს.
ხილვას დაგანძავს თვალთ მონაგარი
და გულთა სმენას წვდომა განსჯისა,
ყოველი არსი სად მონა არი.
უზეშთაესის მფეთქავ მაჯისა.
ნუ დაჰკრავ შენ იმ ტატნობებს,
სადაც ლაუვარდებს ეტრფის არწივი,
მან, სიბრძნის წყარომ ერთმა გაცნობოს
შენი წილხვედრი, შენი არჩივი.
და ოდეს ვნებას ოკეანეთა,
გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა,
სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა,
სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა.

ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი

ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან,
როს გული მკერდში არ ეტევა,
და სისავსისაგან სრულქმნილი,
იფრქვევა მეწამულ ღველფებად
ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან.
მზე ჩავა ლომისფერ ქედებთან,
დასტოვებს ანთებულ ფერვალებს,
შორეულ ოცნებად ედება
დათალხულ, დაბინდულ მწვერვალებს,
წმინდანთა გულივით ანთია,
წმინდანთა სისხლივით ელვარებს.
საღამო იისფრად ბერდება,
კაბადონს წარსტაცებს ჩირაღდნებს,
ბაგეებს მოსკდებათ ვედრება,
როდესაც ვარდისფრად ინათებს.
და მოდის ის სულისკვეთება
დედებს რომ მიჰქონდათ აკვნებთან,
ეს გული იდუმალ აკვნესდა,
შენ გიხმობს ქართველთა აგნესავ,
იბერთა სასწაულქმედებავ,
წმინდაო მნათობო ქეთევან.
ნეტართა პარნასში რჩეულო,
ანგელოსთ იერით მღიმარევ,
სიწმინდევ შენ მინანქრეულო,
შენ ჩვენთა ცრემლების მდინარევ.

იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს

არსთა გამრიგემ არ გაიმეტოს
ვინც სამყაროთა თვალის ჩინია,
ადამიანო, შენდა იმედად
ღაღადებს სიტყვა ,,ნუ გეშინია".
ზეცამ ძუძუდან არ მოგიკვეთა,
ყოველი არსი შენთვის ხმიანობს,
ვაგლახად სასო არ წარიკვეთო,
ვინძლო სული არ დაიზიანო.
ფათერაკს მკერდით გადაუდექი,
მოძმეთ იმედი არ წარუხოცო,
ადამიანო, იყავ უდრეკი,
იყავ უშიში, ვითა უხორცო.
სტიქიონების ველურ თარეშში
სულის სიმტკიცე გმართებს მალული,
რადგან ვაუკაცურ გზნების გარეშე,
არ არის ქვეყნად არც სიყვარული.
როცა წინასწარ თქმული ახდება,
როცა სამყარო ფაფარს აიშლის,
განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები,
როგორ იწოდო პირმშო ქარიშხლის.
ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,
თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს,
სტიქიის რისხვას თუ გაექცევი,
რაღას დააკლებ ცხოვრების გრიგალს.
უტეხის რწმენით შენ არ წაწყდები,
დააცხრობ ღელვას, დათრგუნავ ქარებს,
სად თანაგრძნობა ვერას გახდება,
იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს.

შენ გევედრები

შენ გევედრები სულით გლახაკი,
ვინმე დევნილი სიმართლისათვის,
თუმც ვერ ვამრავლე სამსხვერპლო ხარკი,
ვეღარ გავიღე თავი ღვთისათვის.
  გამოუთქმელო წმინდა საბაოთ,
  თვალაპყრობილი მოგმართავ ზენარს,
  მისმინე სიტყვა დაუსაბამო,
  ნუ ამარიდებ მშობლიურ მზერას.
არ მითხოვია შავი დღისათვის
თვალის წილ თვალი, კბილის წილ კბილი,
არ განმიკითხო ცოდვებისათვის,
არ გამიტეო უძღები შვილი.
  ოდეს ვირეკდე განმიღე კარი,
  ელვავ, ღრუბლებში შემოპარულო
  და განმიახლე სულის საყდარი,
  სასოებაო და სიხარული.
როდესაც წართქვი: ,,იყავნ ნათელი",
აღენთო ჭაღი მზიანი ღამის.
აელდა თვალი, ტაძრის სარკმელი,
განმმარტებელი სანთელი გვამის.
      შენ მიანიჭე ნათელი იმ მზეს,
      რადგან გწადია ჩვენც გაგიმზევდეთ,
      რომ იმავ თვალით, რომლითაც გვიმზერ,
      შენვე გხედავდეთ, შენვე გიმზერდეთ.

ქარის სიმღერა

მოგესალმები ბებერო მუხავ,
შენს მეფურ ჯიღას შემოვევლები,
მაგ დაკორძებულ რტოებში მქუხარს
გთხოვ, გადამხვიო ძმურად ხელები.
მე თვალუწვდენელ სივრცეზე ვწევარ,
სახადშეყრილი, ღვთისგან გმობილი,
რატომ არ გესმის, ეს მე ვარ, მე ვარ,
ნუთუ ვერ იცან შენი ძმობილი.
ბოღმა ვერა და ვერ დავიყუჩე,
გავატიალე გზები მტვრიანი,
რისხვად დავატყდი ქალაქის ქუჩებს
კარზე მივუხტი ადამიანებს.
ქვეყნისთვის გავხდი ვიღაც მავანი,
ჩემთვის ყოველი დღეა უდარო,
დავძრწი, დავეძებ მყუდრო სავანეს,
მაგრამ ვერ ვპოვე ნავთსაყუდარი.
ჭეშმარიტ შვებას სახემზიანო
შენი გვირგვინის ხავერდში ვპოვებ,
როს ზარებივით ავაწკრიალებ
ვარსკვლავებივით გამოსხმულ რკოებს.
მისთვის შენს ნახვას არა ვგვიანობ,
სამამაცოთა ზნეთა მპყრობელი,
რომ შენს ფოთლებში ავაფრიალო,
გარდასულ გმირთა საგალობელი.
ტიალ მინდორში დაგიმარტოვე,
უტეხად ქედი არ მომიხარე,
გეკვეთე მაგრამ დაძარღვულ რტოებს
ჯიქურ მკლავი ვერ გადაუხარე.
მე შეგისახლე ძალა ცხოველი,
გიფოლადებდი ძვლებს კოურებიანს,
შეუმუსრავი ნაკვთი ყოველი
ჩემთან ბრძოლაში გაგკაუებია.

პირადი წერილები

სალამი თქვენდა – რუსუდან, ოლიკო, ირაკლი!

მივიღე თქვენი წერილები. არ უნდა ლაპარაკი, რომ ძალიან გამეხარდა – წერილი აქ ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი, პური და წყალი. რაც მთავარია, გავიგე, რომ ცოცხლები ხართ, ჯანზე ხართ და, ყველაფერთან ერთად, რუსიკო სადოქტორო დისერტაციასაც შესჭიდებია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ყველაფერი მართლა ნორმალურად არის ან, შეიძლება მე ვცდები და, რუსიკოს მეცნიერების ნანინანატრმა მეგობარმა, ფანატიკურმა მიზანსწრაფულობამ მოიკითხა (როგორც თავის დროზე პარიზში მარია სკლადოვსკაია-კიურეს), მოაკითხა იმ მხურვალებამ, რასაც ცივ, მეცნიერულ განსჯასთან ერთად შეუძლია სასწაულები მოახდინოს. ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ცივ გონიერებას, რა თქმა უნდა, ესა სჯობია, თუნდაც მცირე ზომით. მეცნიერების მწვერვალს, ისევე როგორც ჭეშმარიტებას, შეუპოვარი იდეური ფანატიზმისა და ცივი გონების, ანუ მეცნიერული განსჯის (თანამიმდევრულად რომ აწონასწორებს სუბიექტურ გადახრებს ინდივიდუალური ცეცხლის დაუკნინებლად) გარეშე ხომ ვერ დაიპყრობ? შენი სულისკვეთება თუ ასეთია, მაშინ მე მივესალმები ამ წამოწყებას – მეცნიერების საკურთხეველზე ამგვარი თვითდაწვა, სამშობლოსათვის, ან მოყვასისათვის თავის განწირვაზე არანაკლებია. ძნელია იმაზე უფრო კაშკაშა შუქურების მოძიება ყოველდღიური ცხოვრების წყვდიადში.

ახლა ცოტა რამ ჩემ შესახებ. განწყობილება და ჯანმრთელობა ნორმალური მაქვს. ვღებულობ გაზეთებს, ჟურნალები ჯერ არ ჩანს, მაგრამ ჟურნალები, როგორც წესი, იგვიანებს, რა გამეწყობა, თვალს ვადევნებ ლიტერატურულ ცხოვრებას საქართველოში. წერილებმა გალაკტიონზე ძალიან ბევრი მოგონება წამომიშალა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. წავიკითხე რეცენზიები იშხნელებზე. ამაზე მინდა ცოტა ხანს შევჩერდე. ჭეშმარიტად, რომ მათი სიმღერის მეშვეობით გამოსცემდა ხმას დიდი ხნის მანძილზე ქართველი ხალხის სული. სწორედ მათ განაპირობეს ქართული საესტრადო სიმღერის შემდგომში ხასიათი, მისი თავდაჭერილობა, კეთილშობილება, ბგერით გამოხატული ბორნოგრაფიული ელემენტების სრული არარსებობა. მათი სიმღერის მეშვეობით შემოვიდა ქართულ საესტრადო მუსიკაში იმერული ნაკადი, რისი შთამაგონებელიც იყო უეჭველად ალალო

წერეთლის პოეზია ისევე, როგორც, გარკვეული აზრით, აღმოსავლურ-ქართული სასიმღერო ნაკადის წყარო იყო ალექსნადრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, საიათნოვასი და ბარათაშვილის პოეზია. პოეტური ლირიკის განწყობილებაზე დიდად იყო დამოკიდებული ჩვენში ქალაქური სასიმღერო მუსიკის აღმოცენება. ხალხურ, სოფლურ, მით უფრო – რიტუალურ მუსიკას რაც შეეხება, იგი გაცილებით უფრო არქაულია და აქ უეჭველად მართალია „მუსიკით შობილი ტრაგედიის“ ავტორი, მუსიკალური საწყისის პირველადობაზე რომ მიუთითებს სიტყვიერებასთან შედარებით. ხომ მართლა ძალიან მწირია სიტყვიერი მასალა უმშვენიერესი და უძველესი გურული სიმღერებისა?! ფიქრი თავის გზას აგრძელებს და ნათელი ხდება, რომ პირველი ბგერითი რეაქცია ადამიანისა გარემომცველი სამყაროს მიმათ უფრო მუსიკალური იყო, ვიდრე სიტყვიერი, ანუ აზრობრივი. ეს ბგერები – შორისდებულები – ინტონაციურ, ტონურ ელემენტებს გამოხატავენ, მრავალფეროვან გრძნობა-განწყობილებებს. სწორედ შორისდებულები წარმოადგენენ ადამიანის სულის მოძრაობის პირველად სიმბოლოებს – სხვადასხვა სიმპატიებისა და ანტიპატიების, გაოცებების, აღტაცებების, აღფრთოვანებებისა და შიშების ექსტატურ საფეხურებს. ეს შორისდებულები, მინორული გამისა არ იყოს, უკვე შეიცავდნენ ინტონაციური ელემენტის განწყობილებას, ანუ პირველად ელემენტს მუსიკალურობისას და თვით მუსიკისას. გარკვეული აზრით მუსიკალურობისა და სიტყვიერების დამაკავშირებელ რგოლად სწორედ ეს შორისდებულები გვევლინებიან. შორისდებულები უეჭველად ყველაზე ძველი ადამიანური ბგერებია. აი, სულის ამ პირველად მოძრაობას მოჰყვა უეჭველად ყველა სხვა ადამიანური მოძრაობანი, სახელდებანი და მეტყველების ყველა სხვა ნაწილი. ძველთაგანვე თუ ადამიანური შემოქმედებითი პროცესი მუსიკიდან სიტყვიერებისაკენ მიისწრაფვოდა, მერე და მერე, განვითარების სხვა ეტაპზე, უკვე ლირიკული პოეზია იწყებს ზემოქმედებას მუსიკაზე. სწორედ ყველაზე საუკეთესო პოეტები ასხამენ ხორცს თავიანთ შემოქმედებაში იდეალურ, ემოციურ შეფერილობას თავიანთი ხალხისას, დაჰყავთ ყოველივე ეს უკვე კონკრეტულ ადამიანამდე და მით ესთეტიკურად აყალიბებენ და ამაღლებენ თავიანთი ხალხების საერთო დონეს. ასეთი პოეტები იყვნენ ჩვენში აკაკი და გალაკტიონი. მათი ტოტალური ზეგავლენა ვრცელდება სასიმღერო მუსიკაზეც. აკაკის ხაზი დები იშხნელების

სიმღერებია, სამომავლო ხასიათი ქართული საესტრადო სიმღერისა ნათელია. გალაკტიონის პოეზიას კი ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი უზარმაზარი შესაძლებლობები. მინდა ჩემი ესთეტიკური შეხედულებების სისტემა გადმოგიშალოთ, ვფიქრობ და ვწერ მხოლოდ იმაზე, რაც ძვირფასია ჩემთვის და საქართველოს მაგონებს.

მოკითხვა ყველას.
გკოცნით მაგრად.
მერაბი.
17.11.1983 წ.

სალამი რუსუდან, ოლიკო, ირაკლი!

რაშია საქმე? რატომ არ არის წერილები? ყველაფერი რიგზეა თქვენთან? ნოემბრის წერილი თუ მიიღეთ? ვრცელ უსტარს არ გთხოვთ, იმდენი მაინც მაცოდინეთ თქვენს შესახებ, ქაღალდის ერთ გვერდზე რომ დაეტევა.

ჯანმრთელობაზე არ ვფიქრობ, მაგრამ ჯანზე ვარ. არც გუნებაგანწყობილებაზე ვფიქრობ, მაგრამ მშვენივრად ვგრძნობ თავს, ხასიათს არ ვავლენ, მაგრამ მგონია, რომ მაგრად ვარ სტამბოლის კაყივით.

ზამთარი დროდადრო გამოაჩენს ხოლმე ბრჭყალებს, მაგამ ბარაკში აფრიკაა, მეტის მეტს შვრებიან, ისე ათბობენ, ცხოვრება ჩვეულებრივი კალაპოტით მიედინება, სიჩუმეა, მაგრამ ადამიანის სულის სიღრმეში შეიძლება ისეთი ომი მძვინვარებდეს, ერმაკის ლაშქრობა ციმბირში მონაგონი იყოს. გამოხვალ ბარაკიდან, გაიხედ-გამოიხედავ – თოვლი, ყინვა, ხეები თითქოს ყინულისაა აკრძალული ზონის იქით. კარგი თუ გინდა, მოხიო (გაქცევას არ ვგულისხმობ – უნდა ტაიგაში დაერიო სოროებსა და სახატებს! კარგი, კმარა – მშვენიერებას არ უნდა დაუმიზნო.

დადიხარ ბანაკში, გაყინულ ნიადაგს მყარად გრძნობ ფეხქვეშ, ორთქლს უშვებ პირიდან, როგორც „ზმეი გორინიჩი“, გაიფიქრებ

რამეს – ფრთხილად ძმობილო, მიწასთან კონტაქტი არ დაკარგო, გზა მოყინულია, ფეხი არ მოგიცურდეს, არ დაეცე... ასე ყოველ დღე.

ირაკლი რას შვრება? ეგ აყლაყუდა ახლა იმ ასაკშია, როდესაც არ უყვართ ჭკუას როცა ასწავლიან. ცოლი რომ შეგვერთვევინებია! იცოდეს, რომ მისი პაპის პაპას ცხრა ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა – თოთხმეტი კოსტავა, ახლა ამ შტოდან შვიდნიღა დავრჩით მოგვარეები. სირცხვილია! პაპის პაპა ივანე კოსტავა საფლავში გადატრიალდებოდა, ეს რომ გაეგო, თუ როგორ დაუფასეს გმირობა შთამომავლებმა. როგორც მახსოვს, ირაკლის უყვარს ბატონკაციგით ტახტზე კოტრიალი. საქმეს მიხედოს და იმუშაოს, როგორც საჭიროა, ისე დაჯახდეს დროზე და ხშირ-ხშირად გამოუბეროს მუცელი თავის მეუღლეს. გონების თვალით თუ განვსჯით, სულიერ ზრდას ამან არ უნდა შეუშალოს ხელი. პაპის პაპის რეკორდს თუ ვერ მოხსნის, იმ რეკორდულ ციფრამდე მაინც გაზარდოს ჩვენი ცოცხალი ნათესავებისა და მოგვარეების რიცხვი. დღეს უშვილოდ და ცოტა შვილით მხოლოდ მეშჩანები და წინდაუხედავი ხალხი რჩება.

რუსუდან, როგორ არიან ჩვენი დედები? ნინას ჩემი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები გადაეცი, ოლიკოს კი მე თვითონ დაველაპარაკები.

ოლიკო! ვინა თქვა შენი სიბერე?! შენ ჩემი მარად ახალგაზრდა დედა ხარ. ხალხი გაოცებას იყო, ამ სიშორეს რომ ჩამოხვედი ჩემთან „სვიდანკაზე". ცოტა არ იყოს, კი მეშინოდა შენი, მაგრამ სიხარული უსაზღვრო იყო. გიკრძალავ ავადმყოფობას, ცუდ ხასიათზე ყოფნას, თავს მიხედე, გაუფრთხილდი შენს ჯანმრთელობას. იარე სტუმრად, თეატრებში, გაერთე. ჩემზე ნუ წუხარ, ჩემი განწყობილება ბევრად არის დამოკიდებული თქვენს კეთილდღეობაზე.

მალე ახალი წელია! ღამის თორმეტ საათზე 31 დეკემბერს დაიწყება სროლა თოფებითა და სარაკეტო პისტოლეტებით მთელს თბილისში. ქუჩები დაცარიელდება. უმრავლესობა ოჯახებში შეხვდება ახალ წელს. ახალგაზრდები სადმე მოიყრიან თავს. დაიწყება რეკვები, მილოცვები, დილით ქუჩებში გამოეფინება ხალხი, დაიწყება სეირნობა, სტუმრად სიარული. მხიარულობენ, ულოცავენ, ეხვევიან, კოცნიან ერთმანეთს, კამფეტებს ცვლიან... დაე, ბედნიერი ყველა იყოს!

უპირველეს ყოვლისა, წინასწარ გილოცავთ ყველას დამდეგ ახალ წელს! გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და საინტერესოს, არაჩვეულებრივსა და განსაკუთრებულს კარგი გაგებით. ვულოცავ ყველა ნათესავს, მეგობარსა და ნაცნობს.

ვიგონებ საქართველოს ახალი წლის წინ, ჩემი გულიდან არ გამოდის ის. ხანდახან ტელეგადაცემაში მოვკრავ ხოლმე თვალს, ან რადიოში გავიგონებ მის სიმღერას, მაგრამ უფრო ხშირად ფიქრში ამოტივტივდება ხოლმე. ბევრს ვიგებ გაზეთებიდან და ჟურნალებიდან. გავიგე, რომ დღევანდელი მთავრობა საქართველოსი და საზოგადოების ნაწილი დაინტერესებულია მიტოვებული სოფლების აღდგენით, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, აფიქრებთ სოფლის მოსახლეობის კლება ქალაქებში მიგრაციის ხარჯზე, პროპორციის დარღვევა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას შორის, რაც თავის დაღს ასვამს სოფლის მეურნეობის მაჩვენებლებს, განსაკუთრებით მესაქონლეობის დარგში. გავიგე, რომ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები აღდგენითი ღონისძიებებისა, გავიგე, რომ დემოგრაფები წუხან შობადობის დაბალი მაჩვენებლების გამო საქართველოში. სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებია, მაგრამ არ ვიცი, რა მიიჩნევა პირველი რიგის საკითხად – სოფლების აღმშენებლობა თუ მესაქონლეობა? მიტოვებული სოფლების აღმშენებლობის პრობლემა მესაქონლეობის განვითარებაში შეფერხებამ წარმოშვა თუ თავისთავად დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში, როგორც მთავარი პრობლემა? მე მგონია, ხვდებიან, რომ ამ მთავარს უკავშირდება ყველა დანარჩენი.

შეიძლება ზედმეტად მოეჩვენოთ თუ მოვაგონებ, რომ საქართველოს მთიანი ზოლი იყო სწორედ ის სიმაგრე, რისი წყალობითაც ვერც არაბებმა, ვერც მონღოლებმა, ვერც თემურ ლენგმა, ვერც სპარსეთმა, ვერც თურქეთმა ვერ შესძლეს მისი დაპყრობა, მისი გატეხა და აქ დამკვიდრება. ზედმეტად ჩათვლიან აგრეთვე, თუ მოვაგონებ სიმამაცესა და კოლორიტულობას ჩვენი მთის ტომებისას, მათ ეთნიკურ ნიჭსა და იმ დამსახურებას, რაც ქართული ლიტერატურისა და სიტყვიერების გამდიდრებაში მიუძღვით, მოვაგონებ იმ სიდიადესა და მშვენებას, რასაც მათი საცხოვრისები წარმოადგენს და რაც ასე იზიდავს დღეს ტურისტებს. ყოველივე ამის ხსოვნა და დამახსოვრება არ არის ურიგო საქმე, მაგრამ ხალხი მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი ბატონ-პატრონი თავისი მიწა-წყლისა, როდესაც კულტურა და ურბანიზაცია წინ არ ეღობება თუნდაც ყველაზე უფრო მძიმე კლიმატური პირობების მქონე და მიუვალი კუთხეების ათვისებასა და მამულის სასარგებლოდ რეალიზაციას, ხელს არ უწყობს უკვე ათვისებულის დაკარგვას. ამ თვალსაზრისით ურიგო არ იქნებოდა, რუსების მაგალითისათვის რომ მიგვებაძა, მიგვებაძა მათი შეუპოვრობისათვის ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის

უმძიმესი კლიმატური პირობების მქონე მიწების ათვისების სამეში. საქართველოსათვის მისი მთიანეთი იგივეა, რაც რსფსრ-სთვის ციმბირი. ზამთრისა და ზაფხულის თვეების ხანგრძლივობაც კი დაახლოებით ერთნაირია. გარკვეული თვალსაზრისით ერთიმეორეს ჰგავს ფლორა და ფაუნაც. არამარტო იგივე წიწვოვანი ტყეები და კენკრაა საქართველოს მთიანეთში, არამედ არყის ხეებიც.

კეთილდღეობა და დღეგრძელობა ნებისმიერი ხალხისა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჰარმონიაშია ერთმანეთთან და როგორ შეესაბამება ერთმანეთს მისი სულიერი და ბუნებრივი, ანუ გონებრივი და ფიზიკური ცხოვრება. ერი რომ არ დაბერდეს, სიბრძნის ოდესღაც უკვე მიღწეულ მაღალ დონეს ინარჩუნებდეს და ამასთან ერთად, მარად ახალგაზრდა რჩებოდეს, ამისათვის საჭირო რიცხვი მისი მოსახლეობისა ყოველთვის უნდა იდგეს მისი გაახალგაზრდავების წყაროსთან, უმძიმეს პირობებშიც კი არ უნდა წყვეტდეს კავშირს ბუნებასთან, მიწასთან და დროდადრო, ზომიერი, გონივრული ტემპით უნდა უმაგრებდეს ზურგს და აახლებდეს ერის ინტელექტუალურ პოტენციას. ცივილიზაციები ხშირად იღუპებოდნენ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროპორციების დარღვევის გამო.

ციმბირის მოსახლეობა ამოუწურავი გამაახალგაზრდევებელი ძალაა რუსეთისა და იცავს მისსავე უფრო ინტელექტუალურ ევროპულ ნაწილს სიბერისაგან. ეს ჩანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ყველაზე თვალსაჩინო კი ომის დროინდელი მაგალითია.

ციმბირში უნდა იცხოვრო პატარა ხანს, რომ გაიგო თვისება ციმბირის მოსახლეობისა. თავის დროზე ციმბირში გადასახლებებმა გაუადვილა სტალინს ამისი გაგება და გერმანიასთან ომის დროს სწორედ ამის წყალობით შეიმუშავა სწორი სტრატეგია, სტრატეგია, რომელიც მისი პირადი გამოცდილებით იყო განპირობებული. იმან იცოდა, რომ ციმბირელი ორ-სამჯერ უფრო ძლიერია და ამტანი ევროპული ნაწილის რუსეთის მუჟიკზე, იცოდა, რომ მათი უმრავლესობა ყოფილი კატორღელების, თავისუფლებისმოყვარე, თავგადასავლების მაძიებელი ხალხის შთამომავალი იყო, გამოცდილნი და მოძლიერებულნი ბუნებასთან და ცხოვრებისეულ სიძნელეებთან ბრძოლაში, გამძლებნი სამ-ოთხ საუკუნოვანი ბუნებრივი შერჩევისა. მხოლოდ სულ ბოლოს, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, მოსკოვის მისადგომებთან ჩართო ციმბირული „აპალჩენია“ ბრძოლებში და გარდატეხაც სწორედ ამით უზრუნველყო ამ ომში. მანამდეც იყვნენ სხვა მხედართმთავრებიც, ყველაზე გამორჩეული ლაშქარი რომ რეზერვში ჰყავდათ, დროს იგებდნენ, კულმინაციურ, გადამწყვეტ მო-

მენტში რთავდნენ ბრძოლაში, მაგრამ იმ დროს ომის ბედი ხშირად გენერალურ ბრძოლაში წყდებოდა, რაც ერთ დღე-ღამეზე მეტს არასოდეს გრძელდებოდა. აქ კი ეს სტრატეგია გამოყენებულ იქნა თანამედროვე, ხანგრძლივ და ქანცის გამწყვეტ ომში – ზუსტად იყო გათვლილი დროცა და სივრცეც.

სამხედრო სტრატეგიის გამო კი არ ჩამოვაგდე ამაზე ლაპარაკი, მინდა მოვიყვანო მაგალითი იმისა, რომ ყველანაირი, ცხოვრებისეული, კლიმატური თუ სხვა სიძნელეების გამძლები და გადამტანი ადამიანები წარმოადგენენ სწორედ თავიანთი ხალხისა და ერის უბერებლობისა და შეუპოვრობის წყაროს. საქართველოს მიტოვებული სოფლების აღდგენა სწორედ იმ საწყისის გამაგრებას მოემსახურება, რაც ყოველთვის აძლევდა ძალას ჩვენს ხალხს, უნერგავდა სიმამაცეს, უზრუნველყოფდა მის პერმანენტულ განახლებასა და მარადიულ ახალგაზრდობას. ყველაფერი დანარჩენი: გადააქცევენ თუ არა საქართველოს განვითარებული მესაქონლეობის ქვეყნად კავკასიის მთების უმდიდრესი საძოვრების მაქსიმალურად ათვისების წყალობით და რომელ ვარიანტს გამოიყენებენ ამისათვის – თუ შურს, რომელიც ერთიმეორეს უნაცვლებს მთასა და ბარში ცხოვრების წესს, თუ ხევსურულსა და სვანურს, რომელიც პირწმინდად მთაში ცხოვრების წესს გულისხმობს; გაიყვანენ თუ არა საავტომობილო გზებს მთის საძოვრებთან მისასვლელად, რათა სწრაფად და თავისდროულად გადაიყვანონ საქონელი ზაფხულის საძოვრებიდან ზამთრისაზე და პირიქით, გამოყოფენ თუ არა ამისათვის საჭირო რაოდენობას მანქანებისას და მძღოლებისას, ან შეასწავლიან თუ არა თავად მწყემსებს მანქანის მართვას, უხმობენ თუ არა ქუდზე კაცს, ანუ სტუდენტობას ზაფხულის პერიოდში ამ გზების, ფერმების, ქარხნების მშენებლობაზე, რათა ზაფხულისა თუ ზამთრის საძოვრებზე პირდაპირ ადგილებზე იქნეს დამზადებული რძის პროდუქტები და ამგვარად ადგილობრივი მოსახლეობა ჩაერთოს ამ მისთვისვე დიდად სასარგებლო საქმეში; ადგილობრივი ტრადიციების ერთგულნი დარჩებიან ბოლომდე თუ გაამდიდრებენ ამ დარგის ტექნოლოგიას ყველაზე განვითარებული მეცხოველეობის მქონე ქვეყნების გამოცდილებით, ისეთების, როგორიცაა შვეიცარია, არგენტინა, ინდოეთი, პაკისტანი და ა.შ. და, რა თქმა უნდა, სსრკ-ს ცალკეული რაიონების გამოცდილებით; დაელოდებიან საკუთარი რესურსების გამრავლებას თუ საქმის დასაჩქარებლად, პრობლემის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის მერე, შეძლებისდაგვარად შეეცდებიან შეისყიდონ დიდი რაოდენობით მსხვილფეხა თუ

წვრილფეხა საქონლის მთის ჯიშები ზემოთნახსენები ქვეყნებისაგან; შემოიღებენ თუ არა ორმაგ და სამმაგ ანაზღაურებას მთიანი სოფლების მშრომელებისათვის, როგორც ეს მიღებულია ციმბირის ჩრდილოეთ რაიონებსა და შორეულ აღმოსავლეთში, რადგან საქართველოს მთიანეთი ბუნებრივი პირობებისა და ცხოვრებისეული სიძნელეების მხრივ არაფრით ჩამოუვარდება ამ აღნიშნულ რაიონებს, ხოლო მწყემსების შრომა უეჭველად დიდ რისკთან და ხიფათთან არის დაკავშირებული; აი, ყველაფერი ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გადაწყდება მთავარი პრობლემა – საქართველოს მთიანეთის სოფლების აღდგენა და აღმშენებლობა, დაბრუნება მთიელებისა თავიანთ უწინდელ საცხოვრისში.

ისტორიისა და ლიტერატურის ნაკლულოვანმა ცოდნამ, არგაგებამ იმისა თუ არა არის ერის ძალა, სად ფეთქავს მისი მთავარი სასიცოცხლო არტერია, არტერია ახალგაზრდობისა და მარადიული განახლებისა, გადაადგმევინა ზოგიერთ პიროვნებას საქართველოს უწინდელი ხელმძღვანელობიდან ის ნაბიჯები, რამაც უნებლიედ მთის სოფლების მოსახლეობის ბარში მასიური გადასახლება გამოიწვია და რისთვისაც სამართლიანად დაიმსახურეს კიდეც კრიტიკა და გაიკიცხნენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთის სოფლების დაცარიელებით პოეზიისა და სიტყვიერების ის წყაროც წყდება, რომელიც საქართველოს მთიანეთიდან გამუდმებით ამდიდრებდა ქართულ ლიტერატურას, ჩვენს სულიერ ცხოვრებას, სიმამაცესა და თავდადებას გვინერგავდა.

საქართველოს მთიანეთის ცხოვრებაში შეინიშნება გარკვეული მრავალფეროვნება. პირადად მე ყველაზე უფრო თუშური ცხოვრების წესი მიზიდავს. ცნობილია, რომ საქართველოს მეფემ თუშებს, მათივე თხოვნით, კახეთის ველზე კავკასიონის მწვერვალების მისადგომებთან ზამთრის საძოვრები უბოძა. ასე უთხრა თუშების ბელადს, ზეზვა გაფრინდაულს – ჭკარი დეზი შენს ცხენს და აქედან იქამდე, სადაც შენი ცხენი თავისით გაჩერდება, ზამთრის საძოვრებად გჩუქნით თუშებს მთელს ამ არემარესო. ასე გაჩნდა თუშური დასახლება ალვანი და აქედან მოყოლებული თუშები ზამთარს კახეთის ველზე ატარებენ; ზაფხულობით კი ცხვართან ერთად მთას უბრუნდებიან და ამგვარად ერთიმეორეს უთავსებენ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას, მთასა და ბარში ცხოვრებას. ამან კი არ დააკნინა, პირიქით – კიდევ უფრო მოაძლიერა ისინი სულიერადაც და ფიზიკურადაც. თუშური ხალხური პოეზია ტოლს არ უდებს ხევსურულსა და ფშავურს და თუშები კვლავაც საუკეთესო მხედრებად რჩებიან

მთელს საქართველოს მთიანეთში. დღემდე უბელოდ, უუნაგიროდ და უუზანგოდ დაჯირითობენ და არანაირ ძალას არ ძალუძს მათი ცხენიდან ჩამოგდება, ვერცერთი კოვბოი ვერ დაიურვებს ცხენს ისე მოხერხებულად, ლამაზად და ამაყად, როგორც ისინი. თუშები ომში არც ჯაჭვის პერანგს ხმარობდნენ ხევსურების დარად, მაგრამ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ხევსურებს. თუშური ციკლოპური საცხოვრებელი კოშკები, როგორც კულტურის ძეგლები, არაფრით ჩამოუვარდებიან ხევსურულ ციხე-სიმაგრეებს. არადა, მათი სამეურნეო გამოცდილება, შრომითი ჩვევები გაცილებით უფრო მდიდარია. ასე რომ, მთისა და ბარის ცხოვრების წესთა შეთავსებამ კი არ დააკნინა, არამედ გააძლიერა და გაამდიდრა ის თვისებები, რომელნიც თუშებს მანამდეც ყოველთვის ჰქონდათ.

ამ დროს ხევსურებსაც ხომ შეეძლოთ მიებაძათ თუშებისათვის. ხევსურ მეომრებს არანაკლები დამსახურება ჰქონდათ სამშობლოს წინაშე. ქართველი მეფეები არც მათ ეტყოდნენ უარს ზამთრის საძოვრებზე ბარში, მაგრამ თავად ხევსურებს არ გამოუთქვამთ, როგორც ჩანს, ამისი სურვილი. ხევსურეთის ნაწილი ხომ დათვიჯვრის უღელტეხილის გადალმაა, თუშეთისაგან კი აგრეთვე მაღალი აპუნდის უღელტეხილი ჰყოფს. ხევსურები ყველაზე ღრმად იყვნენ შეყუყულნი მთებში, ყველაზე უფრო განცალკევებულნი, იზოლირებულნი იყვნენ ბარისგან ბუნებრივი და სხვა წინაღობებით. ქართლის ველებისაკენ გზა არაგველი თავადებისაგან ჰქონდათ მოჭრილი, რომელთა ყმობასაც ვერა და ვერ თანხმდებოდნენ. ხევსურეთი ისევე, როგორც ზემო სვანეთი, სწორედ ამ იზოლაციამ და მიუდგომელმა მთებმა დაიცვეს ყმობისაგან. მთიანი საქართველო იყო სიმბოლო ლაღი ცხოვრებისა, თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობისა. ამდენად, ცხადია, სრულიად გასაგებია, რომ ხევსურთა ცხოვრების წესი ზედმიწევნით მთის ცხოვრების წესი იყო ყოველთვის.

ხოლო რა იყო მიზეზი ხევსურებისა და სხვა მთიელთა ბარში გადასახლებისა? მიზეზი ის გახლდათ, რომ თითქოს მთის დასახლებული პუნქტები ზიანს აყენებდნენ სრულიად საქართველოს ეკონომიკას. თითქოს არაპროდუქტიულნი იყვნენ და მეტს მოიხმარდნენ, ვიდრე სახელმწიფოს აძლევდნენ, თითქოს როგორც მუშა და მწარმოებელი ძალა, მთიელები გაცილებით უფრო მეტ სარგებელს მოუტანდნენ ქვეყანას, ბარში თუ იცხოვრებდნენ. ერთი სიტყვით, მთიელებს ისევე მოექცნენ, როგორც ექცევიან უსულო ტექნიკას, როდესაც საჭიროებისდა მიხედვით გადაიტანენ ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეზე, უგულვებელყოფილი იქნა მათივე ნება-სურვილი, უგულ-

ვებელყოფილი იქნა პოეტის, ვაჟა-ფშაველას ზეშთაგონებით აღსავსე სიტყვები:

თუ მთის ნიავი არა მცემს,
გული ქალებურ ტირისა,
არ მინდა პური, არც წყალი,
აღარც გაღება პირისა!
მიმეხიბლება გუნება
ვერა ვარ გამძლე ჭირისა.

ან მისივე:

მოგესალმებით ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი.

თქვენი მიწოვავ მე ძუძუ,
ლაღიან-ბარაქიანი,
ნუმც გაჯავრდება პირიმზე,
ნუმც დამწყევლიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთი
ვსუქდები ცოდვიანი.
მეც მიგემებავ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიზარდენით,
თქვენავე გარგებთ დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით.

მართლა რომ სდომოდათ მთიელთა შრომის ნაყოფიერების გაზრდა, ყველა ღონეს იხმარდნენ ამის ადგილზე გასაკეთებლად, რადგან, თუ მოინდომებს ადამიანი, ყოველივე ამის განხორციელება უმძიმეს პირობებშიც კია შესაძლებელი. ამისი მაგალითია მესხეთის ვენახოვანი ტერასები – რეალურ ცხოვრებაში განხორციელებული ფანტასტიკა, ფანტასტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში. ქართველმა გლეხმა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში დაამტკიცა, რომ ადამიანური საქმიანობის არსი გარდაქმნაშია, ამ შემთხვევაში კი – გარდაქმნასა და დამორჩილებაში ყველაზე უფრო დაუმორჩილებელი მიწებისა, რამეთუ გერმანული ანდაზის წარმოშობამდე გაცილებით უფრო ადრე იცოდა, რომ არ არსებობს ცუდი მიწა, არსებობს ცუდი

აგრონომი (ანუ მიწათმოქმედი). ბავშვიც კი მიხვდება, რომ მთიან საქართველოში ყველაზე პერსპექტიული დარგი მეცხოველეობაა. იმის ნაცვლად, რომ მოეძებნათ და აღმოეფხვრათ მიზეზი ამ დარგში ჩამორჩენისა, ამ მთებისა და სრულიად საქართველოს მშვენების, თავად მთიელების აღმოფხვრას შეეცადნენ თავიანთი სამკვიდრებელიდან. ის, რაც საუკუნეების განმავლობაში ვერ მოახერხა მტერმა – ვერ გამოდენა მთიელები თავიანთი ციხე-სიმაგრეებიდან – ნაწილობრივ აღასრულეს მშვიდობიან დროში. რა იქნებოდა, რომ ცოტა მეტი გულისყურით ჩასწვდომოდნენ ჩვენს ეკონომიკურ ისტორიას საქართველოს ამ ზოლში, გადასახლების ნაცვლად ესწავლებინათ ხევსურებისათვის თუნდაც თუშური ცხოვრების წესი და შეექმნათ საამისოდ შესაბამისი პირობები! არ აიღო ბუნებისაგან ის, რაც ასე უხვად აქვს მომადლებული მაშინ, როცა შეგიძლია ამისი გაკეთება ისე, რომ არავითარი განსაკუთრებული ზომების მიღება არა გჭირდება საამისოდ – ეს ნიშნავს დისჰარმონია შეიტანო მსოფლიო წესრიგსა და მსოფლიო ჰარმონიაში. კავკასიის მთები წარმოუდგენელია ცხვრის ფარებისა და მეცხვარის იდილიური ცხოვრების გარეშე. ყოველთვის ამშვენებდა და მომავალშიც უეჭველად უნდა დაამშვენოს ამან მთიანი საქართველოს ულამაზესი ფერდობები. მეხსსიერება თუ არ მღალატობს, ივანე ჯავახიშვილს უწერია „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში, რომ უძველეს დროში კავკასიონის ქედის მთელ მისადევარზე მეფუტკრეობა და მესაქონლეობა იყო დიდად განვითარებული და რომ აქაური თაფლი და რძის პროდუქტი შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანაში გაჰქონდათ.

კავკასიონის მთები არსად არ წასულან. ხალხიც იგივეა. ეგ არის, რომ ცოტა უფრო მეტი გონივრული დახმარება სჭირდებათ ნაცვლად არაბუნებრივი და ბუნების წინააღმდეგ მიმართული ჩარევისა.

რუსუდან! როგორც ვიცი, შენ არც ხევსურეთში ხარ ნამყოფი და არც თუშეთში. 60-იან წლების ბოლოს ვიყავი იქ და გავვოცდი – ხევსურეთის ბევრ სოფელში ორ-ორი, სამ-სამი ოჯახიღა ცხოვრობდა. როცა გავიგე, რომ მათი თანასოფლელები ბარში გადაუსახლებიათ, გული დამწყდა, მაგრამ ნეგატიური მნიშვნელობა ამ საქმისა მაშინ ბოლომდე ვერ გავიგე, რადგან ახალგაზრდა ვიყავი. მაინც ძალიან დამაფიქრა ამ ამბავმა – როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო. ომის დროს ხომ ისინი „წითელ წიგნში“ შეიტანეს, ომშიც კი არ მიჰყავდათ, ინახავდნენ, როგორც ეთნიკურ იშვიათობას, ახლა კი აი, რა ხდება-მეთქი. დარჩებიან კი ბარში ხევსურები ხევსურებად?

მე ვფიქრობ, თუკი დარჩებიან, აუცილებლად დაბრუნდებიან უკან, როგორც კი ამისი საშუალება მიეცემათ.

ვწერ ისე, თითქოს გესაუბრებოდეთ, ვსაუბრობ თანამოსაუბრეთა გარეშე, მაგრამ ისევ თქვენთან უნდა ვისაუბრო წერილობით, რადგან აქ ამ საკითხებზე ვერავის ვესაუბრები. აბა, მარტო ჯანმრთელობის ამბავი რომ ვიკითხო და მოკითხვები გიგზავნოთ, რაოდენ გულწრფელიც არ უნდა იყოს ეს მოკითხვები, ჩემი აზრით, არ არის საკმარისი. ეს გარკვეულ დაღს (შტამპს) ასვამს წერილებს და თვით ურთიერთობასაც.

დროა, წერტილი დავსვა. ახლა შეიძლება უკვე გადავეხვიოთ და დიდხანს, დიდხანს ვკოცნოთ ერთმანეთი.

მერაბი.
12.12.1983 წ.

კამარჯობა ჩემო თაბრიკო.

ძნელ ჭირვეულად წერილს. ვიღრეშდე ფანზე საიტს მოგიმზრობდნენ და ფონ ფოდოსურაის ვამზილავდი, ფენ ანსეხობას მთელის სიტყვალით ვეკრძნობდი. ვეკრძნობდი და მჯერიდა, რომ კარგი ხარ!

ფენი მამა

15/II 1987 წ.

გამარჯობა ბაბრიკო!

გილოცავ და გისურვებ
ყოველივე ჩვენგან,
სრულყოფილებას ყველა-
ფერში, შენი დიდი თანამო-
ზახელის ღირსეული მემკვიდ-
რე გამოსულიყავი
შენი შენაბი.

მერაბ კოსტავა
2 წლისა

მერაბ კოსტავა
5 წლისა

მერაბ კოსტავა მეგობრებთან ერთად

მერაბ კოსტავა ვაჟთა მე-7 გიმნაზიაში

მერაბ კოსტავა ოჯახთან ერთად



მერაბ კოსტავა
15 წლისა

მერაბ კოსტავა

1961 წელი



მერაბ კოსტავა დედასა და მეუღლესთან ერთად

კისლოვოდსკი, 1963 წლის 23 ივლისი

მერაბ კოსტავა მეუღლე - რუსუდან ბერიძესთან ერთად
1961 წელი

მერაბ კოსტავა მეუღლესა და ვაჟიშვილთან ერთად

ბახმარო, 1962 წ.

მერაბ კოსტავას მეუღლე - რუსუდანი და ვაჟი - ირაკლი
1962 წ. 12 აპრილი

ირაკლი კოსტავა მეორე კლასში

მერაბ კოსტავა მეუღლესთან ერთად
1961 წელი

მერაბ კოსტავა ვაჟიშვილთან ერთად

მერაბ კოსტავას ქალიშვილი
თამარი - (თამთა)

მერაბ კოსტავას ქალიშვილი



მერაბ კოსტავას
ქალიშვილი

მერაბ კოსტავა ქალიშვილთან ერთად

მერაბ კოსტავა მეგობრებთან ერთად

მერაბ კოსტავა ციმბირში.
პატიმრობისას



მერაბ კოსტავა
1989 წლის ივნისი



მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია
1989 წლის ივნისი

მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია
დედა ტერეზასთან ერთად
1987 წ.

მერაბ კოსტავა
1989 წ.

მერაბ კოსტავა

1989 წლის ივნისი



მერაბ კოსტავა
1989 წლის ივნისი

მერაბ კოსტავა

1989 წლის ივნისი

მერაბ კოსტავა
1989 წ.



მერაბ კოსტავა
1989 წლის მაისი

მერაბ კოსტავა
1989 წ.



მერაბ კოსტავა
1989 წლის ივნისი

მერაბ კოსტავა

1989 წლის ივნისი

მერაბ კოსტავა ვაჟა ადამიასთან ერთად
1989 წ.

მერაბ კოსტავა
1989 წ.

მერაბ კოსტავა
1989 წ. მაისი

მერაბ კოსტავა და გიორგი ადამია
1989 წ. მაისი

მერაბ კოსტავა, ნინო ადამია და სხვები
1989 წ. მაისი

მერაბ კოსტავა
1989 წ. მაისი

მერაბ კოსტავა
1989 წ. მაისი

სიონის ტაძარი

1989 წ. 21 ოქტომბერი

თამთა კოსტავა მამის საფლავზე
1989 წ. ნოემბერი

მერაბ კოსტავას დედა

მერაბ კოსტავას პორტრეტის გახსნა
ვერის ბაღში

მერაბ კოსტავას პორტრეტის ავტორი,
მოქანდაკე კახაბერ არუნაშვილი

მერაბ კოსტავას პორტრეტის გახსნა ვერის ბაღში

მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრები
ეროვნული გმირის პორტრეტთან

მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრები
ეროვნული გმირის საფლავზე

მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრები
ეროვნული გმირის საფლავზე

მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრები
ეროვნული გმირის საფლავზე



მერაბ კოსტავას ობელისკი
ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორთში

მერაბ კოსტავას საზოგადოება
ეროვნული გმირის ობელისკის გახსნაზე
2007 წ.

მერაბ კოსტავას საზოგადოება ქ. ქუთაისში
ეროვნული გმირის პორტრეტის გახსნაზე
2006 წ.

გულისსაღებად

თანატოსი

(ეძღვნება მამას)

შავჩოხიანი
შეისვენებს
მგზავრობის შუა,
წამოიძინებს,
ამის დრო თუა.
გზას გაუდგება
ლეგა ცხენზე ამხედრებული,
არ შეაშინებს
დაბრკოლება
გზად ხვედრებული.
ზუსტად რომ დროზე,
არცა ადრე
და არცა გვიან,
ვიღაც მესამე ნაპირს პოულობს,
ვენას იხლიჩავს
ალესილი სამართებლით,
სიკვდილს თხოულობს.
შავჩოხიანი შეისვენებს
მგზავრობის შუა,
წამოიძინებს ამის დრო თუა.

ირაკლი კოსტავა
1978

ეძღვნება მამას !

გაზაფხულდა, ია, ია,
გულში ისევ ავდარია,
ჩემი სული მყინვარსა ჰგავს,
გულში ისევ ავდარია.
ველარ ვხედავ მე შავ არწივს
და მთებს მაღალს, მწვერვალიანს,
ველარ ვხედავ მე იმ ნისლებს,
გადაზლაზნილს, ფრთიანს, მხრიანს,
ველარ ვხედავ მე ველ–მინდვრებს,
აყვავებულს, პეპლებიანს,
მაგრამ ვხედავ მე მომავალს,
თავისუფალს, დღიანს მზიანს!

თამარ კოსტავა

ჩვენი ოჯახი, სადაც მერაბი იზრდებოდა, იყო მეტად თბილი და სიყვარულით სავსე. მერაბის აღმზრდელი ბაბუა, ვლადიმერ ბეკის ძე დემურია იყო ცნობილი მოღვაწე განათლების დარგში. ბებიები – ეკატერინე კოსტავა და კუბა დემურია იყვნენ სიკეთით და სათნოებით სავსე ადამიანები. მერაბი მათი პირველი შვილიშვილი იყო და განსაკუთრებით უყვარდათ. ამ სიყვარულმა ორი ოჯახი გააერთიანა და ერთ ოჯახად აქცია. ორივე ბებია მერაბს პატარაობიდან ღვთის სიყვარულს უნერგავდა. მერაბიც დიდი გულისყურით ისმენდა ყოველივეს.

სათნოებამ, სიკეთემ, ღვთისა და ადამიანების უსაზღვრო სიყვარულმა, რითაც ასე გამთბარი იყო ორივე ოჯახი, მერაბის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა.

ბავშვობაში მერაბს უყვარდა ზღაპრებისა და მოთხრობების მოსმენა, რომლებსაც ბებიები უყვებოდნენ. უყვარდა ლექსების ზეპირად სწავლა და როდესაც თხოვდნენ ლექსის წაკითხვას, არავის უარს არ ეტყოდა, სიამოვნებით კითხულობდა. პატარა მერაბი ხშირად დაჰყავდათ ბებიებს ეკლესიაში.

როდესაც მერაბი სკოლაში შევიდა, უკვე თავისუფლად კითხულობდა. მესამე ჯგუფში იქნებოდა მერაბი, როცა დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით – ღამის 11-12 საათზე, როცა ყველას გვეძინებოდა, მერაბი შუქს არ აქრობდა და კითხულობდა.

ის პარალელურად სწავლობდა მუსიკას და უცხო ენას. როდესაც მუსიკის ხაზით ის მეექვსე კლასში იყო, დამიბარა მუსიკის მასწავლებელმა და მითხრა: თქვენს შვილს დიდი მონაცემები აქვს მუსიკაში და ყურადღება მიაქციეთო, „Он будет Рихтером“ – მითხრა მან. მალე მერაბი ნიჭიერთა ათწლედში მოხვდა, ხოლო მისი დამთავრებისთანავე კონსერვატორიაში.

მერაბმა მეექვსე კლასიდან დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების კითხვა და საოცრად შეიყვარა ის. მით უმეტეს, რომ მისი შვილი ზვიადი მერაბის სკოლის და სიყრმის მეგობარი იყო. მერაბი თანდათან დაუახლოვდა კონსტანტინეს ოჯახს.

ზვიადს და მერაბს ბავშვობიდანვე შესტკიოდათ გული სამშობლოს დაჩაგრული ერის ბედზე. ისინი ქრისტესმიერი ძმები იყვნენ. ერთი ბატონი კონსტანტინეს ხორციელი, ორივენი კი მისი სულიერი შვილები იყვნენ.

მეათე კლასის მოსწავლეები იყვნენ ზვიადი და მერაბი, როდესაც პირველად დააპატიმრეს და სხვა თანამოაზრეებთან ერთად ჩასვეს სუკის ციხეში. მათ ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოური პროკლამაციების გაკვრა და გავრცელება.

იმ დროს, როდესაც ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას, ზვიადმა და მერაბმა გამოამჟღავნეს გმირული იმპულსები და ამ დროიდან იწყება მათი თავგანწირული ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის. დაპატიმრებიდან 6 თვის შემდეგ, როგორც არასრულწლოვანები, ისინი პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს.

კონსერვატორიის პირველ კურსზე იყო მერაბი, როდესაც მოულოდნელად მოგვიყვანა გამხდარი, ლამაზი გოგონა და გვითხრა: ეს ჩემი ცოლიაო. ჩვენ ყველამ მაშინვე შევიყვარეთ ის. მესამე კურსზე იყო მერაბი, როდესაც ვაჟიშვილი ირაკლი შეეძინა. ის იყო ჩვენი პირველი სიხარული და სიყვარული. რუსუდანი დიდ მზრუნველობას იჩენდა ათი წლის განმავლობაში გადასახლებული მერაბის მიმართ. მან შვილთან ერთად ათჯერ ინახულა მერაბი ციმბირში და არც მე მაკლებდა მზრუნველობას.

ირაკლი უნიჭიერესი ბავშვი იყო. მას გამოჰყვა მამის გენები. საოცარ ლექსებს წერდა, რომელშიც ჩანდა მისი სიკეთით სავსე სული. სულის შემძვრელი იყო მისი თვითმკვლელობით გამოწვეული ტრაგედია.

ხშირად ამეშლება მოგონებები. მათ წარსულის მძიმე და მტკივნეულ, ზოგჯერ კი ნეტარ დღეებში გადავყავარ...

არასოდეს დამავიწყდება ჩემი მაზლი – მსახიობი გრიშა კოსტავა, უდიდესი პატრიოტი და თავისი ერის თავისუფლებისათვის მრავალჭირნახული კაცი.

მერაბის დაბადებასთან დაკავშირებით 1939 წლის 26 მაისს ჩვენს ოჯახში გაიშალა დიდი სიხარულის აღსანიშნავი სუფრა. გრიშა კოსტავამ იმ საღამოსვე მოისურვა მერაბის ნახვა – ის ხომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლების დღეს დაიბადაო – და მოახერხა კიდევ იმ საღამოს სამშობიაროს სახლში შესვლა...

არ შემიძლია არ მოვიგონო ჩემი მეუღლე, რომელიც დიდებული ადამიანი იყო. როდესაც ჩვენ ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ, მაშინ ორივენი სტუდენტები ვიყავით და თანაც მე ფილტვები სუსტი მქონდა. ჩვენ ორივენი ერთად მივედით მკურნალ ექიმთან. ექიმმა გათხოვების ნება მომცა, შვილის გაჩენის კი – დიდიხნით არა. ორივენი მოწყენილები გამოვედით. უცებ ჩემმა მეუღლემ მითხრა: „არც შვილი მინდა და არაფერი, ოღონდ შენ იყავი კარგად“. მაგრამ

ღმერთმა ინება მერაბის გაჩენა. ასეთი ამაღლებული სულის ადამიანი იყო მერაბის მამა, კეთილი, გულისხმიერი, სამართლიანი. ასეთი გამოვიდა მერაბიც.

მერაბი განათლების პარალელურად კითხულობდა ფილოსოფიურ, თეოსოფიურ, ანთროპოსოფიურ ლიტერატურას. კითხულობდა რელიგიურ ლიტერატურას, როგორც ძველს, ისე ახალს.

მახსოვს, 1964 წლიდან ზვიადმა და მერაბმა დაიწყეს ინტენსიურად რელიგიის და ფილოსოფიური წიგნების კითხვა და ეკლესიაში სიარული. მაშინ ისეთი ათეიზმით იყო განმსჭვალული მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ ყველასათვის ეს საოცრება იყო და ყველგან მათზე იყო ლაპარაკი... ბევრნი კიდევაც დასცინოდნენ მათ. მახსოვს, ერთხელ სამსახურში თავჩაღუნული ვმუშაობდი, როდესაც მომესმა რუსის ქალების ლაპარაკი: მწერლის შვილი და მისი თეთრთმიანი ამხანაგი მთელი ღამე დაჩოქილი იყვნენ ღვთისმშობლის ხატის წინაშე და ლოცულობდნენო.

მერაბის უნივერსალური განათლება ნათლად ჩანდა მისი მუშაობის სხვადასხვა სფეროში. მას ჰქონდა შემოქმედებითი უნარი, რაც გამომჟღავნდა მის დაწერილ სტატიებსა და ლექსებში, მაგრამ მერაბს პირველ რიგში აწუხებდა თავისი დაჩაგრული ერის ბედი. ზვიადმა და მერაბმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს. 1977 წლის 7 აპრილს ისინი ორივე დააპატიმრეს და მოათავსეს სუკის ციხეში.

ციხეში დაწერა მერაბმა პოემა „ღირს მამა დავითს“, რომელიც უძღვნა უწმინდეს და უნეტარეს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს, რომელსაც გაცნობის შემდეგ დიდ პატივს სცემდა.

1978 წელს მერაბი გადაასახლეს ციმბირში მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მოითხოვდა ქართველი ერის თავისუფლებასა და საქართველოს დამოუკიდებლობას.

მერაბს, „უკვდავი საქმისათვის“ გადატანილი ბევრი ჭირისა და წვალების მიუხედავად, არ დაუკარგავს შემოქმედებითი უნარი და შიმშილობის დროსაც კი პოემებს წერდა. ის დაბრუნდა საქართველოში სრულიად მშვიდი, მხნე და როგორც ყოველთვის, საკუთარ თავში დარწმუნებული.

მერაბს ღვთის ისეთი დიდი სიყვარული და რწმენა ჰქონდა, რომ აღფრთოვანებული შეხვდა საქართველოში ივერიის ღვთისმშობლის ხატის ჩამოსვენებას. „კი არ დაიჩოქა, არამედ მუხლებზე დაეცაო“ – ამბობდნენ გაოცებული თვითმხილველნი.

მერაბი გადასახლებიდან ახალი დაბრუნებული იყო, როცა მისი დაბადების დღის აღსანიშნავად პატარა წვეულება გაიმართა სახლში და მაგიდა გაიშალა. მერაბმა სუფრის გაძღოლა და თამადობა ზვიადს სთხოვა. სადღეგრძელოში უკლებლივ ყველა ერის თვითშეგნების გამოღვიძებასა და ეროვნულ მოძრაობაში მერაბის უდიდეს დამსახურებას აღნიშნავდა. მერაბმა მოკრძალებულად და მისთვის ჩვეული ტაქტით აღკვეთა ეს ხოტბა-დიდება მისი და სთქვა: „პირველობა ეკუთვნის ზვიადს“.

მაგონდება მერაბის ნათქვამი, რომელიც მას უნივერსიტეტში წარმოუთქვამს: „ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენას, მაგრამ ეს ვერავინ ვერ შეძლო, ეს არასოდეს არ მოხდება, მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, ეს უკვე ქვეყნის დანგრევას უდრის“.

მერაბის ეს სიტყვები გულის ფიცარზე უნდა აღებეჭდოს ყოველ ქართველს და მათი მეგობრობა და თანადგომა მისაბაძ მაგალითად უნდა გაიხადოს ცხოვრებაში. მხარში ამოუდგნენ ერთმანეთს და ყველამ საკუთარი თავიც კი უნდა მიიტანოს მამულის საკურთხეველზე იმ დიადი საქმის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად, რასაც საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჰქვია და რასაც მთელი თავისი მოწამებრივი სიცოცხლე შესწირა ჩემმა შვილმა – მერაბ კოსტავამ.

დაბოლოს, არ შემიძლია დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიგონო ის ადამიანები, რომლებიც ჩემს გვერდით იყვნენ ათი წლის განმავლობაში და სულიერად მამხნევებდნენ: უკეთილშობილესი ქალბატონი მედეა ჯაფარიძე, რომლის ყოველი მოსვლა დიდ სულიერ ძალას მმატებდა, რადგან დაბეჯითებით მარწმუნებდა: „მერაბი აუცილებლად ჩამოვა“. ეს ყველაფერი ჩემთვის კეთდებოდა.

მერაბის თავისუფალ გასახლებაში გასვლის შემდეგ, ვინც პირველი წავიდა ციმბირში მის სანახავად, ეს იყო ზვიადი, მერაბის ვაჟიშვილთან და ელიკო გოგუაძესთან ერთად.

არ შემიძლია განსაკუთრებით არ აღვნიშნო მერაბის სკოლის ამხანაგი ზურაბ შაუთიძე, რომელმაც სამჯერ წამიყვანა მე ციმბირში მერაბის სანახავად, ორჯერ წამიყვანა ჩემმა დისშვილმა ომარ ციკოლიამ.

ორჯერ ინახულა ციმბირში მერაბი ვაჟა ადამიამ.

შემდეგ ინახულეს მისმა მეგობრებმა თემურ ჯანელიძემ, გივი მაღულარიამ, იზო ფარსადანიშვილმა, გიზო კორძაძემ და ციცი ბუქურაულმა.

აგრეთვე უნდა აღვნიშნო ის მეგობრებიც, რომლებიც მზრუნ-ველობას არ მაკლებდნენ მერაბის გადასახლების პერიოდში: ომარ ბერძენიშვილი, ჯემალ გოლეთიანი, ვოვა სიხარულიძე, მზია ყურაშ-ვილი, გურამ სხირტლაძე, ირაკლი წერეთელი, გურამ ვანიძე, გურამ დოჩანაშვილი, ჯონდო მეტრეველი და სხვები.

ოლღა დემურია -კოსტავასი

გაწბილებული რუსეთი

მერაბ კოსტავა ციხიდან სულ რაღაც ერთი თვის გამოსული იყო. სომხეთიდან მას ორი მამაკაცი ესტუმრა. ერთი 35 წლამდე ასაკისა იქნებოდა, ხოლო მეორე – ორმოცს გადაცილებული. მათ მერაბს თავი სომხეთის ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებად წარუდგინეს. ძალზე სერიოზული საქმის გამო ვართ ჩამოსული და თქვენთან გვინდაო საუბარი.

ეზოში, შადრევანთან მდგარ მერხზე ჩამოვსხედით. სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს, ვერ გადაეწყვიტათ, რომელს დაეწყო საუბარი. ერთმანეთს სომხურად გადაულაპარაკეს და ორმოცს გადაცილებულმა რუსულად დაიწყო: „ალბათ, იცით, რომ აზერბაიჯანს სომხეთის მთიანი ყარაბაღი აქვს მიტაცებული ისევე, როგორც თქვენი საინგილო. თუ ჩვენ – სომხები და თქვენ – ქართველები გავერთიანდებით და აზერბაიჯანს ერთიანი ძალით შევუტევთ, აუცილებლად გავიმარჯვებთ და ჩვენ ჩვენს მთიან ყარაბაღს დავიბრუნებთ, ხოლო თქვენ – ქართველები – თქვენს საინგილოს“. აშკარა იყო, რომ სტუმრები აზერბაიჯანის წინააღმდეგ ერთობლივი საომარი მოქმედებების დაწყებას გვთავაზობდნენ და ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რას იტყოდა მერაბ კოსტავა. მანაც არ დააყოვნა პასუხი: „ჩვენ, ქართველებმა, თქვენ, სომხებმა, და აგრეთვე აზერბაიჯანელებმა ჩვენ – ჩვენი ეროვნული მოძრაობები უნდა დავრაზმოთ და ერთობლივად ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირიდან გამოსასვლელად. თუ ჩვენ, სამივე რესპუბლიკა, ამ საკითხის ირგვლივ გავერთიანდებით და ერთად ვიბრძოლებთ, იცოდეთ, აუცილებლად გამოვალთ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და აუცილებლად მოვიპოვებთ დამოუკიდებლობას! ჩვენი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ კი მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და მშვიდობიანი დიალოგის გზით გადავჭრათ ჩვენი ტერიტორიული პრეტენზიები“, – დაასრულა თავისი აზრი მერაბმა. სტუმრები უსიამოდ შეიშმუშნენ. აშკარა იყო, რომ ისინი ქართველთაგან მხარდაჭერას და სომხეთთან ერთად აზერბაიჯანის წინააღმდეგ დაგეგმილ ომში ჩაბმას მოელოდნენ და მერაბ კოსტავას ამგვარმა პასუხმა ისინი საშინლად გააწბილა. ერთ ხანს კიდევ სცადეს თავიანთი პოზიციის დაცვა, მაგრამ მერაბ კოსტავას ლოღიკას რაიმე წონადი

საპირწონე ვერ მოუძებნეს, რასაც თავადვე მიხვდნენ და წასასვლელად ისე აჩქარდნენ, რომ ვეღარაფრით დავიყოლიეთ ასეთ დროს ტრადიციულ სუფრაზე – რომელიც ჩემს მეუღლეს უკვე გაეწყო – ცოტა ხნით მაინც შეყოვნებულიყვნენ.

სტუმრები გავაცილეთ თუ არა, ცოტა არ იყოს გაბრაზებულმა მერაბს ვკითხე: „კი მაგრამ, მათი წინადადება ჩვენგან ნუთუ მეტ ყურადღებას არ იმსახურებდა?"

„რას ამბობ, ბიჭო! თუ ჩვენ და სომხები ერთად შევუტევთ, რასაკვირველია, დავამარცხებთ აზერბაიჯანს, მაგრამ სასწორის პინა როგორც კი ჩვენკენ გადმოიწევა, რუსეთი აზერბაიჯანს დაეხმარება, ხოლო როგორც კი აზერბაიჯანი დაიწყებს გამარჯვებას, ჩვენ დაგვეხმარება და ასე დაუსრულებლივ, რომ ეს ომი ათწლეულების მანძილზე გაგრძელდეს და არასოდეს დამთავრდეს. გაიგე?"

„გავიგე", – მივუგე მე.

1987 წლის ზაფხული იდგა საქართველოში.

+5...

1981 წლის ზაფხულია. შორეული ციმბირის ერთ მიყრუებულ სოფელში, რომელსაც ლამაზი სახელი - კვიტოკი ჰქვია, მერაბ კოსტავა მრავალწლიანი დაუმსახურებელი სასჯელის უკანასკნელ თვეებს იხდის.

სოფელი ლამაზი ნამდვილად არ მეჩვენა, თუნდაც იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ სტალინის დროინდელი საკონცენტრაციო ბანაკები ერტყა გარს. თუმცა უკვე ნახევრადაა დანგრეული ეს ბანაკები და აღარც ფუნქციონირებენ, მაგრამ მნახველზე მაინც ძალზე მძიმე, შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მითუმეტეს, რომ ოცდაათიან წლებში ოთხ ბანაკში „გეგმით", როგორც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მიამბეს, დღეში ექვსი ათასი კაცი კვდებოდა.

თითქმის ერთი კვირა დავყავით ერთად, გული მოვიოხეთ.

დადგა ყველაზე მძიმე, განშორების ჟამი. გარემოებას ისიც ამძიმებს, რომ მე ადრინდელივით მერაბის ადგილსამყოფელს ათასიოდე კილომეტრით დაშორებულ იმიერბაიკალეთში, ქალაქ ჩიტაში, აღარ ვბრუნდები, არამედ – სამშობლოში, საქართველოში მოვემგზავრები. მერაბი კი აქ, ბაიკალისპირეთში, ირკუტსკის ოლქში, უსიერ ციმბირში, რჩება. დიდია მომავალი განშორებით გამოწვეული გუ-

ლისტკივილი და უხერხულობა. ვცდილობ, ეს უხერხულობა რო-გორმე განვმუხტო.

– მერაბ, ამ ხნის მანძილზე, რაც აქ ვარ, არაფერი გითხოვია, ნუთუ კაცი, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში სამშობლოსაა მოწყვეტილი, არაფერს დამავალებს?

– მეზობლები მომიკითხე, ყველა სათითაოდ დამიკოცნე! უთხარი: მერაბს არაფერი უჭირს, კარგადაა-თქო, გაიგე?!

– გავიგე, მაგრამ ეს ხომ ის არაა მხოლოდ, რისი თქმაც გსურს.

მზერა ამარიდა, შეიშმუშნა, ჰაერი ჩაისუნთქა და გაუბზარავი, დაბალი ხმით მითხრა:

– რომ ჩახვალ, ეზოში შადრევანთან რომ მტირალა ტირიფია, რამოდენიმე ფოთოლი მოწყვიტე, იქვე ცაცხვის ხე რომაა, ხომ გახსოვს?

– კი, მერაბ მახსოვს.

– იმასაც, კაკლისა და ფიჭვის ხესაც, ერთად შეფუთე და გამომიგზავნე, ხომ არ დაგავიწყდება?

პასუხად მხოლოდ თავის მოძრაობით ვანიშნებ, არ დამავიწყდება-მეთქი, ხმის ამოღება არ ძალმიძს, ყელში მობჯენილი ბურთი მაღრჩობს, ცრემლს ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით ვიკავებ. ვხვდები, მას აღარ აქვს იმედი, რომ სამშობლოში დაბრუნების საშუალებას მისცემენ ოდესმე.

აკი აქვე, კვიტოკში მცხოვრები უშიშროების ერთი ყოფილი თანამშრომელი გვიყვებოდა, რომ ოცდაათიან წლებში პოლიტპატიმარს სასჯელის მოხდის ადგილზე მიჰყვებოდა პირადი საქმე, რომელშიც აღნიშნული იყო +5, +5+5, ან +5+5+5 და ა.შ. რაც ნიშნავდა, ძირითადი სასჯელის მოხდის დასასრულს +5, ე.ი. ხუთი წლის დამატებას, თუ +5+5 იქნებოდა აღნიშნული პირად საქმეში, ეს დამატებული ხუთწლიანი სასჯელის მოხდის ბოლოს კიდევ ხუთი წლის დამატებას ნიშნავდა და ა.შ.

პენსიონერი „სუკელის“ მიერ ნათქვამის გახსენებამ შემაძრწუნა, ნუთუ?

– რა იყო, ბიჭო?! – ფიქრი მერაბის ომახიანმა შეძახილმა გამაწყვეტინა. ჩემ წინ მერაბი დგას მომღიმარი სახით, წელში გამართული, კლდესავით მტკიცე და უტეხი. გულს მომეფონა, ყელიდან ბურთი გაქრა, ამოვისუნთქე.

– ჩამოხვალ და საკუთარი ხელით დაკრეფ იმ ფოთლებს!

– კაარგი! და ლაღიძის წყალზეც დაგპატიჟებ, – მომიგო მან ღიმილით.

ჩემი კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად სოფელ კვიტოკიდან რაიონულ ცენტრამდე, ტაიშეთამდე, გამომყვა, მატარებლამდე მიმაცილა, თუმცა ამის უფლება არ ჰქონდა. ინსტრუქციით რკინიგზას ორმოცდაათი კილომეტრით უნდა ყოფილიყო დაშორებული.

მატარებელი დაიძრა. დიდხანს ვუქნევდით ხელს ერთმანეთს.

– მამაა? – მკითხა გამცილებელმა და მერაბზე მიმანიშნა.

– არა. მეგობარია, ათი წლითაა უფროსი, – მივუგე მე.

– სულ მთლად გაჭაღარავებულა. ალბათ, დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა. პოლიტიკურია?

– ჰო.

– ხოო, ყველაფერი ნათელია! – ამოიოხრა მან.

შინ ჩამოსულს ყველა მერაბის ამბავს მეკითხებოდა, მეც მოვუთხრობდი დაწვრილებით. ბევრი მათგანი სინანულით ამბობდა: „რა ტყუილად დაიღუბა მაგ ბიჭმა თავიო.“

ცაცხვის, კაკლისა და ფიჭვის ხეებს მივუალერსე, შადრევანთან მდგარი მტირალა ტირიფი გამხმარიყო. გული დამწყდა.

მერაბი თვენახევრის შემდეგ ისევ გაასამართლეს ტაიშეთში. ხუთი წელი დაუმატეს სასჯელზე. ახლობლები სასამართლო პროცესს არ დაასწრეს. არავინ ვიცოდით, კიდევ რამდენი +5 იყო აღნიშნული მის პირად საქმეში.

უდანაშაულო დამნაშავე

თბილისში ზაფხულის პაპანაქება იდგა. მერაბთან, როგორც ყოველთვის, მრავლად იყო მომსვლელი. მის კარზე უსამართლობით გაწამებული ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. რა საკითხზე არ ნახავდით აქ მოსულთ. ხანში შესული ქალი კახეთის ერთ-ერთი რაიონიდან ჩამოსულიყო და ჩიოდა: ძროხა დავკარგე, არავინ აქცევს ყურადღებას ჩემს გაჭირვებას და შენ თუ მიშველიო, შვილო მერაბ.

ოცდაათიოდე წლის მამაკაცი თხოვს უბნის ინსპექტორთან შუამდგომლობას. თურმე პანაშვიდებს ემსახურებოდა სამგლოვიარო მუსიკით. ადრე ინსპექტორი თხუთმეტ მანეთს მართმევდა, ახლა ოცსა მთხოვს თვიურად, ძალზე ძვირია, შენ უარს არ გეტყვის და ისევ თხუთმეტს დასჯერდესო.

სიცხით სახეალეწილი ახალგაზრდა ქალი ითხოვს მერაბთან სასწრაფოდ საუბარს. იქ მყოფთა უკმაყოფილო ბუზღუნზე პასუხობს, რომ ძალზე საშური საქმეა, წუთით თუ დააგვიანდა, ყველაფერი დაიღუპება და აღარაფერი ეშველება. თვალებზე ცრემლს იშორებს, სახეზე ოფლს იწმენდს, ირგვლივ მყოფთ მუდარის თვალით შეჰყურებს, მხოლოდ მერაბი თუ მიშველის, ისიც – ახლა, ამ წუთას. მერე გვიანია, არაფერი ეშველება საქმესო, – ჩივის. მუდარამ გაჭრა. ურიგოდ მიუშვეს. მერაბი ამშვიდებს. ქალი სულს ითქვამს და ყვება: სამი შვილი მყავს.

– ყოჩაღ! – ბუბუნებს მერაბი.

ქალი შექებით კმაყოფილია, თამამად აგრძელებს:

– უმაღლესი განათლება მინდა მივიღო, დღეს უკანასკნელი გამოცდა მქონდა. „სამი"-ც მყოფნიდა. ბილეთში მოცემული საკითხებიც კარგად ვიცოდი. დამატებითი კითხვები მომცა, იმაზეც ვუპასუხე. სულ ცოტა „ოთხი" მაინც მეკუთვნოდა, მაინც ჩამჭრა.

მერაბმა კოპები შეკრა. ხალხს მოუბრუნდა, „თქვენ აქ დამიცადეთ მალე მოვალ" – თქვა, ქალს მაჯაზე წაავლო ხელი და „წავიდეთო" – დაიბუბუნა.

მივედით ინსტიტუტში. გამოცდა დამთავრებულიყო. გამომცდელები ის-ის იყო წასასვლელად ემზადებოდნენ, აუდიტორიაში ლაბორანტი წესრიგს ამყარებდა.

– ის არის, – წასჩურჩულა ქალმა მერაბს და „დამნაშავე" გამომცდელზე მიუთითა.

„დამნაშავე" და უდანაშაულო გამომცდელებმა მერაბი იცნეს, თბილად მიესალმნენ, ირგვლივ შემოეხვივნენ.

– კაი გამარჯობა თქვენი, – პასუხი დაუბრუნა მათ მერაბმა. თუმცა სახიდან ჯერ კიდევ არ ჩამორეცხოდა აღშფოთება, – იცნობთ ამ ქალს? – ჰკითხა მერაბმა „დამნაშავეს".

„დამნაშავე" უხერხულად შეიშმუშნა, „დიახო", – მიუგო.

– სამი შვილის დედა „ოთხიანზე" რომ გიპასუხებს, შენნაირმა ვაუკაცმა არადამაკმაყოფილებელი როგორ უნდა დაუწეროს?, – ჰკითხა მერაბმა.

დაბნეულმა „დამნაშავემ" რაღაცის თქმა სცადა, „ვგონებ, მასე არ იყო, ბატონოო", – უნდოდა ეთქვა, მაგრამ ქალმა არ აცალა. მოყვა, თუ რა ძნელია, სამი ცელქი შვილის დედა მოემზადო უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად, ჩააბარო ყველა გამოცდა, ხოლო ბოლო გამოცდაში „ოთხი"-ით შეფასებას რომ იმსახურებ, ყოვლად უსამართლოდ ჩაგჭრან. „სამიანს" კიდევ როგორმე ავიტანდი. ქულებიც მყოფნიდა, ამიტომაც ჩამჭერითო.

„დამნაშავეს“ სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები გაუჩნდა. სახის კანი სულ უფრო თეთრ შეფერილობას იღებდა. ცდილობდა, მერაბისთვის მზერა მიეპყრო, მაგრამ ვერ ახერხებდა. თვალიც ხან მერაბისკენ, ხან ჩემკენ, ხანაც ქალისკენ გაურბოდა. თითქოს შველას ითხოვდა, თითქოს უნდოდა ეყვირა: „მიშველეთო“ და ვერ ახერხებდა. გამახსენდა, ასე მეც მომსვლია, შტორმიან ზღვაში ვიღრჩობოდი ნაპირიდან ოციოდე მეტრის მოშორებით მთელი საათის მანძილზე და ვერაფრით მოვახერხე დამეყვირა: მიშველეთ-მეთქი...

ქალი კი შეუსვენებლად განაგრძობდა. ვგონებ, მერაბიც მიხვდა, რომ ცოტაც და „დამნაშავეს“ მე რომ ზღვაში დამემართა, იმაზე უარესი მოუვიდოდა და ქალი გააჩერა.

– რას გვეტყვი, ბატონო?! – გადაუგდო „მაშველი რგოლი“ ჯერ ისევ სახემოღუშულმა მერაბმა „დამნაშავეს“.

„დამნაშავე“ წამიერად ისევ იმ მდგომარეობაში დარჩა და შემდეგ როგორც იქნა, ამოიხრიალა:

– რა ნომერი იყო, თუ გახსოვთ თქვენი ბილეთი?

– №6, – უპასუხა ქალმა და კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, იმავე თემის გაგრძელებას თუ აპირებდა. მერაბმა გააწყვეტინა. ამ დროს ფერზე მოსული, სახეგაბრწყინებული „დამნაშავე“ ადგილს მოსწყდა, შორიახლოს მდგომ მაგიდასთან მიიჭრა და იქ დაყრილი ქაღალდების ქექვას შეუდგა გამალებით. მისთვის საჭირო ფურცელი როგორც იქნა იპოვა, სახე კიდევ უფრო გაებადრა, თუმცა აშკარად ცდილობდა ემოციას მორეოდა.

– აი, თქვენი ბილეთი, – თქვა „დამნაშავემ“ და ფურცელი ქალს გაუწოდა.

ქალმა ხელის კანკალით ჩამოართვა. სახეზე დაბნეულობა დაეტყო. თვალი იმ ფურცლისაკენ გავაპარე. „ბილეთი №6“. – ეწერა მასზე.

– როგორც ბრძანეთ, ამ ბილეთზე დღეს ერთხელ უკვე გიპასუხიათ, ახლაც არ უნდა გაგიჭირდეთ, – თქვა „დამნაშავემ“ და მოზეიმე მზერა მერაბს მიაპყრო.

უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა. დიდხანს ვდუმდით ყველანი. ვცდილობდით, ქალისთვის არ შეგვეხედა, რათა მისი ისედაც მძიმე მდგომარეობა ჩვენი მზერით უფრო არ დაგვემძიმებინა. უხერხული დუმილი ისევ მერაბმა დაარღვია. „დამნაშავეს“ მარჯვენა გაუწოდა, მაგრად ჩამოართვა, ბოდიში მოუხადა, გამოტრიალდა და წამოვედით.

დერეფნის ბოლოს არ ვიყავით მისული, რომ ქალის ხმა მოგვწვდა:

– ბატონო მერაბ, იცით რა ძნელია დედისთვის, სამ შვილს ზრდიდე და გამოცდებისთვის ჯეროვნად მოემზადო?

მერაბი შედგა. უკან მობრუნდა. ქალთან მივიდა. ვიცი, უთხრა, მაგრამ სამშობლოს დიპლომზე მეტად ჯანმრთელი შვილები უნდაო. შემდეგ ქალს ხელი მხარზე მოუთათუნა, დაუყვავა, გულს ნუ გაიტეხ, აი, ნახავ, მომავალ წელს აუცილებლად ჩააბარებო. „დამნაშავეს“ ისევ ჩამოართვა ხელი, ისევ მოუხადა ბოდიში და გასასვლელისკენ გამოემართა. ქალი ადგილზე დარჩა. მერაბს „დამნაშავე“ უკან გამოჰყვა. როდესაც დერეფნის ბოლოს მოვიდნენ, მან მერაბს უჩურჩულა:

– ბატონო მერაბ, თქვენი ხათრით, სამი შვილის დედას სამიანს როგორ დავაყვედრი!

მერაბი შედგა. წელში გაიმართა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. მკერდი წინ წამოწია. მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა იმ წუთში. ვიცოდი, ეს კარგს არ მოასწავებდა. ერთხანს ასე შეჰყურებდა „დამნაშავეს“, შემდეგ კი შესძახა:

– აარრა, ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლია!

„დამნაშავეს“ ისევ მაგრად ჩამოართვა ხელი და შინისაკენ გამოვეშურეთ. ეზოში ხომ ბევრი ხალხი ელოდებოდა მერაბს.

შურისმაძიებელი ჯანარი

ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ მერაბ კოსტავას ერთ-ერთი გატაცება სასროლი ბადით თევზაობა იყო, საყვარელი ადგილი თევზაობის– მდინარე ხრამი, წითელ ხიდთან.

სასროლი ბადით თევზაობისათვის მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირია განსაკუთრებით მოხერხებული, ჩვენც ამ ნაპირს მივუყვებოდით წყალდაწყალ, მდინარის საწინააღმდეგოდ. მერაბი ბადით ხელში წინ მიდიოდა, მე რამდენიმე მეტრის დაშორებით უკან მივყვებოდი, ხელში ბადურა მეჭირა, რომელშიც თორმეტიოდე ხრამული ფართხალებდა. მერაბი ბადეს, მართლაც, ვირტუოზულად შლიდა. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ბადის ჯიბეებიდან იქ მოხვედრილი ქვების ან დაჭერილი თევზის გამოღება.

ერთ-ერთი იძულებითი შეჩერებისას, როდესაც ბადის ჯიბეებს ქვებისაგან ვათავისუფლებდი, მერაბმა მკითხა:

– გახსოვს, ბიჭო, იმ ქვასთან თევზებს კრება რომ ჰქონდათ გამართული?

და მდინარის ნაპირთან ერთ ვეებერთელა ლოდზე მიმანიშნა. ერთხელ თევზაობისას იმ ლოდთან მერაბის მიერ ნასროლ ბადეს 11 ხრამული და მურწა ამოჰყვა, აბა, იმ შემთხვევას რა დამავიწყებდა, მსგავსი რამ ჩვენს სათევზაო პრაქტიკაში აღარ განმეორებულა.

– ჰა, ვისროლოთ იქ? – გამომარკვია მერაბმა სასიამოვნო ფიქრებიდან და იმ ლოდისაკენ გაემართა, მეც უკან მივყევი. მერაბი შედგა, ბადე მოიმარჯვა და სტყორცნა „თევზების კრების ადგილს“. ბადეს ყოველთვის ნელა, ყურადღებით ეზიდებოდა, თუ საშუალო სიდიდის თევზი მაინც იყო შიგ გაბმული, ამას ბადის წყლის ზედაპირზე ამოზიდვამდე გრძნობდა.

– ბიჭოს! მგონი, ღლავი უნდა იყოს! – შესძახა მერაბმა და მეც მოვემზადე ამ „ღლავის“ მისაღებად. მერაბმა ბადე წყლიდან მთლიანად ამოზიდა. მასში, მართლაც, ფართხალებდა კარგა მოზრდილი ჭანარი. თევზის ბადიდან გამოთავისუფლებას შევუდექი, თან ბადია მივუმარჯვე, რათა მასში პირდაპირ გადამეგდო. უცებ თევზი ხელიდან დამისხლტა და ტლაშანი მოადინა მდინარეში. მეც უნებურად „გაქცეული“ ჭანარის კვალდაკვალ გადავეშვი მდინარეში. წყლის სიგრილემ მყისვე გამომაფხიზლა. ამოვყვინთე თუ არა, მომესმა მერაბის გულიანი ხარხარი. რამდენიმე წამს დაბნეული ვიდექი, შემდეგ მეც ამიტყდა სიცილი. მერაბი კვლავ გულიანად იცინოდა. თან მეუბნებოდა: „შენ რა, თევზს გინდოდა წყალში დასწეოდი?!“ მე ბადიას დავუწყე ძებნა. ადვილად ვიპოვე, შიგ დაჭერილი თევზების ნახევარიღა თუ იყო დარჩენილი, ხელსაყრელი შემთხვევა არც მათ გაეშვათ.

მერაბმა ბადე თითქმის იმავე ადგილს უმარჯვა, ფრთხილად მოზიდა. ისევ ნაცნობი "ბიჭოს! მგონი, ისევ ღლავია!“ ბადეს ისევ მოზრდილი ჭანარი ამოჰყვა. მე ჩვეულებისამებრ დავაპირე თევზის ბადიდან გამოღება.

– არა, მე ამოვიღებ ბადიდან, შენ ბადია მომიმარჯვე! – მითხრა მან, თან სასროლი ბადე მხარზე მოიგდო და თევზის იქიდან გამოხსნას ცდილობდა. გამოიღო კიდეც და ...ისევ გაიტლაშუნა თევზმა მდინარეში. მერაბიც მყისვე გაქრა წყალში. მერაბმა რომ ამოყვინთა, მხოლოდ მაშინღა მივხვდი, რა მოხდა. შუბლს ისრესდა – ქვაზე დაეკრა მსუბუქად, ტკივილს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და სიცილით მეუბნებოდა:

– ბიჭო, ეს მგონი შენი გაშვებული ჭანარი იყო, საგანგებოდ თუ ივარჯიშა, რომ ჩვენზე „თევზების კრებაზე“ დაჭერილი თერთმეტი ხრამულის მაგიერ ეძია შური.

საფეხბურთო სიახლე

...1963 წლის ზაფხულია, ეს-ესაა დაიწყო გათამაშება ეზოს გუნდებისათვის ფეხბურთში. იმ დროს ჩვენ, 12-13 წლის ბიჭებს, ოცნებად გვექცა ამ ტურნირში მონაწილეობა და, რასაკვირველია, აუცილებლად გამარჯვება. ტურნირის დაწყებამდე სულ რაღაც ორი კვირა რჩებოდა, ვთხოვთ მწვრთნელობას მერაბ კოსტავას, იგი თანახმაა. მერაბი მაშინ 24 წლის, მთლად გაჭაღარავებული, უკვე მრავალგზის ციხე გამოვლილი, სამშობლოზე ზრუნვით გატაცებული ახალგაზრდა კაცი გახლდათ.

მერაბი აკომპლექტებს გუნდს ჩვენი უბნის ბიჭებისაგან, დავყავართ უბნიდან უბანში საკონტროლო თამაშების გასამართად. ხანდახან 12 წლის დათო ყიფიანს საყვედურობს (დათო მაშინ უკვე ვირტუოზულად ფლობდა ბურთს და უჭირდა მასთან განშორება): „ხომ ხედავ, თენგიზ რუსაძე რა დროულად იძლევა პასს, შენ რაღა მოგდის?“

და აი, პირველი ოფიციალური მატჩი. მინდორზე ძალზე თვითდაჯერებული გამოვდივართ (უკან არაერთი მოგებული საკონტროლო მატჩი გვქონდა); დავისაჯეთ კიდეც – პირველი ნახევარი წავაგეთ 3:0. ძალზე გაუჭირდათ ჩვენს ტექნიკურ გარემარბებს: თენგიზ რუსაძესა და დავით ყიფიანს მოწინააღმდეგის ტანმაღალ, ასაკით აშკარად უფროს მცველებთან გამკლავება და ბურთის გატანა მეტოქის კარში ვერაფრით ვერ შეძლეს. შესვენებისას წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელები გრიგოლ გაგუა და ვლადიმერ ელოშვილი გვესტუმრნენ, რომლებიც იმ დროს სამწვრთნელო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ და, რასაკვირველია, მატჩს გულისყურით ადევნებდნენ თვალს: ჩვენი გუნდიდან თენგიზ რუსაძითა და დავით ყიფიანით დაინტერესდნენ ძალიან, თავიანთ გუნდებში მიიწვიეს, მერაბს კი, როგორც ჩვენს მწვრთნელს, დაუყვავეს (მატჩს ხომ სამით ნოლზე ვაგებდით) და დაგვშორდნენ, რათა მატჩის მეორე ნახევრისათვის ეცქირათ.

შესვენებისას მერაბმა გუნდში მოთამაშეთა მთელი რიგი გადაადგილებები მოახდინა: თავდამსხმელები დ. ყიფიანი და თ. რუსაძე ნახევარდაცვაში დაწია, ტანმაღალი დამცველები: კახა არსენიძე, ჯიმშერ ბაშალეიშვილი და ისააკ ბაჩაკაშვილი თავდასხმაში გადაიყვანა, ნახევარმცველები კი დაცვაში გაამწესა.

მართალია, მატჩი წავაგეთ 3:4, მაგრამ ჩვენმა გუნდმა შესანიშნავი თამაში აჩვენა. გრიგოლ გაგუა და ვლადიმერ ელოშვილი სწრაფი ნაბიჯით მოეშურებოდნენ ჩვენკენ. ვიფიქრეთ, ალბათ, დათოსა და

თენგიზის გარდა კიდევ ვინმე მოეწონათ ჩვენს გუნდში და თავისთან მიიწვევდნენ, მაგრამ ისინი მერაბს მისცვივდნენ, ულოცავდნენ (ჩვენთვის, 12-13 წლის ბიჭებისათვის, მაშინ გაუგებარი იყო, თუ რა მისალოცი იყო წაგება), დაინტერესდნენ მერაბის პიროვნებით, საცხოვრებელი ადგილით, სთხოვდნენ თანამშრომლობას. მერაბმა შორს დაიჭირა, მართლაც საქმე და საზრუნავი უკვე მაშინ ძალზე ბევრი ჰქონდა.

მრავალი წლის შემდგომ, როდესაც ფეხბურთის ჰოლანდიურ, ე.წ. ტოტალურ მოდელს, გავეცანი, მივხვდი, რომ სწორედ ამ მოდელის ჩანასახი შექმნა მერაბ კოსტავამ იმ შორეულ – 1963 წელს ჩვენი გუნდისათვის ექსტრემულ ვითარებაში, თუმცა მაშინ, ალბათ, თვითონაც არაფერს უწყოდა ამის შესახებ. ახლა კი ვხვდები გრ. გაგუასა და ვლ. ელოშვილის აღფრთოვანების მიზეზს. მინდა, ხაზი გავუსვა კიდევ ერთ, ვფიქრობ, ყოველი ქართველი ფეხბურთის მოყვარულისათვის საინტერესო ფაქტს, მერაბმა პირველმა მოუძებნა ჯერ კიდევ 12 წლის დათო ყიფიანს მინდორზე ადგილი. ადგილი, რომელსაც მოგვიანებით კვალიფიციური მწვრთნელები (თბილისის „დინამოსი“) დიდხანს ამაოდ ეძებდნენ.

ექვსასი მეტრი მიწა

1988 წლის ზაფხულის ღამე იყო. მერაბი და მე მერხზე ვისხედით ჩვენს ეზოში. დაღლილები ფიქრს მივცემოდით.

მერაბს ყველა მომსვლელი გაესტუმრებინა უკვე. უცებ ფეხზე წამოიჭრა. ბოლთის ცემას მოჰყვა გამალებით. მას ხომ წუთითაც არ შეეძლო უმოქმედოდ ყოფნა. შეჩერდა.

– ააარრა! საქართველო რომ დამოუკიდებელი გახდება, მე არც ერთ მთავრობაში არ შევალ, – თქვა ეს მტკიცედ, დაჟინებით. ჩაფიქრდა.

ვერ მივხვდი მე მესაუბრებოდა, თუ საკუთარ თავს. რამდენიმე ხანს ასე იდგა ჩაფიქრებული. შემდეგ ისევ გაიმეორა ჯიუტად:

– ააარრა! როდესაც საქართველო დამოუკიდებელი გახდება, მე არც ერთ მთავრობაში არ შევალ. („არც ერთ“-ში პარლამენტსა და მინისტრთა საბჭოს გულისხმობდა).

– კი მაგრამ, მერაბ, ვინ გაგლეჯს კალთას? – ვკითხე განცვიფრებულმა (მერაბის „წინასწარმეტყველებით“ საქართველო და საბჭოთა იმპერიაში შემავალი სხვა რესპუბლიკები აუცილებლად რუსეთთან

ერთად უნდა გათავისუფლებულიყვნენ, ამიტომაცაა გასაგები ჩემი მაშინდელი განცვიფრება და ისიც, რომ მთავრობაში ჩვენ შესვლა-არშესვლაზე საუბარი უაზროდ მეჩვენა, ვინაიდან იმპერია მაშინ ჯერ კიდევ მყარად იდგა ფეხზე).

– საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდება, რა საქმიანობას მიჰყობ ხელს? – მომიგო კითხვაზე კითხვით.

– თუ ჩემი სპეციალობით მუშაობის საშუალებას მომცემთ, ძალიან დაგიმადლით.

– ჰმ, არ გქონია ჭკუა შენ, – მომიგო მან.

– რატომ, მერაბ? – ვკითხე.

„საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდება, წავალ სოფელში, ვიყიდი ექვსას მეტრ მიწას...“ და შეყოვნდა. მივხვდი, გაახსენდა სულს იქით გროშიც რომ არ ებადა და აბა, რით იყიდდა იმ ექვსასა მეტრ მიწის ნაკვეთს. არც შევმცდარვარ, რადგან საუბარი შემდეგ ასე გაგრძელდა:

– საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდება, ხომ მომცემენ ბიჭო ექვსასა მეტრ მიწას.

– რა ვიცი, თუ დაიმსახურე, იქნებ მოგცენ კიდეც, – მივუგე ხუმრობით.

შენდობის უნარი ძლიერთა ხვედრია

1987 წ. ზაფხულია (თითქმის 12 წლიანი ტანჯვა-წამების შემდგომ) მერაბი ციხიდან გამოუშვეს. ტანზე პატიმრის შავი ფერის უნიფორმა ეცვა, ფეხზე – ჩექმა. ქალაქში გასეირნება მოისურვა, ნაცნობ-მეგობრების მონახულება. ფეხზე თავისი ვაჟის – ირაკლის ბოტასები ჩაიცვა, ტანთ – ირაკლისავე პერანგი. ჩემი შარვალი მოკლე მოუვიდა, სხვა კი ვერ მოვუძებნეთ. არაუშავსო, – თქვა და ასე; ირაკლის ნაქონ პერანგსა და ბოტასებში და თავის, პატიმრის, შარვალში გამოწყობილი მერაბი და მე უკვე რუსთაველის გამზირზე მივაბიჯებდით. თითქმის თორმეტი წლის უნახავ მშობლიურ ქალაქს ხარბად ათვალიერებდა, თან განუწყვეტლივ მესაუბრებოდა, უკვირდა, რომ ამ ხნის მანძილზე თბილისი გარეგნულად თითქმის არ შეცვლილიყო. კავშირგაბმულობის სამინისტროს კუთხეში მერაბი ჩიტაძის ქუჩიდან ჩამომავალ ვიღაც საშუალო ტანის გენერალს შეეჯახა შემთხვევით. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი „უკაცრავად ბატონოს“ სათქმელად ერთმანეთს შეხედეს თუ არა, ამ უნებლიე შე-

ჯახების გამო სახეშეჭმუხნილ გენერალს სახეზე ჯერ განცვიფრების, ხოლო შემდგომ აღტაცების გრიმასა გამოეხატა.

– მერაბ შენ?! – აღმოხდა მას.

– ბატონო ვარლამ, როგორ ხართ? –კითხვითვე მიუგო მერაბმა და ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს.

– როდის გამოხვედი? – ჰკითხა გენერალმა.

– ერთი საათი იქნება, ალბათ, – უპასუხა მერაბმა.

– რაც გინდა მთხოვე, ყველაფერს შეგისრულებ, – უთხრა უკვე მთლად გაცისკროვნებულმა გენერალმა მერაბს და თან ხელს მაგრად ართმევდა. აშკარად ეტყობოდა, რომ გულწრფელად სურდა მერბისათვის რაიმე ესიამოვნებინა.

– ბატონო ვარლამ, ერთი კარგი საკანი მომიმზადე! – მოუგო მერაბმა.

– ეეჰ, კაცო, შენ ყოველთვის უნდა ხუმრობდე? – დაუბრუნა კითხვა განაწყენებულმა გენერალმა, რომელიც როგორც მერაბმა შემდეგ მითხრა, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვარლამ შადური ყოფილა.

გზა განვაგრძეთ. ლესელიძის ქუჩაზე დავეშვით. იქ ერთ შენობასთან მერაბმა მთხოვა შევსულიყავი და ერთი მისი ყოფილი თანამებრძოლი გამომეძახებინა. ცოტა არ იყოს შევცბი, მაგრამ მისთვის არაფერი მითქვამს. თხოვნა შევუსრულე. ორიოდ წუთში ფერდაკარგული და თავდახრილი ყოფილი თანამებრძოლი მერაბის წინ იდგა, უხერხულად იშმუშნებოდა. სწორედ იმ მდგომარეობაში იყო, კაცი რომ ინატრებს: „ნეტავ, მიწამ პირი ჰყოს და შიგ ჩამიტანოსო“.

მერაბმა ხელი გაუწოდა, მაგრად ჩამოართვა ცოცხალ-მკვდარს.

– როგორ ხარ, ბიჭო-ო?

იმან კი რაღაც ამოიხრიალა გაუგებრად. აშკარა იყო, რომ მეტი არ ძალუძდა.

– აბა, კარგად იყავი! – დაემშვიდობა მერაბი და წამოვედით. ერთხანს ასე უხმოდ ვიარეთ. ხანგრძლივი პაუზის შემდგომ მერაბს ვკითხე:

– კი მაგრამ, იმ კაცმა ხომ შენ და ზვიადი...

– ციხეს ყველა კი ვერ უძლებს, – კითხვა არ დამამთავრებინა მერაბმა.

„მე შენ ლოუბლებზე დაგასვენებდი“

მე შენ ღრუბლებზე დაგასვენებდი

შენ იცხოვრე ისე, როგორც მხოლოდ შენ შეგეძლო გეცხოვრა – შენ განვლე ცხოვრების ისეთი გზა, როგორსაც მხოლოდ შენისთანა კაცი განვლიდა.

შთამომავლობით, სისხლით და სულით მეამბოხე, საქართველოს სიბეჩავის უარმყოფელი, შენ სკოლის მერხიდანვე, უახლოეს მეგობრებთან ერთად, აღიძარ თავისუფლებისა და ქართველი ხალხის ეროვნული მეობის მსახურებისათვის და იქეც ქართველთ ღირსების ასაღორძინებლად აღძრული სახალხო მოძრაობის უსპეტაკეს და უმძლავრეს გულად.

გონიერსა და ნიჭიერს, სწავლაში ბეჯითს, მეგობართა წრეში მუდამ შემართულს და შემმართებელს, მძლავრი პიროვნული ენერგიით დამუხტულს – შენ ყველა მონაცემი გქონდა, რაგინდარა სამოღვაწეო სფეროში გამოგევლინა შენი ინდივიდუალობა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, შეგუებოდი სტალინიზმით გამოქედილ ბორკილებს, თავი მოგეტყუებინა და ყოველივე ღირსეულის დამამცირებელ-დამაკნინებელი მმართველი ბიუროკრატიის წინაშე ქედი მოგედრიკა. ქედმოდრეკის, დამცირება-დაკნინებათა ატანისა და ტყუილის ფასად მოპოვებულ ბეჩავ სიცოცხლეს შენ ამჯობინე უსამართლობის სატანურ ძალებთან მორკინალის ტანჯვა. ეს არჩევანი არ მოუხდენია მხოლოდ შენს გულსა და გონებას, – ასეთი სიცოცხლის გზა შენ განგებისად დაგესახა.

შენ დაიბადე, რომ მართლად და მხნედ განგევლო მოწამებრივი გზა სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილისა.

შენისთანები – იბადებიან, იბადებიან ზენა ძალთა ნებით და მშობელი მიწის წიაღიდან დიდებულ წინაპართა ხმობით. შენი გული ამ ორი ძალით, ამ ორმხრივი ძახილით ფეთქავდა: ღვთიურით და წმინდა სისხლისმიერით. ამიტომაც, შენში შენივთული იყო ზოგადად კაცთმოყვარე ქრისტიანული და საკუთრივ მამულიშვილური, სულნათელი წინაპრების მიერ მშობელ მიწაზე დანთხეული სისხლიდან მარადის მომხმობი საწყისები.

შენ დაიბადე, რომ კვლავაც დაგემტკიცებინა ქართველი ხალხისთვის, თუ რა ნათელი და სიავისგან შეურყვნელია ქრისტიანული და მამულიშვილური რწმენით მსწრაფი სული.

შენ დაიბადე და იღვაწე, რომ ქართველ ხალხს თვალნათლივ განეცადა: მიუხედავად ეგოდენი ჭირისა, ჩვენში ჯერაც არ ჩაღვეფილა ეროვნული ღირსების, პიროვნული სიმტკიცისა და სიმართლისთვის სიყვარულით თავგანწირვის გზნება.

შენ დაიბადე, რომ ცინიზმით და ნიჰილიზმით, პრაქტიციზმით და მუცელღმერთობით, გამყიდველობით და მრავალი სხვა მდაბიო ვნებით წარყვნილი ჩვენი ყოფა შეგეძრა და ყოველგვარი სიმდაბლისთვის დაგეპირისპირებინა რწმენის, იმედოვნებისა და სიყვარულის ძალა. შენ იღვწოდი იმ მარადის ჭეშმარიტი რწმენით, რომ ცხოვრების სასწორის ერთ მხარეს მუხლმოდრეკით სიმართლისთვის მლოცველი აუცილებლად გადასწონის მეორე მხარეს ახორავებულ ოქრო-ვერცხლს მასზე შესეული ჯოჯოებიანად; შენ გწამდა, რომ ქართველ ხალხში ჯერაც შემორჩნენ ღვთისა და სამშობლოს წინაშე მუხლმოდრეკით მლოცველნი; და რაც უფრო მეტს იღვწოდი, მით უფრო მეტად იხრებოდა შენსკენ სასწორი.

შენ დაიბადე, რომ ჩვენს ყმაწვილებს წიგნებიდან ზღაპრული გამონაგონივით კი არ აღექვათ სხვა დიდებული მოწამე-მამულიშვილები, არამედ აღექვათ ცოცხლად – იმ სინამდვილედ, რომელიც დღემდე გრძელდება თვით ყველაზე გაუსაძლის პირობებში; და რომ მართლაც გრძელდება, რომ ცოცხალია ცოტნეს სული – შენი ცხოვრებით დაადასტურე. ვინ მეტი და ვინ ნაკლები? წმინდა საქმეში ზომა-წონვა მკრეხელობაა: უფლის, ხალხისა და სამშობლოსთვის დანთებული ყველა წმინდა სანთელი თანაბარია. შენ წმინდა საქმისთვის სანთლად იწვოდი.

შენ დაიბადე რაინდად, რომელსაც უნდა აღესრულებინა მასზე განგებისად დაკისრებული აღსასრულებელი. და შენ ისე განვლე შენი ცხოვრების გზა, რომ აღსასრულებელს არ განდგომიხარ.

ცხადია, ყველა ერთნაირად ვერ ჭვრეტდა და, შესაძლოა, ჯერაც ვერა ჭვრეტს შენს სახეებას. პირადად მეც, შენმა სიყრმის მეგობარმა და სკოლიდანვე შენი სულისკვეთების, შენი მრწამსის თანაზიარმა, მხოლოდ ორიოდე წლის წინათ, გადასახლებიდან შენი დაბრუნების შემდეგ დავინახე, რომ შენ, თურმე, ზენა ძალებთან კავშირში მყოფ პიროვნებად ჩამოყალიბდი. ყოველდღიურ ურთიერთობებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პირად შეხლა-შემოხლაში, როდესაც ადამიანი თვალწინაა, ახლოსაა – მისი პიროვნების ხატს, უმეტეს შემთხვევაში, ძნელად შევიცნობთ, და რაც უფრო დიდია პიროვნება, მისი შეცნობა მით უფრო უჭირთ, რადგან ადამიანები პრაქტიკულ-რაციონალისტური გონებით სჯიან უპირატესად და ბევრნი შენს რაინდულ შემართებას და, იმავ დროს, ყოველგვარი ამბიციებისგან განტვირთულ გარჯას, შენს უდრეკ ნებას და, იმავ დროს, მიმტევებლობას, შენს მძვინვარე რისხვას და იმავ დროს უსათუთეს სათნოებას. – მრავალ შენს მაღალ თვისებას და გამოვლინებას, ჩვენი ყოფისთვის ხშირად შეუთავსებელს, ბევრნი მიაწერდნენ

„უცნაურობას“, „კომპლექსებს“, „გადახრებს“, „ანომალიებს“; ლამის იყო გიუად მოგნათლეს, როდესაც 1978 წელს, დაპატიმრებული და ნაწამები, შენს თავზე აღმართული სიკვდილის ნაჯახის უცხადესმა შეგრძნებამაც არ შეგაცბუნა და მწვალებელთა წინაშე დანაშაულად არ აღიარე სამშობლოსა და თავისუფლებისთვის შენი მსახურება. ნორმალურ ადამიანს არ შეუძლია ამდენის გადატანაო, გაოცებით ამბობდნენ სასამართლოში შენი მხილველნი, მაგრამ ამბობდნენ აღტაცებითაც, ალბათ ასევე ეუცნაურებოდათ, ასევე „არანორმალურად“ მიაჩნდა ბევრზე ბევრს ცოტნეს, ქეთევანის და სხვა ჩვენი დიდებული მამულიშვილების მოწამებრივი ცხოვრება. მწვალებელნი უგონოდაც, შეშლილადაც მიიჩნევდნენ ქეთევანს, როდესაც მას ხორცს გლეჯდნენ და ის კი არ განდრკა მამულის და ღვთის რწმენისგან. პრაქტიკულ-რაციონალისტური გონება ვერასდროს იაზრებს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ის, რაც ჩვეულებრივ დონეზე მოჩანს „გადახრად“ თუ „უცნაურობად“, სინამდვილეში განგების ნების გამტარია – როგორც პირობა და საშუალება ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებით ზენა ნების აღსრულებისა. პრაქტიკულ-რაციონალისტური გონება ვერ იაზრებს და ჭიუტად უარყოფს ამას, თუმცა ამის დამადასტურებელი უცხადესი მაგალითები მრავლადაა რელიგიის, ხელოვნების, მეცნიერებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში. ამ შემთხვევაშიც მერაბ კოსტავას ყველანაირ „უცნაურობას“ აპირობებდა მისი არსებობისა და ცხოვრების განგები ზენა ძალა.

თუ არა განგებისად – მაშ, რანაირად შესძელ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კოლოზიებისა და ბრძოლების უმძიმესი გზა ისე გაგეევლო, რომ ჭუჭყის ერთი ლაქაც არ მოგცხებოდა.

თუ არა განგებისად – მაშ, როგორ შესძელ ეგოდენი ჭირისა და სიმუხთლის მხილველს და განმცდელს, გაბოროტების ნატამალიც გულთან არ გაგეკარებინა.

თუ არა განგებისად – მაშ, საიდან ეგოდენი სიყვარული, მიმტევებლობა, სიმხნევე, ამტანობა.

თუ არა განგებისად – მაშ, სხვა რა ძალა გასაზრდოებდა, ასე დაუღლელად, ასე დაუცხრომლად, ასე შემართულად, ხშირად უძინარსა და უჭმელს, ერთთავად ბრძოლებში ჩართული ყოფილიყავი და ტრიბუნებიდან ომახურად გექუხა...

შენი წასვლაც განგებისად განხორციელდა – გარეგნულად შემთხვევით, ბედისწერაა, მაშ რაა?! იქ კი არ მოკვდი, სადაც სრულიად გასაგები, სრულიად კანონზომიერი მიზეზი გამოგასალმებდა

ამ წუთისოფელს – ან პატიმრობასა თუ გადასახლებაში ავადმყოფობა, ან სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარზე გამიზნული ან უცაბედი ტყვია... არა, შენ იქ არ მოკვდი, რადგან შენ იქ არ უნდა მომკვდარიყავი: შენ ჯერ უნდა აღგესრულებინა აღსასრულებელი და მაშინ, როდესაც აღასრულე – მართლაც დიდებულად, მაღლად, სუფთად, სიყვარულით აღასრულე შენი საქმენი – ძალამ, რომელმაც ასეთად დაგბადა, კიდეც წარგიტაცა.

შენ სპეტაკი გული ჩაუდგი საქართველოში აღძრულ ეროვნულ-გამათავისუფებელ მოძრაობას, შენ შენი სიკეთით სწონიდი ამ მოძრაობაში აღჩენილ ყველანაირ ხარვეზს, შენი სიყვარულით და გავლენით აშოშმინებდი და აერთიანებდი ყველა ეროვნულ პარტიას, საზოგადოებას, კავშირს თუ ცალკეულ პიროვნებას, შენ მრავალგზის წინ აღუდექი უსულგულო და უგუნურ სისხლისღვრას, განმუხტე მრავალი პროვოკაცია, მრავალზე მრავალი სიკეთე მოიმოქმედე, ცხადლივ დაგვანახე, თუ რა დიდებულია სამშობლოსთვის მართალი, მოსიყვარულე, უდრეკი სულით მსახურება და, როგორც ჩანს... განგებამ გაკმარა, მოგაშორა... აგიტაცა!

ნიშანია ეს! რაღაცას გულისხმობს და მიგვანიშნებს განგების მიერ შენი წაყვანა. მაგრამ რას? თითოეულმა ამ კითხვაზე პასუხი საკუთარ სულში უნდა ვეძიოთ, საკუთარ სულში უნდა ჩავიბრუნოთ თვალი, რომ ამოვიცნოთ ეს ნიშანი.

რარიგ ძნელიც, რარიგ მტკივნეულიც იყოს, თითოეულმა შეგნებულმა ქართველმა საკუთარ სულში უნდა ჩაიბრუნოს მზერა, შეძლებისდაგვარად განიწმინდოს სულითა და გონებით, აღივსოს სიყვარულით და, მერე, ერთობლივად, მეტი ერთგულებით ემსახუროს იმ ხატს, რომელსაც შენ ასე უდრეკად და თავდაუზოგავად მსახურებდი – წმინდა ილია მართლის გამოჭედილ ხატს, რომელზეც სამშობლოსა და ღვთის ცნებები ერთ სიმბოლოდ შერწყმულა.

შენი თავი რომ წარიტაცა ჩვენგან ჩვენი ცხოვრების განმგებმა ძალამ – მე უფრორე ჩვენს თავს ვსტირი, ძვირფასო მერაბ, სრულიად საქართველოს ყველა სულიერად მცხოვრები და ეროვნულად მოაზროვნე გლოვობს თავისი ქვეყნის სპეტაკი, თავდადებული შვილის გარდაცვალებას. იყო ბჭობა და აზრთა შეხლა-შემოხლა, თუ რომელ წმინდა ალაგს, რომელ ეკლესიასთან დაგვესაფლავებინა. – მე შენ ღრუბელზე დაგასვენებდი, ამის ძალა რომ მქონოდა. ეგებ, იქ მაინც მოგესვენა. ხალხმა ინება, მთაწმინდის მიწას მიაბარონ შენი ცხედარი. ხალხი ბრძენია. ხალხი სწორია. შენი მოწყვეტა არ ინება მშობელი მიწისგან. ხალხმა იცის, შენ ქართული მიწის წიაღიდანაც

უნდა იმძლავრო, და შენ იმძლავრებ. მოსვენება და დაცხრომა, ჩვენო მერაბ, სასუფეველშიც არ გიწერია, სანამ ქართველნი ავბედობის უღელში ვართ ასე გაბმულნი, ცოტნეს ჯიშისა, იქაც იმძლავრებ – ქართული მიწის წიაღიდანაც იქუხებ და იღაღადებ საქართველოს გადარჩენა-აღორძინებას.

აკაკი ვასაძე

მამულიშვილნო, ქართველნო, გეორგიანნო!

დასრულდა მოწამეობრივი გზა დიდი მამულიშვილისა, ჩვენი ძმისა და მეგობრისა, ყველა ქართველისათვის საფიცარი მერაბ კოსტავასი.

ჭეშმარიტად დიდია ღვაწლი, რომელიც მან დასდო საქართველოს თავისი თავდადებით, თავისი შემართებით, თავისი სიბრძნით, თავისი მაღალი ზნეობით, მაღალზნეობრივი მაგალითით.

ძმანო, დღევანდელი დღე 9 აპრილის ტოლია. ღვთის დიდება გადმოვიდა საქართველოზე, ძმანო, რამეთუ ამაღლდა დიდი ქართველი და დაჰნათის საქართველოს, ვითარცა წამებულნი 9 აპრილისანი და მოგვიწოდებს თავდადებისკენ, მამულის სიყვარულისკენ, ურთიერთ სიყვარულისკენ. თავისი დიდი გულით მერაბ კოსტავამ გააერთიანა საქართველო. მას ყველა უყვარდა, რამეთუ უწყოდა: უკეთუ არ შეგიყვარეთ ურთიერთი, არ შეგვიყვარებს უფალი, ვერ გადარჩება ჩვენი სამშობლო. აი, ეს არის მერაბის ანდერძი: იყვარებოდეთ ურთიერთას,აი, მერაბის კრედო ცხოვრებისეული, აი, ის მიზანი, რომლისკენაც უნდა ვილტვოდეთ ჩვენ.

ძმანო, მოვექცეთ სარწმუნოებაზე, დავიბრუნოთ წინაპრების სარწმუნოება, რამეთუ წარვწყმდებით სიმრავლეთაგან ცოდვათა ჩვენთარსა, უკეთუ არა მოვექცეთ, მოვწყდეთ ცოდვათა შინა – აი, მერაბის ანდერძი, ძმანო! ვემსახუროთ უფალს, რომელსაც მსახურებდნენ ჩვენი წინაპრები, განვწმინდოთ გულნი ჩვენნი, აი, მერაბის ანდერძი, ძმანო!

რაღად უნდა რეფერენდუმი საქართველოს, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა აღიარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდის დიდება, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა ამოაცილა მერაბი წინაპართა, წმინდანთა და მოღვაწეთა სამკვიდრებელში, განა მერაბთან ერთად ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა არ ამოვიდა აქ, ძმანო? განა არ განიწმინდა ამით ჩვენი მოძრაობა, ჩვენი ერი.

ძმაო, დამუნჯებული ვართ მწუხარებისგან. გაგვიშრა ცრემლი შენს ძმებს, გაგვიშრა ცრემლი. მძიმეა ტვირთი, რომელიც შეგვატოვე მხრებზე, ძმაო!

უტყვია მწუხარება, ვეღარ მითქვამს გულისნადები. იმას კი გეტყვი, რომ ჩვენს გულებში ანთებული სანთლები გაგინათებს გზას სულეთისას, ვითარცა შენი ხატება გაგვინათებს ჩვენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

დიახ, ძმაო, მთელი საქართველო დაგტირის, მაგრამ შენ აღაზევე დღეს საქართველო! აღაზევე შენი მსხვერპლით, რამეთუ არ შეუშინდი სიკვდილს, ძმაო, შენი ცხოვრება ვეფხისა და მოყმის ბრძოლას გავდა, და არც შენ შახვდი, ძმაო, ვეფხს ჭკვიანი.

მრავალჯერ გაგაფრთხილე, მრავალჯერ გთხოვე: შენი ძვირფასი სიცოცხლე შეგვინარჩუნე, მაგრამ შენ მუდამ მაღლა იდექი ყოველგვარ შიშზე. მუდამ მაღლა იდექი ყოველგვარ სულმოკლეობაზე! წინაპრების სასუფევლიდან მოგვივლინა უფალმან წინაპარი ჩვენი აღმდგარი, რამეთუ დავეცით, რამეთუ ვუღალატეთ სარწმუნოებას, ვუღალატეთ ზნეობას, ვუღალატეთ ერს! და იგი მოგვევლინა, რათა შთაგვბეროს სული გმირობისა, შეუპოვრობისა, მამულისათვის თავდადებისა. აწ აღვსდგეთ და მივსდიოთ მაგალითს მისას, რათა, ვიხსნათ ერი ჩვენი, გათელილი მტრის ჩექმის ქვეშ. იგი გაგვიძღვება, ძმანო! იგი არ მომკვდარა, იგი კვლავ შეგვასმენს თავის გმირულ შავლეგოს, კვლავ შეგვასმენს და კვლავ დაამხობს მტერს, დაამხობს და გაათავისუფლებს საქართველოს!

საუკუნოდ იყოს, ძმაო, ხსენება შენი! შენი ერი შენთან არის. შენ მიერ გაღვიძებული ივერი შენთან არის, ძმაო, დიდი ილიას გვერდით დამკვიდრებულო!

ზვიად გამსახურდია

წამებულო ბავშვო!

წამებულო ბავშვო!

წამებულო ვაუკაცო!

ბავშვობაში კაცი მყავდი, კაცობაში ბავშვი...

ჩემო ანთებულო ჩირაღდანო, ანთებულო საქართველოს სიყვარულით, ადამიანების სიყვარულით!

ამიტომ იყო, რომ ვერ მოგერია მრავალწლიანი ტანჯვა-წამება. ამიტომ შეგიყვარა და დაგიტირა ხალხმა. საკმარისი იყო ენახათ შენი საოცრად მეტყველი, ჩაფიქრებული სახე, რომ რწმენა გასჩენოდათ ადამიანებს.

– შე ადრე დაბერებულოო... – შემოსტირა შენს სურათს მოსულმა მანდილოსანმა...

– როგორ არ გაუფრთხილდითო! – გვისაყვედურა ყველას შორიდან შენმა გადასახლებულმა მეგობარმა შენი დაღუპვა რომ გაიგო. მართალია, ვინც ვიცოდით შენი ათი წლის წამება, სიცივის, შიმშილის, კამერების, კარცერების ჭლექიანი წლები, ძვირფასი შვილის დაღუპვით გამოწვეული დიდი ტკივილი – უნდა მოგვეცა შენთვის ამოსუნთქვის, დასვენების საშუალება.

– მგონი აქ უფრო გამიძნელდა, ვიდრე გადასახლებაშიო... – თქვი ერთხელ ჩემთან.

როგორი კაცთმოყვარე მყავდი, როგორ იცოდი ადამიანების დაცვა, მათი შეცდომების მიტევება...

გულით გიგრძნო ხალხმა და ამ გრძნობით, სიყვარულით, პატივისცემით დაბადებულმა ტალღამ მსუბუქად აგიყვანა კიდეც მთაწმინდაზე.

და როგორც იქნა „დაგასვენეთ“, ჩემო მერაბ!

მედეა ჯაფარიძე

ერის სინდისი, პატიოსნება

მერაბ კოსტავა...

იყო დრო, როცა ეს სახელი რაღაც ბუნდოვან ეშვს იწვევდა, რაღაც გაურკვეველს ბადებდა, რაღაც აუხსნელ ბურუსს იხვევდა. ეს მაშინ იყო. ადრე, როცა ყოველგვარ ეროვნულზე საუბარი საშიში ზღაპარივით იდუმალი რჩებოდა.

არასოდეს არ დაბნეულა იაფფასიანი ტაშით, არ მოხიბლულა საკუთარი თავით, იდეებით არასოდეს არ უვაჭრია, იდეებით იბრძოდა მხოლოდ. სულის კივილამდე აწვალებდა გათითოკაცებული ქვეყნის სატკივარი და ერის გაერთკაცებაზე ოცნებობდა. ის უფრო წინ იყო, ვიდრე მისი დრო, ამიტომაც ხშირად მარტოკაცის ხიფათიანი გზებით იარებოდა. მასში სული და სხეული ერთნაირად ხმაურობდა, ერთგვარი ეროვნული ტემპერამენტით და მისი ხასიათის მთლიანობაში იკვეთებოდა, დადიოდა მუდამ ამაყი, მუდამ შემართული, მუდამ თავაწეული, მუდამ მართალი, რაღაც უცნაური, რაღაც მოუსვენარი, რაღაც მარტვილი და საკუთარი სატანჯველი არ ჰყოფნიდა. გოლგოთის გზაზე შემდგარს არც კრიზისი აცდენია, არც კატასტროფა, არც ნგრევა, არც უარყოფა, აღარც გაფრენა.

...დაიმსხვრა, დაილეწა და იქ ჩასახლდა, მარადიულ სინათლის წრეში... გათავდა. ლომმა გალია გაარღვია. გისოსები აღარ არსებობენ...

რუსთაველის საზოგადოების ზუგდიდის გამგეობა

ბატონ მერაბ კოსტავას ხსოვნას

ის იყო კაცი დიდებული, მებრძოლი უებრო, მეგობარი უღალატო, მორწმუნე თანამიმდევარი, მოყვასი ერთგული, პოლიტიკოსი ჩაუტეხელი, ქრისტიანი, ჭეშმარიტი.

მრავალწახნაგოვანია ბატონი მერაბ კოსტავას ფენომენი – უკანასკნელი მოჰიკანი შუასაუკუნოვანი ქართული რაინდიზმისა, „უშიშო, ვითარცა უხორცო“. ქართველთა არსებობის დროის ღერძზე ასეთი ადამიანების გრძელი მწკრივი ჰქმნიდა სწორედ წმინდანთა გალერეას, საკუთარი მკერდით რომ იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებას. ფარნავაზის ეპოქაში ის ალბათ პირველ ამბოხებულთა შორის იქნებოდა, მირიან მეფის დროს – ნინოს ჯვრის მცველი, დიდ დავით აღმაშენებელთან – ტაძრისეული, ცოტნე დადიანთან – ანისის მოედანზე ნებით ხელებშებორკილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან – შეფიცული, ჩვენ დროში კი... მხოლოდ იქ უნდა მდგარიყო, სადაც იდგა! „სხვაგვარად არ ძალუძდა“. მაინც სამი მთავარი ხაზი გასდევს ბატონ მერაბ კოსტავას ცხოვრებას: ავბედითად მდგარი ტრაგიზმი, ჯვარცმული მაცხოვრის სადარი მიმტევებლობა და სრულსახეობა რაინდისა. ბოლომდე შესვა ამქვეყნიური შხამით

სავსე ფიალა. განიცადა უსაყვარლესი ვაჟის სიკვდილი, გვემა, სიდუხჭირე პატიმრობისა, სიმძიმილი სამშობლოდან გადასახლებისა, უსამართლობაც, ცილისწამებაც, დევნაც. დარჩა მაინც სიკეთით გასხივოსნებული. არც გული დამძიმებია ბოროტი შურისძიებით, არც პესიმისტი გამხდარა, არც საუგო სიტყვა დასცდენია თვით აშკარა მტერთა მიმართ, ბოლომდე იდგა სახარებისეული სენტენციების სიმაღლეზე. არ გაბოროტებულა, ღვარძლით არ დაუჟანგებია დიდი გული. პირადულს არ წაულეკია უმაღლესი სულიერი კულტურა. საოცარი იყო მისი მიმტევებლობა. თითქოს დიდ ბავშვად იყო ატყორცნილი მისი კეთილშობილება. გარეგნულად გულუბრყვილო ჩანდა. არა, არ ყოფილა ბატონი მერაბ კოსტავა გულუბრყვილო. ეს, სიკეთით, უცნაურად გადაფარული შინაგანი ტრაგიზმი ჩვენთვის – ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, აღიქმებოდა პირველყოფილ გულუბრყვილობად. ორი რამ ამხელდა მხოლოდ ყოველდღიურ ტკივილებს: მეტყველ თვალებში ჩაბინდული ღრმა კაეშანი და გაქვავებული სახე, სუსხისაგან ქარდაკრული, უცნობთათვის შეუღწევადი და გასაიდუმლოებული. ჰო, კიდევ მისი ლექსები. საკრალურად დაშიფრული და ამოუცნობი.

ჩვენ არ ვყოფილვართ უახლოესი მეგობრები, ჩემდა სამწუხაროდ, არც თანამოაზრენი ვყოფილვართ ბოლომდე. სხვადასხვანაირად წარმოგვედგინა თავისუფლებისკენ მიმავალი გზა. მე მხოლოდ მისი პატივისმცემელი ვიყავი. არც მას უარყვია თანამშრომლობა ეროვნული ერთობის საქმეში. ჩვენი საუბრებისას მე განმაიარაღა რაღაც ღვთიურმა კეთილშობილებამ, გამაოცა და დამაფიქრა კიდევაც. ის ყოველი ქართველის ერთობის მომხრე იყო, რეალისტი. თავს არ გახვევდა საკუთარ თვალსაზრისს. მოკამათეში არ ეძებდა მოწინააღმდეგეს. არ მალავდა აღფრთოვანებას, თუ ეროვნული გრძნობის გამოვლენას შენიშნავდა, ახლაც მახსოვს თბილი, სიხარულით აღსავსე გამოხედვა, თუ რაიმე მოეწონებოდა. უკმაყოფილებას სიჩუმით გამოხატავდა. პირად ურთიერთობას ვამბობ, თორემ... საზოგადოებრივ საქმეში ჩუმი კი არა, მქუხარე იყო, შეურიგებელი და კატეგორიული, სიხარულსაც ზოგჯერ გაოცებით აღიქვამდა. ორი, თითქოსდა პარადოქსალური საწყისი შევნიშნე მასში: ყველაში პიროვნებას ეძებდა, პიროვნებას კი სცემდა უდიდეს პატივს... და ამავე დროს უკვირდა კიდევაც ადამიანში პიროვნების აღმოჩენა. განმწმენდი იყო მასთან საუბარი, თვითონაც სწამდა კათარზისი, ვითარცა ერის კონსოლიდაციის გზა. დიდი შერიგებაც მიაჩნდა აუცილებლად, დიდი პატიებაც, ერთობაც. შესანიშნავი კოორდინატორიც იყო. ჰქონდა უდიდესი ნიჭი სხვისი ღირსების აღიარებისა, შესანიშ-

ნავად ფლობდა ეპოქის მაჯისცემას. ასხვავებდა სტრატეგიას და ტაქტიკას. პოლიტიკურ იდეალს (მიზანს) არ ურევდა იდეალებისაკენ მიმავალ გზაში (მეთოდში). და ვაი, თუ მოდუნდეს ქართველთა საერთო გულისცემა მისი სიკვდილით და იმძლავროს გათიშვის ნერგმა!

დიდი ოპტიმისტი იყო ბატონი მერაბ კოსტავა. არ უყვარდა რომანტიკულ წარსულზე ცრემლი. ვგონებ, არც შეეძლო მას ტირილი, არ მიაჩნდა მოთქმა არც ნამყოზე, არც აწმყოზე, ბრძოლის ხერხად. აქ უნდა განვმარტო: დიდი ოპტიმისტი კი იყო ეროვნული თავისუფლების აღორძინებაში, პირად ცხოვრებაში კი მეჩვენება, რომ ნაღველი სჭარბობდა. რაღაც საშინლად შემაძრწუნებელი თქვა კიდევაც ჩვენი საუბრისას მუხთალი ბედის გამო. თურმე ყოველ წამს გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. ოღონდ კი არ ეშინოდა, არა, პირიქით, წინათგრძნობა ამოძრავებდა, ბევრის მოსწრება სურდა. ანალოგიური რამ დავინახე შემდეგ მისი ბრწყინვალე ვაჟის ირაკლი კოსტავას ლექსებში ჩაძირული. სევდიანმა ჭაბუკმაც ხომ შეფარვით იწინასწარმეტყველა საკუთარი ტრაგიკული აღსასრული.

ბატონი მერაბ კოსტავა ანტიკური გმირების მსგავსად საკუთარ ბედისწერას ებრძოდა. წინასწარ იცოდა საკუთარი ბედისწერა, მაგრამ ეს არ აჩერებდა. მან ხომ თვითონ დაუსახა თავს დიდი მიზანი: თვითშეწირვა საქართველოს წმინდა ბომონზე. ამიტომ შეუპოვრად მიისწრაფვოდა გაბედულად, ერთგვარი აზარტითაც... რადგან ის იყო „კაცი საკვირველი“ ჯვარცმული ქრისტეს დარად „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“.

ლოვარდ ტუხაშვილი

ერის რაინდთა მემკვიდრე

მერაბ კოსტავას პირველად ამ ოციოდე წლის წინათ შევხვდი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში, ერთ-ერთ საპაექრო შეკრებაზე, სადაც ახალგაზრდა მუსიკათმცოდნეებიც მონაწილეობდნენ. იმუამად გარეშე დამსწრეთაგან უნებლიეთ დავაკვირდი უცნობ ბრგე ახალგაზრდას: მოკრძალებით მდგომი, იმზირებოდა უცნაურად დაძაბული, თითქოსდა „უძრავი თვალებით“ (გამოცანა მასში – შესამჩნევი იყო)... გამაცნეს და წარმომიდგინეს, როგორც ახალგაზრდა მუსიკათმცოდნე. ადრევე მსმენოდა მისი სიყრმი-

სეული სიმამაცისა (მაშინ იშვიათად რომ ხდებოდა) და შედეგად – განსაცდელის შესახებ, ამასთან ისიც, რომ იგი იყო ცნობილი მსახიობისა და ღირსეული ქართველი ვაჟკაცის გრიგოლ კოსტავას ძმისწული, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ დაუბრუნდა სამშობლოს უფრო ხანგრძლივ – განსაცდელ გადახდილი... ლადო დონაძის მოწაფე ყოფილა თბილისის კონსერვატორიაში. ლ. დონაძე კი, ქართველ მუსიკათმცოდნეთა არაერთი თაობის აღმზრდელი, თავად მაღალი ზნეობის და ურყევად პრინციპული, უკომპრომისო პიროვნება, არცთუ იოლად იმეტებდა მაღალ შეფასებებს, მერაბ კოსტავაში კი თავიდანვე შენიშნა ღრმად ნიჭიერი, მოუსყიდველი (ამას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს) ახალგაზრდა. იმთავითვე მასში საიმედო ძალა დაინახა. მათ შორის ურთიერთსიმპათიები აშკარა იყო. მერაბი თავიდანვე ამყღავნებდა ღირსეული აღმზრდელისადმი რაინდულ პატივისცემასა და ერთგულებას, რაც მის განუყრელ პიროვნულ თვისებად დარჩა ბოლომდე.

ვამჩნევდი სიონს, დიდუბესა თუ ქაშვეთში განმარტოებულს, ლოცვის რიტუალს რომ ასრულებდა, იდუმალებაში იყო მთლიანად გადართული, გარე შეხედვით – ფანატიკოსს ჰგავდა... გაცნობის შემდეგ მალე დავახლოვდით და, მიუხედავად წლოვანებაში განსხვავებისა, დავმეგობრდით, საერთო ენაც იმთავითვე გამოვნახეთ – ამოსავალი იყო ქართული მუსიკის გზები და უწინარესად – ქართული მუსიკალური ფენომენი, თან როიალზე ვუკრავდით მის ნიშანდობლივ ნიმუშებს. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, დიდია თვითმყოფადი ძალა ყველა დროის ქართული მუსიკისა და იმის მიუხედავად, რომ იგი არცთუ გამოუმზეურებელია – კვლავაც ამოუწურავია მისი სიღრმე-საიდუმლოებანი, რომელთა ამოხსნას რამდენიმე მუსიკათმცოდნეც არ ეყოფა, იგი ძალთა კონსოლიდაციას მოითხოვს ამ დიდ საგანძურში მარადიული ქართული სულის ამოსახსნელად. ცხადია, ეს დროის საქმეც იყო, მაგრამ ამ საქმეს უწინარესად თავად ეროვნული სულითა და ფენომენით შეპყრობილი, თავდადებული მკვლევარნიც სჭირდებოდა, რომელთაც ძალა ექნებოდათ, ქართული მუსიკის – ეროვნული სულიერი ენერგიის ამ გვირგვინთაგანისათვის საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის ფართო, საკაცობრიო შუქზე. მერაბ კოსტავას ამის ყველა, ვიტყოდი – იშვიათი მონაცემი ჰქონდა. თავად მშვენიერი მუსიკოსი იყო: ფორტეპიანოზე ინტიმურ წრეში თუ განმარტოებით ისე უკრავდა (ჩემი თანდასწრებით – რომანტიკოსებს), რომ ეს საკუთარ თავთან გაბაასებაც იყო. მუსიკალურ აზროვნებაში მისთვის მთავარი – მუსიკის ფილოსოფიაში წვდომა იყო. შეპყრობილი იყო ბეთჰოვენით (მეცხრე სიმფონიის შესახებ კიდეც გა-

მოაქვეყნა მშვენიერი, ღრმა აზრებით სავსე წერილი თბილისში მის ერთ-ერთ შესრულებასთან დაკავშირებით), განსაკუთრებით კი – ვაგნერით. აზროვნების ეტალონად მიაჩნდა რუდოლფ შტაინერის გენიალური მოსაზრებები ვაგნერის შესახებ. თავისთავად ეს იმას მოწმობდა, რომ მუსიკას იგი აღიქვამდა ფილოსოფიასთან განუყრელ ურთიერთმიმართებაში. ამის მყარი საფუძვლები უკვე ჰქონდა. პარსიფალის, ლოენგრინის, გრაალის რაინდთა პრობლემა მერაბს – მუსიკოსს განუწყვეტლივ აღელვებდა...

საკუთარი ერუდიციის აფიშირების შეურიგებელ მოძულეში ერთობ საგრძნობი იყო სიღრმისეული განათლება, ამას ერთვოდა რელიგიური სიღრმე – ცხადია, ესეც მზამზარეულად არ მოვიდოდა. ზემოთ ვთქვი – პირველსავე შეხედვით ფანატიკოსს ჰგავდა-მეთქი. ჯიუტი სწორხაზოვნებაც აშკარად შესამჩნევი იყო. ჩვენი საუბრების დიაპაზონი საკმაოდ ფართოვდებოდა და თვით პოლიტიკის საკითხებსა და შეფასებაში იჭრებოდა. აქ თითქოსდა უდრეკი ფანატიკოსი სინამდვილეში გულდინჯ ობიექტურობას იჩენდა (არცთუ იშვიათად ეს მოულოდნელიც იყო მისგან). გამგებისა და გულისხმიერების ბუნება მასში სრულიად უტყუარი იყო და მისი დარწმუნებაც ძნელი არ იყო (ეს ამ ბოლო დროსაც, საქმეში ბევრმა გამოსცადა). მაშ სადღა იყო ურყევი ფანატიკოსი? მოძალადეების მიმართ და თუ რომელიმე მოძალადე მას შეუტევდა (მისახვედრია, როგორს ვგულისხმობ), მაშინ იწყებოდა მისი სრული გაშმაგება და ყოველგვარი თავგანწირვისათვის მზადყოფნა...

მის კალამს ელვარება ახლდა მუდამ, რისი გამოქვეყნებაც ადრე მოასწრო – უკვე მუსიკის ფარგლებსაც სცილდებოდა. შესანიშნავი ესეისტური ეტიუდი გამოაქვეყნა: „ცხენი!“ შემთხვევითი როდი იყო ეს: ქართული რაინდობის, ერთგულების, სიკეთის პრობლემას დაუკავშირა იგი და მასში დროის სევდაც ჩააქსოვა! თავის ერთადერთ ვაუკაც პირმშოს (ვაგლახ, ერთადერთ ვაუკაცს!) ირაკლის თავიდანვე სპარტანულად რომ ზრდიდა, ცხენოსნობაშიც გულმოდგინედ წვრთნიდა და ცხოვრების გზაზე სულიერი და ფიზიკური ჰარმონიულობის სრულყოფილი განვითარებით გაჰყავდა.

უცხოეთში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბრიუკენში როცა ვიყავი – ქართული კვირეულის დროს ერთმა დიდებულმა ქართველმა ინტელიგენტმა, ჩემი სიყრმის მეგობარმა, აწ განსვენებულმა გოგი კორძაიამ, რომელიც იმჟამად მიუნხენში ცხოვრობდა, მკითხა: ვინ არის მერაბ კოსტავა, მე ყოველთვის ვკითხულობ მის წერილებს და დიდ სულიერ კმაყოფილებას ვიღებო! ვუამბე მერაბს ამის შესახებ: უცხოეთშიაც უკვე მოგაქციეს ყურა-

დღება და დიდად არიან დაინტერესებულნი შენი შემდგომი გზითმეთქი... შემდეგ შევახსენე რაც მე მაწუხებდა – რომ შენ მუსიკაზე წერას მოუკელი და შენი უპირველესი მოწოდება ხომ ქართული მუსიკისადმი სამსახურია, იგი სწორედ შენნაირ კაცს მოითხოვს-მეთქი. მიპასუხა: – მე ამისთვის აღარ მცალიაო... პასუხი მრავალმნიშვნელოვანი იყო. შემდეგ რაც მას გადახდა, საყოველთაოდ ცნობილია. თავისი მოღვაწეობა წარმართა, როგორც ეროვნული მოძრაობის უპირველესმა ლიდერთაგანმა. მთაწმინდაზე მისი დასაფლავება ეროვნული სიმბოლო იყო. ხალხური სიმღერის „შავლეგოს" ტრაგიკული ვარიანტი კი მუდამ მოგვაგონებს ერის რაინდს მერაბ კოსტავას.

ანტონ წულუკიძე

„შენ არ მომკვდარხარ"...

„შენ არ მომკვდარხარ, შენ გძინავს, მოქანცული ხარ ბრძოლითა" – ასე მიმართავს დედა ვეფხვთან მებრძოლ რაინდს ქართულ ხალხურ თქმულებაში. ასევე შეგვიძლია ჩვენც მივმართოთ მერაბ კოსტავას ცხედარს, ის თუ მართლა შემთხვევითობის მსხვერპლია, რაც მე არ მჯერა, მაინც დაღუპულია იმ ბრძოლაში, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდა. დაღუპულია იმ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს თავისუფლება ჰქვია და რაკი ამ ბრძოლაშია დაღუპული, ბუნებრივია, რომ ჩვენ მისი გლოვა არ გვმართებს. „ამის მეტს აღარ გიტირებთ, შენ არ ხარ სატირალია". არ ხარ სატირალი, რადგან მარადი სიცოცხლის გზაზე დადექი ჩვენი ხალხისა და ჩვენი ერის გულში, როგორც ვაჟა იტყოდა. „მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯრითა". მე მინდა ვთქვა, რომ დღეს საქართველო გოლგოთის გზით მიდის. აღმართავს ის გოლგოთაზე საქართველოს თავისუფლებისა და გამარჯვების ჯვარს, თუ თვითონ მას გააკრავენ ამ ჯვარზე, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ვაჟკაცები ვიქნებით ჩვენ, რამდენად პატიოსანნი და რამდენად გონიერნი. შენ ამ ვაჟკაცობის, გონიერებისა და პატიოსნების მაგალითი აჩვენე. ამიტომ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ უკანასკნელი ქართველიც, ვინც კი გადარჩება, ის აიტანს ამ დროშას და აღმართავს, რო-

გორც თავისუფალი საქართველოს სიმბოლოს. ამიტომ მინდა მე, გამოგეთხოვო შენ ისეთი სიტყვებით, რომელიც შეიძლება გლოვისათვის არ არის შესაფერისი, მაგრამ შესაფერისია შენი ცხოვრებისათვის: გაუმაჯოს მერაბ კოსტავას, საქართველოს შიშველ სატევარს!

აკაკი ბაქრაძე

„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“

დიდი ერისკაცი მოუკვდა სამშობლოს – კიდევ ერთმა წმინდა ბინადარმა დაივანა ზეციურ საქართველოში, მერაბ კოსტავას მარად უკვდავმა და ნათელმა სულმა.

სამშობლოს, სიმართლის თავგანწირულ სამსახურში ჩაიფერფლა მერაბ კოსტავას, დიდი მერაბ კოსტავას უზადო სიცოცხლე, სიცოცხლე კაცისა, რომელიც თითქოს ღვთის მიერ იყო მოვლინებული ჩვენდა მხსნელად და იმედად, ჩვენი არსებობის შავბნელ ხანაში მინავლებული ეროვნული ნაპერწკლის გასაღვივებლად და კოცონად ასაგიზგიზებლად.

საუკუნის დასაწყისში სამშობლოს წმინდა სამსხვეპლოზე ილიას ზვარაკად მიტანილმა სიცოცხლემ იხსნა დაღუპვის პირას მდგარი ქართველი ხალხი. საუკუნის ბოლოს მამულისათვის ჯვარცმულის წმინდა მისია მერაბ კოსტავამ იტვირთა, იტვირთა და ბოლომდე პირნათლად, უღალატოდ, უანგაროდ ზიდა ეს მძიმე ჯვარი.

მერაბ კოსტავა ერის ჭეშმარიტი წინამძღოლი იყო და წინამძღოლობას არ ჩემულობდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და ლიდერი იყო და ლიდერობას არ ჩემულობდა, ეროვნული გმირი იყო და გმირობას არ ჩემულობდა, წმინდანი იყო და წმინდანობას არ ჩემულობდა. თავად ერმა შერაცხა თავისი უპირველესი შვილი წინამძღოლად, ლიდერად, გმირად, წმინდანად...

საქართველოს გმირული და რაინდული წარსულიდან იყო თითქოს მოსული ჩვენს საუკუნეში ეს ზნემაღალი და სპეტაკი კაცი, „უშიშარი, ვითარცა უხორცო“, ჩვენი საუკუნის სინდისი და ნამუსი, ბევრს, ძალიან ბევრს იტევდა მისი დიდი და ლამაზი სული – თევ-

დორე ბერის თავგანწირვას, დავითის გონიერებასა და შემართებას, ცოტნეს უღალატობასა და გაუტეხლობას, ქრისტესმიერ მიმტევებლობასა და სიკეთეს...

რაც დრო გავა, მით უფრო მეტად შევიგრძნობთ, თუ როგორ გვაკლია მერაბ კოსტავა, ჩვენი ეროვნული მოძრაობის ბურჯი და იმედი, რისხვა და შემართება, სათნოება და სიკეთე...

დიდგორის გამარჯვებას მემატიანემ „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. მერაბ კოსტავას მთელი ცხოვრებაც ძლევაა საკვირველი, ერს, რომელმაც შვა მერაბ კოსტავა, სიკვდილი არ უწერია.

თავისი საფიცარი სამშობლოსავით მრავალტანჯული, წამებული, დევნილი და გვემული, მრავალგზის ცილნაწამები იყო, მაგრამ სამშობლოსათვის ამაყი, უდრეკი, შეუვალი და ქედუხრელი, რწმენითა და სიკეთით გასხივოსნებული.

ვითარცა დევგმირმა ამირანმა წარსტაცა ცეცხლი ღმერთებს და სინათლე მოუტანა ადამიანებს, ისე გაგვინათა მერაბ კოსტავამ ბნელი, ჩვენ კი დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ ვხედავდით მის მიერ ანთებულ ჭეშმარიტების, სიმართლისა და სინათლის კანდელს, ან არ გვინდოდა დაგვენახა, ან ვერ ვბედავდით დაგვენახა...

რას იზამ, მერაბ კოსტავას ხვედრი ხომ რჩეულთა ხვედრია. ეტყობა, არც მისი პიროვნების ბოლომდე შეცნობა, მისი მოწამეობრიობის შეგრძნება, მისი ფენომენის წვდომაა იოლი.

პირსისხლიანი მონღოლიც კი შეაძრწუნა და მოხიბლა ცოტნეს გმირობამ, ჩვენ დროში კი, იუდასა და კაენის აღზევების ჟამს, როცა ასე იმძლავრა შინაღალატმა და გამცემლობამ, ქვეგუდიანობამ, პირმოთნეობამ და მუცელზე ხოხვამ „ძლიერთა“ ამა ქვეყნისა წინაშე, ქართული სისხლი ისე მოდუნდა, ისე დაიშრიტა ქართული ძალი და ენერგია, რომ დაბრმავებულთ და დაყრუებულთ არც გვიცდია წინ აღვდგომოდით შინამოღალატეთა უკუღმართ ნებას და ზნეობრივი გმირი ბორკილდადებული მივგვარეთ ჩვენი დროის ოქროს ურდოს. არც ერთ ჩვენგანს არ აღმოხდენია ამ გაუგონარი ბოროტებით გამოწვეული აღშფოთების ძახილი ან მწუხარების გმინვა. არავის უცდია თანაგრძნობის ხმა მიეწვდინა ყინულეთის წმინდა პატიმრისათვის, სინათლემონატრებულს საკნის ცხაურიდან „მარადისობის ლურჯ იებად“ რომ ესახებოდა თურმე ცის ნაფლეთები.

აკი აპრილის სისხლიან დღეებშიც მოიწადინა ურჩხულმა „ვამპირულ ცოფით და სატანურ ღოჯებით“ საქართველოს მიწაზე გართხმა და მის უპირველეს შვილთა წარტყვევნა. ამჯერად კი გონს მოეგო ქართველობა (ისევ და ისევ მერაბ კოსტავას და მის თანა-

მებრძოლთა მიერ გამოღვიძებული) და ხმა აღიმაღლა ბოროტების წინააღმდეგ... მაინც ვერ მოვუარეთ, ვერ მოვუფრთხილდით...

რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ საქართველოს ნანატრ დამოუკიდებლობას ვერ მოესწრო ის, ვინც ყველაზე მეტი გააკეთა მის მოსაპოვებლად, ვინც ყველაფერი ამ დიადი მიზნის აღსრულებას შესწირა... მაგრამ არა! მერაბ კოსტავა თავისი უდიდესი სულიერი თავისუფლების წყალობით თავისუფალ საქართველოში ცხოვრობდა უკვე (აკი ჩვენც გვაზიარა თავისუფლების სიდიადეს). პიროვნულად, შინაგანად იმდენად თავისუფალი იყო, რომ „შინაგანი თავისუფლების შუქით გასხივოსნებული" ვიწრო საკანშიც კი ცაში მონავარდე ფრინველზე თავისუფლად გრძნობდა თურმე თავს. მისი სულიერი სიმტკიცისა და გაუტეხლობის საიდუმლო კი ყოფილა გონებაში აკიაფებული „სიმშვიდის მომფენი კანდელი სულისმიერი". იგი ერთ კაცში გაცხადებული სიმბოლო იყო თავისუფალი და ზნეობრივად გასპეტაკებული საქართველოსი...

მერაბ კოსტავა ჩვენთვის ეწამა, ჩვენს ცოდვათა გამოსასყიდად ეწამა.

მერაბ კოსტავა დიდი ილიას ჭეშმარიტი მემკვიდრე იყო, ილიას მოძღვრებით შთაგონებული. თავისი ცხოვრებითა და სიკვდილით აღასრულა მან ყველაზე წმინდა ვალი ამქვეყნად – ვალი სამშობლოს მსახურებისა და მისთვის თავგანწირვისა. ჭეშმარიტად „წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება". ახდა მისი ერთგული თანამებრძოლისა და თანამოზიარის, ზვიად გამსახურდიას სიტყვები, რომლითაც ბოლშევიკური იმპერიის ჯურღმულებში ნაწამებ თავის ქრისტესმიერ ძმას მიმართა:

„უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვედ, იცოდე!"

ჩვენ მაინც ბედნიერნი ვართ იმით, რომ გვინახავს ცოცხალი კაცი – ლეგენდა მერაბ კოსტავა, სასოებითა და იმედით მოგვისმენია მისი მქუხარე და მართალი სიტყვა... ბედნიერნი ვართ იმითაც, რომ ჩვენს თაობას ხვდა წილად დაეტირებინა და იმქვეყნიური დიდების გზაზე გაეცილებინა იგი.

მერაბ კოსტავამ მომავლისაკენ სავალი გზა დაინახა და გაუკვალა ქართველობას. მისი სული გზის მანათობელ ლამპრად გაგვიძღვება წინ, როგორც მაშინ, თავის სიცოცხლეში, როცა ზვიად გამსახურდიასთან ერთად „ბნელში მსხდომთ აგვინთო კვარი".

მერაბ კოსტავას მოწამეობრივმა სიკვდილმა უნდა გაასპეტაკოს, სულიერად აამაღლოს ქართველობა. აკი თავადაც განწმენდას, კათარზის მიიჩნევდა იგი ერის ხსნის გზად.

ანდერძი დაუტოვა შთამომავლობას, ერთიანობის იდეა ყველაზე მაღლა დააყენეთო ეროვნულ მოძრაობაში, თავად ეს მოძრაობა გიყვარდეთო და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში.

მერაბ კოსტავას სიტყვამ და საქმემ უნდა შეკრას და შეადუღაბოს ქართველი ერი, ღირსეულად ვატაროთ გმირის მოწამეობრივი სისხლით შელებილი შინდისფერი დროშა, ზეციურ საქართველოს შევავედროთ მიწიერი საქართველო.

მერაბ კოსტავასა და საქართველოს მტრების (რამეთუ მერაბ კოსტავას მტერი საქართველოს მტერია და პირიქით), ჩვენი დროის პილატეების გასაგონად მინდა ვთქვა – მერაბ კოსტავას სიკვდილიც ვერ დააჩოქებს, სიკვდილი მისთვის ამაღლებაა, წმინდანის შარავანდედი, რამეთუ თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით

„მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა“.

მერაბ კოსტავა უფალს შეავედრებს საქართველოს. „ვედრება წმინდანთ მიღებულია...“

ქეთი ტოროტაძე

ყველაზე მეტად...

მერაბ კოსტავას სახელი, ბავშვობიდან ლეგენდასავით გვესმოდა. ვიცოდით, რომ ამდენ უზნეობასა და ბოროტებას შორის, იყო სანთელივით კაცი, ყველაზე წმინდა და ალალი, ვერაფრით რომ ვერ გატეხეს და დააჩოქეს...

საოცარი და გასაკვირი ისაა, რომ ყველაზე მეტად ვინც იწვალა, ყველაზე მეტი ტანჯვა ვინც ნახა, სწორედ მან, ყველაზე მეტად შეინარჩუნა ქრისტიანობა, მოყვასის სიყვარულით ის ყველას ჯობდა, ნამდვილად ყველას და ბოლომდე სანთელივით ენთო იმათი გულების დასათბობად, ვინც ვერაფრით ვრიგდებოდით ერთმანეთში. როგორ სწყინდა ჩვენი გაუთავებელი კინკლაობა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თქვა ცრემლნარევი ხმით, მე იქ იმდენი წელი ისე არ გამჭირვებია, როგორც აქ ეს ბოლო წელიწადიო. ჩვენ კი არც მაშინ დავფიქრებულვართ ამ ტკივილზე და ახლაც, როცა მერაბ კოსტავა აღარაა, არც ახლა ვფიქრობთ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდის გამთელებას...

ბატონი მერაბი თავად იყო ეს ხიდი, ჩვენი „შემაკავშირებელი ძალა“ თუ ძაფი. კაცი, რომელიც ყველაზე სათნო და ძლიერი იყო ჩვენს შორის. კაცმა, რომელმაც იმ წლებში ქართული სული შეუბღალავად, სანთელივით ატარა. იქნებ ახლა მაინც, როცა ეს ხიდი ჩაგვიტყდა და სანთელიც ჩვენს სიყვარულში ჩვენი შერიგების წადილში დადნა და დაიღვენთა, იქნებ ახლა მაინც ვახსენოთ ღმერთი, ვირწმუნოთ, რომ საქართველო უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი პარტია და იმ ბედნიერებისათვის, რომლის ხილვა მერაბ კოსტავას არ დასცალდა, ჩვენ მაინც გავუღიმოთ ერთმანეთს, ხელი გავუწოდოთ და ცოტათი მაინც ვიყოთ ისეთები, როგორიც მერაბ კოსტავა იყო...

ყველაზე მეტად, ჩვენი შეერთება გაახარებდა მას, რადგან მიაჩნდა, რომ ერთად ყოფნა აუცილებელი იყო იმ მიზნისთვის, იმ ნანატრი საქართველოსთვის, რომლისთვისაც იცოცხლა მერაბ კოსტავამ.

დათო ტურაშვილი

უკვდავება

მერაბ კოსტავას სიკვდილი საქართველოს ბედისწერაა.

მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღით ადრე გაზეთმა „ლიტერატურული საქართველომ“ იგი მკითხველს შეახვედრა, რაც „გედის სიმღერა“ აღმოჩნდა ბატონი მერაბისთვის. ანოტაციაში ვკითხულობთ: „დროა მივეჩვიოთ განსხვავებული აზრების მოთმინებით მოსმენას. ჩვენს პრესაში პირველი ნაბიჯები ამ მიმართებით გადადგეს „თბილისმა“ და „ქართულმა ფილმმა“...

გაზეთი „ლენინის დროშაც“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თავის მკითხველს საშუალება მისცა გასცნობოდა ამ მართლაცდა საამაყო მამულიშვილის მოსაზრებებს.

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს. სიცოცხლის ბოლოს მაინც იგრძნო მერაბ კოსტავამ ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. ისიც მოხდა, რომ ვიხილეთ მისი ვაჟის, ცხოვრებიდან თავისი ნებით წასული 24 წლის ნიჭიერი პოეტის ირაკლი კოსტავას ლექსების კრებული.

ეს ფაქტი განსაკუთრებით სასიამოვნო გახლდათ ჩვენთვის, რადგანაც ირაკლის დედა, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი,

ქალბატონი რუსუდან ბერიძე ჩვენი თანაქალაქელია. კარგად ახსოვთ იგი ოზურგეთელებს გამორჩეული ნიჭიერებისა და მომხიბვლელობის წყალობით.

მასთან საუბარი იყო საოცრად ტკივილიანი, საუბარი უახლოესი ადამიანების ბედზე.

ამერიკელები ამბობენ: გენეტიკურად გადადის არა მხოლოდ ხასიათის თვისებები, ნიჭიერება ან თუნდაც თმის ფერი, არამედ თვით ბედისწერაც. არ გჯერათ? მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ.

თუ ეს სწორია, მაშინ გენეტიკურია რუსუდან ბერიძის ბედიც.

1924 წელს ციმბირს გადაუსახლეს მამა. „ხალხის მტერი“, ცნობილი მათემატიკოსი ივანე ბერიძე, თან დედაც გაჰყოლია. ჰყოლია ძმა – საოცრად ნიჭიერი და ლამაზი ბიჭი, რომელიც დედას ციმბირიდან საქართველოში თავისივე ბედში მყოფი მეგობრისათვის გამოუყოლებია. თბილისში ჩამოსვლის მეორე დღესვე იგი კატასროფაში დაღუპულა. დედას მხოლოდ მოგვიანებით უნახავს მისი საფლავი და ისევ მეუღლესთან დაბრუნებულა. პოლიტპატიმარი ივანე ბერიძე ციმბირში გარდაიცვალა ისე, რომ ვერც კი გაიგო ამ ქვეყნად ქალიშვილის გაჩენა.

დაახლოებით 40 წლის შემდეგ, რუსუდანიც დედის მსგავსად, ვაჟიშვილთან ერთად, დაადგა ციმბირისაკენ მიმავალ გზას, თავის მეუღლესთან, პოლიტპატიმარ მერაბ კოსტავასთან შესახვედრად.

მაშინ ირაკლი 16 წლის იყო. 7 წელი იარეს ამ ჯოჯოხეთურ გზაზე, და ყოველთვის, როცა ახლოვდებოდა განშორების ჟამი, მერაბ კოსტავა, რომელიც რკინის კართან მდგარი, ის-ის იყო დერეფნის გზას უნდა გაჰყოლოდა, სევდიანი თვალებით გადმოხედავდა მათ და ეს გამოხედვა დიდხანს, ძალიან დიდხანს არ შორდებოდა დედაშვილს.

თბილისში კი იმხანად თუმცა ძალზე ცოტა იყო სასიხარულო, მაგრამ მაინც იდგა გაზაფხული. იყო გამოგონილი განთიადები, მოჩვენებითი კეთილდღეობა.

ამ დროს კი იწერებოდა ირაკლი კოსტავას ცრემლით სავსე ლექსები, რომელთა სტრიქონებში ჩასახლდა რკინის გალია – რკინის კართან მდგარი სევდიანი მამის აღქმა.

...ხუთი წლისა იყო, როცა დედა-შვილი ერთმანეთს ზღაპრების ნაცვლად გალაკტიონის ლექსებს უკითხავდნენ. ირაკლის გამორჩეულად უყვარდა მოსმენა ლექსისა „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“. საყვარელ ლექსთან რიგი თანდათან იზრდებოდა. უამრავი ზეპირად დაისწავლა და მშვენივრად კითხულობდა. თავად წერა 7 წლისამ დაიწყო. დედა იყო პირველი მკითხველი და შემფასებელი.

რაც დრო გადიოდა, იგი გრძნობდა, ბიჭში რაღაც მზადდებოდა. ახლოვდებოდა საბედისწერო ღამე, მაგრამ აიმედებდა მეორე ირაკლი; თითქოს არსებობდაო მეორე ირაკლიც, იუმორით სავსე, რომელსაც ყველაფერი უყვარდა ამქვეყნიური, მიწიერი: მეგობრები, ლამაზი გოგო, მოხდენილად ჩაცმა, ქეიფი, მაგრამ ვერ... ვერ გაიმარჯვა მეორემ პირველთან – გარეგნულად გასული საუკუნის შესაფერის მოწყენილ და ტკივილებით აღსავსე რაინდთან.

არა, დედა არ ამბობს იმას, რომ შვილის ბედი მხოლოდ მამის მძიმე გზამ განსაზღვრა, მაგრამ ის, რასაც განიცდიდა, რასაც ირგვლივ ხედავდა, გაცილებით უფრო მძლავრად აღიქმებოდა მასში და განსაკუთრებულ ნაღველს ტოვებდა. უაღრესად დიდ პატივს სცემდა მამის გზას, მაგრამ ფიქრობდა, რომ იგი ვეღარასდროს დაბრუნდებოდა საქართველოში.

ბუნებით უაღრესად კეთილშობილსა და მეგობრებისთვის თავგანწირულს სული აუფორიაქა გეგა კობახიძის ტრაგედიამ.

ასე იყო თუ ისე, ჩვეულებრივ თბილისურ შუაღამეს, ჯავახიშვილის ქუჩის ერთი სახლის მომცრო ოთახში, იქ, სადაც იმ დღეებში წამებული მამის ცხედართან თავს იხრიდა სრულიად საქართველო, ირაკლი კოსტავა აღესრულა საკუთარი ნებით. და ვინ იცის, იქნებ უკანასკნელად ისევ მიმართა მაიაკოვსკის:

„არც საწამლავი ჩაუყრიათ ჩემთვის ჭიქაში
და არც თოკი არ შემორტყმია ჩემ შიშველ კისერს,
არ გამიშვია სადავიდან სიცოცხლის რაში,
არა, მაესტრო, თქვენი ხვედრი ჯობია ისევ“.

დაღუპვიდან ორიოდე თვის შემდეგ დედის ხარჯებით გამოცემული 500 ცალი პატარა წიგნი გავრცელდა, რომელიც ბევრმა გადაიწერა, ისე გადაამრავლა. ასე გაიცნო თბილისმა ახალგაზრდა პოეტი, ასე გამოეფინა მისი ტკივილი, ტვირთი გარითმული მისივე თაობისა, თბილისის ვარდისფერ ქუჩებში.

მკითხველთაგან ბევრმა უკვე გადაშალა ახლახანს გამოცემული ირაკლი კოსტავას ლექსების კრებული და კარგადაც გაუგო მის ტკივილიან სტრიქონებს. „ქვიშა კი მძიმეა, მძიმეა ძალიან, მჭიდროდ შეკრული უფრო გალია“, „გადაიჭრება ლავიწის ძვლები და ბებერ ძარღვებს გადაჭრის ბარი“, ინტერესი კრებულისადმი დიდი აღმოჩნდა. ამიტომაც გამომცემლობა „მერანმა“ გადაწყვიტა დამატებით კიდევ 5 ათასი ცალი გამოსცეს.

ირაკლი კოსტავას ტკივილიან სტრიქონთა შორის „ჯარისკაცები ლესავენ დანებს, დააყენებენ სისხლის მდინარეს“, რომელიც საოცარ წინათგრძნობად, 9 აპრილის გამთენიის ზმანებად აღიქმება!

დღეს ამ სტრიქონს კიდევ ერთიც შეემატა, სტრიქონი – წინათგრძნობა მამისადმი მიძღვნილი ლექსიდან:

„შავჩოხიანი შეისვენებს მგზავრობის შუა,
წამოიძინებს, ამის დრო თუა“.

ტარიელ ჭანტურია წერილში „უსაზღვრო თავისუფლების ვნება“, რომელშიაც ირაკლი კოსტავას შესახებ საუბრობს, გვეუბნება: „...ყველაზე მტკივნეული კითხვა მაინც ერთია: რატომ მოიკლა თავი ჩვენმა შვილმა!“

ამის პასუხს ნათლად აკაკი ბაქრაძე იძლევა კრებულის წინასიტყვაობაში: „ჩვენ აღარ გვესმის ჩვენი შვილების, მათი ნაადრევი სევდა და ტკივილი ჩვენი ბრალია, ჩვენი სილაჩრის, ჩვენი შემგუებლობის, ჩვენი მატყუარობის“.

ადამიანები, რომლებზეც ქალბატონი რუსუდანი ტკივილით გვესაუბრა, თითქმის განგებამ დააკავშირა ერთმანეთს. ისინი ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები არიან.

ამ წმინდა წამებულთა სიმაღლე მერაბ კოსტავაა.

ახლოვდება წამი სასუფევლის კართან მრავალტანჯული მამისა და უსაზღვრო თავისუფლების ვნებით ატანილი შვილის შეხვედრისა, ახლოვდება და იწყება უკვდავება.

„უფალო, ღირს მყავ ჩემი ერისთვის, არ შევეპუო ხვედრის სიმძიმეს“ – ასე ბრძანეთ, ბატონო მერაბ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა უკვე ღირს იყავით თქვენი ერისთვის.

ამიტომაც შვენის დღეს ქვეყანას თქვენთვის თავდახრილი დროშები. სამშობლოს სიამაყეა თქვენ მიერ განვლილი ეკლიანი გზა. შთამომავლობას არ დასჭირდება მოგვიანებით პატიება შეგთხოვოთ ისე, როგორც დიდ ექვთიმეს შესთხოვა: „...ჩვენი ნუგეშია – ხომ მოგეფერათ საქართველო როგორც შეიძლო, ხომ ხელმძღვანელობს თქვენს დამკრძალავ კომისიას თქვენი ქირსტესმიერი ძმა – ზვიად გამსახურდია, ხომ გელოდებათ ერის წმინდა ძვალთშესალაგი.

ნეტავ იმ მიწას, რომელიც დღეს მიგიბარებთ.

მანანა ქილიფთარი
ოზურგეთი

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

შემოდგომაზე, როცა მაჭარი დაღვინდება,
დაბოღმილი კუთვნილ ჭიქას ბოლომდე დავცლი
და იმ ჯიუტ მგზავრს ვადღეგრძელებ,
მილიონ მგზავრს რომის გზაზე რომ არ გაჰყვება,
რადგან არ მიდის ყველა გზა რომში.
იმ გზას გაუმარჯოს, მთაწმინდისკენ რომ აზიდულა!..

ცისანა ანთაძე
ბათუმი

ᲠᲐᲗᲐ ᲐᲦᲛᲝᲪᲔᲜᲓᲔᲡ ᲐᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲐᲓ!

ტრაგედია გრძელდება: დაიღუპა მერაბ კოსტავა – ეროვნული მოძრაობის ლიდერი. მერაბ კოსტავა – ჩვენი ამამაღლებელი და გამამართლებელი მაშინ, როდესაც რაიმეს თქმა კი არა, ფიქრიც კი ჭირდა. მახსოვს ნერვიული რეპლიკა ერთი ლიტერატორისა, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა გამსახურდია-კოსტავას სასამართლო პროცესიდან: „ცუდად, ცუდად იქცევა კოსტავა, არაფერში არ სურს თავი დამნაშავედ სცნოს, არავითარ კომპრომისზე არ მიდის. თქვი რა, ერთი სიტყვა: შევცდი, მაპატიეთ-თქო და თავისუფალი ხარ! არ ამბობს!!“

მერაბ კოსტავას გააჩნდა ყველა უმაღლესი თვისება, რომ ყოფილიყო ის, რაც იყო! მშვენიერი! მაგრამ მე მინდა აღვნიშნო მისი უზადო იდეალიზმი, რომელიც მომხიბვლელობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ის იყო მართალი, მართალი, უმართლესი და ამიტომაც – უმამაცესი. ვწუხვარ, რომ პირადად არ ვიცნობდი, ძალიან კი მინდოდა დავახლოვებოდი, მაგრამ ვერიდებოდი მის შეწუხებას, ისედაც ბევრი საზრუნავი აქვს-მეთქი, ვფიქრობდი.

მერაბი არის და მარად იქნება. მან ახლა უფრო განამტკიცა თავისი არსებობა: ის ჩადის საფლავში, რათა აღმოცენდეს ათი ათასად.

რეზო კვესელავა

თავდადებული

ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკული დაღუპვის გამო: „არიან ბევრნი დიდხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა, მწერალნიცა, და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა-სრულნი.

მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთასრულობა, დიდ-ხასიათობა... ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ...“

ამგვარი დიდ-ხასიათის კაცი იყო მერაბ კოსტავა, გულთა-სრული და მტკიცე ხასიათისა. საუბედუროდ, ახლა მისმა მოულოდ-ნელმა სიკვდილმა დაგვაფიქრა ამაზე – მის თავგანწირულ სულისკ-ვეთებასა და პიროვნებაზე...

ერის ისტორიაში არის მომენტი, როცა სუსტდება ან თითქოს სრულიად წყდება ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს აწმყოსა და წარსულს შორის. ამგვარი ჟამი დაუდგა საქართველოს 1921 წლის მერე უკანასკნელმა ექვსმა თუ შვიდმა ათწლეულმა თანდათან გაგვაუცხოვა ჩვენი გმირული და თავგანწირული წარსულისაგან. თითქოს სადღაც შორს დარჩა დავით და კონსტანტინეს მარტვილო-ბა, ცოტნესა და დემეტრეს თავდადება...

ყოველივე ეს მარტოოდენ ისტორიულ ფაქტად და წარსულის კუთვნილებად იქცა. აწმყო კი ნაკლებად იძლეოდა თავგანწირვისა და თავდადების მაგალითებს. ალბათ ამიტომაც, თანამედროვეობას, ჩვენს სულიერად დუხჭირსა და გამოცარიელებულ ყოფას, ყველა-ფერზე მეტად გაუტეხლობისა და სიმამაცის ცოცხალი ხატი სჭირ-დებოდა. ეს დიდი მისია მერაბ კოსტავამ იდო თავს. მან ზნეობრივი გმირობის ცხოველმყოფელი მაგალითი მოგვცა – შიშისაგან დამ-ცრობილი ჩვენი საზოგადოება თავგანწირვის სხივით გაანათა და ქართლის ცხოვრების მატიანეში კიდევ ერთი მოწამეობრივი ფურ-ცელი ჩაადუღაბა. ასე აღადგინა მან საკუთარი თავგანწირვის ფასად დროთა დარღვეული კავშირი – გმირული წარსული თანამედროვე-თათვის ხელშესახები გახადა. ამიტომაც იყო მტრისთვის საშიში და მოყვასისთვის მხნეობის მიმცემი, სწორედ საპატიმროში გამომწყვ-დეული მერაბ კოსტავას სულიერი გაუტეხლობა მატებდა ძალას სამოცდათვრამეტი წლის 14 აპრილს მშობლიური ენის დასაცავად რუსთაველის გამზირზე გამოსულ ჩვენს ახალგაზრდობას მოსალოდ-ნელი საფრთხის წინაშე. სწორედ მერაბმა და მისმა თანამებრძოლებ-

მა გაუღვივეს ამ ახალგაზრდებს ეროვნული თვითშეგნება აღორძინებული „საქართველოს მოამბითა“ და „ოქროს საწმისით“.

მერაბის ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლაა მწვავე და გულსატკენი, თორემ იმას ნუ ვიტყვით, საკუთარი თავგანწირვის შედეგს ვერ მოესწროო. მაშ, რაა ჩვენი გამოღვიძებული ყოფა? მაშ, რაა 26 მაისს, მერაბის დაბადების დღეს, გამართული მაისობა და უნივერსიტეტის გუმბათისაკენ, ეროვნული ჰიმნის თანხლებით, ტაატით მიმცურავი დამოუკიდებელი საქართველოს დროშა? მაშ, რაა ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა მიტოვებული ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ქართველობით დასასახლებლად? მაშ, რაა ჩვენი ზრუნვის საგნად ქცეული დაცხრილული გარეჯის ფრესკები თუ ჩვენი დაბა-ქალაქების აღდგენილი სახელები?

ვწერ ამას და ვგრძნობ, ცოტას ვაზვიადებ – იდეალამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ მეც, ისევე როგორც თქვენ ყველას, მერაბის ნაადრევად წასვლა მენანება და ამითღა ვინუგეშებ თავს.

ვთქვი, მტკიცე ხასიათის კაცი იყო-მეთქი მერაბ კოსტავა. ხასიათის სიმტკიცეს იგი საქართველოს სიყვარულში ამჟღავნებდა, თორემ ადამიანებთან ურთიერთობაში საოცარი სილბო და მიმტევებლობა ახასიათებდა. მეტიც, კაცი, რომელიც უზარმაზარ იმპერიას შეებრძოლა, პირად ცხოვრებაში ბავშვურად გულუბრყვილო იყო. მაგრამ სწორედ ეს, სიმამაცესთან შეზავებული სიწმინდე, აქცევდა მას უსპეტაკეს რაინდად, რომელსაც უთუოდ თეთრი გიორგის ორდენის კავალრობა დაშვენდებოდა. იქნებ ამიტომაც განიზრახა თეთრი გიორგის საზოგადოების დაარსება – იგი პოლიტიკაშიც წმინდა გულის რაინდებს მიელტვოდა თანამებრძოლებად.

ამბობენ, ტრაგიკულს სიდიადის ელფერიც ახლავსო. იმგვარი სიდიადისა, რომ ხშირად ჩრდილავს კიდეც ტრაგიზმის შემაძრწუნებელ საშინელებას. სიდიადის ამგვარი შარავანდი მოსავს მერაბ კოსტავას სიკვდილსაც. მერაბი არ მომკვდარა ჩვეულებრივი სიკვდილით. ასე მგონია, არც ბრმა შემთხვევის მიზეზით. ის სრულიად საქართველოზე ზრუნვამ გამოიყვანა სახლიდან და ჩვენს შავ ბედთან ჭიდილში დაეცა ამერ-იმერის გზაზე. დაეცა, რათა ზნეობრივად ამაღლებული გმირი მშობლიური მიწის მარადიულ კუთვნილებად იქცეს, ხოლო მნათობმა მაღლით სხივები მოჰფინოს თავდადებულის სამარეს.

მდინარეც უთუოდ უმღერებს ნანას – „რაინდსა ურჩსა მტრისასა“.

ამირან გომართელი

ამაღლება

ქართული ეროვნული მოძრაობის თავკაცი მერაბ კოსტავა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში იკრძალება.

ასეთ პატივს ერი მხოლოდ თავის უსაჩინოეს შვილებს მიაგებს, შვილებს, რომლებიც უკვე ამ ფაქტით მამებად – ერის სულიერ მამებად იქცევიან.

მთაწმინდაზე სასუფეველს იმკვიდრებენ არა მარტო „სიტყვა-საქმიანი", არამედ „საქმე-სიტყვიანი" ხალხი. იმკვიდრებენ ხოლმე ერისა და არა მთავრობის ნებით (ვაი, რომ ყოველთვის ასე არ მომხდარა!)

მერაბ კოსტავას მართლაც მიუდიოდა „სიტყვა გზიანი", „სიტყვა-საქმიანი", მაგრამ ამიტომ როდი აჰყავს ერს იგი მთაწმინდაზე; ეს პატივი მას მიეგო როგორც მოსაქმეს, როგორც მამულის იდეით შეპყრობილს, როგორც საქართველოს თავისუფლებისთვის თავდადებულს, როგორც კაცს-ზვარაკს.

დიდი ზნეობრივი გაკვეთილია, სადღეისოდ მაინც, მეშრომე და მებრძოლი კაცის ესოდენი ამაღლება.

ამაღლების გზა კი მუდამ გოლგოთაზე გადის. მერაბ კოსტავა შეგნებულად დაადგა ამ გზას და ბიჯიც არ გადაუდგამს განზე.

შეუვალიც იყო და დიდსულოვანიც. მაცხოვრის მბაძავს, შეეძლო ხელთ შოლტიც აეღო ღვთის ტაძრიდან მეკარმეთა გამოსარეკად... შეეძლო ფეხიც დაებანა გზააბნეული, უძღები შვილისათვის.

მერაბ კოსტავა, ჭეშმარიტი ილიელი, სიცოცხლის საქმეს სიკვდილშიც აგრძელებს: თავის კუბოსთან აგროვებს, აერთებს, თავს უყრის საქართველოს.

და ერთიც – ურწმუნო თომათა საგულისხმოდ: მერაბ კოსტავა ჩვენს ცნობიერებაში უკვე აღარ აღიქმება კონკრეტულ პიროვნებად – იგი გარკვეულ იდეად იქცა. მისი მთაწმინდაზე ამაღლებით ქართველი ერი პატივს მიაგებს არა კერძო კაცს, არამედ თავისუფლების იდეას, რომლის ყველაზე სრულყოფილ განსხეულებად მერაბ კოსტავა წარმოჩნდა.

თამაზ კვაჭანტირაძე

ლევილის მწუხრში

ლევილის მწუხრში დავრჩით მარტონი,
ხილვა იყო თუ გამოღვიძება, –
ქრისტეს პერანგში
მერაბ ბატონი
იდგა ღვთის წინ და
პირჯვარს იწერდა.
არც რას ამბობდა,
არც რას იტყოდა,
ცა ელვრებოდა სულში იოდად,
ყრმას ცხრა აპრილის ყველა ჭრილობა
გულში სჭირდა და
გული სტკიოდა.
ვერ მივეშველე, ვერ მივაშველე,
ქართულ ნაღვერდალს სიტყვა ქართული,
აქეთ მაწვდიდა სანთელ-საკმეველს,
მრეცლში საფრენად ფრთებშემართული.
შავ ცხენზე იჯდა წმინდა გიორგი,
წინ წამებულის დიდი გზა იყო,
მკლავკურთხეულის ყველა გმირობის
ხმალი ვადაში გადამტყდარიყო.
ხტოდა, ცმუკავდა კერპთა კავშირი,
იყო სპექტაკლი, როგორც მკვლელობა,
სდუმდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი
და ვალმოხდილ ძმას,
ვით ძმას ელოდა...
გუნდი გალობდა –
„შენ ხარ ვენახი!“
და იყო რაღაც ენით ართქმული...
და მთაწმინდიდან
მამრის შეძახილს
ექოდ ერწყმოდა გენი ქართული.
მზე ჩადიოდა...
ვწუხდით მარტონი,
მაგრამ კვლავ დუღდა სისხლი იბერთა, –
ქრისტეს პერანგში
მერაბ ბატონი
იდგა ღვთის წინ და
პირჯვარს იწერდა.

მორის ფოცხიშვილი

უცებ ცა ჩამოგვექცა თავზე, მერაბ!
წვიმამ მოგვიტანა სიკვდილის ამბავი, მერაბ!
ერისკაცი მოუკვდა საქართველოსო, მერაბ!
მერაბ კოსტავამ მიგვატოვა სამუდამოდო, მერაბ!
თბილისი დატოვა და უკან ვერ დაბრუნდაო, მერაბ!
ზეციურ საქართველოში გადასახლდაო, მერაბ!
სანთლად ენთო და სანთელივით ჩაიფერფლაო, მერაბ!
კაცი იყო და კაცურად იცხოვრაო, მერაბ!
სამშობლო უყვარდა და ზვარაკად შეეწირაო, მერაბ!
წმინდა იყო და ღვთისმშობელმა მოითხოვაო, მერაბ!
შავად შეიმოსა ისევ თბილისი, მერაბ!
ისევ ტირიან რუსთაველზე ჭადრები, მერაბ!
სიმწრით ღმუიან პატარა ლეკვები, მერაბ!
იცრემლებიან სათნო გოგონები, მერაბ!
ფრთამოტეხილი დაგვტოვაო, მერაბ!
გაგვაქვავა და დაგვამუნჯაო, მერაბ!
ირაკლის მამა მოენატრაო, მერაბ!
მამა მოენატრა და წაიყვანაო, მერაბ!
ეკას და ნათიას პატრონი უნდათო, მერაბ!
ბავშვები არიან, უჭირთ მარტოობაო, მერაბ!
ელისო მოგვიკითხე – ჭიპაშვილი, მერაბ!
თამუნა დოლიძე, მამუკა ნოზაძე,
თამრიკო ჭოველიძე მოგვიკითხე, მერაბ!
ნაზი შამანაური მოგვიკითხე, მერაბ!
ვოვა ვეკუა მოგვიკითხე, მერაბ!
ნინო, მარინა, ნანა, ნოდარი მოგვიკითხე, მერაბ!
ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოგვიკითხე, მერაბ!
ილია ჭავჭავაძე მოგვიკითხე, მერაბ!
მღვდელი თევდორე, ქეთევანი მოგვიკითხე, მერაბ!
დიმიტრი, დავითი, თამარი მოგვიკითხე, მერაბ!
დავითს გადაეცი, ნუ გეშინია-თქო, მერაბ!
საქართველო ცოცხალია-თქო, მერაბ!
ან გაწყდებიან, ან გაიმარჯვებენ-თქო, მერაბ!
შავლეგს მღერიან, ლილეოს-თქო, მერაბ!
სიკვდილს სიმღერით ხვდებიან-თქო, მერაბ!
სულის ზეიმია საქართველოში, აღდგომაა-თქო, მერაბ!
ათასი სანთლით გაგინათებთ გზას, მერაბ!
შინდისფერ დროშებზე გადაგატარებთ, მერაბ!

ცრემლი არ შეგშვენის, მაინც დაგიტირებთ, მერაბ!
სიტყვას არ გავტეხთ, არ გიღალატებთ, მერაბ!
კიდეც დაიზრდებიან კოსტავები, მერაბ!
შენი ჯიშის – და შენი გენის, მერაბ!
ზეცაში ამოგძახებენ, თავისუფალიაო საქართველო, მერაბ!
მტერი დამარცხდა, დასამარდაო, მერაბ!
მუმლი მუხასაო, მერაბ!
გარს ეხვეოდაო, მერაბ!
მუმლი კვდებოდაო, მერაბ!
მუხა რჩებოდაო, მერაბ!

თინათინ მღვდლიაშვილი

საქართველო რომ გამოსთხოვო ბორკილახსნილი

მერამდენეა გლოვა ესე და შეჭირვება,
ეს მერამდენედ, გულთა ფლეთვა, სულთა კირთება.
რამდენი ცრემლი უნდა ვღვაროთ ღმერთო, ძლიერო,
არსთა გამრიგევ, ბედი კიდევ რა შხამს გვპირდება.
ბედი შავბედი, მტერთა ჩვენთა საბედნიეროდ...

კვდება იმედი, კვდება რწმენა, ვიხსენებთ ოდეს,
ორლესულებით გადაკეპილ ღამის სარანგთა.
სიავემ ბედის, შენი დიდი გულიც წაგვართვა.
ტფილისი შენს ხმას გაიგონებს ველარასოდეს,
ტფილისი გოდებს!
ავაი, გმირო, არ ეწერა სიზმარს ახდენა,
ვინძლო არ იქნა, არ შებრუნდა ეს დრო თახსირი.
არსთა გამრიგეს შენ ზვარაკად მიეახლები,
საქართველო რომ გამოსთხოვო ბორკილახსნილი...

ხუნდის დადებით
სკვითს მიგგვარეთ,
ო, მგონია, იყო სიზმარი...
ვიტანჯვით ახლა სინანულით
ნაგვიანევით,
აწ არ გჭირდება ქალაქიდან გასვლის ფირმანი,
სახელით შენით განიხვნება სამოთხის კარი...

ნოდარ გრიგალაშვილი

მამულიშვილი

შეირხა ზარი ბეთანიას, სიონს, ბედიას
და საქართველოს მგლოვიარეს ვხედავ ცრემლიანს,

შენ, ავბედითი ზღუდეების მკერდით გამტანო,
დიდო რაინდო, მაცხოვარის მართლაც სადარო.

არ შემრჩენელო წინაპართა ჭმუნვა-ჯავრისა,
შენ კურთხეულო, დიდო მცველო ნინოს ჯვარისა,

ვითარცა ცოტნე, შეფიცული, მდგარი ანისით,
ქრისტესმიერის შენის ძმისას ტანჯვას განიცდი.

შენმა სახელმა საქართველოს ცაზე ინათა,
სანთლად მიუხვალ თავდადებულ ყველა წინაპარს.

შენ ღვთისმიერო, ცაზე ელავ, როგორც ხანჯალი,
„ოქროს“ დუმილით და სიცრუით გულს არ ჟანგავდი.

მიმოგვიფანტე საქართველოს თავზე უკუნი,
ახლა იქ ისმის ფაფარაშლილ ლომის ბუხუნი.

სრულსახეობავ რაინდობის, თმენით კი არა,
შენ ვაჟკაცურად გამოსცალე შხამის ფიალა, –

დევნა, წამება, სიდუხჭირე, ბედთან ჭიდილი,
ყველაზე უფრო საოცარი – ვაჟის სიკვდილი!

შორით სამშობლოს მონატრება, ძმების გატანა...
ვერ გაიხარა, მერაბ, შენზე ჟღალმა სატანამ.

შენზე ვინა თქვას, მადლიანო. „შავეთს წასული“,
მგლის ლეკვებს დამზერ, ქრისტესავით დგახარ ჯვარცმული,

შენ აღასრულე ერთგულების ვალი ბოლომდე
ჩანხარ უკვდავი საქართველოს წმინდა ბომონზე.

აწ მთაწმინდაზე შემოგხვდება დიდი ილია,
შთამომავლები შთაგონებით შენთან ივლიან.

შენმა სიკვდილმა მიწიერი არსი დაკარგა,
უნდა შეერთდე, შენი ერი ერთ დიდ ნაკადად.

შეირხა ზარი ბეთანიას, სიონს, ბედიას,
და საქართველოს ვუსამძიმრებ შენსას ცრემლიანს.

ალიო ქობალია
სოხუმი

ვაი, ეგეთას სამართალს, მერაბ!

„რადგან განგებას რომელი უყვარს,
მასვე მოუვლენ სასტიკ განსაცდელს“...
მერაბ კოსტავა

შავმა ყორანმა დაფლითა გული
და სასოხშულმა ვილოცო მე რად? –
ცას მიაბარე დევნილი სული,
საქართველოსთვის ჯვარცმულო, მერაბ!..

რა უღვთოდ ხმება და იხვატება
ქართული მიწა, ქართული ზვარი, –
წინ მიგიძღვება ქრისტეს ხატება,
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

ნეტარ ჰანგებით არ იბანგება
სული ტყვედქმნილი, გამოკეტილი...
რა უსამართლოდ წირავს განგება,
ტოვებს ბოროტს და მიჰყავს კეთილი.

ახდა, ასრულდა, რაიც ინატრე, –
სული ცად არი, ზეარსთ სადარი...
„შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი“...

დარჩა ზვიადი უღელქვეშ, ობლად
და წყევლის სიკვდილს მუხთალს და ვერაგს...
ნეტარ ხარ, ნეტარ, საწუთროს მგმობლად
ღვთივკურთხეულო ზეკაცო, მერაბ!..

ხმალი ქარქაშში აღარ აგია, –
გაივლის დრო და გაივლის ხანი
და საქართველოს ძლევის მაგიად
დაუვლის შენგან აღძრული ხმანი...

ო, რა დაალღობს გრაალის მცველო,
სულში ჩაკირულ წუხილის ჯერაბს...
მეორედ კვდება დღეს საქართველო,
„ვაი, ეგეთას სამართალს“, მერაბ!..

ვალერიან სალღლიანი

* * *

გლოვობს შენგან დაობლებული სრულიად საქართველოს შემადგენელი ნაწილი, სამაჩაბლოს ქართველობა, რომელსაც აქ, ჩვენს მიწაზე, აკლია მწუხარების გამზიარებლები. ადგილობრივი ქართული პრესაც კი დუმილს ამჯობინებს შიშით შეძრწუნებული.

ვაი, ჩვენს ყოფნას უშენოდ!

ღრმად დამწუხრებული
სამაჩაბლოს ქართველობა

ერის კაცის დაღუპვა

კიდევ ერთი ერისკაცი მიიტაცა თანატოსმა,
სუსხიანი ფრთა შემოჭკრა მოწამეთა თანატოლსა.
დღეს, რვაფეხა რომ ეხვევა საცეცებით საქართველოს
და ჰერაკლეს ჰიდრა ცდილობს წმინდა მიწა გადათელოს.
ბრალია და გულსატკენი გამოკლება კარგი ყმისა,
ვისაც ჰქონდა შემართება ენგურის და არაგვისა.
მაგრამ ვინმეს თუ ახარებს ღირსეულთა აღსასრული,
ნუ იჩქარებს, გასწორდება წელში ერი დაღდასმული.

და ნურც მეტად იზეიმებს ყვავ-ყორანთა შავი დასი,
საქართველოს საკორტნელად შემოყრილი შურის მთაზე.
რაც არ უნდა გაუჭირდეს, რაც გუნდ ბედი დანავსოდეს,
საქართველო არც მომკვდარა, არც მოკვდება არასოდეს,
და კიდევაც დაიზრდება ბევრი ლეკვი ალგეთისა,
ნუ იდარდებს დედაშენი, ჰყავდი შვილი სასახელო –
შენს ამაგსაც გაიხსენებს უბორკილო საქართველო.

აკაკი გელოვანი

მერაბ კოსტავას

საკანს გააღებს გაციებული მზერა,
გაითოშება, გაიყინება სივრცე,
ხორცი გშორდება, ხორცის დასრულდა გვემა,
სული სანთლებად აღიმართება ცისკენ.
წამებულ წმინდანთ ნაფეხურებზე დგება,
მუდამ ივერის მხნე და ამაყი ჯიში,
    მარტვილის გზაზე დიდი ქეთევან იდგა,
    წარდგა თევდორემ უფლის ტაძრისკენ ბიჯი.
სივრცეს აპრილის სისხლის ფერი აქვს ახლა,
მალე პილატე ხელებს გადიწმენდს მშვიდად,
აზიდულია სიზიფეს ლოდი უკვე.
მაღლა ქერუბიმთ ოსანა ისმის წმინდა.
    წაღებულია, წართმეულია ტაო,
    სამაჩაბლოს და ცხუმის გვეცლება ფესვი
    და სასუფევლის კართან შეგხვდება ალბათ,
    შენი ირაკლის ცრემლებით სავსე ლექსი.
ჩემი მამულის თანაზიარ ხარ ხვედრით,
მღვრიე ჭაობში სინათლის თეთრი ხნული,
ლომის ხახაში გაჩრილ სამშობლოს ბედით,
თეთრ გიორგივით ამხედრებული სული.
    რა მისტერიას, გვიქადს უფალი რაის,
    დახსნას მამულის?! თუ სატანის ქვეშ წრიალს,
ბატონო მერაბ! თქვენს გზას ვუდგევართ მგონი,
გზას, საქართველოს გადარჩენა რომ ჰქვია!..

დავით ტაკიძე
ოზურგეთი

მერაბ კოსტავას ხსოვნას

21 ოქტომბერი რაღაცით იმ ავბედით 9 აპრილს ჰგავდა. მაშინაც, იმ 9 აპრილსაც, არნახულ სიმაღლეს მიაღწია ეროვნულმა მოძრაობამ და ახლაც, 21 ოქტომბერსაც, არნახულად ამაღლდა ქართული სული – მრავალტანჯული, მაგრამ დაუმონებელი, გაუტეხელი, წმინდა, ისეთი, როგორიც იყო ამ სულის უდიდესი გამოვლინება, საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა, რომელსაც ახლა, 21 ოქტომბერს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა ზღვა ხალხი, მის და მისი განუყრელი მეგობრის, ზვიად გამსახურდიას მიერ გამოფხიზლებული და მებრძოლი საქართველო. გარეგნულადაც წააგავდა 21 ოქტომბერი 9 აპრილს. როგორც მაშინ, ახლაც შუაზე გაიყო გამზირზე მდგარი ხალხი, მაგრამ თუ მაშინ შუაში ნიჩაბალესილმა სიკვდილმა ჩაიარა, ახლა კუშტად მზირალი ქართველობა ცრემლითა და იმედით შეჰყურებდა აღზევებულ სინდისსა და ღირსებას ჩვენსას. ხმალჩაბღუჯული მიუყვებოდა სულეთის გზას მერაბ კოსტავა.

სიკვდილმა ვერაფერი დააკლო განწმენდას, ერთადერთ ჭეშმარიტ გზაზე მდგარ ერს, რადგან უკვე არავითარ ძალას აღარ შეუძლია ჩაკლას მბორგავი და მშფოთვარე ეროვნული მოძრაობა, რომელიც ღმერთის შეწევნით ისე დაგვირგვინდება, როგორც ეს საოცარ ოპტიმისტს, მოყვასისადმი მიმტევებელსა და სამშობლოს მტრებისადმი დაუნდობელ მერაბ კოსტავას სურდა.

ჩვენი ეროვნული გმირი საქართველოს ნეტარხსენებული ძლიერების ხანიდან გადმოსულ უებრო რაინდს ჰგავდა, განგებისგან ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გადამრჩენად და იმედად მოვლენილი. როცა უნდა დაბადებულიყო, ყოველთვის უპირველეს მამულიშვილთა შორის იქნებოდა მარადიული ქართველი, ქართველი ერის ისტორიის მანძილზე თითქოს ერთად შეკრებილი ჩვენი ღირსებისა და ვაჟკაცობის მატარებელი. ნაადრევად გათეთრებულს არასოდეს გაუხარია. ვერც გაიხარებდა დაბეჩავებული საქართველოს შემყურე. ნახევარი საუკუნის ხნისა მაინც დიდ ბავშვად, მოარულ სიკეთედ რჩებოდა. როგორი გულგატეხილიც უნდა ყოფილიყავი, როგორი სასოწარკვეთილიც, ნახავდი მერაბს და დიდხანს მიგყვებოდა სულის სიმშვიდე, გადმოგეცემოდა მისი ლომგულობა და შეუდრეკელობა...

მახსენდება, ივლისში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, მერაბი დიდხანს იყო ზუგდიდში. გადაღლილობას ჩა-

წითლებულ თვალებში თუ შეატყობდით. ერთ წუთში რომ ღალიძგის ხიდთან იყო, მეორე წუთში მიტინგზე გონიერებისაკენ მოუწოდებდა ხალხს. უპირველესად სწორედ მერაბმა გვიხსნა მაშინ უფრო საშინელი და გამოუსწორებელი ტრაგედიისაგან. მისი შემხედვარე ხალხი წყნარდებოდა, შეშფოთებულები სულის სიმტკიცეს იძენდნენ, მერაბი კი იდგა დაუღლელად, მართლაც შეუცვლელი და ერთადერთი. გამომშვიდობებისას მხარზე მოგითათუნებდა ხელს და თავისებურად დაიბუხუნებდა: აბა, თქვენ იცით, აბა, თქვენ იცითო! მშვიდდებოდი კაცი. 9 აპრილსაც ყველაზე ბოლოს დასტოვა რუსთაველის გამზირი. აქეთ-იქიდან ეკაჩებოდნენ, მაგრამ ნაბიჯი ვერავინ ააჩქარებინა, თავაწეული, ამაყად მიაბიჯებდა და არაფრად დაგიდევდათ მუმლებივით შემოსეულ ბარბაროსებს.

კიდევ 13 ოქტომბერი მახსენდება, სოფელი ბორითი, ხარაგაულთან. ალბათ ტყუილია, რამდენჯერ დაუყარეს ხმები, – ყველანი ამ იმედით მივდიოდით თბილისიდან. უამრავი მანქანა და ხალხი სიკეთის მაუწყებელი არ უნდა ყოფილიყო. მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტ, კინოკადრებივით მახსოვს – დაბნეული, შეშფოთებული სახეები, გაყინული თვალები, ყელში მობჯენილი ღრიალი: მერაბ!.. მაინც ცოცხალია. მას ვერავინ და ვერაფერი მოკლავს.

ასეთი რამ იშვიათად თუ ახსოვს საქართველოს. ხალხს ვერ იტევდა თბილისი; ცრემლს ვერ იტევდა მთელი საქართველოს ჭირვარამის დამტევი მერაბის ეზო; ვერც სიონმა დაიტია საქართველოს ტანჯვა და გლოვა, არ მეგულება ქართველი, რაღაც რომ არ ჩასწყდომოდა გულში ამ ამბის გაგებისას. ახლა წევს მთაწმინდაზე ვალმოხდილი, დიდი წინაპრების სულებმა თუ უხმეს, იქ უფრო საჭირო თუა, თორემ ასე ნაადრევად არ დაგვტოვებდა.

სულ მგონია, რომ შემხვდება, სულ მგონია, რომ ხალხმრავალ მიტინგზე ისევ გაისმება ყველასათვის საყვარელი და ნაცნობი, განუმეორებელი ხმითა და ინტონაციით ნათქვამი „მეგობრებო!“ და ჩვენც, მერაბის თანადგომით ამაყნი, უფრო თამამად გავუყვებით საოცნებო მიზნისკენ მიმავალ გზას და გამარჯვებასაც პირველად მერაბს მივულოცავთ.

მამუკა ფაჩუაშვილი

აღმერთებდე საქართველოს

დაიხსომე ქართველმა:
დაემართა რაც ანთეოსს,
შენც ის დაგემართება,
თუ მოსწყდები საქართველოს.
როგორც მერაბ კოსტავას,
თუ მამულზე ჯავრი გზრდიდა,
არ გემძიმოს ოდნავაც
უმძიმესი ჯვარის ზიდვა.
ძვირად რეკდე გლოვის ზარს,
რადგან მავანს უხარია
და ზეიმობს, როდესაც
საქართველო მწუხარეა.
გაგეკაფოს გზა მრწამსით,
სანამ გაიტანდე ლელოს,
მერაბ კოსტავასავით
მხრებში გამართული გევლოს.
მისი ხატი ყელმაღალ
ბალღებს მკერდზე ჩამოჰკიდე
სულში ვისაც ესახლა
ჯვარცმით გატანჯული ქრისტე.
სხვისას არ შენატროდე
არც დიდებას, არც პანთეონს,
ქართულად ეპატრონე
დროშებდახრილ საქართველოს.
რაც თქვი, აღარ გადათქვა,
ტყავი განიახლე ვეფხვის,
სხვას არ ანდო გარდაქმნა
„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნის,
ეგალობოთ „ოსანა“,
გამარჯვებით სადაც გევლოს,
როგორც მერაბ კოსტავა –
აღმერთებდე საქართველოს.

ოთარ ჭელიძე

მერაბ კოსტავას ხსოვნას

შენს გაშიშვლებულ ხმალს,
შენს ამაღლებულ ხმას,
შენს გასაწალდავ გზას,
შენს აუღერებულ ზარს,
ვლოცავთ!

ხელში იესოს ჯვრით,
ჯვარზე გაკვრით და წვით,
თავისუფლების მკით
და გოლგოთაზე სვლით,
გლოცავთ!

გლოცავთ იესოს კვართით,
შუბლზე ბრძენკაცის ძარღვით,
მამულისათვის დაგვით,
ხელში ეროვნულ ალმით
და ერთი მუშა განძით
შენი სახატე ხატით!

მურმან დავითაია

პირნათელი

საქართველოს ტელევიზია ხშირად უჩვენებს კადრებს სიონის ეკლესიისკენ 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის პარაკლისზე მიემართება დემონსტრაცია. ფრიალებენ საქართველოს ეროვნული დროშები, რეკენ სიონის ზარები და ზღვა ხალხია წმინდა ტაძრის ეზოში. დემონსტრანტებს შორის არის მერაბ კოსტავაც. კადრში იგი ზურგიდან მოჩანს. მხრებგაშლილი მიდის იგი სიონისკენ. ვერც კი ამიწერია სვლა მისი – ერთდროულად ლაღიც და დაღლილიც, მშვიდიც და დაჭერებულიც, ვუყურებ ამ კადრებს და რაღაცნაირი აუხსნელი გრძნობა მეუფლება. მოგონებას კი ბავშვობაში გადავყავარ...

1956 წელია. მეათე კლასში ვსწავლობთ. ხუთიოდე გოგო „შატალოზე“ ვართ. ამხანაგის სახლს შევაფარეთ თავი. დედამისი შინ არ

არის და ჩვენც იქ მოვკალათდით. ვიცინით, ვმხიარულობთ. ვიღაცამ თქვა, ნამცხვარი გამოვაცხოთო და უცებ... ერთი ჩვენგანი ამბობს: „გოგოებო, რა დროს ეგ არის, დღეს დილაადრიან ჩვენი ბიჭები დაიჭირეს“. თავზარი დაგვეცა. გავშრით. „ვინ დაიჭირეს?“ „რატომ?“ „რა მოხდა?“ ვკითხულობთ ჩვენ. მივრბივართ სკოლაში და იქ უკვე გარკვევით ვიგებთ, რომ დაჭერილები არიან ზვიადი, ჯონდო, ვოვა, თამაზი, თემური, ტოლიკა, გურამი, მერაბი...

ყოფილი პირველი ქალთას და პირველი ვაჟთა მე-10 კლასებში გლოვაა (წინა წელს ქალთა და ვაჟთა სკოლები შეაერთეს და ამ ორი სკოლის მოსწავლეები თანაკლასელებად ვთვლით თავს. უფრო მეტიც, მერაბ კოსტავა მუსიკალურ ათწლედში გადავიდა სასწავლებლად, მაგრამ მაინც „ჩვენი კლასელია“, განუყოფელი ნაწილია თავისი ძმადნაფიცის – ზვიადისა). მეორე დღეს გაზეთ „კომუნისტში“ იბეჭდება სამარცხვინო პასკვილი „სარეველა“. პასკვილი ბავშვებზე, 15-16 წლის ბიჭებზე (1989 წელს ჩვენმა მთავრობამ თავისდა სამარცხვინოდ კვლავ გამოაქვეყნა ეს პასკვილი), აღშფოთებულები ვართ. ვჩხუბობთ, ვამტკიცებთ, რომ ყველაფერი მონაჩმახია, ყველაფერი სიცრუეა. უმრავლესობამ იცის, რომ ეს ასეა. ზოგს კი გაზეთისა სჯერა. ჩვენ კი, ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო. გვეამაყება ჩვენი ბიჭები და თავაწეულნი დავიარებით.

საბედნიეროდ, მასწავლებლებიც ღირსეულნი გვყვანან. მოხუცი, ჭაღარა, დიდი პედაგოგი ნინო აღნიაშვილი გვამხნევებს, გვამშვიდებს...

მღელვარედ მიდის ჩვენი ცხოვრება. გაფაციცებულნი ვართ, – იქნებ რამე გავიგოთ, არაფერი ისმის და აი, ლოდინს ბოლო ეღება. სასამართლო დაინიშნა, მართალია, დახურული, მაგრამ მაინც სასამართლო. მთელი კლასი უმაღლეს სასამართლოში მივრბივართ.

„მოჰყავთ, უკანა კარიდან მოჰყავთო!“ – გაისმა, არიქა, გავცვივდით გულგახეთქილები. გასასვლელი კარი დაგმანულია. ფანჯრებს ვეცით, იქიდან ვიჭყიტებით.

როგორც იქნა, მოვიდა ორი მანქანა, გადმოდიან ისინი, – „ჩვენი ბიჭები“ – ზვიადი და ჯონდო, ტოლიკა და გურამი, თემური და თამაზი, ვოვა და მერაბი... გაფითრებული სახეები აქვთ, ძლივს გადმოდიან. მერაბი თავისით ვერ გადმოდის, – გადმოჰყავთ...

მერე სასამართლო და უსაშველო ლოდინი. ბოლოს კი სიხარულის ელდა! „გაათავისუფლეს!“ მთელი კლასი იცინის, ტირის, ყვირის!..

ეს იყო 1956 წელს.

მოდის მას აქეთ მერაბ კოსტავა და მოაქვს ის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, დედის ძუძუსთან ერთად რომ უწოვია.

მას აქეთ მერაბის თავზე წისქვილის ბორბალი დატრიალდა. ცხოვრებამ საშინელი გამოცდა მოუწყო. ხმაც კი დაირხა, იქ, შორეულში მოკვდაო მერაბ კოსტავა და ახლა უკვე „ჩვენმა გოგონებმა" დავიტირეთ იგი. და უცბად კვლავ სიხარული. მერაბი ცოცხალია, მერაბი გაათავისუფლეს!..

კვლავ შეიკრიბა ჩვენი უღალატო კლასი, კვლავ აგვიჩუყდა გული და კვლავ ავივსეთ სიამაყით...

ჩვენს წინ კი ისევ ისეთი მერაბი იდგა. ადრე გატაცებით რომ უკრავდა შოპენის „რევოლუციურ ეტიუდს", მღეროდა „მრავალჟამიერს". ისევ გულუბრყვილო, ისევ ერთგული მეგობრებისა და თავისი ზვიადისა; ისევ უზომოდ შეყვარებული თავის სამშობლოზე...

მერე იყო ნოემბერი, 9 აპრილი, აფხაზეთი... და ყველგან მერაბის ქრისტიანული სული იდგა.

ამას წინათ ტელევიზია დიალოგს გადასცემდა. მერაბ კოსტავამ თქვა: „ღმერთი ყველაფერს ხედავს. იმან ყველაფერი იცისო". ჭეშმარიტად, ღმერთი ყველაფერს ხედავს, იმან იცის ჩვენი ავიც და კარგიც, ჩვენი სიმართლეც. ხოლო მერაბ კოსტავა ერთი მცირედთაგანია, ვისაც შეუძლია პირნათლად წარსდგეს ღვთის სამსჯავროზე.

მე კი, ამ ძნელბედობის ჟამს, წარსულიდან, ბავშვობიდან გესალმები შენ, სამშობლოსათვის შეწირულო ადამიანო. გისურვებ გამარჯვებას და თანაც, თუ არ მიწყენ, დავძენ: „ფრთხილად იყავით, ბიჭებო!"

დიდება საქართველოს!

ნანა გოგოძე
2 სექტემბერი, 1989 წ.

რა დიდი გზაა აღსავალი ცათა კარამდის

ერის რჩეულო, ღვაწლმოსილო, წახველ ადრიან,
ნათლით მოსილი წარუდგები დიდთა წინაპართ...
მამულის იქით, სხვა რამ ნატვრა, არც გინატრია,
შენი კაცობა, მზისქვეშეთში, მადლით ბრწყინავდა,
გვირგვინს გიბოძებს, დაუჭკნობელს, უზენაესი,
რადგან აქ, ცეცხლში იწრთობოდა შენი ღირსება,
ნანას გიგალობს საქართველო – დედის ალერსით
და შენი სული საწყაულით ცით აღივსება.
აწ, განისვენე დამაშვრალო მამულისშვილო,
ბევრსაც გვავალებს სანატრელი შენი სახელი,
სამოთხის ბაღში უჭკნობელი ყვავილი შლილობს,
ტკბილი მამულის სიყვარულის გამომსახველი.
ცა გახსნილობით – სვეტიცხოვლის ელვა მარადი,
შენთვის გახდება სახილველი ცათა განგებით,
რა დიდი გზაა აღსავალი ცათა კარამდის,
სად მგალობლობენ ანგელოზნი ღვთიურ ჰანგებით.
მოგვეგებიან გალობით და ციურ ჩანგებით,
ვინაც კარგობით ანგელოზად არის ქცეული,
რომ გულს აგყარონ სააქაო დარდის ჭანგები
და დაასვენონ გადაღლილი შენი სხეული.
მას ნეტარება, ვინც ქვეყნისთვის ვალმოხდილია,
ვინც წმინდა სანთლად შეიწირა და ცით გვინათებს,
პირზე ღიმილით შეგეყრება დიდი ილია, –
ერის სინდისი, საუკუნის დიდი სიმართლე.
მშვიდობა შენდა! – გეთხოვება შენი ქართველი,
წმიდაა შენთვის ერის ცრემლი და უანგარო...
ცათა მიგითხრან, გასახარი, შენდა სათქმელი
და განკვირვებას ვერ ფარავდეს მთელი სამყარო...

მთავარეპისკოპოსი თადეოზი
იგივე
მირიან იორამაშვილი

ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚ ᲫᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ

(მერაბ კოსტავას)

ერზე მᲭმუნვარი ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის Ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!
ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები
და სერაფიმთა Ჰაეროვნება,
არ გწამს მონღოლის ნატრაბახები
და არც მარდოხეს ყალბი ცხოვრება.
გვეტანებოდნენ ძაღლნი და ღორნი,
შემუსვრა სურდათ ელვარე Ჭაღის,
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის.
კვლავაც დავუდგეთ დარაᲯად საფლავს,
ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს,
ამგვარ წამებას ხომ შვებაც ახლავს,
ხვალეც იმედის თვალებით გვიმზერს.
ცხოველმყოფელი საფლავი იგი
გვიწამებია ცხოვრების წყაროდ,
დაგვცქერის თვალი არსთაგამრიგის,
ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროსს,
და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი,
ცა გარდაგვეხსნა მარადუამული,
ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი
ღვთის წილხვდომილი ჩვენი მამული.
დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე
მზე შუაღამის, ბარძიმი წმინდა,
გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი
და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა.
ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს Ჯვარი.

ზვიად გამსახურდია, 1985

მერაბ კოსტავას ხსოვნას

შენს სახელს კვნესა არ ეკადრება,
„შავლეგო“ მოგდევს სანთელ-საკმევლად...
მხოლოდ „ქართველო ხელი ხმალს იკარ“
უნდა ჩაგესმას უკანასკნელად!
შენ უფლის ხელით ბეჭედდასმულო,
ბაგრატიონთა ხმალის ნაკვესო,
გიხმო ივერთა ღვთისმშობლის ხატმა,
ჩვენს შორის ყოვლად უმამაცესო!
დღეს შვილი შენი მონატრებული
შემოგაგებებს სანთლებს საშენოს,
და ლექსით არაამქვეყნიურით
სამძიმარს ეტყვის მთელ საქართველოს.
ხიფათის შუბზე მკერდდაფლეთილო,
მამულიშვილთა დარდო უთქმელო,
სულ ნახტომისთვის შემართებულო,
დაჭრილო ვეფხვო, წარბგაუხსნელო!
ვინც განვლო გზანი წამებისანი,
ვერც რას დააკლებ ბედის ბორბალო...
მშვიდობით, რაშო, ფაფარაშლილო!
მშვიდობით, ძმაო, სწორუპოვარო!
სამშობლოსათვის ბორკილდადებულს
კლდეკაცს სიცრუე ვერ გათქმევინეს,
რუსეთის ცივ და ბნელ ჯურღმულებში
გზას გინათებდა სული შენივე...
ბედისწერასთან მორკინალ რაინდს,
გონიც მოგდევდა, ღონეც გერჩოდა,
შენი უდრეკი რწმენის წინაშე
ისიც თავს ხრიდა, ვინაც გებრძოდა!
„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირული სულისკვეთება!“
მტერსა და ორგულს უნდა ვანანოთ
ქართველის ლაგამ-უღლის კეთება!
შენი სიცოცხლე იყო დღემუდამ
მართალი სიტყვის ცაში ქუხება,
მალე გახარებთ, გმირო, ტანჯულო,
დედასამშობლოს თავისუფლებას!

ბედმა გვარგუნა ხვედრი რჩეულთა,
როგორც შეჰფერის ყმას სანაქებოს –
ელვის სისწრაფით დაირხა ელდა
და ცრემლი წასკდა მთლად საქართველოს!
ამიერიდან შენს ნათელ საფლავს
ცრემლის წვიმებმა უნდა აწვიმოს,
ყვავ-ყორნის ჯიბრზე წამოფრენილო,
ფრთამოტეხილო ვაჟას არწივო!
ქრისტესმიერი სიყვარულისთვის
დაბადებულო კაცო, ალალო,
ბეწვის ხიდზე და ცეცხლში გასულო,
უდრეკად წინ და სწორად მავალო.
არ დავხრით დროშას შენს ნაამბორალს
და ცხრა აპრილის ცრემლით დანამულს,
შენს სამარესთან ძმათა ერთობას
და თავდადებას შევფიცავთ მამულს!
სიცოცხლეშივე სალი კლდისაგან
ლომის ქანდაკად გამოკვეთილო,
იყავ ნათელში აწ და მარადის
ადრე წასულო, ძმაო, კეთილო!

ამირან კალაძე

მერაბ კოსტავა

პირდაპირ ვთქვათ: თუკი ქართველ ერს თავისუფლება სწყურია, მან ხმამაღლა უნდა უთხრას თავის თავსაც და მსოფლიოსაც, თუ ვინაა შვილი მისი – მერაბ კოსტავა.

გმირი, წამებული, წმინდანი!

მერაბ კოსტავა!

ის უკვე იქაა, იმ ნათელ კრებულში, სადაც ერთად აფრქვევენ ჰაეროვან სინათლეს დიდთა წინაპართა აჩრდილები.

უკვე მიიხუტა მკერდზე მოხუცმა ილიამ, უკვე შეახო მის შუბლს ჯვარი წამებულმა დედოფალმა ქეთევანმა და უკვე ამოიყენა გვერდით მარადიული ქართული ლაშქრის წინამძღოლმა დიდმა დავით აღმაშენებელმა.

დაჰხედეთ სურათს.

რა მოუხდებოდა ყველაზე მეტად ამ სევდიანი არწივის სახეს?

ჩაჩქანი და მუზარადი?

ამ ვაუკაცურ, მრავალი სიმძიმილის გადამტან მხრებს რა დაამშვენებდა?

ჯაჭვის პერანგი.

ის თეთრ ცხენზე უნდა მჯდარიყო თორ-აბჯრიანი და ხმალა-მოწვდილს მამაცური თავისი მზერით შიგ თვალებში ეცქირა მტრისათვის.

აი, ვთქვი და უცებ მივხვდი, რომ საქართველოს ბედკრული გრძელი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ მოსულა მერაბ კოსტავა მკლავმაგარ მხედრად.

მოსულა თეთრცხენოსანი.

მოსულა, როცა ყველაზე მეტად უჭირდა მამულს.

და უბრძოლია.

ყველაზე მძიმე მოვალეობა კი მაინც ამ მოსვლისას დაეკისრა მას და მის ქრისტესმიერ ძმას ზვიად გამსახურდიას.

ასეთი დამონებული არასოდეს ყოფილა ქართველი კაცი, არასოდეს ისე არ გაჭგებია ფეხქვეშ დამპყრობელს ლუკმა-პურისთვის.

არასოდეს ამდენი ქართველი არა მდგარა მტრის სამსახურში, არასოდეს ამდენს არ უქცევია ზურგი დედაენისთვის, არასოდეს ამდენს არ მიუტოვებია სამშობლო ნებით.

დამონებული, დაბეჩავებული, უიარაღო სამშობლო – ვეება ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპის წინაშე.

აი, რა დახვდა ამ მოსვლისას მერაბ კოსტავას.

თვითონაც უიარაღოდ უნდა ებრძოლა. ვერ უშველიდა თეთრი ცხენი, ვერც ფარ-ხმალი და ჯაჭვის პერანგი.

ვაუკაცსა გული რკინისა.

აბჯარი თუნდა ხისაო.

არა ჰქონდა არც ხის აბჯარი, მხოლოდ გულს უნდა ებრძოლა, მის რკინის გულს.

და იბრძოდა კიდეც.

უთანასწორო იყო ეს ბრძოლა. მტრის მხრიდან უსვინდისოდ უთანასწორო.

შებოჭილს ბნელში სცემდნენ ყოველი მხრიდან.

სცემდნენ უღმერთო სისასტიკით.

მაგრამ ვერ კი გაბზარეს რკინის გული.

ტანჯვით კი ტანჯეს რამდენიც სურდათ.

ჰაი, დედასა! სხვა დროებაში შემოჰყროდნენ, ცხენდაცხენ... ხმალდახმალ... თუნდაც ოცი ერთზე... მერე გენახა ბიჭობა!

აკი მაინც არგუნა ბედმა, რომ პირისპირ შეჰყროდა მტერს.

აპრილში – თბილისში.

ივნისში – ქვემო ქართლში.

ივლისში – აფხაზეთში.

ვინც იქ ნახა, დამეთანხმება, რომ ძლიერ შვენოდა ბრძოლის ველზე ყოფნა.

ოღონდ ეს ბრძოლებიც უცნაური იყო.

ქართველებს არ დაგვიღვრია მტრის სისხლი. ჩვენი დაღვარა მტერმა.

ვაუკაცობა იმ უცნაურ ბრძოლებში ის იყო, რომ ჩვენ ხელი არ გამოგვეღო და ვმდგარიყავით მამაცურად.

მერაბმა გვასწავლა, თუ როგორ უნდოდა ღირსეულად, უდრეკად დგომა...

სულ თვალწინ მიდგას:

შუაღამეს დიდი ხანია გადაცილებულია. მანქანით მივდივართ ქვემო ქართლში.

ირგვლივ ავი სიჩუმეა.

შევდივართ ბოლნისში.

შორიდან მოჩანს, რომ შუა ქუჩაში ფარნით განათებულში შეგროვილა ხალხი.

ვუახლოვდებით და ვხედავთ, თურმე მერაბი დგას ხალხში, დაფიქრებული ღიმილით უსმენს მასთან მოსაუბრეებს.

დგას ახოვანი, მოწიწიებით შესცქერიან ჭაბუკებიც და ხნიერნიც.

იგრძნობა, რაკი მერაბი აქაა, ყველაფერი კარგად იქნება.

დგას ახოვანი, მშვიდი, ღირსეული.

თითქოს წარბშეკრული, მაგრამ თვალები უღიმის.

აუჰ, რა ლამაზი, რა მშვენიერი!

არ შეიძლებოდა თვალში არ გცემოდათ მისი სილამაზე.

მერაბ კოსტავა სრულყოფილი ადამიანი იყო.

ზნეობრივი სიწმინდის განსახიერება და გარეგნულადაც უმშვენიერესი ვაჟკაცი.

რატომ შეიქმნა ასეთად?

ამაში მოწყალე უფლის ნება ჩანს.

მერაბი იმიტომ იყო ასეთი კარგი, რომ მის დამონებულ სამშობლოს კვლავ ერწმუნა თავისი ძალა.

ერწმუნა, რომ დიადია და ღირსია თავისუფლებისა ის ერი, რომელსაც შეუძლია კვლავაც დაბადოს ასეთი მშვენიერი, ზნესრული ადამიანი.

და კიდევ: მერაბ კოსტავას სილამაზეში სხვა იდუმალი აზრიც ჩააქსოვა მოწყალე უფალმა.

ყველა ქვეყანაში ეროვნული მოძრაობა ისეთი უნდა იყოს, როგორიცაა ერი და მისი ხასიათი.

დავუშვათ, რომ ჩვენ წინ წაგვძღოლოდნენ ვიღაც ძალიან ჭკვიანი ადამიანები, მაგრამ სულ აფთიაქის სასწორზე მწონავნი, სულ პოლიტიკა-ეკონომიკის თვალსაზრისით მოფიქრალნი. სულ ფრთხილ-კურდღელ-ცბიერ-მელაკუდები. ისიც დავუშვათ, რომ ჩვენც გავყოლოდით. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ, წინ წაწევით წაგვიყვანდნენ. ზომიერ ლოზუნგებს გვაძახებინებდნენ და იქნებ აქამდე ორი-სამი ქალალდით მეტიც გამოგვეცინცლა ხელისუფლებისათვის.

მაგრამ ასეთ წინამძღოლებიანი ჩვენი მოძრაობა ქართული აღარ იქნებოდა.

ქართველი კაცი პირდაპირია.

ქართველი არ გამოგყვება, თუკი შენ სხვას ფიქრობ და ლოზუნგი სხვა გიჭირავს ხელში.

შემპარავი მოქმედება იქნებ მომგებიანიცაა, მაგრამ ქართველ კაცს ულამაზოდ მიაჩნია.

პირდაპირობას კი სილამაზესთან აკავშირებს.

ორივე ეს თვისება აქვს ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

ის პირდაპირიცაა და ლამაზიც.

და ეს იმიტომაა ასე, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობა ჰგავს მერაბ კოსტავას.

ის ხომ უნებლიე პოლიტიკოსი იყო.

მისი პოლიტიკა სიყვარულიდან იწყებოდა.

ქართული მიწის, ქართული სიტყვის, ქართული სიმღერის სიყვარულიდან.

ლამაზია ასეთი პოლიტიკოსი, ლამაზია ასეთი პოლიტიკა.

და რაც უნდა უცნაურად ეჩვენოს ვინმეს, უფრო ძლიერიცაა ვიდრე ცბიერ-მელაკუდური.

როგორც ზვიადმა თქვა, ჩვენი ეროვნული მოძრაობის მწვერვალი ცხრა აპრილია.

ცხრა აპრილს ჩვენმა ლაშქარმა დაკარგა მებრძოლები, მტერს კი არავინ დაუკარგავს.

მაგრამ ჩვენ არ დავმარცხებულვართ.

ცხრა აპრილს მოხდა ქართული სულის სიმშვენიერის გამოვლინება.

იმ ომში ჩვენ წარმოვჩნდით ჩვენი საუკეთესო თვისებებით: სიმამაცით, შეუდრეკელობით, ერთგულებით, თავგანწირვით, ხოლო მტერი კი – სისასტიკით, სიბრიყვით, ცინიზმით.

ჩვენ გავიმარჯვეთ.

სულიერმა ძალამ დაამარცხა ფიზიკური ძალა.

სილამაზემ – სიმახინჯე.

ცხრა აპრილს ჩვენ ყველანი მერაბ კოსტავას ვგავდით.

ახლა, როცა მას ვიგონებთ, არ შეიძლება არ ვიყოთ მადლიერები კიდევ ერთი რამის გამო.

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორი იყო პირად ცხოვრებაში დიდი ქართველი კაცი მერაბ კოსტავა და ახლა ჩვენთვის ადვილია წარმოვიდგინოთ ჩვენი დიდი წინაპრების ცხოვრებაც. ამით კი ჩვენს ისტორიასთან მივდივართ ახლოს.

როგორები იყვნენ ჩვენი გმირები, წამებულნი და წმინდანები?

ალბათ ასეთივე ალალ-მართლები, ბავშვებივით მიმნდობნი და თავის დროზე არმოფიქრალნი. ალბათ ასეთივე ღიმილი ჰქონდათ, ასევე ყველასათვის საყვარელნი იყვნენ და ამგვარადვე სასწაულებრივად ათავსებდნენ თავის თავში ჩვეულებრივ ადამიანს და ცით მოვლენილ არსებას.

მისი სიკვდილით გულდათუთქულნი ჩვენ ყველანი უნებლიეთ ვეშმაკობთ, როდესაც ვამჯობინებთ მერაბზე, როგორც გმირზე და წმინდანზე ლაპარაკს. ასე რომ არ ვქნათ და იმ საყვარელ და სათნო ადამიანზე ვილაპარაკოთ, როგორიც იყო ნაცნობებში მერაბ კოსტავა, ვეღარ გაუძლებს და გასკდება გული.

ვინც მას პირადად არ იცნობდა, ვერ წარმოიდგენს, თუ შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც ამხელა, მთელი ქვეყნიერებისთვის სამყოფ სითბოს დაიტევს მკერდში.

ნეტა იმათ, ვინც არ იცნობდა და ვისთვისაც ის მხოლოდ გმირია, დიდების ღირსი.

მაგრამ ვისთვისაც ერთხელ მაინც შეუხედავს სევდაღიმილიანი თავისი მზერით და ერთხელ მაინც დაურტყამს მოფერებით მხარზე ხელი, სამუდამოდ უნუგეშო დარჩება ყველა.

ტირილით იკრავენ ერთმანეთს მკერდში თანამებრძოლნი, მეგობრები, ნაცნობები, ნათესავები, თითქოს სურთ შეაერთონ მისადმი სიყვარული და მოახდინონ სასწაული, გააცოცხლონ სანატრელი ძმა.

– ეეჰ, როგორა მყვარებია! – გმინავენ ქალებიც და კაცებიც.

და იქნებ ესაა ის მთავარი სიკეთე, რაც დაგვიტოვა მერაბმა.

მან ჩვენს თავში ჩვენვე აღმოგვაჩენინა დიდი სიყვარულის უნარი. – თქვენ ისევ შეგიძლიათ სიყვარული. გიყვარდეთ ერთმანეთი, ძმანო და დანო!

გიყვარდეთ ერთმანეთი, ქართველებო! იდექით ერთად! ესაა გადარჩენის ერთადერთი გზა!

აი, რას გვეუბნებოდა თავის ცხოვრებით მერაბ კოსტავა.

და ვინ იცის, იქნებ სიკვდილითაც ისევ ეს უნდოდა, რომ ეთქვა ჩვენთვის.

რაოდენ უცნაურია მისი ცხედრის სიახლოვეს იმაზე ფიქრი, რომ ახლა აქ ვინმე ერთ ჯგუფს, ორგანიზაციას ან პარტიას ეკუთვნის, ხოლო მეორე ვინმე – სხვას.

ამ წმინდა ცხედართან ყველანი უნდა მოვიდეთ მხოლოდ როგორც ქართველნი. ოღონდ ისეთნი, მერაბს რომ გაეხარდებოდა.

სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს ბრძოლას მერაბ კოსტავა.

ის ჩვენი შეკავშირებისთვის იბრძვის.

და როდესაც მის კუბოს ავწევთ მაღლა და სევდიანი სამეფო დროშებით მთაწმინდის აღმართს შევუდგებით, ჩვენ გაგვაერთიანებს ფიქრი იმაზე, თუ რა იყო ის სასწაული, რომელსაც მერაბ კოსტავა ერქვა. მისი წინამძღოლობით ერთად ვივლით ცისკენ და ერთ წმინდა ლაშქრად გავმთლიანდებით.

ძმანო და დანო!

ნურც მერე დავიშლებით, დავრჩეთ მერაბ კოსტავას ლაშქრად.

გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ერთნი ვართ, ერთი ჯიშისა და სისხლისა.

ქართველები ვართ და ესაა მთავარი.

ვიცხოვროთ სუფთა გულებით, ისე, რომ გვქონდეს უფლება, ჩვენს ოცნებებში და სიზმრებში ჩვენს წინ მუდამ მიგელავდეს თეთრი ცხენი და სამფეროვან დროშას მიაფრიალებდეს თავისუფლების მარადიული მხედარი – მერაბ კოსტავა.

მერაბ კოსტავა სევდიანი არწივი ჩვენი...

გურამ პეტრიაშვილი

„მთაწმინდა გულში იხუტებს...“

მერაბ კოსტავას დაკრძალვა

აგერ უკვე ერთი კვირაა მწუხარე ქართველი ერი დასტირის თავის საუკეთესო შვილს, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს მერაბ კოსტავას. დიდია ერის მწუხარება. ენით გამოუთქმელია ის ტკივილი, რომელმაც ერთიანად შესძრა ყოველი ქართველის სული და გული. ძნელზე ძნელია ამ დროს მოიძებნოს სანუგეშო სიტყვები, ოდნავადაც რომ შეამსუბუქებს ამ დანაკლისს. წმინდა ცრემლით დასტირის სრულიად საქართველო მერაბ კოსტავას ცხედარს. დასტირის მის ნათელ სახებას, რომელიც ამიერიდან მარადისობაში გადადის... მაგრამ ცხოვრება მით არის ძლიერი, რომ შეუძლია წინსვლა, ბოროტების დათრგუნვა, მომავლის რწმენის ჩანერგვა, უკეთესი დღეებისაკენ სწრაფვა. სწორედ ამ სანუკვარი გრძნობის ერთგულებით იცხოვრა მერაბ კოსტავამ.

...სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც ბოლო ორ დღეს იყო დასვენებული მერაბ კოსტავას ცხედარი, განუწყვეტლივ მოდიოდნენ თბილისელები, საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები, რათა უკანასკნელი პატივი მიეგოთ იმ ადამიანებისათვის, ვისი მგზნებარე სიტყვაც სწვდებოდა ყველა ჩვენგანის სულსა და გონებას, ვისაც სხვა მიზანი არა ჰქონია, გარდა სამშობლოს, თავის ხალხის უანგარო სამსახურისა. მუდამ შემართული და შეუპოვარი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და მართალი კაცი – ასეთი იყო ჩვენთვის მერაბ კოსტავა, ასეთადვე დარჩება იგი მომავალი თაობებისათვის. მან იცოდა და დაუღალავად არწმუნებდა ყველას, რომ ადამიანის შემოქმედებითი ენერგიის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სულში გიზგიზებს ადამიანების, სამშობლოს დიდი სიყვარული. ამიტომ მის სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან სამშობლოსათვის შეწირული სიცოცხლე უკვდავების ტოლფასია!

...დღის 15 საათია. მერაბ კოსტავას ცხედარი გამოასვენეს სიონის საკათედრო ტაძრიდან. სამგლოვიარო პროცესია დაიძრა რუსთაველის პროსპექტისაკენ. ათასობით ადამიანმა სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობით პატივი მიაგო მერაბ კოსტავას ხსოვნას. პროცესიამ ჩაიარა საქართველოს დედაქალაქის მთავარ მაგისტრალზე და გაემართა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონისაკენ. ამიერიდან აქ ჩვენი ხალხის დიდებულ შვილთა წმიდათაწმიდა საფლავებს შორის გაჩნდება მერაბ კოსტავას საფლავი.

გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს ზვიად გამსახურდიამ, ირაკლი წერეთელმა, ირაკლი ბათიაშვილმა, ვაჟა ადამიამ, ნოდარ ნათაძემ, დათო ტურაშვილმა, აკაკი ბაქრაძემ, ავთანდილ იმნაძემ, თეიმურაზ ქორიძემ, შალვა წიკლაურმა, პოლიო გოგელიამ, ერეკლე საღლიანმა, რუსლან მიქაბერიძემ, უკრაინის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, ჩეჩენ-ინგუშეთის საზოგადოებრივ მოძრაობათა, ისრაელში ქართველ ებრაელთა თემის წარმომადგენლებმა.

გულისშემძვრელ სიჩუმეში გაისმა სვანური ზარი, ხალხური „შავლეგო", – ყოველთვის რომ გაგვახსენებს მერაბ კოსტავას, რომელმაც ეს მელოდია 9 აპრილს, იმ შავბედით ღამეს იმღერა... ამ მწუხრის ჟამს, როცა მთაწმინდაზე ბინდი ჩამოწვა, აინთო წმინდა კელაპტრები, მისი ნათელი ცხოვრების თავისებური სიმბოლო, სიმბოლო იმ გზისა, რომელმაც მართლად და პატიოსნად გაიარა მერაბ კოსტავამ დაბადებიდან ტრაგიკულ აღსასრულამდე.

დადგა გამოთხოვების წუთები. ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, უკანასკნელად აღიბეჭდავენ გონებაში ამ მამაცი ადამიანის სახეს. კუბოს ნელ-ნელა უშვებენ სამარეში, ამიერიდან მერაბ კოსტავა მთაწმინდამ ჩაიკრა გულში.

მერი გაბრიაძე,
თენგიზ გრიგალაშვილი

მერაბ კოსტავა

„სიმდაბლე თავად დიდების გზით მიემართება..." – წერს ერთგან მერაბ კოსტავა. ამ ფილოსოფიურ საზრისში ხატოვნად არის კონდენსირებული მისეული კრედო ცხოვრებისა, თავისებური ფორმულა, მოდელი ჭეშმარიტი მამულიშვილობისა, მრავალჭირნახული ადამიანის სიბრძნითა და გამოცდილებით შეჯერებული, ქრისტიანული სულით ნასაზრდოები, მისეული კონცეფცია იტევს ყველა იმ თვისებას, რომელიც ავტორს ახასიათებდა და რის დეფიციტსაც ასე მწვავედ განიცდის ჩვენი საზოგადოება – უბრალოება, ოღონდ ამაღლებული, შინაგანად განსპეტაკებული, სულიერება, სიდარბაისლე, ჭირთათმენა, ერთგულება უზენაესი იდეალებისადმი. იგი გულისხმობს უჩინო დიდოსტატ შემოქმედთა მსგავსად, მორჩილად, თავგანწირვით, უანგაროდ ღვწასა და ბრძოლას სამშობლოს ბედნიერებისათვის, თავისუფლებისათვის.

მისეული ფილოსოფიური საზრისი იტევს მრავალ განსაცდელს, ჩვენი თაობის ადამიანისათვის და მეტადრე „მშვიდობიანობის ჟამს“, გაუგონარ საჭირველსა და შევიწროებას, ბეზღობას, დევნასა და თვალთვალს, წვალებას, შიშსა და შიმშილს, ციმბირის გამთოშავ სუსხში გალეულ დღეებსა და გატეხილ ღამეებს, ფერად სიზმრებს მზით გაჩახჩახებულ შორეულ სამშობლოზე, მტანჯველ ოცნებას საკუთარ პირმშოსთან შეხვედრაზე, მაგრამ ამაოდ – კატორღული სასტიკი რეჟიმი პოლიტპატიმრისთვის ტრაგიკულად დაღუპული ვაჟიშვილის ცხედართან გამოთხოვებასაც კი არ ითვალისწინებდა. ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე, მაგრამ იგი მაინც, დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში, ჯიუტად, კუშტად, ღირსების გრძნობით „მიემართებოდა“ – პატრიარქული სპეტაკი ჭაღარით განმშვენებული კაცი, რომელსაც, ერთი პოეტის თქმისა არ იყოს, საკუთარი თმა – წვერისფერი ნამუსი დაჰქონდა.

მას ღმერთმა არგუნა უსახო და უფორმო სიბლანტეში ერთ-ერთი პირველმკვალავის ხვედრი, უძრაობაში – მოძრაობა! ბლანტი და შედედებული ერთფეროვნება – თავის ჭირსა და სიმდოვრეს მკვიდრად შეჩვეული – ვეღარ ჰგუობდა მოძრავსა და მოყიჟინეს. მისებრ დევნილ მცირერიცხოვან თანამოაზრეებთან ერთად ფილისტიმელთა ტალახის გუნდებს ჩვეული, სულდაკეჭნილი მოდიოდა განგების ნებით მიჩენილი მისეული, გამორჩეული, უცდომელი და ურთულესი გეზით.

იგი იყო ბუნებით რაინდი და მოყვასთა თვისადმი მიმტევებელი, შემწყნარებელი. იგი ითმენდა, აღარ ჰყვებოდა სულსწრაფთა და უმწიფართა უხამსობასა და ქილიკს, სწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღესაც განიხვნებოდა „ფარისეველთა და სადუკეველთა“ თვალსაწიერი, ისინი დაჰგმობდნენ საკუთარ სულში ჩაბუდებულ მაცილს და ეშმაკს. ელოდებოდა ნანატრ ალიონს – გამარჯვების მაუწყებელს, საქართველოს იმედითა და ნუგეშით აპურებდა, ხალხში აღძრავდა სასიცოცხლო ნიშანს.

მშვიდი იყო მუდამ, საკუთარ თავში დარწმუნებული. ეს რწმენა ძალასა და დამარჯერებლობას სძენდა მის სიტყვას, მის მოქმედებას. სიმართლე იყო მისი მოკავშირე, სიმართლე და გამოვლილი მოწამებრივი გზა უმრთელებდა იმედის გალეულ ჯაჭვს. სულს პოეზიის სიყვარულით ისალკლდევებდა... რა კუთხითაც არ უნდა გაეჩხრიკათ მისი ცხოვრება, ყოველმხრივ სპეტაკი და წელგამართული იყო.

მერაბ კოსტავას ტრაგიკული აღსასრული ერთი შემადგენელი რგოლია ამ ბოლო დროს ქართველთა თავს დატეხილი სტიქიური თუ ბოროტი ძალისმიერი ტრაგედიების უწყვეტი ჯაჭვისა. უმანკოდ

დაღვრილი წმინდა სისხლი შემზარავია, სულის შემძვრელია და ზეციურ სამართალს ითხოვს, სულიერად ამაღლებს, აერთიანებს ძლიერს და უძლურს, ერთ მუშტად კრავს ქვეყანას, ხალხს; მთელ საზოგადოებას წარმართავს საერთო მიზნისაკენ – თავისუფლებისაკენ.

ნეტარ არიან წამებულნი, რამეთუ სიცოცხლეში დაწყებულ საქმეს სიკვდილით აგრძელებენ. საცა სამართალია, მისმა სიკვდილმა საბოლოოდ უნდა დაასრულოს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი.

ვალმოხდილი განეშორა საყვარელ მამულს, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება გულანთებული უმღეროდა იგი: *„ჰოი, თბილისო, შენს დიდებად მთაწმინდა კმარა, იმის მადლით ხამს სატანა შენგან განვიდეს, მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა, ლოცვად წართქმული წმინდა ბაგით მამა-დავითის... სად მგოსანთაგან ვინ არ იგრძნოს მადლი ციური, რაღაც ძვირფასი, იდუმალი და მისტიური...*

მთას შესევია ბილიკები კენტი და ლუწი, ამ აღმაფრენის სპირალებით ვის არ უვლია... ფერს შეეპარა მტრედისფერი ცისკრის სინორჩე, სიბერე დღისა, დაისების გაფერმკრთალება, მთაწმინდის მკერდზე გაზაფხულის ნედლი სიმორჩე და შემოდგომის პანაშვიდთა ფერისცვალება...“

მან თითქოს წინასწარ განდევნაო საკუთარი „სიბერე დღისა“ და „დაისების გაფერმკრთალებაც“. იგი შემოდგომაზე აღესრულა.

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

ჭეშმარიტად!..

„მნათობის“ რედაქცია

„ქართველები ხელების ცეცებით დავუწყებთ ერთმანეთს ძებნას“...

მე და მერაბი ერთ ეზოში ვცხოვრობდით, მე-7 ვაჟთა სკოლაშიც ერთად წავედით, მაგრამ ოლიკო დეიდამ მესამე კლასიდან I სკოლაში გადაიყვანა. თუმცა მერაბმა პირველი წინააღმდეგობა სწორედ მაშინ გაუწია დედას და უთხრა: თუ ზურიკოც ჩემთან ერთად არ იქ-

ნება, ისე არ გადავალ ახალ სკოლაშიო. ასე გადავედით I საშუალო სკოლაში, სადაც დაგვხვდნენ ზვიად გამსახურდია, გელა ჩარკვიანი, ვოვა სიხარულიძე, გურამ რცხილაძე და ბევრი, სხვა. სკოლიდან შატალოზეც ხშირად წავსულვართ, ვცელქობდით, ზოგჯერ რაღაცას ვაფუშებდით (შემთხვევით მინას ჩავამტვრევდით ან მერხს გავტეხდით) ამ დროს ყოველთვის გელა ჩარკვიანი იღებდა თავის თავზე დანაშაულს, რადგან იგი მაშინდელი ცეკა-ს მდივნის შვილი იყო და ვიცოდით, მას მკაცრად არ დასჯიდნენ.

მერაბს ხშირად უთქვამს, რომ მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღოდა კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახს, სადაც ხშირად სტუმრობდა ხოლმე. თუმცა ისიც ნათქვამია, რომ ,,კვიცი გვარზე ხტისო". მერაბის მამაც და ბიძაც (გრიშა კოსტავა) პოლიტიკური სარჩულით იყვნენ გადასახლებულები. 1956 წელს მერაბი დააპატიმრეს. 4 თვის შემდეგ გაათავისუფლეს. სწორედ იმ პერიოდში დაბრუნდნენ გადასახლებიდან მერაბის მამა და ბიძა. ოჯახმა დიდი წვეულება გამართა. თამადად ბატონი აკაკი კვანტალიანი იყო. იგი კოსტავებს ასე ეხუმრებოდა: ,,კაგებეს უნდა ვთხოვო, რომ ერთი იზოლირებული ოთახი გამოგიყოთ და იქ გამყოფოთ სამივე. ცალ-ცალკე ყოფნას ხომ ერთად ყოფნა გირჩევნიათო". სადაც კი ყოფილა მერაბი, სულერთია ეს ციხე იყო თუ გადასახლება, ყველგან ვნახულობდი. დეიდა ოლიკოსაც მივყვებოდი შვილთან ,,შეხვედრებზე". მერაბს ათი წელი აქვს მოხდილი ციმბირის საპატიმროებში. იგი 1977 წლის 7 აპრილს დააპატიმრეს და 1987 წლის 27 აპრილს გათავისუფლდა. ერთხელ როცა ტაიშეთის (ციმბირი) რაიონის სოფელ კვიტოკში ჩავედი მის მოსანახულებლად (ჩემთან ერთად დეიდა ოლიკოც იყო), შევამჩნიე რომ მერაბს ფეხები ძლიერ დასიებოდა. გულზე შემომეყარა, მაგრამ დედამისის თანდასწრებით არაფერი ვკითხე. მერე, როცა მარტონი დავრჩით, გამოვკითხე ამის მიზეზი. თურმე, მერაბთან პატიმრად ყოფილა 80 წლის კაცი – ომის წლებში დაპატიმრებული, ვინმე ელიზბარაშვილი. მას ასაკის გამო შეწყალება ეკუთვნოდა, მაგრამ არაფრით არ აძლევდნენ. მერაბს მის დასაცავად ხმა ამოუღია, რის გამოც 21 დღით კარცერში ჩაუსვამთ. იქ ბეტონის ,,საწოლი" ყოფილა ყოველგვარი ლეიბისა და საბნის გარეშე. მასზე დაწოლა სიკვდილს ნიშნავდა. თავი რომ გადაერჩინა, მერაბი მთელი 7 დღე და ღამე მდგარა ფეხზე და შიმშილობა გამოუცხადებია. სწორედ, ამიტომ დაუსივდა ფეხები. მერვე დღეს შეუგდეს ორი პლედი, მერაბმა მიზანს მაინც მიაღწია. ელიზბარაშ-

ვილი გაათავისუფლეს. დიდი ხნის მერე, როცა მერაბიც დაბრუნდა გადასახლებიდან, მეორე დღესვე მოინდომა ელიზბარაშვილის ნახვა. უზომოდ განიცადა, როცა იგი გარდაცვლილი დახვდა. საერთოდ მერაბი ძალიან გულმოწყალე და მგრძნობიარე იყო.

მერაბი გარეგნობითაც და შინაგანადაც ძალიან მიმზიდველი იყო, კარგად უკრავდა, მღეროდა, მშერმეტყველებდა, ამიტომაც ქალთა საზოგადოებაში მუდამ ყურადღების ცენტრში იყო. ნამდვილი გრძნობით მას თავისი მეუღლე რუსუდან ბერიძე უყვარდა. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა მეგობრულ ურთიერთობას მერაბი და რუსუდანი გაშორების მერეც ინარჩუნებდნენ. ვატყობდი, მერაბი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა მათ ცალ-ცალკე ყოფნას. მერაბს თამარი (თამთა) ლალი გიორგაძისაგან შეეძინა, ახლა ლალი და თამთა ამერიკაში ცხოვრობენ.

ბოლო პერიოდში მერაბს წერის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ სულ დანანებით აღნიშნავდა, რომ ამისთვის არც დრო ჰქონდა, არც ადგილი. მე შევთავაზე ჩემი აგარაკი ასურეთში: წამოვიღებ სასმელ–საჭმელს, თან დაისვენე, თან წერე რამდენიც გინდა, იქ არავინ შეგაწუხებს მეთქი. დამეთანხმა. ერთხელაც, გავემზადეთ და ის–ის იყო ეზოდან მანქანით უნდა გავსულიყავით, ოლიკო დეიდამ დაუძახა, ტელეფონთან გთხოვენო. შინ მობრუნებულმა მომიბოდიშა: თამრიკომ დამირეკა, სასწრაფოდ ქუთაისში უნდა წავიდეო. იქიდან რომ ჩამოვალ, ,,ჩავჯდები" შენს აგარაკზეო. ათი წუთით ადრე რომ გამოვსულიყავით, ის საბედისწერო ზარი ასცდებოდა, მაგრამ ბედისწერა გამორჩეულ ადამიანებს არ ინდობს.

მერაბის ნატვრა იყო საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. თავისუფალ საქართველოში კი მისი სურვილი ამით იფარგლებოდა: საგურამოში, ილიას სახლ–მუზეუმთან ახლოს ვიყიდი ნაკვეთს, ავაშენებ პატარა სახლს და სოფლის სკოლაში ვასწავლი ბავშვებსო. გაცილებით ადრე მერაბმა თქვა: ,,თუ არ გავერთიანდებით, განგება ისეთ გამოცდას მოგვიწყობს, რომ ქართველები ხელების ცეცებით დავუწყებთ ერთმანეთს ძებნასო". გამართლდა მისი სიტყვები. დღეს საქართველო გათითოკაცებულია, მაგრამ მაინც მჯერა, მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ერის გახლეჩა არ მოხდებოდა. მერაბს ისეთი ღირსეული თვისებები ჰქონდა, რომ მისი მომდურავი არავინ იყო, მოშურნე ალბათ ჰყავდა, მაგრამ იმდენად ვაჟკაცური და მართალი პიროვნება გახლდათ, რომ მტერი ნამდვილად არ ჰყოლია. მერაბ კოსტავა ერის ღირსეული შვილი იყო, კა-

ცი–ლეგენდა, რომელმაც სამშობლოს შესწირა თავისი ოჯახი, კარიერა და სიცოცხლე. მას ერთი დღეც არ დაუღამებია საქართველოზე ფიქრის გარეშე. ზვიადი სიყრმის მეგობარს ასე ახასიათებდა: „ლექსი მისი საქართველოს გოლიათი ციხეების დუღაბით ნაგებს ჰგავს. ენა ძარღვიანი–ძველ ქართულს ნაზიარები. პოეტური ნეოლოგიზმები თამამი, რითმათა სამყარო უჩვეულო, რიტმი ძლიერი და დაძაბული, როგორც მისი სახის კუნთები. ო, ამ მრისხანე გამოხედვის ქვეშ რა ჩვილი გული იმალებოდა, რა თანაგრძნობა მოყვასისადმი, ყოველი დევნილისადმი და ჩაგრულისადმი".

მერაბი შავლეგოს სახელით დამკვიდრდა საქართველოს მატიანეში.

ზურაბ შაუთიძე

მერაბ კოსტავა – შტრიხები პორტრეტისათვის

მერაბზე ბევრი დაწერილა. ჰყვებოდნენ მის ვაუკაცურ ბუნებაზე, გამძლეობაზე, მის როლზე ქართულ ეროვნულ მოძრაობაში. ეს ყველაფერი იყო. და იყო კიდევ მპატიებელი კაცი, რომელსაც შემორჩა ბავშვის ალალი და სუფთა სული. ციხეებისა და ბანაკების ჯოჯოხეთიდან ის ისეთივე წრფელი და ადამიანური დაბრუნდა, როგორიც წავიდა.

ანგარსკის ბანაკში მერაბის გვერდით ათასი ჯურის ბოროტმოქმედი იხდიდა სასჯელს: მკვლელი, მძარცველი, ქურდი. მერაბს თითოეული მათგანის მიმართ საოცარი სიბრალულის გრძნობა ჰქონდა, თითოეულში ადამიანობის ნაპერწკალს ეძებდა და მის გაღვივებას ცდილობდა. ყოველი პაემანის შემდეგ გამომატანდა მისამართებს. ეს ის პატიმრებია, მეტყოდა, რომელთაც არსაიდან ამანათი არ მოსდით, ძალიან გთხოვ, გამოუგზავნე ამანათი, გაიხარებენ. აქ, ბანაკში, ეს სიხარული ძალზე ძვირად ფასობს.პატიმრები ღრმა პატივისცემით და სიყვარულით პასუხობდნენ მერაბს.

გარეგნულად კუშტი და მკაცრი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. რომ გაიღიმებდა, მიხვდებოდი, რა ნაზი გულის პატრონი იყო.

ათი წლის მანძილზე ვღებულობდი მის წერილებს, მხნეს, მომავლის იმედით სავსეს. ერთხელ მივწერე, მერაბ, დაიწუწუნე ერთხელ მაინც, ეს ხომ გულს მოგიოხებს-მეთქი. პასუხად მომწერა, – მე თავისუფალ ადამიანად ვგრძნობ თავსო.

მერაბმა საოცარი მეგობრობა იცოდა. ზვიადისა და მერაბის მეგობრობა ალბათ ქართულ თქმულებებს და ლეგენდებს გაჰყვება მომავალში. მახსოვს, ზვიადის დისერტაციის დაცვა – მართლა შესანიშნავი დაცვა იყო. კათედრასთან იდგა ლამაზი ქართველი ინტელიგენტი, საუბრობდა დახვეწილად, რაფინირებულად. ეს იყო მეცნიერული აზრის, ერუდიციის, ინტელექტის ზეიმი. დარბაზში კი უბედნიერესი კაცი მერაბ კოსტავა იყო...

1983 წელს მერაბის მდგომარეობა კრიტიკული იყო. მერაბმა შიმშილობა გამოაცხადა. ბანაკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მისი შიმშილობისთვის ყურადღება არ მიექცია. ეს იყო ჩვეულებრივი რეციდივისტთა ბანაკი. პოლიტიკური პატიმარი აქ მხოლოდ მერაბი იყო და შიმშილობასაც არავინ აცხადებდა. მერაბი კარცერში მოათავსეს და იქ მიატოვეს. მერაბის ციმბირელმა მეგობარმა შეგვატყობინა მერაბის მძიმე მდგომარეობის შესახებ. დახმარებისთვის ზვიადს მივმართეთ. ზვიადი სასწრაფოდ დაუკავშირდა ჟორჟ მარშეს. მარშემ მიტერანს სთხოვა დახმარება. მიტერანი ანდროპოვს დაუკავშირდა, მერაბი საავადმყოფოში გადაიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. როცა ნახვის ნება მომცეს და მოვუყევი რაც მოხდა, თვალები გაუბრწყინდა. ეს, ცხადია, სიკვდილს გადარჩენის სიხარული არ იყო. ეს მეგობრის გვერდზე დგომით გამოწვეული ადამიანური სიხარული იყო. ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა განუწყვეტლივ ეხმაურებოდა მერაბის მდგომარეობას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზვიადის დამსახურება იყო. ზვიადი მუდმივად აწვდიდა უცხოეთს ინფორმაციას მერაბის შესახებ. მიმართავდა სხვადასხვა საზოგადოებებს. ამან განაპირობა ის, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობა აქტიურად იყო ჩაბმული მერაბის სიცოცხლის გადარჩენისათვის ბრძოლაში.

მერაბი რომ თავისუფალ გადასახლებაში გადააგზავნეს ტაიშეთის რაიონის სოფელ კვიტოკში, მერაბის სანახავად პირველნი წავიდნენ ირაკლი, ზვიადი და ჩემი ბიძაშვილი ელიკო გოგუაძე (მე ავად ვიყავი და წასვლა ვერ მოვახერხე). ელიკო გოგუაძის ნაამბო-

ბიდან: დაღლილ-დაქანცულები კვიტოკში რომ ჩავედით, მე და ირაკლის ძალიან მალე დაგვეძინა. მერაბმა და ზვიადმა მთელი ღამე საუბარში გაატარეს. საოცარი იყო, რომ დილით არცერთს არ ეტყობოდა დაღლილობა. სუფრასთან დავსხედით. მერაბი მოგვიბრუნდა მე და ირაკლის და გვითხრა: თქვენც გახსოვდეთ და საქართველოშიც უთხარით ყველას, ვისაც ხმას მიაწვდენთ: ქართული ეროვნული მოძრაობისთვის ზვიადი გადამწყვეტი ძალაა. ზვიადი დგას ამ მოძრაობის სათავეში და მას შეუძლია მხოლოდ ამ მოძრაობის წარმართვა. მერე ლიტერატურაზე დაიწყო საუბარი. სიტყვა ჰერმან ჰესსეს რომანზე – „თამაში რიოში მარგალიტებით“ ჩამოვარდა. მე და ირაკლის ახალი წაკითხული გვქონდა ეს რომანი, ორივენი აღფრთოვანებულები ვიყავით და ვფიქრობდით, რომ ეს წიგნი ძალიან კარგად გვქონდა გაგებული. მერაბმა და ზვიადმა დაწვრილებით გაარჩიეს რომანი. მე და ირაკლი პირდაღებულები მივჩერებოდით. თურმე რამდენი შრე ყოფილა ამ წიგნში, რომელიც ჩვენ ვერც შევამჩნიეთ. გაგვაოცა მერაბის და ზვიადის სიღრმეებში წვდომის უნარმა...

მერაბზე რომ წარმოდგენა შეგიქმნათ, რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.

1972 წელია. მე და ჩემი მეგობარი ლიანა პაქსაშვილი სახლში ვსხედვართ და მერაბს ველოდებით. სადღაც უნდა წავიდეთ. გადის თხუთმეტი წუთი, ოცი წუთი... მერაბი იგვიანებს. ერთი საათის შემდეგ შემოდის, ხელში იების ორი კონა უჭირავს და მეუბნება: მაპატიე, რომ დავიგვიანე. იები ვნახე. ყიდვა მომინდა. სულ სამი მანეთი მქონდა და ტრანსპორტის ფული აღარ დამრჩა, ფეხით მოვედი რუსთაველიდან საბურთალომდე. თუ დამიჯერებთ, 33 წლის მერაბმა მართლა ვერ წარმოიდგინა, რომ შეიძლებოდა ავტობუსში ასულიყო და უბილეთოდ ემგზავრა.

კიდევ ერთი მოგონება. ანგარსკის ბანაკში ყაზარმა, სადაც პატიმრები იძინებდნენ, ერთსართულიანი გრძელი შენობა იყო. ყაზარმაში დაახლოებით ოთხას პატიმარს ეძინა. ალბათ წარმოიდგენთ, როგორ გამოიყურებოდა ეს შენობა. ყაზარმის შესასვლელში ნაძვის ტოტებს აწყობდნენ ხოლმე ფეხის გასაწმენდად. ყაზარმაში შესვლისას მერაბი დიდხანს იდგა და გულმოდგინედ იწმენდდა ფეხებს. მერე ერთმა პატიმარმა მიამბო: პატიმრები გაოცებულები კითხულობდნენ, ასეთ კაცს ციხეში რა უნდაო.

1984 წლის ნოემბერში მერაბმა შიმშილობა გამოაცხადა. ეს შიმშილობა წელიწადი და ორი თვე გრძელდებოდა. დღეში ერთხელ ძალით კვებავდნენ, რომ არ მომკვდარიყო. დევივით ვაუკაცი 48 კი-

ლოგრამს იწონიდა. ჭლექი დაემართა. 1986 წელს ციმბირიდან ტაშკენტის ბანაკში გადმოაგზავნეს, სადაც სპეციალური ტუბზონა იყო. იქაურმა ექიმმა ქალმა მიამბო: ვხედავ, მოდის ლანდად ქცეული პატიმარი, წონასწორობის შენარჩუნება უჭირს და მიწაზე მოათრევს ტომარას. ვხედავ, ტომრის კი არა, საკუთარი თავის ტარება უჭირს. ვიფიქრე, ნეტავი რა აქვს ასეთი ძვირფასი ამ ტომარაში-მეთქი. ტომარაში „ცისკრისა“ და „მნათობის“ ნომრები იყო, რომელთაც მერაბი ბანაკში ლებულობდა. ვერ გაიმეტა გადასაყრელად და თან წამოიღო. ბანაკში რომ შევიდა, კიბეებზე ასვლა ვეღარ შეძლო. იმ ბანაკში რამდენიმე ქართველი პატიმარი იყო. ციხის „ტელეგრაფმა“ სასწრაფოდ შეატყობინა მათ, ბანაკში მერაბ კოსტავა მოიყვანესო. მოცვივდნენ, მერაბი ხელში აყვანილი საავადმყოფოში შეიყვანეს, ძმასავით მოუარეს და უპატრონეს. ოთხი თვის შემდეგ ჭლექისგან განიკურნა და უკვე ძველ მერაბს დაემსგავსა...

მე და მერაბი 1959 წელს დავქორწინდით. 1972 წელს ოფიციალურად დავშორდით. გაშორებულები ძალიან ვმეგობრობდით. 1977 წლის გაზაფხულზე, როცა პრესაში ზვიადისა და მერაბის წინააღმდეგ სამარცხვინო კამპანია გაჩაღდა და ცხადი გახდა, რომ მათ დააპატიმრებდნენ, მერაბი თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და ირკალისთან. 1977 წლის აპრილში ზვიადი და მერაბი დააპატიმრეს. 1978 წლის მაისში სასამართლო ჩატარდა. სასამართლოს შემდეგ, 1978 წლის 24 ივნისს, მე და მერაბმა მეორედ ვიქორწინეთ საქართველოს სუკის შენობაში. ეს იყო პირველი ქორწინება საქართველოს სუკში. „პატარძალს“ მერაბის დედასთან – ოლიკო დემურიასთან ერთად წამომყვნენ ჩემი ბიძაშვილები ავთანდილ და ქეთევან ბერიძეები. შესასვლელში ავთანდილს და ქეთევანს ჰკითხეს, თქვენ ვინ ბრძანდებითო. ავთანდილმა იხუმრა: ჩვენ ხელისმომკიდეები ვართო. ხელს ჩვენ თვითონ მოვკიდებთ, თქვენ ნუ შეწუხდებითო და მარტო მე და ოლიკო გაგვატარეს. ქორწინებას ესწრებოდა ზვიადი, მმაჩის ბიუროს თანამშრომელი ქალი, სუკის საგამომძიებლო ნაწილის უფროსი და მისი მოადგილე. მერაბის დედას და მე უფლება მოგვცეს, საჭმელი მიგვეტანა და ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ სუფრა გავშალეთ. მაგიდაზე სურით წყალი იდგა. მერაბმა წყალი დაასხა ჭიქაში. ჭიქა ასწია და სადღეგრძელო თქვა: „ამ შენობაში სულ მალე თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელო დაგველიოს!“ სუკის თანამშრომლები გადაფითრდნენ...

მერე დაიწყო ათწლიანი ოდისეა ციმბირის გზებზე. შვიდი წელი მე და ირაკლი დავდიოდით. ირაკლის დაღუპვის შემდეგ, მე

მარტო ან ჩემს ახლობლებთან ერთად. შეხვედრა დიდი სიხარული იყო, ყოველი განშორება – ტრაგიკული. შეხვედრა რომ მთავრდებოდა, ჯერ მერაბი გაჰყავდათ. რკინის კარები ღრჭიალით რომ გაიღებოდა, უკანასკნელად მოიხედავდა. მის თვალებში ყოველთვის ღრმა სევდა, კაეშანი და განწირულობა შეიმჩნეოდა... ყოველი განშორებისას ხომ ისიც ფიქრობდა და ჩვენც, რომ ეს ბოლო შეხვედრა შეიძლებოდა ყოფილიყო. მერაბი ღრმად მორწმუნე კაცი იყო და ამ გამოხედვაში წინათგრძნობაც ამოიკითხებოდა ალბათ. 1984 წელს ირაკლისთან განშორება ხომ მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა...

რუსუდან გერიძე

„მოდი, ნუ ჩაუფიქრდები მუხთალი სოფლის დენასა!“

„კოსტავა დიდი ანალიტიკოსი არ ყოფილა“ ბრძანებს სრულიად უსაფუძვლოდ და იმავდროულად ზედმიწევნით უპასუხისმგებლოდ ბატონი გველუკაშვილი და შესაძლოა დარწმუნებულიცაა, რომ თავის „შეფასებაში“ ის ერთადერთია და ორიგინალური. უნდა განვაცხადოთ, რომ სამწუხაროდ ბატონი გველუკაშვილი არ არის პირველი იმათგან, ვინც დაუინებით ცდილობს დაამკვიდროს აზრი, თითქოს „მერაბ კოსტავა დიდი ანალიტიკოსი არ ყოფილა“. ამგვარი შეხედულების გავრცელებასა და საზოგადოებაში დამკვიდრებას, მერაბ კოსტავას მოკვლის შემდგომ, გველუკაშვილამდე რამოდენიმე „პოლიტოლოგიც“ ეცადა, მაგრამ ამაოდ, ვინაიდან მერაბ კოსტავას მოღვაწეობა სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს და რაც მთავარია, ძალზე ცხადად და დამაჯერებლად! მავანთა უსაფუძვლო, ყოველგვარ არგუმენტირებასა და ლოგიკას მოკლებულ როყიო, მავნებლურ განცხადებებს იოლად გავაბათილებთ მერაბ კოსტავას პოლიტიკური მოღვაწეობიდან ცალკეული, ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ზოგიერთი ეპიზოდის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანით, რათა ყოველ დაინტერესებულ პირს თავად მიეცეს პირუთვნელი დასკვნის გაკეთების საშუალება, ხოლო მკრეხელთ კი, ერთხელ და სამუდამოდ დავუკარგოთ საქართველოს ეროვნული გმირის, ერის სინდისად შერაცხულ, სულმნათ მერაბ კოსტავას უნარ-ჩვევებსა და თვისებებზე ასე უბოდიშოდ, ხელაღებითა და

უპასუხისმგებლოდ განცხადების კეთების სურვილი. ვიცნობდით რა ახლოს მის პიროვნებასა და პოლიტიკურ მოღვაწეობას, მთელი პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, მერაბ კოსტავა სწორედაც რომ დიდი ანალიტიკოსი იყო! დიახ, დიდი და შეუმცდარი ანალიტიკოსი იყო და სწორედ ანალიზის გამორჩეული უანრის გამო მოუსწრაფეს მას სიცოცხლე. სამწუხაროდ, მტრის გათვლა სწორი აღმოჩნდა: მერაბ კოსტავას წინამძღოლობით შეუცდომლად, განუხრელი აღმავლობით მიმდინარე ეროვნული მოძრაობა მისი დაღუპვის შემდგომ დარჩა უთავოდ – მისეული ხედვის, ანალიზის გარეშე და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, რაც საბოლოოდ, ძალზე სავალალო შედეგით დასრულდა, როგორც ეროვნული მოძრაობის მონაწილე პარტიების, ასევე ქვეყნისათვის.

იყო თუ არა მერაბ კოსტავა დიდი ანალიტიკოსი? ამ კითხვას რომ მიუკერძოებელი პასუხი გაეცეს, დასადგენია კრიტერიუმები, თუ გნებავთ საწყაული, რომლითაც „აიწყვება“ და შეფასდება მერაბ კოსტავას ანალიტიკური უნარი.

მერაბ კოსტავას მოღვაწეობის ყველაზე აქტიურ პერიოდში, გასული საუკუნის სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში საბჭოთა კავშირს გააჩნდა მსოფლიოში უძლიერესი სპეცსამსახურები – КГБ და ГРУ, რომლებიც მოპოვებულ სადაზვერვო ინფორმაციას თავადაც ამუშავებდნენ და აგრეთვე აწვდიდნენ სპეციალურ ანალიტიკურ ცენტრებს. ამის შემდგომ, გაანალიზებული მასალა, ანალიზის ავტორი უწყების რეკომენდაციებითურთ, მიეწოდებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომელიც მათზე დაყრდნობით, მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელი ორგანოებისა და სპეცსამსახურების მეშვეობით ახორციელებდა საკუთარ პოლიტიკურ ნებას, ანუ ერთ მხარეს იდგა ვეებერთელა სახელმწიფო მანქანა, ხოლო მეორე მხარეს, მასთან დაპირისპირებული ქართული ეროვნული მოძრაობა – მერაბ კოსტავას უპირობო და უცილობელი ლიდერობით – რომელსაც მის (მერაბ კოსტავას) სიცოცხლეში რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომაც კი არ დაუშვია! ამ უთანასწორო ჭიდილში მსოფლიოში უდიდესმა და მაღალორგანიზებულმა საბჭოთა სპეცსამსახურებმა და ანალიტიკურმა ცენტრებმა – აღარაფერს ვამბობთ მათ პოლიტიკურ ელიტაზე – ორთაბრძოლა მერაბ კოსტავასთან პირწმინდად წააგეს. მავანი იტყვის, რატომ მაინცდამაინც მერაბ კოსტავასთან, როდესაც იქვე იყო ზ. გამსახურდია, ი. წერეთელი, ვ. ადამია, ი. ბათიაშვილი და სხვები. დიახ, ისინი იქვე იყვნენ! მაგრამ, ისინი იყვნენ მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდგომაც! როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ ერთი-მეორეზე უფრო დიდი შეცდომები დაუშვა. მათ

ვერც ეროვნული მოძრაობისათვის და ვერც ქვეყნისათვის ამ შეცდომების აცილება ვერ შეძლეს. მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდგომ მათ ვერც ერთხელ ვერ შეძლეს განეშვრიტათ, აეცილებინათ ან მით უმეტეს გაეუვნებელყოთ, საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ საგანგებოდ საქართველოსათვის შექმნილი, ან განხორციელებული თუნდაც ერთი, რამდენადმე მნიშვნელოვანი განსაცდელი. მერაბ კოსტავა კი სწორედ საკუთარი ანალიზის უნარით სწვდებოდა, წინდაწინ სჭვრეტდა საბჭოური მონსტრის მზაკვრულ ჩანაფიქრს და არა მხოლოდ არიდებდა მათ ქვეყანას, არამედ ქმედითი კონტრზომების გატარებასაც კი ახერხებდა მტკიცედ, დამაჯერებლად და შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით! ამის დანახვა ზოგიერთს დღესაც ჯიუტად არ სურს, ხოლო საბჭოთა ხელმძღვანელობა და მათი სპეცსამსახურები კი პირიქით, ჯეროვნად აფასებდნენ. სიცოცხლეც სწორედ იმიტომ მოუსწრაფეს, რომ აზერბაიჯანის, სომხეთის, აფხაზეთისა და ოსების წინააღმდეგ ეთნოკონფლიქტების სახით დაგეგმილ ომებში არათუ ვერ ჩაითრიეს, არამედ ქვემო ქართლსა და აფხაზეთში კრემლის მიერ 1989 წლის ზაფხულში უკვე დაწყებული საომარი მოქმედებების შეჩერებაც კი შეძლო სწორედ მართებული ანალიზისა და საკუთარი ავტორიტეტის მეოხებით! მივყვეთ ფაქტებს და ისინი პირუთვნელად წარმოაჩენენ მერაბ კოსტავას ანალიტიკურ შესაძლებლობებს. მხოლოდ 1987 წელს, მრავალწლიანი პატიმრობიდან მერაბ კოსტავას განთავისუფლების შემდგომ ხდება საღათას ძილს მიცემული ქართული ეროვნული მოძრაობის გამოღვიძება: პირველი მიტინგები იმართება მერაბ კოსტავას ეზოში – ჯავახიშვილის ქ. №1-ში, საქართველოს რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა მერაბ კოსტავას სახლის სახურავზე აღიმართა 1921 წლის შემდგომ პირველად, რაც იმ დროისათვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო. იმავე პერიოდს ემთხვევა ჩვენი მეზობელი სომხეთის ინტელიგენციის მიერ იდეოლოგიური საქმიანობის გააქტიურება ჯავახეთში - ნინოწმინდასა (იმ დროს ბოგდანოვკა) და ახალქალაქში. ცნობილი სილვა კაპუტიკიანი იშიშვლებს მკერდს და ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრებ სომხებს მოუწოდებს: „ამ ძუძუებზე დაიფიცონ, რომ რაც უნდა მოხდეს, ისინი ამ სომხური მიწიდან ფეხს არ მოიცვლიან“. აშკარაა, კრემლი სომხურ-ქართულ ომს გეგმავს ჯავახეთში! 1987 წლის ზაფხულში მერაბ კოსტავასთან მოსალაპარაკებლად ჩამოდიან სომეხი დისიდენტები. შეხვედრა, რომელსაც მერაბ კოსტავა და ვაჟა ადამია ესწრებოდნენ, შედგა მათსავე ეზოში, ჯავახიშვილის (ამჟამად ზანდუკელის) ქ. №1-ში, სომეხი დისიდენტები მერაბ კოსტავას მოუწოდებენ იზრუნოს ქართული ეროვნული მოძრაობის შესაიარა-

ღებლად, რათა სომხურ ეროვნულ მოძრაობასთან ერთად ომი გაუმართონ აზერბაიჯანს. მიზანი: სომხები დაიბრუნებენ მთიან ყარაბაღს, ხოლო ქართველები – ჰერეთს (საინგილოს). *მერაბ კოსტავა მათ ამ წინადადებაზე უარს ეუბნება და მოუწოდებს სომხური, აზერბაიჯანული და ქართული ეროვნული მოძრაობების გაერთიანებისაკენ და საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, რის შემდგომაც, სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლებს მოლაპარაკების მაგიდასთან ექნებათ შესაძლებლობა თავიანთი სასაზღვრო პრობლემების გადაწყვეტისა.* სომხები უკმაყოფილონი არიან პასუხით. მათი ვიზიტი იმავე წინადადებითა და უფრო მეტი დაჟინებით ორიოდ კვირაში განმეორდა. აშკარაა, კრემლმა თავისი განზრახვა, ჯავახეთში სომხურ-ქართული დაპირისპირებისა, შეცვალა უფრო მზაკვრულით: ერთმანეთის საწინააღმდეგო საომარ მოქმედებებში სამივე ამიერკავკასიური რესპუბლიკის ჩათრევისა. სომეხ დისიდენტებთან მოლაპარაკების მონაწილე ვაჟა ადამიას კითხვაზე, თუ რატომ ვამბობთ ჰერეთის დაბრუნების ამ შესაძლებლობაზე უარს, მერაბ კოსტავა პასუხობს შემდეგს: *„თუ ჩვენ სომხებთან ერთად დავარტყამთ აზერბაიჯანს, რასაკვირველია ომს მოვუგებთ, მაგრამ სასწორის პინა როგორც კი ჩვენკენ გადმოიწევს, რუსეთი აზერბაიჯანს დაეხმარება. როგორც კი აზერბაიჯანი მოიპოვებს წარმატებას, ისევ ჩვენ დაგვეხმარება და ასე გაუთავებლად! ეს ომი არასდროს დამთავრდება!“* მას შემდეგ ზუსტად 20 წელი გავიდა, დაჰკარგეს აქტუალობა მერაბ კოსტავას სიტყვებმა და ვითარების მისეულმა შეფასებამ? მხოლოდ ეს ერთი ეპიზოდიც იკმარებდა იმისათვის, რომ მკრეხელთ ეთხელ და სამუდამოდ დაჰკარგოდათ სურვილი იმის თქმისა, რომ „მერაბ კოსტავა დიდი ანალიტიკოსი არ ყოფილა“. სომხეთ-აზერბაიჯანის ომი ყარაბაღში ხომ დღესაც, მისი დაწყებიდან 20 წლის შემდგომაც არ დასრულებულა! რომ არა მართლაც ანალიზის განსაცვიფრებელი უნარი, საქართველო დღესაც ამ ომში იქნებოდა ჩათრეული და შესაბამისად, საქართველოზე არც დიდი ნავთობსადენი გაივლიდა, არც შაჰდენიზის მაგისტრალი და არც ენერგომატარებლების ტრანზიტი განხორციელდებოდა რკინიგზით. დღესავით ნათელია, რომ საერთო კავკასიურ ომში ჩათრეული ქვეყანა ვერ შეძლებდა დამატებით ორ ცხელ წერტილში – აფხაზეთსა და ცხინვალში – ვითარების კონტროლს, რაც უდაოდ გახდებოდა აფხაზეთის დაკარგვის რეალური საფუძველი. საბედნიეროდ, მერაბ კოსტავას მოღვაწეობიდან მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლადაა შესაძლებელი: 1987 წელს მერაბ კოსტავას თაოსნობით დაიწყო ბრძოლა სამცხესა და აჭარაში სასაზღვრო-

გამშვები პუნქტების გასაუქმებლად. ეს სასაზღვრო პუნქტები საქართველოში მცხოვრებთ საშუალებას არ აძლევდნენ სპეციალური საშვის გარეშე მოხვედრილიყვნენ სამცხე-ჯავახეთსა და ზემო აჭარაში, ხოლო ჩვენი მეზობელი რესპუბლიკიდან, სომხეთიდან კი პირიქით: ჯავახეთსა და სამცხეში – აგრეთვე ზემო აჭარაში ყოველგვარი საშვის გარეშე, უპრობლემოდ შეიძლებოდა შესვლა! მერაბ კოსტავას თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი ჯავახეთისა და სამცხის დემოგრაფიული პრობლემის შესწავლასა და შექმნილი უმძიმესი ვითარების დაძლევის პროგრამას. მერაბ კოსტავას ინიციატივით შეიქმნა საადგილმამულო ფონდი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ეს პროგრამა. თუ მაშინდელი ბოგდანოვკის (შემდგომში ნინოწმინდის) რაიონში ფაქტობრივად, არც ერთი ქართული ოჯახი არ ცხოვრობდა, დღეისათვის ქართულ სოფელ სპასოვკაში, რომელიც ზედ საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ზოლზე მდებარეობს 600-ზე მეტი ქართველი ცხოვრობს! ასევე სამებასა, ორლოვკასა, გორელოვკასა და რაიონულ ცენტრ ნინოწმინდაში გაიხსნა ქართული სკოლები. ამან შესაძლებელი გახადა ბოგდანოვკას აღდგენოდა ისტორიული სახელი - ნინოწმინდა. სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გაუქმებამ ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ხულოს, შუახევისა და ქედის – საქართველოს მოწყვეტილი, ყრუდ ჩაკეტილი რაიონების ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაბმისა და უდიდესი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დემოგრაფიული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა მოგვეცა! სწორედ იმ დროს ეკუთვნის მერაბ კოსტავას ცნობილი გამონათქვამი *„დემოგრაფიული მდგომარეობა ჩვენ უნდა გამოვასწოროთ მანამ, ვიდრე საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია! საბჭოთა კავშირიდან გასვლის შემდგომ შესაბამის ღონისძიებათა გატარება გაგვიჭირდება“*. პოლიტიკაში ოდნავ მაინც გათვიცნობიერებული ადამიანი ამ ფრაზაში ძირითადი პრობლემის გადაჭრის სურვილთან ერთად იმასაც ადვილად ამოიკითხავს, თუ როგორ იყო დარწმუნებული საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაში მაშინ, როდესაც ამის შესახებ ბევრნი ფიქრსაც კი ვერ ბედავდნენ.

1989 წლის 9 აპრილის აქცია დაიწყო ი. ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით. იგეგმებოდა თბილისიდან აფხაზეთში მსვლელობაც. მერაბ კოსტავას დაჟინებული მოთხოვნით აქციის ძირითადი ლოზუნგი შეიცვალა და იგი წარიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით! ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ თუ კი 1989 წლის აპრილის დასაწყისში ხსნებული მსვლელობა განხორციელდებოდა, დღეისათ-

ვის აფხაზეთი „დე იურე“ დამოუკიდებელი თუ არა, რუსეთის შემადგენლობაში აუცილებლად იქნებოდა!

1989 წლის ზაფხულში მოხდა ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ამბოხება „ბორჩალოს ავტონომიის“ შექმნის მოთხოვნით. მერაბ კოსტავას ინიციატივით გამორიცხულ იქნა ქართველების მხრივ ამბოხებულთა წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა. მხოლოდ მშვიდობიანი აქციითა და პროპაგანდის გზით მ. კოსტავამ, ზ. გამსახურდიამ, ი. წერეთელმა, ვ. ადამიამ სხვებთან ერთად ორი კვირის ვადაში შეძლეს ამბოხების სრული ნეიტრალიზება. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართველ მილიციელთა კეთილსინდისიერი, პატრიოტული სულისკვეთებით მოქმედება; ამბოხების ნეიტრალიზებისას თავად შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე და მისი მოადგილე ვ. შადური მუდმივად იმყოფებოდნენ ქვემო ქართლში პროვოკაციის სრულ აღმოფხვრამდე. იმავე 1989 წლის ზაფხულში აფხაზეთში რუსეთის წაქეზებით სეპარატისტთა მიერ დაწყებული საომარი მოქმედებები, რომლებიც მასშტაბურ სახეს ღებულობდნენ, აღკვეთილ იქნა მერაბ კოსტავას მიერ. საომარი მოქმედებები შეჩერდა! საქართველოს ყოველი კუთხიდან აფხაზეთისკენ მიმავალ, შურისძიების გრძნობით აღვსილ ათეულ ათასობით მოხალისეს მერაბ კოსტავას, ვ. ადამიას, ა მაჭავარიანის, ჯ. გოლეთიანის, ი. ბათიაშვილის მიერ განემარტებოდა, თუ რა მზაკვრულ მახეს გვიგებდა კრემლი აფხაზეთში. მაგრამ, მხოლოდ და მხოლოდ მერაბ კოსტავას შორსმჭვრეტელობის (გნებავთ, ანალიტიკური უნარის) უუდიდესი ავტორიტეტისა და სიმტკიცის წყალობით შეიქნა შესაძლებელი ამ ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება! *„აფხაზებს სხვა საომრობლო არ გააჩნიათ, ეს ქვეყანა საქართველო ისევე ეკუთვნით აფხაზებს, როგორც ქართველებს!“* ეს სიტყვები ეკუთვნის მერაბ კოსტავას და ვიდრე საქართველო იარსებებს, აქტუალობას არ დაკარგავენ!

„რუსეთი საქართველოსთან ერთად დააღწევს თავს საბჭოთა კავშირის მარწუხებს და მოიპვებს თავისუფლებას“! საქართველოსა და რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე – საბჭოთა კავშირის დაშლამდე მრავალი წლით ადრე აქვს ნათქვამი ეს სიტყვები მერაბ კოსტავას. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე:

ზიზღით გასტყორცნის ალესილ ნაჯახს,
ვინც სინანულის ბილიკს იპოვის.
საკუთარ სულში გარდაქმნის ყაჩაღს
რუსეთი ბნელი რასკოლნიკოვი“.

რომელიც მან ციმბირში, პატიმრობისას უძღვნა დოსტოევსკის. 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ, ეროვნული ხსნის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მ. კოსტავას ეზოში, ვ. ადამიას ბინაზე იმართებოდა, მიმდინარეობდა მწვავე კამათი იმის თაობაზე, თუ რა უნდა გამხდარიყო ეროვნული მოძრაობის მონაწილე პარტიათა უმთავრესი, ძირითადი საერთო მოთხოვნა. საერთო სტრატეგიის გამომუშავებისა და ჩამოყალიბების მიზნით მიმდინარეობდა ცხარე დებატები, რომელშიც მონაწილეობდნენ ეროვნული ხსნის კომიტეტში გაერთიანებულ პარტიათა ლიდერები: მ. კოსტავა, ვ. ადამია („წმინდა ილია მართალი“); ზ. გამსახურდია, თ. ქორიძე („ჰელსინკის კავშირი“); ი. წერეთელი, ი. ბათიაშვილი (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია); გ. ჭანტურია (ეროვნულ დემოკრატიული პარტია); ვ. მთავრიშვილი, ვ. ტალახაძე (საქართველოს ეროვნული ლიგა); ი. შენგელაია (ეროვნული სამართლიანობის კავშირი). ხანგრძლივი განსჯის საგანი გახდა საკითხი იმის შესახებ, უნდა მოითხოვოს თუ არა ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირთან ფედერალური ხელშეკრულების გაფორმება, რათა ამ ეტაპის შემდგომ უფრო რეალური გახდეს დამოუკიდებლობის მიღწევა, ვინაიდან დამოუკიდებლობის პირდაპირ განხორციელება შეუძლებელია – ამას კრემლი არ დაუშვებს. ხანგრძლივი, მომქანცველი კამათი ამ საკითხის ირგვლივ, საბჭოთა კავშირთან ფედერაციული ხელშეკრულების გაფორმების სასარგებლოდ იხრებოდა. მხოლოდ მერაბ კოსტავას გამოსვლამ გაჰფანტა ხელშეკრულების გაფორმების მომხრეთა ილუზორული შეხედულებანი: *„მხარეებს შორის ნებისმიერი ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელია ხელშეკრულების დამდები სუბიექტები იყვნენ თანაბარ მდგომარეობაში. საქართველო – რუსეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებულია და დღეის მდგომარეობით მისი დომინიონია. დომინიონი მეტროპოლიასთან თანაბარ ხელშეკრულებას ვერ გააფორმებს, ეს ხელშეკრულება იქნება კაბალური! ამიტომ, მცდარია აზრი ნებისმიერი პოლიტიკური ხელშეკრულების გაფორმებისა რუსეთთან მანამ, ვიდრე საქართველო სრულად არ გათავისუფლდება და მოიპოვებს დამოუკიდებლობას! ჩვენ უნდა მოვითხოვოთ და ვიბრძოლოთ სრული დამოუკიდებლობისათვის!“* იმ დღეს ასე გადაწყდა. სულ რაღაც ორი წლის შემდგომ კი, ეროვნული ხელისუფლების ქვეყნის სათავეში ყოფნისას, უზენაესი საბჭოს სხდომაზე, საბჭოთა კავშირთან სამოკავშირეო ხელშეკრულება სარატიფიკაციოდ ერთ სესიაზე, რატომღაც, სამჯერ იქნა გამოტანილი (???) მხოლოდ მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტაციის მეცადინეობის შედეგად გახდა შესაძლებელი სამივე-

ჯერ მისი ჩაგდება. მერაბ კოსტავამ ჩვენ სავალი გზა გაგვიადვილა! ეროვნული მოძრაობა რომ ფედერაციული ხელშეკრულების დადების გზით წასულიყო, დღევანდელი საქართველო 1918-1921 წ.წ. საქართველოს რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე ვეღარ შეიქნებოდა. ვერც საქართველოს ოკუპირებისა და ანექსირების შემდგომ რუსეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე – სოჭისა და ტუაფსეს დაბრუნებაზე ექნებოდა ოდესმე პრეტენზია; იმ სოჭისა და ტუაფსისა, რომელთა გამოც გაგვიჩაღა რუსეთმა ომი აფხაზეთსა და ცხინვალში, აქეზებს სეპარატისტულ სულისკვეთებას, რათა აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის მიღწევის შემთხვევაში სოჭი და ტუაფსე სამუდამოდ მას დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შავ ზღვაზე გასასვლელი მას, ფაქტობრივად, აღარ რჩება. ვფიქრობთ, მტკიცებას არ საჭიროებს, რომ ეროვნული მოძრაობის მიერ რუსეთთან ფედერაციული ხელშეკრულების დადებისაკენ სვლა ვერც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებას გახდიდა შესაძლებელს.

სსრ კავშირის სპეცსამსახურებსა და ანალიტიკურ ცენტრებში დაგეგმილი და კრემლის ხელისუფლების მიერ თავს მოხვეული არაერთი მუხანათური, საქართველოს დასაკაბალებლად გამიზნული გეგმა იქნა ნეიტრალიზებული მერაბ კოსტავას შორსმჭვრეტელობის, ანალიტიკური და ორგანიზატორული ნიჭის მეოხებით. უამრავ განსაცდელს გადაარჩინა მან ეროვნული მოძრაობაცა და ქვეყანაც და რა გასაკვირია, რომ 1989 წლის 13 ოქტომბერს სიცოცხლე კრემლმა მოუსწაფა მას, ვინც მისი მზაკვრული გეგმების განხორციელება ერთხელაც კი არ გახადა შესაძლებელი.

მერაბ კოსტავას დაღუპვიდან (13 ოქტომბერი 1989 წ.) ზუსტად ერთ თვეში (1989 წ. ნოემბერი) ეროვნული მოძრაობის მიერ თავიდან ვერ იქნა აცილებული ცხინვალის ომი. დაიშალა ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა ეროვნული მოძრაობის მონაწილე თითქმის ყველა პარტიას. შემდეგ იყო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსვლა. აფხაზეთის მმართველობაში ვლ. არძინბასი, ხოლო აჭარაში ა. აბაშიძის მოყვანა. ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მიერ ქვეყნის მმართველობისას დაშვებული არაერთი პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, საკადრო და სხვა უამრავი შეცდომა, რამაც განაპირობა კიდეც მისი ძალადობრივი გზით დამხობა. ამან კი, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა კომუნისტური და კომკავშირული პარტნომენკლატურის, ე. შევარდნაძისა და მოქალაქეთა კავშირის, თ. შაშიაშვილის, ჯ. პატიაშვილის, ზ.

ცვანიას, ნ. ბურჯანაძის, მ. სააკაშვილისა და ნაც. მოძრაობის, თუ სხვა მრავალთა ქვეყნის მმართველობის სათავეში მრავალი წლით დაბრუნება. მაგრამ ყველაზე მძიმე განსაცდელი, რომელიც საქართველოსათვის კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდა, გახლავთ, ის, რომ მერაბ კოსტავას სიკვდილის შემდგომ ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული ღირებულებებისა და ეროვნული მოძრაობის დევალვირება ვერ იქნა თავიდან აცილებული, ვინაიდან ჭაპანი, რომელსაც მერაბ კოსტავა უდიდესი ნიჭიერებითა და შემართებით ეზიდებოდა, მისი სიკვდილის შემდგომ ვერავინ ზიდა, ვერც კოლექტიურად და ვერც, მით უმეტეს ინდივიდუალურად. აღნიშნული ეს გარემოება გვარწმუნებს კიდევ ერთხელ – სწორედ მერაბ კოსტავას უნდა გავფრთხილებოდით თავლისჩინივით, მაშინ ნამდვილად გადარჩებოდა საქართველოც, ეროვნული ღირებულებებიცა და ეროვნული მოძრაობაც და მათთან ერთად, რასაკვირველია, ზვიად გამსახურდიაც. ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ მერაბ კოსტავას ირგვლივ დარაზმული, მხოლოდ მისი უპირობო ლიდერობით შეუმცდარად მართული ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა აღმავალი – ჭეშმარიტად დამოუკიდებლობის გზით საქართველოში!

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდგომ ჩნდება ბუნებრივი კითხვა: თუ მეტაფიზიკას, მის შესაძლებლობებს როგორც მეცნიერებისა, ან ამ შესაძლებლობათა მიმართ გველუკაშვილისეულ განსწავლულობას ისიც კი არ ძალუძთ, რომ ორიგინალთან თუნდაც, ოდნავ მიახლოებით მაინც იქნეს წარმოდგენილი პოლიტიკური პორტრეტი საქართველოს უახლესი ისტორიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის – საქართველოს ეროვნული გმირის, ერის სინდისად შერაცხულ მერაბ კოსტავასი, რომლის მოწამეობრივმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ყოველი ჩვენთაგანის თვალწინ გაიარა, მაშ, რა საჭიროა, ან რაღას ისახავს მიზნად აღნიშნული ავტორის მიერ მეტაფიზიკურად შეზრახულ წიაღსვლათა და წინასწარმეტყველებათა დაუსრულებელი ქადაგებანი საეჭვო რეპუტაციის მქონე ,,ასავალ-დასავალის" ფურცლებზე?

ვაჟა ადამია

2007 წლის დეკემბერი

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

პუბლიცისტური ნერიღები

მეცხრე სიმფონია 11

ფიქრები ქართულ კულტურაზე 14

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა 31

გამოღვიძების ეტაპი 63

რატომაა საჭირო ნაციონალური არმია 70

თავისუფლება ენგურს! 74

დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია 75

საკრავები, მუსიკოსები, გონიერება 77

ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების
საყოველთაო სწავლებისათვის 88

პროზაული ნანახმოებები

თავისუფლება 97

ცხენი 99

პოეზია

ღირს მამა დავითს 107

ქართული საგალობელი 112

კვლავ მოლოდინში 113

*** დე, ჩამოიქცეს ტანჯული ცრემლი 114

ტანჯვათა ტიტანი 115

გაზაფხული 118

წყაროვ, ო, წყაროვ 119

დიდგორი 119

ირაკლის 120

მსხვერპლი 123

*** იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი 123

*** ძალუმი ვით იეჰოვა 125

ჩავუხტეთ ბარათაშვილსა 126

*** ბალღო ლომისფაფარიანო 127

სულო დაიცა 128

შიმშილობა 129

*** ვერაფერმა განაქარვოს 139
ძმას ქრისტესმიერს 140
სიზმარი 143
განაჩენის მოლოდინში 145
სფინქსი 147
ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი 148
იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს 149
შენ გევედრები 150
ქარის სიმღერა 151
ᲞᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ
სალამი თქვენდა - რუსუდან, ოლიკო, ირაკლი! 154
სალამი რუსუდან, ოლიკო, ირაკლი! 156
გამარჯობა ჩემო თამრიკო 165
გამარჯობა თამრიკო 166
ᲒᲣᲚᲘᲡᲡᲐᲓᲔᲑᲐᲓ
თანატოსი (ირაკლი კოსტავა) 169
ეძღვნება მამას! (თამარ კოსტავა) 170
მოგონებიდან (ოლღა დემურია-კოსტავასი) 171
ვაუა ადამია: რამდენიმე ეპიზოდი მერაბ კოსტავას ცხოვრებიდან
გაწბილებული რუსეთი 176
+ 5 177
უდანაშაულო დამნაშავე 179
შურისმაძიებელი ჭანარი 182
საფეხბურთო სიახლე 184
ექვსასი მეტრი მიწა 185
შენდობის უნარი ძლიერთა ხვედრია 186
„მე შენ ღრუბლებზე დაგასვენებდი“
მე შენ ღრუბლებზე დაგასვენებდი 191
მამულიშვილნო, ქართველნო, გეორგიანნო! 195
წამებულო ბავშვო! 197
ერის სინდისი, პატიოსნება 197
ბატონ მერაბ კოსტავას ხსოვნას 198

ერის რაინდთა მემკვიდრე 200
„შენ არ მომკვდარხარ“ 203
„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ 204
ყველაზე მეტად 207
უკვდავება 208
ვუძღვნი მერაბ კოსტავას ხსოვნას 212
რათა აღმოცენდეს ათი ათასად! 212
თავდადებული 213
ამაღლება 215
ლევილის მწუხრში 216
ზარი 217
საქართველო რომ გამოსთხოვო ბორკილახსნილი 218
მამულიშვილი 219
ვაი, ეგეთას სამართალს, მერაბ! 220
ერის კაცის დაღუპვა 221
მერაბ კოსტავას 222
მერაბ კოსტავას ხსოვნას 223
აღმერთებდე საქართველოს 225
მერაბ კოსტავას ხსოვნას 226
პირნათელი 226
რა დიდი გზაა აღსავალი ცათა კარამდის 229
წამებული ძმისადმი 230
მერაბ კოსტავას ხსოვნას 231
მერაბ კოსტავა 232
მთაწმინდა გულში იხუტებს 238
მერაბ კოსტავა 239
„ქართველები ხელების ცეცებით დავუწყებთ ერთმანეთს
ძებნას“ 241
მერაბ კოსტავა - შტრიხები პორტრეტისათვის 244
„მოდი, ნუ ჩაუფიქრდები მუხთალი სოფლის დენასა“... 248

რედაქტორი ვაჟა ადაძია

შემდგენლები: ბ. მოსიავა და მ. გოგოხია

წიგნში გამოყენებულია მ. უტიაშვილის,
ბ. ვადაჭკორიას, ი. მეჩითოვის, ჯ. კასრაძის ფოტოები

წიგნი დაიბეჭდა მერაბ კოსტავას
საზოგადოების მეცადინეობით

გამომცემლობა „თობალისი“
E-mail: tobalisi@rambler.ru